მაია მენაბდე ● ნათია ფურცელაძე ● ნანა სახეჩიძე

# ქართული ენა და ლიტერატურა 9

## მასწავლებლის წიგნი



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს.

სულაკაურის გამომცემლობა

# სარჩევი


მე-9 კლასის ქართულის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია
ლიტერატურის სახელმძღვანელო ........ 5

ქართული ენა და ლიტერატურა
საბაზო საფეხურის სტანდარტი ........ 9

თემატური მატრიცები
სახელმძღვანელოსთვის ........ 58

კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ........ 129

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, სოლო ტაქსონომია ........ 131

მეთოდური სტატიები ........ 136

სავარჯიშოების პასუხები ქართული ენის სახელმძღვანელოსათვის ........ 152

# მე-9 კლასის ქართულის სახელმძღვანელოს კონცეფცია და სტრუქტურა

**სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია:**

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შედგება ლიტერატურის (რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი), ენისა და მასწავლებლის წიგნებისაგან. ლიტერატურის წიგნი აგებულია და ტექსტები გადანაწილებულია სტანდარტში მოცემული თავების მიხედვით. შევარჩიეთ მრავალფეროვანი ტექსტები როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ლიტერატურიდან და, რაც მთავარია, თითოეული ტექსტი შეესაბამება მოსწავლეთა ასაკსა და ინტერესებს. ასევე თითოეულ თავში შევიტანეთ თემის შესაბამისი ნაწარმოებები მსოფლიო ლიტერატურიდან, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ორგანული ნაწილია.
ვეცადეთ, რომ ტექსტების რაოდენობა ყოფილიყო ოპტიმალური და სახელმძღვანელო არ გადაგვეტვირთა. ამ პრინციპის დაცვა განაპირობა ორმა გარემოებამ:

1) მიუხედავად განათლების სისტემაში მიდგომების მნიშვნელოვნად ცვლილებისა, მასწავლებლების უმეტესობა ორიენტირებულია სახელმძღვანელოს ამოწურვაზე, ისინი გამუდმებით ცდილობენ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვნენ სახელმძღვანელოს და არც ერთი ტექსტი არ დარჩეთ დაუმუშავებლი. ამის გამო ხშირად მოსწავლეები აღმოჩნდებიან ხოლმე დიდი დატვირთვის ქვეშ და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად დაუმუშავებას ველარ ასწრებენ.

2) სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისთვის აუცილებელია სახელმძღვანელო იყოს რესურსი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს, თავისი გაკვეთილები წარმართოს სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობებითა და კომპლექსური დავალებებით.

მუშაობისას ჩვენი პრინციპი იყო, სახელმძღვანელო იმდენად შეკრული, გასაგებად სტრუქტურირებული ყოფილიყო, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს ნავიგაცია, მისით ხელმძღვანელობა დამოუკიდებლადაც, მასწავლებლის გარეშე. შესაბამისად, შევიტანეთ დავალებები, რომლებიც აუცილებელი და საინტერესოა მისი უნარების განვითარებისთვის, არ გადავტვირთეთ ქაოსურად ჩაყრილი დავალებებით და მიმართვის ფორმაც ავირჩიეთ უშუალო: დავალებებსა და კითხვებში მოსწავლეს პირადად მივმართავთ მხოლობით რიცხვში და მისთვის გასაგები ლექსიკით. გვსურს, გაუჩნდეს განცდა, რომ სახელმძღვანელო სწორედ მას „ელაპარაკება“ და დავალებებს დამოუკიდებლადაც გაართმევს თავს (მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალება მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს). ეს მიდგომა განაპირობა იმან, რომ ვთვლით, თანამედროვე განათლება მუდმივად და დამოუკიდებლად მსწავლელი პიროვნების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს.
მეორე მხრივ, სახელმძღვანელო მასწავლებლისთვისაც კომფორტულია და მაქსიმალურად გაუადვილებს ისედაც გადატვირთული მუშაობის რეჟიმში სრულყოფილი, ეფექტური და შედეგიანი გაკვეთილების ჩატარებას.

**ლიტერატურის სახელმძღვანელოს თავების სტრუქტურა:**

თითოეულ თავში შემავალი ტექსტები მრავალფეროვანია ჟანრობრივად (მხატვრული: მოთხრობა, ნოველა, იგავი, მემუარული და ეპისტოლური ლიტერატურა, მხატვრულ- დოკუმენტური პროზა... არამხატვრული: ესე, პუბლიცისტური წერილი, საჯარო გამოსვლა, საინფორმაციო ტექსტი...). თითოეული მათგანი დამუშავებულია თემატური შეკითხვებისა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით სხვადასხვა კუთხით.

თითოეულ თავს ახლავს სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი თეორიული მასალა. მაგრამ თეორიული ნაწილი მაქსიმალურად შეკუმშულია და ბავშვისთვის გასაგები ენითაა დაწერილი. თითოეულ საკითხს ახლავს მცირე პრაქტიკული სავარჯიშო წაკითხული ინფორმაციის გასამყარებლად.

**ტექსტები და დავალებები:** თითოეული ტექსტი დამუშავდა შემდეგი პრინციპით: წაკითხვამდე (თემასთან, გასააქტიურებელ ცნებასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები და აქტივობები) და წაკითხვის შემდეგ (კითხვები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები). ტექსტები დაყოფილია მოკლე მონაკვეთებად, რათა მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, კარგად ჩაუღრმავდეს ტექსტს. ეს მიდგომა საინტერესოა არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ მასწავლებლებსაც გაუადვილებს შედეგზე გასვლას: მას აქვს გამზადებული დავალებები ტექსტის შესწავლის ყველა ეტაპისთვის, რამდენიმე გაკვეთილს დაუთმობს და მოსწავლეებს მრავალფეროვანი დავალებებით ტექსტს ისე დაამუშავებინებს, რომ დაფაროს საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ცნება და ჩამოუყალიბოს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც აუცილებლად უნდა დარჩეს მეცხრეკლასელ მოსწავლეს ამ კურსის გავლის შემდეგ, ხოლო თითოეული აქტივობა შერჩეულია ისე, რომ მათი დამუშავებით მოსწავლემ საბოლოოდ ადვილად შეძლოს კომპლექსური დავალების დამოუკიდებლად შესრულება. ეს მიდგომა ავირჩიეთ იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ ზემოთ უკვე აღნიშნული მნიშვნელოვანი პრობლემა: ტექსტების გადარბენით სწავლა-სწავლება. ასე დანაწევრებული ტექსტები თავისთავად უჩენს განწყობას მასწავლებლებს, რომ შეუძლიათ, ერთ ტექსტს რამდენიმე გაკვეთილი მშვიდად დაუთმონ.
სახელმძღვანელოში შევიტანეთ თითოეულ ავტორთან დაკავშირებული არა მშრალი ბიოგრაფიული ცნობები, არამედ შთამბეჭდავი მოგონებები, ამონარიდები ინტერვიუებიდან, სხვადასხვა ცნობილი ადამიანის მიერ მწერლის შემოქმედებისა თუ ცხოვრების ისეთი საინტერესო შეფასებები, რომლებიც მოსწავლეებს ემოციებს აღუძრავს და მყარად ჩაიბეჭდება მათ გონებაში.
ნაწარმოებებზე მუშაობისას მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდებათ რუბრიკა - ჩვენ გირჩევთ. ეს რუბრიკა მოიცავს რეკომენდაციებს, პრაქტიკულ რჩევებს ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ამასთანავე, ავტორები ვუზიარებთ გამოცდილებასაც და წავახალისებთ, უყურონ თემატურ ფილმებს ან წაიკითხონ სხვადასხვა რამ.
კიდევ ერთი რუბრიკა - ეს უნდა იცოდე აერთიანებს საინტერესო ინფორმაციებს, რომლებიც გააფართოებს მოსწავლეთა თვალსაწიერს, აამაღლებს მათი ზოგადი განათლების დონეს და, რაც მთავარია, ცოდნის ტრანსფერს შეუწყობს ხელს.
სახელმძღვანელოს შედგენისას გავითვალისწინეთ მდგრადი განვითარების პრინციპები, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც შევთავაზეთ ისეთი დავალებები, რომელთა შესრულება აამაღლებს მათ ცნობიერებას და დაეხმარება, მზად იყვნენ XXI საუკუნის გამოწვევებისათვის.
პროექტები: რადგან პროექტული სწავლებაც თანამედროვე განათლების ერთ-ერთი გამოწვევაა, გადავწყვიტეთ, რომ უფრო მეტად ორგანული გავხადოთ პროექტები სწავლების პროცესისთვის. ამიტომ პროექტებმა მასწავლებლის სახელმძღვანელოდან გადმოინაცვლა მოსწავლის სახელმძღვანელოში და გახდა ისეთივე აუცილებელი, სავალდებულო ნაწილი, როგორიც კითხვები და დავალებებია.

**შეფასება**

თითოეული კომპლექსური დავალება მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა განმავითარებელი (უფრო ხშირად) თუ განმსაზღვრელი შეფასებისას და გაუადვილდეს, სოლოტაქსონომიით დააკვირდეს მოსწავლეთა ნამუშევრებს.
სახელმძღვანელოში ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა მოსწავლეთა თვითშეფასებებსა და ურთიერთშეფასებებს, აქტივობებს, რომლებითაც დამუშავდება მოსმენის სტრატეგიები და მოსწავლეები მიეჩვევიან აქტიურ მოსმენას.

**დამატებითი რესურსი:**

ტექსტებსა და სავარჯიშოებს ხშირად ახლავს ინტერნეტმასალები: ვიდეო და აუდიორეპორტაჟები, ინტერვიუები, მოზარდებისთვის საინტერესო საიტები, დამატებითი ტექსტები – ისინი ჩაისმება არა დაკოპირებული ბმულების სახით (მათი აკრეფა ხშირად ბავშვისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს და უქრება მოტივაცია, გაეცნოს დამატებით საინტერესო მასალას), არამედ სახელმძღვანელოში ჩასმული შტრიხკოდისა (QR კოდის) და მობილური ტელეფონის კამერის დახმარებით მარტივად ნახავს მითითებულ მასალას.
თითოეულ თავში შეგხვდებათ იმ ნაწარმოებების, ფილმებისა თუ ანიმაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეხმიანება თავის თემას. ეს კიდევ უფრო გაუადვილებს საქმეს მასწავლებელს, გაუჩენს ბავშვს ინტერესს და გაუფართოებს მსოფლმხედველობას.
მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია ერთგვარი გზამკვლევი მატრიცების სახით, რომელთა გამოყენება ძალიან დაეხმარება მასწავლებელს სასკოლო კურიკულუმის შედგენაში.

## ენის სახელმძღვანელოს კონცეფცია და სტრუქტურა

ენის სახელმძღვანელო შექმნილია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- თეორია არის, რაც შეიძლება, კონკრეტული და მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემული;
- როგორც აქტივობები, ისე დავალებები არის მრავალფეროვანი, გამოვიყენეთ საინტერესო კოგნიტური სქემები;
- სახელმძღვანელო გამორჩეულია ფუნქციური ვიზუალური გაფორმებით, რათა ამა თუ იმ საკითხის გააზრება-დამახსოვრებისას ვიზუალური აღქმაც ჩაერთოს. დავალებებში აქტიურად გამოვიყენეთ კომიქსური სტილის, მოზარდისთვის მიმზიდველი ილუსტრაციები, რათა მოსწავლისთვის გრამატიკის სახელმძღვანელო აღარ იყოს ტრადიციული, მხოლოდ ნაწერებიანი და სქემებიანი, ულიმღამო წიგნი;
- თითოეული თემა ავაგეთ წინარე ცოდნის გამააქტიურებელ კითხვებზე, სავარჯიშოებზე, რომლებიც ბუნებრივად შეუწყობს ხელს მასზე ახალი ცოდნის დაშენებას.
- თეორიისა და სავარჯიშოების ბლოკების გარდა, სახელმძღვანელოში არის ფუნქციური, საჭირო, დასამახსოვრებელი რუბრიკები: „დააკვირდი“, „დაიმახსოვრე“, „ჭეშმარიტია თუ მცდარია“;
- მთავარი წარმმართველია ინდუქციური მეთოდი – რათა მოსწავლე თავისი დაკვირვებით, ლოგიკური აზროვნების საშუალებით მივიდეს თეორიულ ნაწილამდე.

ქართული ენის სახელმძღვანელო მოიცავს სინტაქსის საკითხებს, თუმცა საჭიროებისამებრ ყურადღება ეთმობა მორფოლოგიის გამეორებას, რათა უფრო გასაგები იყოს მოსწავლისათვის ესა თუ ის ახალი მასალა. დავალებები და სავარჯიშოები იმგვარი პრინციპით არის შერჩეული, რომ მოსწავლე ინდუქციური მეთოდით შეიმეცნებს ახალი გაკვეთილის მასალას. ილუსტრაციები, კომიქსები და ფოტომასალა ბევრად საინტერესოსა და სახალისოს გახდის სასწავლო პროცესს. დავალებების ნაწილი შემოქმედებით უნარს საჭიროებს, რაც ვფიქრობთ, გრამატიკის მიმართ პოზიტიურ განწყობას წარმოშობს და სწავლის მოტივაციას აამაღლებს. სისტემურად, გარკვეული მასალის ამოწურვის შემდეგ, დართულია დავალება ტექსტის რედაქტირებასა და თეორიული მასალის გამეორებაზე (ჭეშმარიტია თუ მცდარი?). სახელმძღვანელოში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, ისე სხვადასხვა ტიპის ტექსტებთან.

სახელმძღვანელო შედგება ოთხი თავისაგან და წინ უძღვის შესავალი ნაწილი.  თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად. პირველ თავში განხილულია წინადადების წევრები. მეორე თავში მარტივი წინადადების სინტაქსი შეისწავლება, ხოლო მესამე თავი შერწყმულ წინადადებას ეთმობა. მეოთხე თავში შედის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადება.

**შესავალი.** ამ თავში განხილულია გრამატიკის მნიშვნელობა და მისი სწავლის აუცილებლობა. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რაში დასჭირდება პრაქტიკულად გრამატიკის ცოდნა.

**თავი 1.** ამ თავში ვეცნობით წინადადების წევრებს, სინტაქსური ურთიერთობის სახეებს. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების კანონზომიერების სწავლებასთან ერთად საჭიროდ მივიჩნიეთ სათაურ-სახელწოდებათა მართლწერა. აქვე გაეცნობით სამოტივაციო წერილის სწავლებას, რაც, ვფიქრობთ, ძალიან გამოადგებათ თანამედროვე მოსწავლეებს.

**თავი 2.** ამ თავში ვეცნობით ზოგადად წინადადებას აგებულებისა და მოდალობის მიხედვით და უკვე წარმოდგენას ვუქმნით მოსწავლეებს, როგორ უნდა გაარჩიონ მარტივი, შერწყული და რთული წინადადებები ერთმანეთისაგან. შემდეგ კი დაწვრილებით არის გადმოცემული მარტივი წინადადება და მის სახეები. ამავე თავშია წინადადების სახეობები მოდალობის მიხედვით. რა ფუნქციურ-ემოციური დატვირთვა აქვს კითხვით, ძახილის, ბრძანებით და კითხვა-ძახილის წინადადებებს.

**თავი 3.** ეს თავი ეთმობა შერწყმული წინადადების შესწავლას, ერთგვარი წევრების რაობას, სასვენი ნიშნების გამოყენების წესებს შერწყმულ წინადადებაში. ბლოგი და ბლოგერობა აქტუალურია თანამედროვე ბავშვებისათვის, ეს საკითხი დააინტერესებთ მათ და ვფიქრობთ, ხალისითა და მონდომებით შეასრულებენ მასთან დაკავშირებულ დავალებებს.

**თავი 4.** ეს თავი საკმაოდ მოზრდილია და ინფორმაციული, თუმცა სახალისო დავალებები და პრაქტიკული სავარჯიშოები გაუმარტივებს მოსწავლეებს სწავლების პროცესს. რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებთან ერთად შესულია განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. საყურადღებოა ის, რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მოსდევს განკერძოებული განსაზღვრება, ხოლო გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას – განკერძოებული გარემოება. ვფიქრობთ, ასე უფრო მარტივად აღსაქმელი და გასაგებია აღნიშნული საკითხები. სასვენი ნიშნების გამოყენების წესებს ახლავს საკმაოდ ბევრი სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო. ჩვენი მიზანია, ჩვენი სახელმძღვანელოთი დავანახვოთ მოსწავლეებს პირველი ის, რომ გრამატიკა ჩვენი აზროვნების და შესაბამისად, ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. გვინდა, ვაჩვენოთ მათ, რომ ლიტერატურისა და გრამატიკის წიგნი მექანიკურად არ უკავშირდება ერთმანეთს. ამ ორი სახელმძღვანელოს გაცნობისას მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ გრამატიკის ცოდნა აუცილებელი პირობაა ტექსტის, ლიტერატურის შექმნისას და გვეხმარება, გადმოვცეთ ჩვენი აზრები, რაც შეიძლება, მწყობრად და გასაგებად.

# ქართული ენა და ლიტერატურა

## საბაზო საფეხურის სტანდარტი

**შესავალი**

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
გ) მეთოდიკური ორიენტირები;
დ) შეფასება;
ე) დანართი.

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

**ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები**

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:
- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
- მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;
- მოსწავლეს გამოუმუშაოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების ფორმირებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

**ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი**

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგან „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ფარგლებში?

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ოთხი მიმართულების მიხედვით:

**ტექსტის გაგება-გაანალიზება** – გულისხმობს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის გაგებას და მრავალმხრივად გააზრებას (სასწავლო გეგმაში ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც ბეჭდურ, ისე აუდიოვიზუალურ/მულტიმედიურ, აუდიო- და ვიდეოფორმატის ტექსტებს).
**ცოდნისა და იდეების გაზიარება** – ფოკუსირებულია მოსწავლის პროდუცირების უნარებზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლემ, წერილობითი ან ზეპირი ტექსტების სახით, უნდა წარმოადგინოს და გააზიაროს თავისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ, არგუმენტირებულად იმსჯელოს ნაცნობ თემებზე, საკითხებზე/პრობლემებზე; წარმოაჩინოს ცოდნა, იდეები ან/და ტექსტის გაცნობის შედეგად მიღებული საკუთარი უნიკალური გამოცდილება, ტექსტის მისეული ინტერპრეტაცია, დამოუკიდებლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები.
**ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება** – გულისხმობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს) ენობრივი საშუალებებისა და ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას.
**სტრატეგიების გამოყენება** – სწავლა-სწავლებისას გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების შერჩევისა და გააზრებულად გამოყენების უნარი კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას.

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

**საკითხავი ლიტერატურა** შეთავაზებულია 3 ძირითადი თემატური ბლოკის სახით. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით. აქვეა წარმოდგენილი ჩამონათვალი სავალდებულო ნაწარმოებებისა, რომლებიც დამუშავდება შეთავაზებული თემატური ბლოკების ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში.

**ინდექსების განმარტება**

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საბ. 1.**
**„ქართ.“** – აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;
**„საბ“** – მიუთითებს საბაზო საფეხურს;
**„1“**- მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

<table>
<tr><th colspan="3">ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (VII-IX)</th></tr>
<tr><th>შედეგების ინდექსი</th><th>მიმართულება: ტექსტის გაგება</th><th>ცნებები</th></tr>
<tr><td></td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td><td rowspan="12">ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br><br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები: ზეპირმეტყველების სტრატეგიები კითხვის სტრატეგიები წერის სტრატეგიები მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br><br>გრამატიკა</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.1.</td><td>ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.2.</td><td>ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.3.</td><td>ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.4.</td><td>ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><th colspan="2">მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება</th></tr>
<tr><td></td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.5.</td><td>ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.6.</td><td>ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.7.</td><td>საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.8.</td><td>სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით: (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).</td></tr>
</table>

| მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება | | |
|---|---|---|
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქართ.საბ.9. | ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს); | |
| ქართ.საბ.10. | სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). | |
| მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება | | |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქართ.საბ.11. | ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება; | |
| ქართ.საბ.12. | სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. | |

**ცნებები და საკითხები**

**ტექსტი**
- ტიპები – მხატვრული, არამხატვრული
- ჟანრები
  - მხატვრული: მოთხრობა, ნოველა, იგავი, მითი, ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, პოემა.
  - არამხატვრული: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; ისტორიული წყარო; ესე; პუბლიცისტური წერილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მასალა (მაგ., საინფორმაციო ქრონიკა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, სტატია, რეკლამა); მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა, ინსტრუქცია; ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტები (მაგ., განცხადება, რეზიუმე/**CV**, ავტობიოგრაფია, ფორმალური წერილი).

- **კომპოზიციური ელემენტები** – თემა, ქვეთემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; თხრობა, აღწერა; პერსონაჟები;

დიალოგი; ავტორისეული დახასიათება; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; მორალი/შეგონება (იგავის); სიუჟეტი და მისი განვითარების საფეხურები; კონფლიქტი; რითმა, მეტრი, სტროფი, ტაეპი.

- **სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები** – სათაური; თავი; რუბრიკა; აბზაცი; მიმართვა; ხელმოწერა; არავერბალური ელემენტები (ილუსტრაცია, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა და ზომა).

**კონტექსტი** – ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი; ეპოქის ზოგადი კონტექსტი (მაგ., რეალიები, ფასეულობები, ცოდნის დონე); ავტორის ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება (მაგ., შეხედულებები, დამოკიდებულებები).

**მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)** – ალუზია; ციტირება.

**ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)** – კომუნიკაციის ადგილი; კომუნიკაციის მიზანი; ავტორი; აუდიტორია, მკითხველი; მონაწილეები (დისკუსიის, დებატების); არავერბალური მეტყველება (მაგ., სხეულის ენა, ხმის ძალა, ინტონაცია).

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, რიტორიკული ხერხები)**

- ლექსიკა, სტილი – ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი; აფორიზმი; სიტყვაწარმოება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სტილისტური ხარვეზი (ტავტოლოგია, კალკი, პარონიმები); სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო);
- მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები – ტროპები (ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალიტერაცია, ალეგორია, ირონია).
- რიტორიკის ელემენტები – თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, განმეორება; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია).

**სტრატეგიები**

- **ზეპირმეტყველების (ლაპარაკის, მოსმენის) სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა, წინარე ცოდნის მობილიზება, რეპეტიციის გავლა, პარაფრაზირება; წინასწარი ვარაუდების გამოთქმა, დამაზუსტებელი კითხვების დასმა, ჩანაწერების კეთება).
- **კითხვის სტრატეგიები** (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკავშირება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის ვიზუალიზაცია, შეჯამება, შეკითხვების დასმა, ხელახლა წაკითხვა, დაჯგუფება- დახარისხება, კონტექსტზე დაყრდნობით/ლექსიკონის გამოყენებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-დადგენა).
- **წერის სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა; იდეების გენერირება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება; გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა-გაზიარება).
- **მეტაკოგნიტური სტრატეგიები** (მაგ., აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა).

**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

**ქართული ენის ისტორია:** მსოფლიოს ენათა ოჯახები; ქართული ენა, ქართულის მონათესავე ენები, ქართული ენის დიალექტები; ქართული სალიტერატურო ენა, ქართული დამწერლობა (ანბანი).

**გრამატიკის საკითხები**
*მორფოლოგია*
**ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:**

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა).

**ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:**
- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- კავშირი და მისი ჯგუფები;
- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- შორისდებული და მისი ჯგუფები.

*სინტაქსი*
- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები – შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- **წინადადების წევრები:** მთავარი და არამთავარი წევრები;
- **წინადადება:** წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია.

**საკითხავი ლიტერატურა**

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საკითხავი ლიტერატურის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ქართული მწერლობა. მათგან ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა დროში გამოცდილი თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს (სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალი იხ. თემატური ბლოკების ქვემოთ).
სწავლა-სწავლების პროცესში, ამა თუ იმ თემატური ბლოკის ან/და სასწავლო თემის ფარგლებში, სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

## ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

**I თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება**

ადამიანის ცხოვრების გზა (*მაგ., ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან), ადამიანის შინაგანი სამყარო (მაგ., ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია)*;

საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ., *ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე).*

**II თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება**

მშობლიური სამყარო (*მაგ., მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება);*

ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ., *ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/ გარემოზე თანამედროვე ეპოქაში);*

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (*მაგ., ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/ აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ ჩვეულს შორის).*

**III თემატური ბლოკი – მარადიული ძიებები**

სიკეთე და ბოროტება *(მაგ., სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში);*

ცხოვრების საზრისი *(მაგ., ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).*

*<u>სავალდებულო ნაწარმოებები</u>*

1. ლეონტი მროველი – „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება (ადაპტირებული სახით);
2. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“, „ანდერძი ავთანდილისა“ (მითითებული სახით), „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“;
3. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“: ცალკეული იგავები, შერჩეული სამი ძირითადი თემატური ბლოკის გათვალისწინებით (ადაპტირებული სახით);
4. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: 3 თავი (ლეკთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (მითითებული სახით);
5. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ბედი ქართლისა“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“;
6. ილია ჭავჭავაძე – „ბაზალეთის ტბა“, „სარჩობელაზედ“, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (მითითებული სახით), „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით);

7. აკაკი წერეთელი – „განთიადი“, „თორნიკე ერისთავი“,  „ბაში-აჩუკი“;
8. ვაჟა-ფშაველა – „ჩემი ვედრება“, „კაი ყმა“, „ხმელი წიფელი“;
9. მიხეილ ჯავახიშვილი – „ეშმაკის ქვა“;
10. გალაკტიონ ტაბიძე – „ქარი ქრის“, „გაგონდება თუ არა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „მამული“;
11. კონსტანტინე გამსახურდია – „მთვარის მოტაცება“: ფრაგმენტი (მითითებული სახით);
12. გიორგი ლეონიძე – „ნატვრის ხე“: მარიტა;
13. კოლაუ ნადირაძე – „25 თებერვალი“;
14. ანა კალანდაძე – „ვაჟაო, დილის მზის სხივო...“;
15. ჭაბუა ამირეჯიბი – „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

**საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:**

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს აკავშირებს შედეგებთან:

- რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? (/როგორ მოქმედებენ კარგი მკითხველები, როდესაც არ ესმით ტექსტი?)
- რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა (/პოემა, იგავი, პირადი წერილი და ა.შ.)?
- რამდენად და როგორ მეხმარება ნაწარმოების სტრუქტურა ტექსტის გაგება-გააზრებაში?
- როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის გამოხატვას, პოზიციის დასაბუთებას? რამდენად ეფექტურია მისი მცდელობები?
- რას მეუბნება/რა ინფორმაციას მაწვდის ტექსტი მისი შექმნის ეპოქაზე, ავტორზე?
- რითია ეს ტექსტი გამორჩეული, უნიკალური (/რით გამოირჩევა ეს ტექსტი ამავე თემაზე, საკითხზე, პრობლემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან?)?
- რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის (წიგნის, ფილმის) გაგებაში?/რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?
- როგორ გამოვხატო საკუთარი აზრები, იდეები, ფიქრები და დამოკიდებულებები ამ კონკრეტულ ნამუშევარში/საკომუნიკაციო სიტუაციაში? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამ კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში (/ამ კონკრეტული ნამუშევრის შესადგენად)? როგორ დავეხმარო მკითხველს/მსმენელს ჩემი ნაწერის/ნათქვამის უკეთ გაგებაში?

**გ) მეთოდიკური ორიენტირები**

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;
ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;
დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას);
ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

| | |
|---|---|
| პასუხისმგებლობა | • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება;<br>• სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;<br>• საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება. |
| თანამშრომლობა | • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს;<br>• მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის);<br>• განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;<br>• რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. |
| ეთიკა | • ეთიკური ნორმების დაცვა;<br>• სოლიდარობის განცდა;<br>• ემპათია;<br>• განსხვავებულობის მიმღებლობა;<br>• საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება. |
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება | • ქსელური ძიება;<br>• სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის ელექტრონული ტექსტების შექმნა (მაგ., სლაიდშოუს, ჲოწერჲოინტ-პრეზენტაციის);<br>• ელექტრონული ტექსტების დამუშავება, ე-წიგნებისა და აუდიოწიგნების გამოყენება;<br>• პერსონაჟის ფეისბუქი/ფეისბუქ-პროფილი;<br>• მკითხველის ფორუმი, წიგნის/ნაწარმოების ბლოგი. |

**წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები**

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს – თემას).

**როგორ აიგება სასწავლო თემა?**

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება **საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები,** შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებათა ტიპები/ნიმუშები. თითოეულ

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

| |
|---|
| **სასწავლო თემა**<br><br>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი. |
| **ცნებები, ტექსტები, საკითხები**<br><br>ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს. |
| **საკვანძო შეკითხვები**<br><br>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:<br>• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;<br>• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;<br>• თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს. |
| **აქტივობები**<br><br>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.<br>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი<br>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. |
| **შეფასების ინდიკატორები**<br><br>შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის. |
| **მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად |

თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

**ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი**

| |
|---|
| ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა |
| ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 4. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა |
| ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება |
| ნაბიჯი 6. საკითხების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 7. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა |

თემატური ერთეულების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შერჩეული მასალა უნდა შეესატყვისებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებს;
- ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალი ხარისხის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მათთვის ნაცნობ რეალიებს, პრობლემატიკას; თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს, ფიქრებს, დამოკიდებულებებს, ოცნებებსა და მისწრაფებებს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ უკეთ გაიაზრონ თანამედროვე სამყარო, იპოვონ პასუხები მათთვის აქტუალურ და არსებით შეკითხვებზე, დასახონ პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმეცნონ საკუთარი თავი და დაიმკვიდრონ ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა კი ნოყიერ ნიადაგს შექმნის მსჯელობისთვის და დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ სიღრმისეულად გაიაზრონ საგნობრივი ცნებები და საკითხები შეთავაზებული კონტექსტების (თემების) ფარგლებში.
- ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით). ეს გააფართოებს მოსწავლეთა კულტურულ ჰორიზონტს და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ინტერკულტურული კუთხით.
- ენობრივ-გრამატიკული ცნებებისა და საკითხების სწავლება არ გულისხმობს გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის სინთეზირება და ფუნქციურად გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს). ამდენად, მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ენობრივი ცოდნა განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენის გზით.
- საკითხავი მასალის რაოდენობა უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მისი (მასალის) საფუძვლიანად დამუშავებისა და გააზრებისათვის.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:
**სტრატეგიების მოდელირება:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანმხლები მასალა, მაგ., სურათები? სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).
**წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე** – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.
**შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე** – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებსა და ქმედობაუნარიანობას.

**დ) შეფასება**
საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.
**განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:**

მოსწავლე:
- ამოიცნობს ლოგიკურ მიმართებებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციას შორის (მაგ., ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, პირობისეულობა);
- ახარისხებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნით;
- გამოყოფს საკვანძო სიტყვებს, ადგილებს/ეპიზოდებს და ხსნის, რითია ისინი მნიშვნელოვანი;

- ტექსტში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაგულისხმევ ინფორმაციას;
- ამოიცნობს თემას/ქვეთემას, მთავარ იდეას, ძირითად პრობლემას/საკითხს;
- აანალიზებს პერსონაჟ(ებ)ის ქცევას, მსჯელობს პერსონაჟ(ებ)ის მოტივაციაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე;
- ახასიათებს პერსონაჟს/ამბის გმირს ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით (მაგ., გარეგნობის, მეტყველების, ქცევის, აზრების, ავტორისეული დახასიათების, საცხოვრებელი გარემოს მიხედვით);
- ერთმანეთს უდარებს პერსონაჟ(ებ)ს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- აკვირდება, როგორ იცვლებიან მოვლენები/პერსონაჟები სიუჟეტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- ამოიცნობს კონცეპტუალურ ინფორმაციას (მაგ., მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს, არამხატვრულ ტექსტებში ამოიცნობს ძირითად თეზისებს/დებულებებს), გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
- გაიაზრებს ტექსტის სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას;
- განასხვავებს ფაქტსა და მოსაზრებას/შეფასებას, თეზისსა და  არგუმენტს, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- განასხვავებს მთავარ და არამთავარ ინფორმაციას, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- საუბრობს მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების დანიშნულებაზე (მაგ., პერსონაჟის სახასიათო თვისების წარმოჩენა, მოქმედების დროისა და ადგილის სპეციფიკის ჩვენება);
- განსაზღვრავს კონფლიქტს/ძირითად პრობლემას ტექსტში, საუბრობს მის გამომწვევ მიზეზებზე;
- მსჯელობს, როგორ იყენებს ავტორი თემისა და მთავარი იდეის წარმოსაჩენად კომპოზიციის ელემენტებს (მაგ., მოქმედების დროსა და ადგილს, პერსონაჟებს, სიუჟეტს);
- ამოიცნობს სპეციფიკურ დრო-სივრცულ მახასიათებლებს, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის კონტექსტში;
- გაიაზრებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციას ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- საუბრობს, რა დასკვნა გამოიტანა ტექსტის საფუძველზე (/რა ასწავლა ტექსტმა);
- პოულობს მსგავსება-განსხვავებას ტექსტში ასახულ რეალიებს, პერსონაჟებს/ამბის გმირებსა და რეალურ ცხოვრებას/რეალურ ადამიანებს შორის, გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- გაიაზრებს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცული ფაქტორების ცვლილებამ;
- ამოიცნობს და ხსნის სხვაობას ავტორის/მთხრობლის, პერსონაჟების ხედვის პერსპექტივებს შორის;
- ამოიცნობს ავტორის შეხედულებებს/დამოკიდებულებებს, საუბრობს, რა მიმართებაა  ტექსტსა და ავტორის გამოცდილებას შორის;
- წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ფორმით (მაგ., ინსცენირებით, გამომსახველობითი კითხვით);
- ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ტექსტიდან შესაბამისი ადგილების მოხმობით;
- ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ/მიმზიდველ ადგილებს და ხსნის, რითია ისინი გამორჩეული;
- ამოიცნობს, რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთსა და იმავე თემაზე/პრობლემაზე შექმნილი ტექსტები ერთმანეთისგან (მაგ., მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების კუთხით), გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- ამოიცნობს, რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის/ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;

- აფასებს, რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებს ავტორი თვალსაზრისს/პოზიციას;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასებს ტექსტში ასახულ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წამოაყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტს;
- იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ფაქტობრივ, მიზეზშედეგობით, ანალოგიაზე დამყარებულ არგუმენტებს);
- ადგენს სტანდარტით განსაზღვრული ტიპის ტექსტებს ნაცნობ თემაზე/საკითხზე სხვადასხვა მიზნით (მაგ., ანალიზის შედეგების წარმოჩენის, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მოწოდების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, გამოცდილების გაზიარების);
- ადეკვატურად იყენებს გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნას სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის გაანალიზების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის);
- ადეკვატურად იყენებს ცალკეული ჟანრების ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ცოდნას;
- ამოიცნობს ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც ავტორი იყენებს განწყობის, ემოციური ფონის შესაქმნელად;
- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ., ჰიპერბოლას, მეტაფორას, სხვ.) და ხსნის მათს დანიშნულებას;
- ამოიცნობს და ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებში ბგერწერითი ეფექტის შემქმნელ ელემენტებს (რითმას, რიტმს, ალიტერაციას);
- ამოიცნობს მიმართებებს ტექსტის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ელემენტებს შორის, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის ფარგლებში (მაგ., სათაური-ტექსტი, წამყვანი აბზაცი-დამხმარე აბზაცები).

**შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება**

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამოწმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**
სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

შემაჯამებელი დავალებების სახით, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კომპლექსური სახის აქტივობები. ყოველი სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ, სულ მცირე, ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალება.

კომპლექსურ დავალებებს მიეკუთვნება:

- დისკუსია;
- დებატები;
- ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული სალონი;
- პრეზენტაცია, ზეპირი მოხსენება/ზეპირი გამოსვლა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- ნაწარმოების ინსცენირება;
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება);
- თხრობითი ტექსტის შედგენა (რეალურ ან/და წარმოსახვით გამოცდილებაზე);
- დამარწმუნებელი ტექსტების შედგენა (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლა-მო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);
- ახსნა-განმარტებითი/საინფორმაციო ტექსტის შედგენა;
- პროექტი/კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/საკითხზე);
- წერილობითი რეზიუმეს შედგენა (ნაცნობი ტექსტის);
- ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წინარე ისტორიის აღდგენა, ტექსტის გადაწერა სხვა ჟანრში;
- წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;
- წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან;
- ანოტაციის, რეკომენდაციის შედგენა (მაგ., წიგნის, ფილმის);
- წერილობითი ტექსტების შედგენა თვითგამოხატვის მიზნით (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირა-დი გამოხმაურება/შთაბეჭდილება);
- ალტერნატიული ფორმის ტექსტების შედგენა თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკ-იდებულების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე) და მისთ.

**მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასები-სათვის განკუთვნილი დავალება**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას გამოიყენება: თემის შეფასების ინდიკატორე-ბი, კრიტერიუმები, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტები (იხ. ცხრილი);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

**ნიმუში. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში**

**დავალების პირობა:**
გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც:
ა) წარმოადგენთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;
ბ) მოიყვანთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;
გ) გამოიტანთ დასკვნას/დასკვნებს.
ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური დროა 5 წუთი.
**ე) დანართი**

**ამონარიდებისა და ფრაგმენტების მითითებები საბაზო საფეხურის სავალდებულო ლიტერატურისთვის**

| | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|
| პირობასთან შესაბამისობა | | |
| იცავს დროის ლიმიტს | 0-1 | |
| იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა) | 0-0, 5-1 | |
| კომუნიკაციური უნარ-ჩვევები | | |
| გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას | 0-1-2 | |
| მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები | 0-1-2 | |
| გამოაქვს ადეკვატური დასკვნა | | |
| ენობრივი უნარ-ჩვევები | | |
| ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.) | 0-1 | |
| იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.) | | |
| შემოქმედებითი უნარ-ჩვევები | | |
| აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები | 0-1 | |
| ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით) | | |

**შოთა რუსთველი,** „ვეფხისტყაოსანი“: ანდერძი ავთანდილისა – 6 სტროფი (1. „დაჯდა წერად ანდერძისა..“; 2. „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ...“, 3-5. „არდავიწყება მოყვრისა... სიკვდილი სახელოვანი“; 6. „მაქვს საქონელი ურიცხვი...“).
**დავით გურამიშვილი,** „დავითიანი“: 3 თავი (ლეკთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (სიტყვებიდან: „მე ვიყავ ერთი თავადი...“).

**ილია ჭავჭავაძე,** სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე:
ა) დასაწყისიდან/მიმართვიდან ვიდრე სიტყვებამდე: „... უფრო მდიდარია, უფრო სავსეა“;
ბ) სიტყვებიდან: „მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო?...“ სიტყვებამდე: „...ცოდნა ჰქვიან“;
გ) სიტყვებიდან: „ცოდნა ხერხია...“, სიტყვებამდე: „...უფრო ძლიერია“;
დ) სიტყვებიდან: „კაცი უნდა ხერხი იყოს...“ სიტყვებამდე: „...ჭკუა ცოდნით გაულესია“,
ე) სიტყვებიდან: „ცოდნა სიმდიდრეა..“ სიტყვებამდე: „...დაიწყებს ლაპლაპს“;
ვ) სიტყვებიდან: „...სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს...“ სიტყვებამდე: „უფრო გაძლიერებული“;
ზ) სიტყვებიდან: „როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი...“ სიტყვებამდე: „... გზას მე გიჩვენებთო!“;
თ) სიტყვებიდან: „ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია..“ სიტყვებამდე: „ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს“;
ი) სიტყვებიდან: „აქედან ჩვენი შვილები...“ სიტყვებამდე: „გასაზრდელად, გასაღვიძებლად“;
კ) სიტყვებიდან: „ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს...“ სიტყვებამდე: „...მეც დავასრულე (!), რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს“.

**ილია ჭავჭავაძე,** რა გითხრათ, რით გაგახაროთ?
სიტყვებიდან: „აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი...“, აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „რა არ გადაგვხდენია თავს“, აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ყველა ეს შევძელით...“ აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა“, აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ეხლაც ომია“, ტექსტის დასასრულამდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“.

**კონსტანტინე გამსახურდია,** „მთვარის მოტაცება“: ფრაგმენტი (მე-2 კარი, I თავი. სიტყვებიდან: „შევცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია...“ სიტყვებამდე: „...ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“).

# ქართული ენა და ლიტერატურა საბაზო საფეხურზე

**შესავალი**

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს. პროგრამას აქვს ჩარ-ჩო-სქემის სახე. მის საფუძველზე შესაძლებელია საბაზო საფეხურის ცალკეული კლასებისთვის გამიზნული წლიური პროგრამების შექმნა.

ქვემოთ წარმოდგენილი თემები და ცალკეული თემის ფარგლებში შერჩეული მასალა მოწოდებულია რეკომენდაციის სახით. დასაშვებია თემების შეცვლა-მოდიფიცირება, შევსება და მისთ. მთავარია, შერჩეული თემატიკა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- თემები უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესა-ძლებლობებს;
- საბაზო საფეხურის თემატიკა მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს ძირითად თემატურ ბლოკებს.

სარეკომენდაციო პროგრამაში შესულია მხოლოდ სტანდარტით გათვალისწინებული სავალ-დებულო ნაწარმოებები, ცალკეულ შემთხვევებში ტექსტები დასახელებული არ არის. ამდენად, შეთავაზებული ჩარჩო-სქემის გამოყენების შემთხვევაში, იგი უნდა მოდიფიცირდეს საბაზო საფეხურის კონკრეტული კლასისთვის. ეს გულისხმობს, რომ კლასების შესაბამისად უნდა:
ა) გადანაწილდეს დასახელებული ნაწარმოებები;
ბ) შეირჩეს რელევანტური დამატებითი მასალა – სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები (თემ-ატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით).

დასაშვებია ჩარჩო-სქემაში წარმოდგენილი მასალის (საკვანძო შეკითხვების, თემატური მკვიდ-რი წარმოდგენების, კომპლექსური დავალებების, შეფასების ინდიკატორების) შერჩევა-გად-ანაწილება, მოდიფიცირება, შევსება და მისთ. საბაზო საფეხურის ამა თუ იმ კლასისთვის. თემე-ბის ფარგლებში შერჩეული ტექსტების/რესურსების შესაბამისად, შეივსება და დაკონკრეტდება ჩარჩო-სქემის ცნებებისა და საკითხების ბლოკში შესული მასალაც.

**I თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება**

**ადამიანის ცხოვრების გზა**

**1. თემა: ცხოვრებისეული გამოცდილება**

<table>
<tr><th colspan="2">თემა: ცხოვრებისეული გამოცდილება</th></tr>
<tr><td colspan="2">საკითხავი ლიტერატურა<br><u>სავალდებულო ნაწარმოებები</u><br>დავით გურამიშვილი, „დავითიანი“ (მითითებული სახით)<br><u>არასავალდებულო ტექსტები</u><br>შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><th>ზოგადი ცნებები</th><th>საკვანძო შეკითხვები</th></tr>
<tr><td>ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები;<br>კომპოზიციური ელემენტები;<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები;<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები;<br>ტექსტის კონტექსტი;<br>მიმართებები ტექსტებს შორის<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია);<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები;<br>კითხვის სტრატეგიები;<br>წერის სტრატეგიები;<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები;<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად)</td><td>• რა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას – მისი პირადი არჩევანი თუ სხვა ფაქტორები (აღზრდა, გარემო, ბედისწერა, ხასიათი, სხვ.)?<br>• როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ განსაცდელს/პრობლემებს?<br>• საიდან ვიგებ, როგორია სხვა ადამიანი, როგორი ვარ მე? როგორ/რაში ვლინდება ადამიანის შინაგანი სამყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი, გაუგო სხვა ადამიანს?<br>• რა ვიცი საკუთარ თავზე? როგორ/რა გზით შემიძლია საკუთარი თავის უკეთ შეცნობა? როგორ/საიდან უყალიბდებათ სხვებს აზრი ჩემ შესახებ? რამდენად და რატომ არის/არ არის მნიშვნელოვანი, ერთმანეთს ემთხვეოდეს ჩემი და სხვისი აზრი ჩემ შესახებ?<br>• რატომ და როგორ მოგვითხრობს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა მწერლობაში ასახულ ცხოვრებას, ადამიანებს/პერსონაჟებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის?<br>• რაში და რამდენად მეხმარება ავტორის ემოციებში გარკვევა?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?<br>• რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?</td></tr>
<tr><td colspan="2">იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის<br><br>• დავით გურამიშვილის თავგადასავალი (ზეპირად ან წერილობით).<br>• დისკუსია: „რამდენად აქტუალურია დავით გურამიშვილის გამოცდილება თანამედროვე ადამიანისთვის?“<br>• პრეზენტაცია: „ავტორი და ეპოქა“ (გურამიშვილის ტექსტის ისტორიული კონტექსტი – ტექსტთან კავშირების გამოკვეთით).<br>• წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან: მოსწავლე წერს დაახლ. 5-8 ღიადაბოლოებიან შეკითხვას დავით გურამიშვილის მიმართ და მის სავარაუდო პასუხებს.<br>• პერსონალური გამოხმაურება/შთაბეჭდილება დავით გურამიშვილის ნაწარმოებზე (წერილობით).<br>• საკუთარი მოსაზრების გადმოცემა: „გამოხატეთ თქვენი თვალსაზრისი შემდეგ გამონათქვამზე: „მხოლოდ ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება მისი ცხოვრება“. დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი სათანადო არგუმენტებით“.<br>• პირადი წერილი: „ყველაფერი ჩემ შესახებ“ (მაგ., სიტუაცია: გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მოსწავლე მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც ერთ-ერთ ოჯახში იცხოვრებს. მოსწავლე სწერს წერილს მასპინძლებს საკუთარი თავის წარდგენის მიზნით).<br>• თხრობითი ტექსტი: „ჩემი არჩევანი“ – მოსწავლე წერს თხრობით ტექსტს მის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი არჩევანის შესახებ, რომელმაც რაღაც შეცვალა მის ცხოვრებაში.<br>• წერითი ნამუშევარი: ავტობიოგრაფია (რუბრიკები: დაბადების ადგილი, წელი, ოჯახი, ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვობის მოგონება, ყველაზე ღირსსახსოვარი საჩუქარი).<br>• ოფიციალური-საქმიანი წერა: საკუთარი ბიოგრაფიის/რეზიუმეს, ჩV-ს დაწერა.<br>• თხრობითი ტექსტი „ცხოვრების ერთი დღე“: ერთ-ერთი ღირსსახსოვარი დღის აღწერა (თხრობისა და აღწერის მონაცვლეობით).</td></tr>
</table>

- ვიზუალური გამოსახულებებით: მაგ., პირველი დღე სკოლაში, ღირსსახსოვარი მოგზაურობა ოჯახთან ერთად ან/ღირსსახსოვარი არდადეგები, მნიშვნელოვანი მოვლენა ოჯახის ცხოვრებიდან, პერსონალური მიღწევა (მაგ., გამარჯვება შეჯიბრში). ფოტოები უნდა ასახავდეს ემოციებს, განწყობას; ან: სლაიდშოუ (ახსნა-განმარტებითი წარწერების, შესაძლებელია მუსიკის თანხლებითაც). სლაიდები უნდა ასახავდეს ემოციებს, განწყობას (პრეზენტაციის ხანგრძლივობა 4-5 წთ.).
- წერითი ნამუშევარი: „რომ შემეძლოს“ (პირობა: წარმოიდგინეთ, რომ შეგიძლიათ დაბრუნდეთ წარსულში და მთლიანად შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში მომხდარი ერთი ფაქტი. რომელ კონკრეტულ ფაქტს შეცვლიდით, რატომ და როგორ? რა მოჰყვებოდა ამ ცვლილებას შედეგად?).
- შემოქმედებითი წერა: თხრობითი ტექსტის შედგენა (პირობა: „მოიფიქრეთ და გადმოეცით ამბავი შემდეგი საყრდენების გამოყენებით: სათვალე, მყეფარე ძაღლი, სახანძრო მანქანა. ამბავი დაასათაურეთ“) (საჭიროებისამებრ, საყრდენები შესაძლებელია შეიცვალოს).
- „ჩემი ცხოვრების გზა“: ფოტომოთხრობა (4-5 ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენა სათანადო
- სხვ.

**შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- ადამიანის ცხოვრებაზე/ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- ადამიანის ცხოვრებაზე/ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილება შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- ავტორის, პერსონაჟის/ლირიკული გმირის ცხოვრებისეული გამოცდილება მეხმარება რეალური ცხოვრების სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრებაში, ადამიანების/საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად, მასზე აზრის გამოსახატავად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გადმოვცე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, შემიძლია გამოვიყენო ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## I თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება

### ადამიანის ცხოვრების გზა

### 1. თემა: ცხოვრებისეული გამოცდილება

| თემა: ცხოვრებისეული გამოცდილება |
|---|
| საკითხავი ლიტერატურა<br>სავალდებულო ნაწარმოებები<br>დავით გურამიშვილი, „დავითიანი“ (მითითებული სახით)<br><br>არასავალდებულო ტექსტები<br>შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. |

| ზოგადი ცნებები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • რა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას – მისი პირადი არჩევანი თუ სხვა ფაქტორები (აღზრდა, გარემო, ბედისწერა, ხასიათი, სხვ.)?<br>• როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ განსაცდელს/პრობლემებს?<br>• საიდან ვიგებ, როგორია სხვა ადამიანი, როგორი ვარ მე? როგორ/რაში ვლინდება ადამიანის შინაგანი სამყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი, გაუგო სხვა ადამიანს?<br>• რა ვიცი საკუთარ თავზე? როგორ/რა გზით შემიძლია საკუთარი თავის უკეთ შეცნობა? როგორ/საიდან უყალიბდებათ სხვებს აზრი ჩემ შესახებ? რამდენად და რატომ არის/არ არის მნიშვნელოვანი, ერთმანეთს ემთხვეოდეს ჩემი და სხვისი აზრი ჩემ შესახებ?<br>• რატომ და როგორ მოგვითხრობს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა მწერლობაში ასახულ ცხოვრებას, ადამიანებს/პერსონაჟებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის?<br>• რაში და რამდენად მეხმარება ავტორის ემოციებში გარკვევა?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?<br>• რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში? |

## 2. თემა: სიყვარული

| თემა: სიყვარული | |
|---|---|
| **საკითხავი ლიტერატურა**<br><br><u>სავალდებულო ნაწარმოებები</u><br><br>• გალაკტიონ ტაბიძე, „ქარი ქრის“, „გაგონდება თუ არა“;<br>• ანა კალანდაძე, „ვაჟაო, დილის მზის სხივო“.<br><br><u>არასავალდებულო ტექსტები</u><br><br>*შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.* | |
| **ზოგადი ცნებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა) | • როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს?<br>• როგორ შეიძლება ამოვიცნოთ ნამდვილი სიყვარული?<br>• რამდენად ცვლის/არ ცვლის ადამიანს სიყვარული და რატომ?<br>• რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?<br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სიყვარულთან დაკავშირებით?<br>• რამდენად მეხმარება მწერლის/ლირიკული გმირის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს? |

| | |
|---|---|
| ტექსტის სიტუაციური მახასიათე-ბლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br><br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროე-ბისამებრ, კონკრეტული კონტექს-ტის შესაბამისად) | • რატომ წერენ მწერლები სიყვარულზე?/რატომაა სიყვარული ერთ-ერ-თი უმთავრესი თემა ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?<br>•<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა სიყვარულზე შექმნილ ტექსტებს შორის? რი-თია ისინი განპირობებული? |

**იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:**

- ლექსის ანალიზი (წერილობით).
- კონკურსი გამომსახველობით კითხვაში.
- პერსონალური გამოხმაურება/შთაბეჭდილება: (მაგ., გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის ლექსებზე).
- ალტერნატიული ფორმის ტექსტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსის – „ქარი ქრის" – მიმართ პირადი დამოკ-იდებულების, შთაბეჭდილების გამოსახატავად: მაგ., ნახატი/კოლაჟი, მუსიკალური კლიპი;
- პრეზენტაცია: „ერთი გრძნობა, ორი კულტურა" (სიყვარულთან დაკავშირებულ 5-7 ფრაზეოლოგიზმზე ქართულ და მოსწავლისთვის ნაცნობ უცხოურ ენაში: შედარება, დასკვნის გამოტანა/შეჯამება).
- საინფორმაციო პრეზენტაცია: „სიყვარულის გამხელა" – სიყვარულის გამხელის/გამოხატვის ტრადიციები სხვა-დასხვა კულტურაში (შედარება, დასკვნის გამოტანა).
- პრეზენტაცია: „ყველაზე შთამბეჭდავი ისტორია სიყვარულზე" (მოსწავლის მიერ შერჩეული ნაწარმოების ან ფილმის საფუძველზე).

**შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- სიყვარულზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირე-ბა ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- სიყვარულზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- სიყვარულზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალე-ბების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭ-რის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- სიყვარულზე შექმნილია  განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- სხვადასხვა ეპოქაში (/კულტურაში) შექმნილ ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული დამოკ-იდებულებები/წარმოდგენები  სიყვარულზე.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ თავიანთი დამოკ-იდებულება სიყვარულის მიმართ, სიყვარულთან დაკავშირებული განცდები და ქმედებები, მოახდინონ შთაბე-ჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- მწერლის, ლირიკული გმირის/პერსონაჟის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მეხმარება ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში.
- სიყვარულზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ წარმოვადგინო/გავაზიარო საკუთარი მოსაზრებები და იდეები სიყვარულზე,  შემიძლია გამოვიყე-ნო ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის,  ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## 3. თემა: მეგობრობა

| თემა: მეგობრობა |
|---|
| *ტექსტები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.* |

| **ზოგადი ცნებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
|---|---|
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის<br>(ინტერტექსტუალობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br><br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსის შესაბამისად). | • ვის შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი მეგობარი?<br><br>• რას ეძებს ადამიანი მეგობარში, სხვა ადამიანში? რამდენად ცვლის ადამიანს სხვებთან ურთიერთობა?<br><br>• როგორ უმეგობრდებიან ადამიანები ერთმანეთს? რა არის საჭირო იმისთვის, რომ ვიყოთ კარგი მეგობარი?<br><br>• რატომაა, რომ ადამიანს ზოგჯერ უძნელდება მეგობრების შეძენა?<br><br>• როგორ შევინარჩუნოთ მეგობრები? როგორ აგვარებენ მეგობრები უთანხმოებას?<br><br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს მეგობრობასთან დაკავშირებით?<br><br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br><br>• რა მსგავსება-განსხვავებაა მეგობრობაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული? |

**იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:**

- დისკუსია: „რა განასხვავებს ნამდვილ მეგობარს ცრუ მეგობრისგან?“ (პირადი მოსაზრებების გამოთქმა და ახსნა-დასაბუთება – მაგალითების მოყვანით პირადი ან/და ლიტერატურული გამოცდილებიდან).
- წერითი ნამუშევარი: „ახსენით, როგორ გესმით გამონათქვამი: „იმისთვის, რომ გყავდეს კარგი მეგობარი, შენ თავად უნდა იყო კარგი მეგობარი“. მოიყვანეთ მაგალითები თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად“.
- წერითი ნამუშევარი: „ნამდვილი მეგობარი“ – მოსწავლე გამოხატავს პირად თვალსაზრისს იმაზე, თუ რა თვისებები გამოარჩევს ნამდვილ მეგობარს, ან: ქმნის თხრობით ტექსტს პირადი გამოცდილებიდან იმაზე, თუ რა რეალური დახმარება აღმოუჩინა მას მეგობარმა.
- შემოქმედებითი წერა: „ჩემი საუკეთესო მეგობარი“ – სიტუაცია: მოსწავლე აღწერს საკუთარ თავს ოჯახის ცხოველის – ძაღლის, კატის, სხვ. – თვალთახედვიდან – იმის გათვალისწინებით, თუ მოსწავლის რა მახასიათებლებზე „მოყვებოდა“ ეს ცხოველი, რა კონკრეტულ ფაქტებს „გაიხსენებდა“ მათი ურთიერთობიდან.
- იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:
- დისკუსია: „რა განასხვავებს ნამდვილ მეგობარს ცრუ მეგობრისგან?“ (პირადი მოსაზრებების გამოთქმა და ახსნა-დასაბუთება – მაგალითების მოყვანით პირადი ან/და ლიტერატურული გამოცდილებიდან).
- წერითი ნამუშევარი: „ახსენით, როგორ გესმით გამონათქვამი: „იმისთვის, რომ გყავდეს კარგი მეგობარი, შენ თავად უნდა იყო კარგი მეგობარი“. მოიყვანეთ მაგალითები თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად“.
- წერითი ნამუშევარი: „ნამდვილი მეგობარი“ – მოსწავლე გამოხატავს პირად თვალსაზრისს იმაზე, თუ რა თვისებები გამოარჩევს ნამდვილ მეგობარს, ან: ქმნის თხრობით ტექსტს პირადი გამოცდილებიდან იმაზე, თუ რა რეალური დახმარება აღმოუჩინა მას მეგობარმა.
- შემოქმედებითი წერა: „ჩემი საუკეთესო მეგობარი“ – სიტუაცია: მოსწავლე აღწერს საკუთარ თავს ოჯახის ცხოველის – ძაღლის, კატის, სხვ. – თვალთახედვიდან – იმის გათვალისწინებით, თუ მოსწავლის რა მახასიათებლებზე „მოყვებოდა“ ეს ცხოველი, რა კონკრეტულ ფაქტებს „გაიხსენებდა“ მათი ურთიერთობიდან.

- შემოქმედებითი წერა 2: „ჩემი საუკეთესო მეგობარი“ – მოსწავლე აღწერს საკუთარ თავს თავისი მეგობრის თვალთახედვიდან, იმის გათვალისწინებით, თუ რა კონკრეტულ თვისებებზე გაამახვილებდა ყურადღებას მეგობარი, რა კონკრეტულ ფაქტებს გაიხსენებდა მათი მეგობრობიდან და ა.შ.

- საკუთარი მოსაზრების გამოხატვა: „გამოთქვით თვალსაზრისი შემდეგ მოსაზრებაზე: „ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ხანაში მეგობრებთან ცოცხალმა კომუნიკაციამ აქტუალობა დაკარგა“. დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი კონკრეტული მაგალითები მოყვანით“

- თვალსაზრისის გამომხატველი ნამუშევარი: „როგორ ფიქრობთ, რა უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისთვის – ვირტუალური მეგობრები თუ რეალური მეგობრები? დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი მაგალითების მოყვანით“.

- პროექტი „ერთი სიტყვის ენციკლოპედია“ (სლაიდშოუ პრეზენტაციის ან ხელნაწერი/ნაბეჭდი სახით, ე.წ. დიდი წიგნის ფორმატში) – სიტყვა „მეგობარი“ ან: „მეგობრობა“. შესაძლო რუბრიკები: სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (აფიქსების გამოყოფით); ეტიმოლოგია; შესატყვისები ქართველურ ენებში, თარგმანი მოსწავლისთვის ნაცნობ უცხოურ ენაზე; ამ სიტყვიდან/ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები, დახარისხებული მეტყველების ნაწილების მიხედვით (მეგობრული, მეგობრობა, სამეგობრო), შესიტყვებები (ოჯახის მეგობარი, ბავშვობის მეგობარი, ახლო მეგობარი); სინონიმები და ანტონიმები; ანდაზები; მოსწავლის აზრით, საუკეთესო ციტატები ან/და გამონათქვამები მეგობარზე/მეგობრობაზე; მეგობარზე/მეგობრობაზე დაწერილი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები, მაგ., მოთხრობა, ლექსი, იგავი (მოსწავლის შერჩევით); სიტყვის საუკეთესო ვიზუალური რეპრეზენტაცია (მოსწავლის მიერ შერჩეული ან მიზნობრივად შექმნილი), დასკვნა (მასალის შერჩევისას შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატის (ბეჭდური ან ელექტრონული), პერიოდისა და ტიპის ლექსიკონების (მაგ., სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“, თანამედროვე განმარტებითი ლექსიკონების, სინონიმთა ლექსიკონისა და ა.შ.) გამოყენება).

- საინსტრუქციო ტექსტი: „როგორ მოვამზადოთ კოქტეილი „იდეალური მეგობარი“ (მოსწავლე მოიფიქრებს კოქტეილის „ინგრედიენტებს“, რომლებშიც ასახული იქნება, მისი აზრით, იდეალური მეგობრის თვისებები. მაგ.,: ერთგულება, განათლება, იუმორის გრძნობა, ხალისიანობა, ჩაცმულობის სტილი, ინტერესები: სათავგადასავლო წიგნების, მუსიკის კონკრეტული სტილის, სპორტის რომელიმე სახეობის სიყვარული. მოსწავლეს შეუძლია, მოფიქრებულ „ინგრედიენტებს“ მიანიჭოს წონა.

- მაგ., ერთგულება – 40%, ფეხბურთის სიყვარული – 15%, როკმუსიკის სიყვარული – 20% და ა.შ.).
- შემოქმედებითი წერა:
- ვარიანტი 1 – ლექსის შეთხზვა ნამდვილ მეგობარზე/ჭეშმარიტ მეგობრობაზე (მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ ჩარჩო-სქემაზე დაყრდნობით).
- ვარიანტი 2 – თხრობითი ტექსტის შედგენა (პირობა: მოიფიქრეთ და გადმოეცით ამბავი, რომელსაც დაასრულებთ შემდეგი წინადადებით: „ამის მერე მეგობრის რჩევას ყოველთვის ვითვალისწინებ“. ამბავი დაასათაურეთ).
- სხვ.

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მეგობრობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- მეგობრობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- მეგობრობაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- მეგობრობაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12

მკვიდრი წარმოდგენები:

- მეგობრობაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული წარმოდგენები მეგობრობაზე.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ მეგობრობის კონკრეტული მაგალითები, თავიანთი დამოკიდებულება მეგობრობის მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- მეგობრობაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა მეხმარება რეალური ცხოვრების უკეთ გაცნობაში, სხვებთან ურთიერთობაში.
- მეგობრობაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად, მასზე აზრის გამოსახატავად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ წარმოვადგინო/გავაზიარო ჩემი მოსაზრებები, იდეები, დამოკიდებულებები მეგობრობაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

# საზოგადოებაში თანაცხოვრება

# 1. თემა: პირადული და საზოგადოებრივი/პირადული და სახელმწიფოებრივი

## პირადული და საზოგადოებრივი/სახელმწიფოებრივი

სავალდებულო ნაწარმოებები

ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია": მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

არასავალდებულო ტექსტები

ტექსტები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

| ცნებები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები(საკომუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br><br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • რას ნიშნავს, იყო საზოგადოების წევრი?<br><br>• რა მიმართებაა ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას შორის?<br><br>• რა მიმართებაა ცალკეული ადამიანის პირად ცხოვრებას/კეთილდღეობასა და საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრებას/კეთილდღეობას შორის?<br><br>• როგორ შეუძლია ცალკეულ ადამიანს წვლილის შეტანა საზოგადოების/ქვეყნის ცხოვრებაში?<br><br>• როგორ/რა გზითაა შესაძლებელი ძალაუფლების გამოყენება ადამიანის/საზოგადოების საკეთილდღეოდ?<br><br>• რატომაა მნიშვნელოვანი ტოტალიტარულ ძალაუფლებაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა?<br><br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br><br>• რამდენად შეუძლია ლიტერატურას საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა? |

**იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:**

- პროექტი: „საირმის ტყის რეჟიმი: გამოგონილი სინამდვილე" (ტექსტის გააზრება ისტორიიდან ცნობილი ტოტალიტარული რეჟიმ(ებ)ის ჭრილში: პარალელები, ალუზიები, შედარებითი ანალიზი, დასკვნა. სამუშაოები შესაძლებელია ჩატარდეს 3 რუბრიკის საფუძველზე: მმართველის კულტი, ტოტალური ჯაშუშობის მექანიზმი, დამოკიდებულება სხვაგვარად მოაზროვნეებთან). პროექტის შედეგების პრეზენტაცია.
- წერილი ავტორს: მაგ., წერილი ჭაბუა ამირეჯიბს (ტექსტთან დაკავშირებული ფიქრების, შთაბეჭდილებების, მოსაზრებების გაზიარება).
- ალტერნატიული ფორმის ტექსტები წაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოსახატავად: მაგ., პლაკატი, ან: პოსტერი ტოტალიტარიზმზე;

- ტექსტის გაგრძელება: მოსწავლეები წარმოიდგენენ: რა მოხდებოდა საირმის ტყეში არქიფოს გარდაცვალების შემდეგ – მაგ., გაგრძელდებოდა თუ არა დიქტატურა და ვინ იქნებოდა დიქტატორი, როგორ გაგრძელდებოდა კონკრეტული პერსონაჟების ცხოვრება, რა ბედი ეწეოდა თაბაგარს (ზეპირად, მოსაზრებების ახსნა-დასაბუთება ტექსტის მონაცემების მოშველიებით).
- ტექსტთან დაკავშირებული ვარაუდების გამოთქმა: მოსწავლეები წარმოიდგენენ, რა უძღოდა წინ საირმის ტყის თემის ჩამოყალიბებას (ფოკუსირებით იმაზე, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ტოტალიტარულ ძალაუფლებას: სხვებისგან იზოლირებულობა, შიში/დაუცველობის განცდა, უნდობლობა ერთმანეთის მიმართ, სხვ.).
- როლური კითხვა, ინსცენირება: არქიფო სეთურთან ვახშმობის ეპიზოდი („დათა თუთაშხია").
- პერსონალური გამოხმაურება/შთაბეჭდილება ნაწარმოებზე (წერილობით).
- ტექსტის შეცვლა („დათა თუთაშხიას" ეპიზოდის საფუძველზე) – მოსწავლეები მოიფიქრებენ ეპიზოდის დასასრულის განსხვავებულ ვერსიას.
- ჭაბუა ამირეჯიბის ტექსტის შედარება შესაბამისი ეპიზოდის ეკრანიზებულ ვერსიასთან (რეჟისორი: გ. ლორთქიფანიძე, 1978 წ.). მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა იმაზე ფოკუსირებით, თუ რა ეფექტს ახდენს კინოტექსტისთვის დამახასიათებელი უნიკალური და სპეციფიკური ტექნიკა (მაგ., განათება, ხმა/მუსიკა, ფერი, კამერის კუთხე, პლანი, მონტაჟი; კინოენის მახასიათებელი: ჩვენება თხრობა-დახასიათების ნაცვლად, სხვ.).
- წერითი ნამუშევარი: „როგორ შეიძლება გავიგოთ ამერიკის პრეზიდენტის, ჯონ კენედის გამონათქვამი: „ნუ იკითხავ, რის გაკეთება შეუძლია ქვეყანას ჩემთვის, იკითხე – რის გაკეთება შემიძლია მე ჩემი ქვეყნისთვის".
- წერითი ნამუშევარი: „მე რომ ქვეყნის მმართველი ვიყო" (მითითება: „წარმოიდგინეთ, რომ ქვეყნის მმართველი გახდით. როგორი იქნებოდა თქვენი პირველი სამი ბრძანება. ახსენით, რა სარგებლობას მოუტანდა ისინი საზოგადოებას".
- წერითი ნამუშევარი: პირადი თვალსაზრისის გადმოცემა (პირობა: „საზოგადოების ნაწილის აზრით, სათვალთვალო ვიდეოკამერები უნდა აიკრძალოს, რადგან მათი არსებობა უხეშად არღვევს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. სათანადო მაგალითების მოყვანით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი").
- პროექტი „ენა და მედია" (5 ყველაზე გავრცელებული ენობრივი შეცდომის აღმოჩენა სოციალურ თემატიკაზე შექმნილი მედიამასალის ენობრივი ანალიზის საფუძველზე) – მონაცემების მოძიება, დახარისხება-გაანალიზება, დასკვნების გამოტანა (მაგ., გასაანალიზებლად შესაძლებელია შევთავაზოთ სხვადასხვა ფორმატის ბოლო ერთი კვირის მედიამასალები. კონკრეტული კონტექსტების მოწოდება შესაძლებელია მასალის ავტორის დასახელების გარეშე (შეიძლება დასახელდეს მედიასაშუალების სახელწოდება და მასალის გამოქვეყნების თარიღი).
- სხვ.

**შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- ადამიანის და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ.1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);

- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ. საბ.6,9,10,11,12);
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ.7, 9, 10, 11);
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ.5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ.12).

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე შექმნილი ტექსტების გაცნობა მეხმარება იმაში, რომ გავაცნობიერო საზღვარი პირადულ და საზოგადოებრივ სფეროებს შორის, დავიმკვიდრო ჩემი ადგილი საზოგადოებაში.
- ტოტალიტარულ ძალაუფლებაზე შექმნილი ლიტერატურა მაცნობს უარყოფით/არასასურველ გამოცდილებას, რაც დამეხმარება თავისუფლების/დემოკრატიის ფასეულობის გააზრებაში.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## 2. თემა: დანაშაული და პასუხისმგებლობა

### 1. თემა: პასუხისმგებლობა

საკითხავი ლიტერატურა

სავალდებულო ნაწარმოებები:

- ილია ჭავჭავაძე, „სარჩობელაზედ“;
- მიხეილ ჯავახიშვილი, „ეშმაკის ქვა“;
- გიორგი ლეონიძე, „ნატვრის ხე“: მარიტა.

არასავალდებულო ტექსტები

შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

| ზოგადი ცნებები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|
| ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br><br>მიმართებები ტექსტებს შორის<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროე-ბისამებრ, კონკრეტული კონტექს-ტის შესაბამისად) | • ვინ და როგორ ქმნის საზოგადოების წარმოდგენას სამართლიანობაზე, სამართლიან სასჯელზე? რა მიმართებაა სამართლიანობასა და სამართალს შორის?<br><br>• რას გულისხმობს ადამიანის პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ან პირიქით? როგორ და რაში ვლინდება ადამიანის პასუხისმგებლობა საზო-გადოების/ქვეყნის მიმართ?<br><br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სამართლიანო-ბასთან დაკავშირებით?<br><br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალე-ბებს?<br><br>• რა ფაქტორები განსაზღვრავს ავტორის/პერსონაჟების წარმოდგენებს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე, დანაშაულსა და სასჯელზე?<br><br>• რა გავლენას მოახდენდა (/რამდენად შეცვლიდა) ხედვის პერსპექტივის შეცვლა  ნაწარმოებში აღწერილ ამბავს?<br><br>• რა მსგავსება-განსხვავებაა ამ თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?<br><br>• რამდენად და როგორ დამეხმარება ამ თემაზე შექმნილი ლიტერატურის ცოდნა რეალურ ცხოვრებაში? |

**იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:**

- ნაწარმოების/ნაწარმოების ეპიზოდის შინაარსის თხრობა (ზეპირად ან/და წერილობით) – მაგ., დეტალური თხრო-ბა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი შინაარსის თხრობა, თხრობა მთხრობლის შეცვლით.
- დებატები: მაგ., დებულება –  „საზოგადოებასა და ინდივიდს შორის კონფლიქტის შემთხვევაში საზოგადოებაა დამნაშავე“ (დებულების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების წარდგენა-დასაბუთება).
- წერილობითი რეცენზია ტექსტზე: „სარჩობელაზედ“;
- ანოტაცია ტექსტზე „ეშმაკის ქვა“ (შესაძლებელია სხვადასხვა  – ავტორის, გამომცემლის, მკითხველის – პოზიცი-იდან);
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები: შესწავლილი ტექსტების ანალიზი, შედარებითი ანალიზი, პერსონაჟ(ებ)ის დახასიათება.
- პერსონაჟის წერილი მეორე პერსონაჟის მიმართ („ეშმაკის ქვა“): სიტუაცია: სოფიოს მამა წერილს სწერს ექიმს იმის ასახსნელად, თუ რამ განაპირობა სოფიოს მძიმე სულიერი მდგომარეობა.
- ახალი პერსონაჟის შემოყვანა („ეშმაკის ქვა“): მოკლე მონოლოგი (პირობა: წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ საშუალე-ბა, მიმართოთ სოფლის მცხოვრებლებს. დაფიქრდით და მოამზადეთ მიმართვა ხალხისადმი, რომლითაც შეეცდებ-ით ადამიანების გამოფხიზლებას, შეჩერებას).
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები: შესწავლილი ტექსტების ანალიზი, შედარებითი ანალიზი.

- სიტუაციური თამაში: დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა (ტექსტის – „სარჩობელაზედ“ – საფუძველზე). სიტუაცია – სასამართლო. ბეჟანის „ადვოკატი“ ცდილობს, რომ ჩამოხრჩობას გადაარჩინოს ბეჟანი, რისთვისაც მოჰყავს არგუმენტები (შესაძლებელია აქტივობის გაფართოებაც. მაგ., „ბრალმდებლის“ შემოყვანით. „ბრალმდებელი“ და „ადვოკატი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს სათანადო არგუმენტების მოყვანით).
- ნაწარმოების გაგრძელება (ტექსტის – „სარჩობელაზედ“ – საფუძველზე): მოწაფეები წარმოიდგენენ, როგორ გაგრძელდებოდა პეტრეს ცხოვრება (შეიცვლებოდა თუ არა რაიმე მის დამოკიდებულებებში, ცხოვრების წესში და მისთ.).
- პერსონაჟის გადაწერა: მოწაფეები წარმოიდგენენ, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მარიტა იცხოვრებდა თანამედროვე საქართველოში (ზეპირად ან წერილობით).
- ცხელი სკამი: მაგ., ციციკორეს/მარიტას როლის მორგებით, ან: მარიტას დღიური.
- გ. ლეონიძის მოთხრობის შედარება კინოფილმთან „ნატვრის ხე“ (რეჟისორი: თ. აბულაძე, 1976 წ.). მოთხრობის ტექსტსა და მარიტასთან დაკავშირებულ კინოეპიზოდებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა იმაზე ფოკუსირებით, თუ რა ეფექტს ახდენს კინოტექსტისთვის დამახასიათებელი უნიკალური და სპეციფიკური ტექნიკა (მაგ., განათება, ხმა/მუსიკა, ფერი, კამერის კუთხე, პლანი, მონტაჟი; კინოენის მახასიათებელი: ჩვენება თხრობა-დახასიათების ნაცვლად და ა.შ.).
- მკითხველის დღიური/ბლოგი: მაგ., ტექსტის: „სარჩობელაზედ“ კითხვისას.
- 4-ტაეპიანი ლექსის დაწერა პერსონაჟზე (მაგ., მარიტაზე) მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ მარტივ ჩარჩო-სქემაზე დაყრდნობით (მარიტას ხედვის კუთხიდან, პირველ პირში).
- არგუმენტირებული ესე: „ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე მოქმედებს სიკვდილით დასჯის კანონი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. დაწერეთ, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამ კანონის არსებობა. დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი არგუმენტების მოყვანით“.
- სხვ.

**შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- პასუხისმგებლობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- პასუხისმგებლობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- პასუხისმგებლობაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11);
- პასუხისმგებლობაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- დანაშაულსა და პასუხისმგებლობაზე მოგვითხრობს განსხვავებული ჟანრისა და ტიპის ტექსტები.
- ავტორების, პერსონაჟების/ამბის გმირების წარმოდგენები დანაშაულზე, სამართლიანობაზე, პასუხისმგებლობის დაკისრების ფორმებზე/დანაშაულსა და სასჯელზე შესაძლებელია არაერთგვაროვანი იყოს.
- დანაშაულზე/პასუხისმგებლობაზე შექმნილი ლიტერატურა მეხმარება რეალური ცხოვრების სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრებაში, რეალური ადამიანების უკეთ შეცნობაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ გამოკვეთონ ადამიანის და საზოგადოების პასუხისმგებლობის პრობლემები, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- პასუხისმგებლობის თემაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ტექსტის ელემენტების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები დანაშაულისა და პასუხისმგებლობის თემაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

**3. თემა: ურთიერთობები**

<table>
<tr><th colspan="2">ურთიერთობები</th></tr>
<tr><td colspan="2">ტექსტები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალ-ისწინებით.</td></tr>
<tr><th>ზოგადი ცნებები</th><th>საკვანძო შეკითხვები</th></tr>
<tr><td>ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br><br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუა-ლობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუ-ნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br><br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკ-რეტული კონტექსტის შესაბამისად)</td><td>• რა შეიძლება ისწავლოს უფროსმა თაობამ უმცროსი თაობის-გან ან/და პირიქით?<br><br>• რით განსხვავდებიან თაობები ერთმანეთისგან, რით ჰგვანან ერთმანეთს?<br><br>• რამდენად სპეციფიკურია ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება გვქონდეს მე და ჩემს თანატოლებს? რითია განპირობებული ამ პრობლემების არსებობა? რამდენად და როგორაა შესაძლებელი მათი გადაჭრა?<br><br>• როგორ შეიძლება კონფლიქტის თავიდან არიდება, მართვა? რა მსგავსება-განსხვავებაა შინაგან კონფლიქტსა და გარეგან კონფლიქტს შორის?<br><br>• რატომ და როგორ თანამშრომლობენ ადამიანები? (/რა მიმართებაა მეგობრობასა და თანამშრომლობას შორის?)<br><br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს ადამიანებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით?<br><br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენო-ბრივ საშუალებებს?<br><br>• როგორ შემიძლია გამოვიყენო/რამდენად დამეხმარება ამ თემაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა ყოველდღიურ ცხოვრებაში?</td></tr>
</table>

**იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:**

- პროექტი: „თაობები ერთმანეთის შესახებ“ (გამოკითხვის ჩატარება უფროსი თაობის წარმომადგენლებსა და მოზარდებში/თანატოლებში: კითხვარის შედგენა, გამოკითხვის ჩატარება, პასუხების გაანალიზება, ანალიზის შედეგებისა და დასკვნის წარმოდგენა პრეზენტაციის/ზეპირი მოხსენების სახით).
- პირადი თვალსაზრისის გამოხატვა: „არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერ კონფლიქტს შეიძლება ჰქონდეს დადებითი მხარე. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი“.
- თხრობითი ტექსტი: „კონფლიქტური სიტუაცია“ (მითითება: „გვიამბეთ კონფლიქტზე თქვენი პირადი გამოცდილებიდან. დააზუსტეთ: სად და როდის მოხდა ეს კონფლიქტი; ვინ იყვნენ მონაწილეები; რა იყო კონფლიქტის საგანი; როგორ განვითარდა და დასრულდა კონფლიქტი; რა ცხოვრებისეული გამოცდილება შეგძინათ კონფლიქტმა, რა ისწავლეთ კონფლიქტის შედეგად“).
- როლური თამაში: „ჩემი არგუმენტი, შენი კონტრარგუმენტი“ (კონფლიქტური სიტუაციის სხვადასხვა სცენარის შეთავაზება არგუმენტირების უნარების განვითარებაზე ფოკუსირებით);
- საინსტრუქციო წერითი ნამუშევარი: „როგორ ავირიდოთ კონფლიქტი მშობლებთან“ (4-5 კონკრეტული ინსტრუქცია/რჩევა თანატოლებისთვის თანხმლები დასკვნით, რომელშიც ახსნილი იქნება შეთავაზებული ინსტრუქციების/რჩევების ეფექტურობა).
- წერითი ნამუშევარი: „როგორ ავირიდოთ კონფლიქტი შვილებთან“ (4-5 კონკრეტული ინსტრუქცია/რჩევა 12-15 წლის მოზარდების მშობლებისთვის, თანხმლები დასკვნით, რომელშიც ახსნილი იქნება შეთავაზებული ინსტრუქციების/რჩევების ეფექტურობა).
  თვალსაზრისის გამოხატვა: „გამოხატეთ თქვენი პოზიცია იაპონელი მწერლის, ჰარუკი მურაკამის გამონათქვამზე: „ადამიანებს კონფლიქტი უმეტესად მოსდით იმიტომ, რომ კარგად ვერ აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს“. მოიყვანეთ მაგალითები თქვენი პოზიციის გასამყარებლად“.
- სხვ.

**შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

- მოზარდებზე, თაობათა შორის ურთიერთობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- მოზარდებზე, თაობათა შორის ურთიერთობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- მოზარდებზე, თაობათა შორის ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- თანატოლებზე, თაობათა შორის ურთიერთობაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- უფროსი და უმცროსი თაობების ცხოვრების სტილი, ინტერესები, შესაძლებლობები, მოვალეობები, გამოცდილებები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- თაობათა შორის ურთიერთობაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ჩემს თანატოლებზე შექმნილი ლიტერატურა შეიძლება დამეხმაროს კონკრეტული სპეციფიკური პრობლემების გაცნობიერებასა და გადაჭრაში, კონფლიქტის მართვაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ მოზარდების სპეციფიკური მახასიათებლები, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- მოზარდებზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად, მათზე აზრის გამოსახატავად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა (ენობრივი საშუალებების, გრამატიკის საკითხების, ჟანრული მახასიათებლებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- მოზარდებზე შექმნილი ლიტერატურის, თანატოლებზე ჩემი მოსაზრებების, საკუთარი გამოცდილების გადმოსაცემად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## 4. თემა: მარტოობა

| თემა მარტოობა | |
|---|---|
| **საკითხავი ლიტერატურა**<br><br><u>სავალდებულო ნაწარმოებები</u><br><br>• ნიკოლოზ ბარათაშვილი, „სული ობოლი“<br><br><u>არასავალდებულო ტექსტები</u><br><br>*შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.* | |
| **სავალდებულო ნაწარმოებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი | • რატომ გაურბის ადამიანი მარტოობას ან პირიქით, რატომ მი-ისწრაფვის მარტოობისკენ? რით შეიძლება იყოს გამოწვეული ადამიანის მარტოობა?<br><br>• როგორ, რა გზითაა  შესაძლებელი მარტოობის დაძლევა?<br><br>• რა გავლენას ახდენს მარტოობა ადამიანზე, მის ცხოვრებაზე?<br><br>• რამდენად მეტყველებს საზოგადოებაზე მისი დამოკ-იდებულება მარტოსული/ |
| მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუა-ლობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუ-ნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br><br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკ-რეტული კონტექსტის შესაბამისად) | • გაუცხოებული ადამიანების მიმართ?<br><br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს ადამიანის მარტოობასთან დაკავშირებით?<br><br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენო-ბრივ საშუალებებს?<br><br>• რა მსგავსება-განსხვავებაა მარტოობის თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული? |

**შეფასების ინდიკატორები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მარტოობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- მარტოობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- მარტოობაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- მარტოობაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12)

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანის მარტოობაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ადამიანების მარტოობა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით.
- მწერლები არჩევენ სიტყვებს, ფრაზებს, იყენებენ მხატვრულ ხერხებს, რათა შთამბეჭდავად ასახონ ადამიანის მარტოობა, მოახდინონ გავლენა მკითხველზე.
- მარტოობის თემაზე შექმნილი ლიტერატურა მეხმარება ადამიანის უკეთ გაცნობაში, სხვებთან ურთიერთობაში.
- მარტოობის თემაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებების, კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები მარტოობის თემაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

**შეფასების ინდიკატორები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მარტოობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);

- მარტოობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);

- მარტოობაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);

- მარტოობაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);

- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანის მარტოობაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.

- ადამიანების მარტოობა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით.

- მწერლები არჩევენ სიტყვებს, ფრაზებს, იყენებენ მხატვრულ ხერხებს, რათა შთამბეჭდავად ასახონ ადამიანის მარტოობა, მოახდინონ გავლენა მკითხველზე.

- მარტოობის თემაზე შექმნილი ლიტერატურა მეხმარება ადამიანის უკეთ გაცნობაში, სხვებთან ურთიერთობაში.

- მარტოობის თემაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებების, კითხვის სტრატეგიების ცოდნა.

- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები მარტოობის თემაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## 5. თემა: გმირები

| თემა: გმირები | |
|---|---|
| **საკითხავი ლიტერატურა**<br><br>სავალდებულო ნაწარმოებები<br><br>• ილია ჭავჭავაძე, „ბაზალეთის ტბა“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ (მითითებული სახით)<br>• ვაჟა-ფშაველა, „კაი ყმა“<br><br>არასავალდებულო ტექსტები | |
| **ზოგადი ცნებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br><br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br><br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • ვის შეიძლება ვუწოდოთ გმირი?<br>• რა ზრდის/აყალიბებს გმირს?<br>• რატომ ჩადიან ადამიანები გმირობას?<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა გმირებს შორის?/მათზე შექმნილ ტექსტებს შორის?<br>• რამდენად მეხმარება მწერლის გამონაგონი რეალურად მომხდარი გმირობის გაგება-გააზრებაში?<br>• რატომ უნდა ვიცნობდეთ გმირებს?<br>• რა მიმართებაა გმირსა და ლიდერს შორის?<br>• რატომაა, რომ ზოგიერთი გმირი ფართოდაა ცნობილი, ზოგიერთი კი არა?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო იმისთვის, რომ შევქმნა ტექსტი გმირზე/გმირობის თემაზე, წარმოვაჩინო ჩემი ცოდნა, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება გმირის/გმირობის მიმართ? |
| იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:<br><br>• მინი-პოსტერი „გმირი“: მითოსური/ლეგენდარული გმირის ცნების ინდივიდუალური გააზრების ასახვა (გმირის მახასიათებლების, მის მიერ განვლილი გზის ეტაპების აღნიშვნით. შესაძლებელია სათანადო ვიზუალური გამოსახულებების გამოყენებით).<br><br>• შემოქმედებითი წერა: წარმოსახვითი გმირის თავგადასავლის თხრობა შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით: 1. ბოროტება, რომელსაც ებრძვის გმირი; 2. ძალა/საშუალებები, რომელთაც იყენებს გმირი საბრძოლველად; 3. პრობლემის გადაჭრა – ბოროტების დამარცხება (ნამუშევარს შესაძლებელია ჰქონდეს კომიქსის სახე). | |

- პრეზენტაცია: „ხიფათიანი გზა“: შერჩეული ზღაპრის გმირისა და მითოსური გმირის მიერ განვლილი გზის ძირითად ეტაპებს შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა, დასკვნის გამოტანა, ან: ორი ეპოქა, ორი გმირი (/ორი კულტურა – ორი გმირი)“ – სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ორ გმირს შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა, დასკვნის გამოტანა.

- პროექტი „ჩვენი დროის კაი ყმა“: გამოკითხვის ჩატარება გმირის ცნების ტრანსფორმაციაზე დასაკვირვებლად. მოსწავლეები წარმოადგენენ ვაჟა-ფშაველას, ილიასა და თანამედროვე ეპოქის ადამიანების მოსაზრებათა მსგავსება-განსხვავების ამსახველ შემაჯამებელ დასკვნას (ზეპირი პრეზენტაციის სახით);

- პროექტი: „ვაჟას „კაი ყმა“ და ხალხური პოეზია“ (შერჩეული 3-4 ხალხური ლექსისა და „კაი ყმის“ შედარებითი ანალიზი: მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა გმირის/ვაჟკაცის პიროვნული მახასიათებლების, ასევე ლექსების მეტრული საზომის კუთხით, დასკვნის გამოტანა). პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

- მინიპოსტერი „თანამედროვე გმირი“: ცნება „თანამედროვეობის გმირის“ ინდივიდუალური გააზრების რეპრეზენტაცია: გმირის ყველაზე არსებითი 3-4 მახასიათებლის/თვისების ამსახველი ვიზუალური მასალის (ფოტოების, ილუსტრაციების, ნახატების) მინიპოსტერზე წარმოდგენა განმარტებითი წარწერების თანხლებით.

- დისკუსია/დებატები: „გმირი ყოველთვის პასუხობს თავისი ეპოქის მოთხოვნებს“- აღნიშნული პოზიციის მხარდამჭერთა და უარმყოფელთა პოზიციის გამოხატვა-დასაბუთება.

- წერითი ნამუშევარი: „უჩინარი გმირი ჩვენ გვერდით“ – ფართო საზოგადოებისთვის უცნობ, ამა თუ იმ კუთხით გამორჩეულ ადამიანზე მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევის შედგენა.

- წერითი ნამუშევარი: „ჩემი გმირი“ (შესაძლო პირობა: დაასახელეთ ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებულად, თქვენთვის მისაბაძად მიიჩნევთ. აღნიშნეთ: რითია ეს პირი თქვენთვის გამორჩეული; მისი საქმეებიდან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ; კონკრეტულად, რაში ისურვებდით მის მიბაძვას (კონკრეტული თვისებებისა თუ საქმეების დასახელებით).

- წერითი ნამუშევარი „ინტერვიუ ჩემს გმირთან“ – კითხვა-პასუხი მოსწავლის მიერ შერჩეულ პირთან (შესაძლებელია ე.წ. წარმოსახვითი ინტერვიუს სახით).

- პრეზენტაცია: „ყველაზე შთამბეჭდავი ამბავი გმირობაზე“ – წიგნი/ფილმი გმირზე/გმირობაზე, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე (მოსწავლეთა შერჩევით).

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);

- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);

- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);

- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);

- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

# II თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება მშობლიური სამყარო

**1. თემა: სამშობლო**

<table>
<tr><td colspan="2">სამშობლო</td></tr>
<tr><td colspan="2">საკითხავი მასალა<br><br><u>სავალდებულო ნაწარმოებები</u><br>• ლეონტი მროველი, „ნინოს ცხოვრება“: მირიან მეფის ნადირობა და მზის დაბნელება;<br>• ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“;<br>• აკაკი წერეთელი, „განთიადი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;<br>• გალაკტიონ ტაბიძე, „წამყე ბეთანიისაკენ“, „მამული“;<br>• კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“: ფრაგმენტი ქართულ ანბანზე (მითითებული სახით);<br>• კოლაუ ნადირაძე, „25 თებერვალი“.<br><br><u>არასავალდებულო ტექსტები</u><br>შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><th>ცნებები</th><th>საკვანძო შეკითხვები</th></tr>
<tr><td>ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br><br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად)</td><td>• რა არის სამშობლო? რატომ და რითია სამშობლო მნიშვნელოვანი/განსაკუთრებული ადამიანისთვის? (/რამდენად და როგორ ზემოქმედებს მშობლიური ქვეყანა ადამიანზე, მის ჩამოყალიბებაზე?)<br>• რას ნიშნავს, იყო სამშობლო ქვეყნის შვილი?<br>• როგორ/რაში ვლინდება სამშობლოს სიყვარული?<br>• რითია ჩემი სამშობლო საინტერესო, ღირსშესანიშნავი?<br>• რა ფაქტორები განსაზღვრავს მრავალფეროვანი ქვეყნის ერთიანობას? (/რატომაა მნიშვნელოვანი ქვეყნის ერთიანობა?)<br>• რას გვასწავლის წარსული თანამედროვეობის შესახებ? (/რატომაა მნიშვნელოვანი წარსულის ცოდნა?)<br>• რამდენად და როგორ შეიძლება ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებით ვისწავლოთ მშობლიური ქვეყნის წარსული? (/რა მსგავსება-განსხვავებაა ისტორიკოსისა და მწერლის დამოკიდებულებებში ისტორიული წყაროს/რეალური სინამდვილის მიმართ?<br>• რამდენად და როგორაა დღეს შესაძლებელი, ვიზრუნოთ ქვეყნის ხვალინდელ დღეზე?<br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სამშობლოსთან დაკავშირებით?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა სამშობლოს თემაზე დაწერილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?<br>• რას მასწავლის სამშობლოს თემაზე შექმნილი ლიტერატურა?</td></tr>
</table>

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:

- ნაწარმოების/ნაწარმოების ეპიზოდის შინაარსის თხრობა (ზეპირად ან/და წერილობით) – მაგ., დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი შინაარსის თხრობა, თხრობა მთხრობლის შეცვლით.
- დისკუსია ნაწარმოების საფუძველზე: „რამდენად გამართლებული იყო ერეკლე მეფის არჩევანი?“, ან: „რა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის – მშვიდობა თუ თავისუფლება?“ (ნ. ბარათაშვილის ნაწარმოების საფუძველზე), ან: ლიტერატურული სამსჯავრო – ერეკლე მეფის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
- ნაწარმოების რეკომენდაცია: „ბაში-აჩუკი“ (რატომ არის სასურველი, რომ სხვებმაც წაიკითხონ ეს ნაწარმოები (წერილობით ან ზეპირი გამოსვლის სახით).
- ქალი პერსონაჟები „ბაში-აჩუკის“ მიხედვით (შესაძლო რუბრიკები: ქალისა და მამაკაცის სოციალური როლები, ქალის მონაწილეობა ქვეყნის/საზოგადოების ცხოვრებაში (რამდენად და როგორ მონაწილეობს), ავტორის დამოკიდებულება ქალი პერსონაჟების მიმართ, მაგ.: ავტორის ენობრივი არჩევანი ქალ პერსონაჟებზე საუბრისას და ა.შ.).
- „ბაში-აჩუკის“ ტექსტის შედარება ეკრანიზებულ ვერსიასთან (რეჟისორი: ლ. ესაკია, 1956 წ.). მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა იმაზე ფოკუსირებით, თუ რა ეფექტს ახდენს კინოტექსტისთვის დამახასიათებელი უნიკალური და სპეციფიკური ტექნიკა (მაგ., განათება, ხმა/მუსიკა, ფერი, კამერის კუთხე, პლანი, მონტაჟი; კინოენის მახასიათებელი: ჩვენება თხრობა-დახასიათების ნაცვლად; დაკვირვება იმაზე, თუ ტექსტიდან რა ეპიზოდებია შერჩეული ფილმში და რატომ, სხვ.).
- მკითხველის დღიური/ბლოგი: მაგ., „ბედი ქართლისას“, „ბაში-აჩუკის“ კითხვისას.
- ნაწარმოების ანოტაცია: „თორნიკე ერისთავი“ (ავტორის სახელი, გვარი, ტექსტის სახელწოდება, თემა, ვინ არიან მთავარი პერსონაჟები, რა არის დედააზრი? რა გაკვეთილს გვაძლევს ეს ტექსტი, საუკეთესო ადგილების აღნიშვნა, მისთ.).
- პროექტი: ქალი ისტორიაში (ისტორიულ თემაზე შექმნილი ლიტერატურის მიხედვით) – მასალის მოძიება, მონაცემების დახარისხება-გაანალიზება, შეფასება თანამედროვე პერსპექტივიდან (ქალის ტრადიციულ და თანამედროვე სოციალურ როლებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღნიშვნით), დასკვნის გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია.
- ინტერვიუ პერსონაჟთან: მოსწავლე წერს კითხვებს შერჩეული პერსონაჟის მიმართ და მის სავარაუდო პასუხებს (დაახლ. 6-8 ღია დაბოლოებიანი შეკითხვა და პასუხი).
- პერსონაჟის CV ან ავტობიოგრაფია, დაწერილი პერსონაჟის მიერ. მაგ., თორნიკე ერისთავის, ბაში-აჩუკის (აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“).
- კონკურსი გამომსახველობით კითხვაში: მაგ., აკაკის „განთიადი“ გამომეტყველებითი წაკითხვით.
- ნაცნობი ლექსის აუდიო/აუდიოვიზუალური ჩანაწერების მოსმენა და მსჯელობა მოსმენილზე (რა ემოციებს აღძრავს მოსმენილი, რას და როგორ გამოკვეთს დეკლამატორი, როგორ/რა საშუალებებით ცდილობს მსმენელზე გავლენის მოხდენას, განწყობის შექმნას, რამდენად აღწევს მიზანს; ზოგადად, მისაღებია თუ არა მათთვის ამგვარი ინტერპრეტაცია და რატომ, სხვ.).
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები: ცალკეული ნაწარმოების ანალიზი (ზოგადი ანალიზი და/ან შეთავაზებული საკითხის მიხედვით), პერსონაჟ(ებ)ის დახასიათება.
- პრეს-დაიჯესტის გამოშვება: აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ მონაცემებზე დაყრდნობით 979 წლის ღირსსახსოვარი მოვლენების „თანადროული“ პრეს-დაიჯესტის გამოშვება ტრადიციული საგაზეთო რუბრიკების მიხედვით („პოლიტიკა“, „გართობა და დასვენება“, „კულტურა“, „ელიტარული ქრონიკა“, სხვ.), „გამოცემის“ თარიღის მითითებით.
- პირადი პოზიციის გამოხატვა: „ქართველი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის, ნაწარმოებში „ლიტერატურული საღამო“ მწერალი ამ სიტყვებით მოგვმართავს: „მოუარეთ საქართველოს!“. როგორ ფიქრობთ, პირადად თქვენ რა შეგიძლიათ მოიმოქმედოთ მწერლის მოწოდების საპასუხოდ? (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები)“.
- კვლევითი პროექტი: „ლიტერატურა და ისტორია“ (ნაწარმოებში ასახული ეპოქის და/ან პერსონაჟებად გამოყვანილი ისტორიული პირ(ებ)ის შესახებ შესწავლილ ნაწარმოებთან კავშირის დამყარებით (მაგ., რამდენად რეალისტურად, შემოქმედებითად, სხვ. ასახავს შესწავლილი ნაწარმოები შესაბამის ეპოქას), სამუშაოს შედეგების პრეზენტაცია.
- პერსონაჟის დღიური: პერსონაჟის როლის მორგებით, სულ მცირე, 4-5 დღიურის ჩანაწერის შედგენა, რომლებშიც ასახული იქნება ტექსტში აღწერილი ამბები/მოვლენები არჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხიდან/პოზიციიდან, მისი გრძნობები/განცდები.
- წერილი ავტორს: წერილის ტრადიციული ფორმატის დაცვით ავტორისთვის წაკითხულით აღძრული ფიქრებისა და შეფასებების (დადებითისა თუ უარყოფითის) გაზიარება: რა იყო მისაღები, რა-არა (ეპოქის/ისტორიული პირების წარმოჩენაში, ინტერპრეტაციაში), პირადი დამოკიდებულების წარმოჩენა პერსონაჟების, ავტორის პოზიციის მიმართ (მაგ., წერილი „ბედი ქართლისას“ ავტორს).
- აღწერითი ტექსტი: „ჩემი სახლი“ (პირობა: „აღწერეთ სახლი, სადაც გაიზარდეთ. აღწერისას შეეცადეთ გამოიყენოთ მრავალფეროვანი დეტალები, რომლებიც აღიქმება სხვადასხვა შეგრძნებით: მხედველობით, სმენით, ყნოსვით, გემოთი, შეხებით).
- აღწერითი ტექსტი: „საყვარელი ადგილები“ (ინსტრუქცია: აღწერეთ ის ადგილები, რომლებიც ყველაზე მეტად მოგწონთ თქვენს ქალაქში, სოფელში. აღნიშნეთ, რატომაა/რითია ისინი მიმზიდველი თქვენთვის. შეეცადეთ გამოიყენოთ მრავალფეროვანი დეტალები, რომლებიც აღიქმება სხვადასხვა შეგრძნებით“).
- ტექსტის რეცენზირება: წაკითხულზე რეფლექსიის შედეგების, კითხვით აღძრული ფიქრების, შეფასებების წარმოდგენა, ყველაზე მნიშვნელოვანი/ღირებული ეპიზოდების/სცენების აღნიშვნა შესაბამისი განმარტებით (რეცენზიის საფუძველზე შესაძლებელია ზეპირი მოხსენების მომზადებაც კლასისთვის წარსადგენად).
- შემოქმედებითი წერა: ისტორიული წყაროს (მაგ., სააღმშენებლო ეპიგრაფიკული წარწერის) საფუძველზე მცირე ზომის თხრობითი ტექსტის შედგენა (მაგ., „ეკლესიის აგების ამბავი“) – წარწერაში მოხსენიებული პირ(ებ)ისა და გამოგონილი პერსონაჟ(ებ)ის გამოყენებით.
- პროექტი: „ქართული მწიგნობრობა“ (მაგ., დამწერლობის ეტაპებზე, ანბანის სახეობებზე, ძველი ქართული მწიგნობრობის კერებზე). პროექტის შედეგების წარმოდგენა პრეზენტაციის/წერითი ნამუშევრის სახით.

- პროექტი: „ჩემი მხარის ლექსიკა“ (განმარტებითი ლექსიკონის შედგენა მშობლიური ქალაქის/სოფლის მცხოვრებთა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებით: დაახლოებით 10-12 ერთეულის შერჩევა, სათანადო ახსნა-განმარტებების მოყვანა, მაგალითების/კონტექსტების დამოწმება).
- იმიტაციური თამაში: „ჩემი ქვეყანა“ (სიტუაცია: მოსწავლეები მოირგებენ მასპინძლ(ებ)ისა და უცხოელი სტუმრ(ებ)ის როლებს. „მასპინძელი“ ესაუბრება „სტუმარს“ და უხსნის, რითია საქართველოს გაცნობა საინტერესო/მნიშვნელოვანი, რა გამოცდილებას შესძენს ეს სტუმარს – კითხვა-პასუხის ფორმატში).
- პროექტი: ტექსტი და ენა – ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ., ისტორიული წყაროს, სასწავლო-სამეცნიერო, პუბლიცისტური ტექსტების, მოთხრობის) ენობრივი ანალიზი: მონაცემების მოძიება, შედარებითი ანალიზის ჩატარება, დასკვნების გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია).
- პროექტი: „საქართველოს მეგზური“ (გზამკვლევის შექმნა საქართველოზე, ან: მის ერთ-ერთ რეგიონზე, ან: ქალაქზე რუკისა და ილუსტრაციების გამოყენებით, კონკრეტული რუბრიკების მიხედვით:

მაგ., ხელოვნება და კულტურა – მუზეუმები, მნიშვნელოვანი ძეგლები; კვება; დასვენება, გართობა; კლიმატი; ტრანსპორტი/გადაადგილება).

სხვ.

## შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);

მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);

მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11);

მშობლიურ ქვეყანაზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);

სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

**მკვიდრი წარმოდგენები:**

- ჩემს მშობლიურ ქვეყანაზე დაწერილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ავტორები სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენენ ჩემს მშობლიურ ქვეყანას.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული წარმოდგენები სამშობლოზე, განსხვავებული დამოკიდებულებები სამშობლოს მიმართ.
- წარსულზე დაწერილი ლიტერატურა მეხმარება ჩემი ქვეყნის თანამედროვეობის უკეთ გაგებაში.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გვიჩვენონ, რა არის მათთვის სამშობლო, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ჩემს ქვეყანაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სამშობლოზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

# ბუნებასთან ურთიერთობა

## 1. თემა: ადამიანი და ბუნება

| ადამიანი და ბუნება |
|---|
| **საკითხავი ლიტერატურა**<br><br>სავალდებულო ნაწარმოებები<br>ვაჟა-ფშაველა, „ხმელი წიფელი“.<br><br>არასავალდებულო ტექსტები<br>*შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.* |

| ცნებები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br><br>კომპოზიციური ელემენტები<br><br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენ-ტები<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტე-ქსტუალობა)<br><br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკო-მუნიკაციო სიტუაცია)<br><br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br><br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br><br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • რატომ უწოდებენ ადამიანს ბუნების შვილს/ქმნილებას?<br>• რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისგან?<br>• რატომ და როგორ უნდა მივაღწიოთ თანხმობას/ჰარმონიას ბუნებასთან?<br>• რატომაა ბუნება შთაგონების წყარო მწერლებისთვის, სხვა ხელოვანებისთვის?<br>• რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარება ბუნებაზე, ჩვენს ცხოვრებაზე?<br>• რას გვასწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნი-ლი ტექსტები?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რამდენად დამეხმარება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტები ყოველდღიურ ცხოვრებაში? |

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:

- დისკუსია/დებატები: ა) დებულება: „ზოოპარკები უნდა აიკრძალოს“; ბ) „ცხოველებზე ექსპერიმენტების ჩატარება უნდა აიკრძალოს“ (აღნიშნული დებულებების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთება, ინტერაქცია).
- წერითი ნამუშევარი: „ახსენით ინდური გამონათქვამი: „დედამიწა არ არის მშობლებისგან მიღებული მემკვიდრეობა, ის ჩვენ შვილებისგან ვისესხეთ“.
- წერითი ნამუშევარი: „გამოხატეთ პირადი თვალსაზრისი შემდეგ გამონათქვამზე: „ბუნებას შეუძლია იარსებოს ადამიანის გარეშე, მაგრამ ადამიანი ბუნების გარეშე ვერ იარსებებს“. მოიყვანეთ მაგალითები თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად“.
- შემოქმედებითი წერა: ჩანახატი „წვიმაში“, „როცა თოვს“.
- ანალიტიკური წერითი ნამუშევარი (შესწავლილი ტექსტების ანალიზი).
- წერითი ნამუშევარი: „ბუნების საოცრება“ (მითითება: „აღწერეთ ყველაზე გასაოცარი საგანი ან მოვლენა, რომელიც ბუნებაში გინახავთ. ახსენით, რით იყო ის თქვენთვის გასაოცარი ან განსაკუთრებული“).
- მედია პროექტი: „ცხოველების თემა მედიაში“ (ბეჭდურ/ელექტრონულ პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში ცხოველებთან დამოკიდებულების ამსახველი მასალის მოძიება, გაანალიზება, დასკვნის გამოტანა და შეფასება. მაგ., მაწანწალა ცხოველების პრობლემატიკასთან დაკავშირებული მასალისა).
- პროექტი: ტექსტი და ენა – ბუნების თემატიკაზე დაწერილი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ., სასწავლო-სამეცნიერო, პუბლიცისტური ტექსტების, მოთხრობის, სხვ.) ენობრივი ანალიზი: მონაცემთა მოძიება, შედარებითი ანალიზის ჩატარება, დასკვნების გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია).
- პროექტი „ბუნების საოცრებანი“: 4-5 ბუნების ძეგლი საქართველოში (ილუსტრირებული გზამკვლევის შექმნა გზამკვლევის ტრადიციული რუბრიკების გამოყენებით).
- პროექტი „ერთი სიტყვის ენციკლოპედია“ (სლაიდშოუ პრეზენტაციის ან ხელნაწერი/ნაბეჭდი სახით, ე.წ. დიდი წიგნის ფორმატში) – სიტყვა „წყარო“, ან „წყალი“. შესაძლო რუბრიკები: სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა; ეტიმოლოგია; შესატყვისები ქართველურ ენებში; თარგმანი მოსწავლისთვის ნაცნობ უცხოურ ენაზე; სინონიმები; კომპოზიტები (მაგ., წყალუხვი, წყალწყალა, მიწა-წყალი); სიტყვიდან/ფუძიდან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები (მაგ., დედოფლისწყარო, მუხათწყარო, წყალწითელა, ცხენისწყალი, აბაშის წყალი); შესიტყვებები (მაგ., წყაროსავით ანკარა); ფრაზეოლოგიზმები (მაგ., წყალში გადაყრა); წყლის/წყაროს ხმიანობასთან დაკავშირებული სიტყვები (მაგ. რაკრაკი, ჩუხჩუხი, ჩხრიალი/შხრიალი); გამოცანები, ანდაზები; საუკეთესო ციტატები ან/და გამონათქვამები (მოსწავლის შერჩევით); საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები – ლექსი, მოთხრობა (მოსწავლის შერჩევით); სიტყვის საუკეთესო ვიზუალური რეპრეზენტაცია (მოსწავლის მიერ შერჩეული ან შექმნილი), დასკვნა (მასალის შერჩევისას შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატის (ბეჭდური ან ელექტრონული), პერიოდისა და ტიპის ლექსიკონების (მაგ., სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“, თანამედროვე განმარტებითი ლექსიკონების, სინონიმთა ლექსიკონისა და ა.შ.) გამოყენება).
- წერილობითი უკუკავშირი მუსიკალურ ნაწარმოებზე: მოსწავლეები ისმენენ ბუნების თემაზე შექმნილ ერთ-ერთ მუსიკალურ ნაწარმოებს ისე, რომ არ აქვთ ინფორმაცია ავტორსა თუ სახელწოდებაზე და პარალელურად წერენ, რას „ხედავენ“ მისი მოსმენისას (პირობა: 1. დაწერეთ, ბუნების რა სურათები (მოვლენები, ცხოველები, საგნები) გახსენდებათ მუსიკის მოსმენისას; 2. რა ემოციას იწვევს თქვენში მუსიკა (სიხარულს, მწუხარებას, სევდას, შიშს, შფოთვას, მღელვარებას); 3. როგორ დაასათაურებდით ამ ნაწარმოებს). ნამუშევრების წარდგენა-გაზიარება, ინტერაქცია; ინფორმაციის მიღება ავტორისეულ სახელწოდებაზე, დასკვნების გამოტანა.
- (შესაძლებელია შევთავაზოთ: მაგ., ვივალდის „შტორმი (/ქარიშხალი)" („წელიწადის დროები“: ზაფხული, მე-3 ნაწილი); სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“; ჟოზეფ კოსმას „შემოდგომის ფოთლები“ (ვერსია ორკესტრისა და ფორტეპიანოსთვის) და სხვ.).
- ფუნქციური ტექსტის შედგენა ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით: მოსწავლეები აკვირდებიან ბუნების ამსახველ ფოტოსურათს/ნახატს; წარმოიდგენენ, რომ იმოგზაურეს მასზე გამოსახულ ადგილზე და სურთ მეგობრ(ებ)ისთვის ამ ინფორმაციის გაზიარება (მაგ., სოციალურ ქსელებში); წერენ ვიზუალური მასალის თანმხლებ მოკლე ტექსტს, რომელშიც აღნიშნავენ: რატომ და როგორ მოხვდნენ ამ ადგილზე, რას აკეთებდნენ იქ, რა ემოცია/განწყობა ჰქონდათ ამ ადგილზე ყოფნისას და რატომ, რა შთაბეჭდილება დარჩათ, ურჩევენ თუ არა სხვებს ამ ადგილზე წასვლას და რატომ. ტექსტში უნდა გამოიკვეთოს ფოტოზე/სურათზე გამოსახული ერთი დეტალი (საგანი/ფიგურა) იმის აღნიშვნით, თუ რით იყო ის მნიშვნელოვანი/შთამბეჭდავი). შესაძლებელია შევთავაზოთ ქართველ თუ უცხოელ მხატვართა პეიზაჟები, გარემოს (ბუნებრივისა თუ ადამიანის მიერ შექმნილის) ამსახველი ფოტოები.
- კვლევითი პროექტი: „ადამიანები და ცხოველები“ (დაკვირვება ადამიანის დამოკიდებულებაზე ცხოველთა სამყაროს მიმართ კონკრეტული ტექსტების მიხედვით: მონაცემების გაანალიზება, შეჯამება, დასკვნების გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია).
- კვლევითი პროექტი: „ცხოველები იგავებში“ (დაკვირვება ცხოველებზე, როგორც ადამიანის კონკრეტული მახასიათებლების, თვისებების/დამოკიდებულებების პრეზენტატორებზე, კონკრეტული იგავების მიხედვით: მონაცემების გაანალიზება, შეჯამება, დასკვნების გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია).
- შემოქმედებითი წერა: სამტაეპიანი ჰაიკუს დაწერა წელიწადის ერთ-ერთ დროზე ან ბუნების მოვლენაზე (მაგ., თემაზე „ღრუბლები“, „მზე“) (მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ ჩარჩო-სქემაზე დაყრდნობით), ან: ოთხტაეპიანი ლექსი მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ მარტივ ჩარჩო-სქემაზე დაყრდნობით (რომელიმე ბუნების საგნის/მოვლენის ხედვის კუთხიდან, პირველ პირში).
- სხვ.

- შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- ბუნებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- ბუნებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- ბუნებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).
- მკვიდრი წარმოდგენები:
- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ასახულია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებში.
- ავტორები/ხელოვანები წარმოგვიდგენენ ბუნებას სხვადასხვა კუთხიდან, განსხვავებული საშუალებების (სიტყვების; ბგერების; ფერების, ხაზების, ფორმების) გამოყენებით.
- ბუნების კონკრეტულ საგნებში/მოვლენებში შესაძლებელია აისახოს ბუნების/სამყაროს მოწყობის ზოგადი პრინციპები.
- სხვადასხვა ავტორის, პერსონაჟის/ლირიკული გმირის დამოკიდებულებები ბუნების მიმართ შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- ბუნებაზე შექმნილი ტექსტები გვეხმარება გავიაზროთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.
- ავტორები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ბუნების მიმართ, მოახდინონ ზემოქმედება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ბუნებაზე შექმნილ ლიტერატურაზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება/მოსაზრებები ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

# ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება

1. თემა: მოგზაურობა

| მოგზაურობა | |
|---|---|
| ტექსტები შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. | |
| **ცნებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, | • რატომ მიისწრაფვის ადამიანი ახლისკენ, უცნობისკენ? (/რატომ მოგზაურობენ ადამიანები?)<br>• რამდენად ეხმარება ადამიანს უცნობის/უცხოს გაცნობა ნაცნობის/მშობლიურის უკეთ გაგებაში ან/და პირიქით?<br>• რითია განპირობებული მსგავსება-განსხვავებები ქვეყნებს შორის?<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა მოგზაურობაზე, ახლის აღმოჩენაზე შექმნილ ტექსტებს შორის?<br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს მოგზაურობასთან, ახალი გამოცდილების მიღებასთან დაკავშირებით?<br>• რას გვასწავლის მოგზაურობაზე შექმნილი ტექსტების გაცნობა?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს? |

| |
|---|
| იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:<br><br>• დისკუსია: „რამდენად აქტუალურია განვითარებული ციფრული ტექნოლოგიების ხანაში მოგზაურობა?“ (მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთება მაგალითების მოყვანით).<br>• წერითი ნამუშევარი: „სად ისურვებდით მოგზაურობას და რატომ?“<br>• წერითი ნამუშევარი: „საუკეთესო სუვენირი“ (მითითება: „დაასახელეთ საუკეთესო სუვენირი, რომელიც ჩამოიტანეთ მოგზაურობიდან. ახსენით, რატომ მიგაჩნიათ ის საუკეთესოდ“, ან: „დაწერეთ, რა სუვენირის წაღებას ურჩევდით თქვენს ქვეყანაში ჩამოსულ სტუმარს და რატომ“).<br>• წერითი ნამუშევარი: „მოგზაურობა დროში“ (მითითება: წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ დროის მანქანა, რომლითაც შეგიძლიათ დროში მოგზაურობა. დაწერეთ, რა დროს შეარჩევდით სამოგზაუროდ და რატომ).<br>• შემოქმედებითი წერა: (მითითება: წარმოიდგინეთ, რომ დროის მანქანით გადაადგილდით 25-ე საუკუნეში და აღმოჩნდით თქვენს ქალაქში/სოფელში. მოიყვანეთ კონკრეტული ადგილების აღწერა და გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილებები).<br>• სარეკლამო ტექსტი: მაგ., ტურისტული კომპანიის მომსახურების, კონკრეტული ადგილის/ტურის რეკლამირების მიზნით (შესაძლებელია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის შეთავაზებით).<br>• სხვ. |
| შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>• მოგზაურობაზე, ახლის აღმოჩენაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით  (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);<br>• მოგზაურობაზე, ახლის აღმოჩენაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);<br>• სიახლეზე, ახლის აღმოჩენაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);<br>• მოგზაურობაზე, ახლის აღმოჩენაზე საკუთარი მოსაზრებებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);<br>• სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12). |
| მკვიდრი წარმოდგენები:<br><br>• მოგზაურობაზე, ახლის აღმოჩენაზე შექმნილია სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები;<br>• მოგზაურობამ, ახლის გაცნობამ მიღებამ შესაძლებელია შეცვალოს ადამიანის წარმოდგენები;<br>• მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ახლის/სიახლის მიმართ, სიახლის აღმოჩენაზე, გაგვიცოცხლონ მოგზაურობის რეალიები, მოახდინონ გავლენა მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი;<br>• მოგზაურობაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად  შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;<br>• იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი გამოცდილება/მოსაზრებები მოგზაურობაზე, ახლის აღმოჩენაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის,  ცნებებისა და საკითხების ცოდნა. |

## 2. თემა: სწავლა-აღზრდა

| სწავლა-აღზრდა | |
|---|---|
| **საკითხავი ლიტერატურა**<br>სავალდებულო ნაწარმოებები<br>**ილია ჭავჭავაძე, „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით)**<br><br>არასავალდებულო ტექსტები<br>*შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.* | |
| **ცნებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br>სტრატეგიები: | • როგორ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება/ფორმირება? რა ფაქტორები ახდენს გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე/ფორმირებაზე?<br>• რატომ და როგორ/რითი სწავლობს ადამიანი?<br>• როგორ და რამდენად უწყობს ხელს სწავლა-განათლება ადამიანის პიროვნულ ზრდა-განვითარებას?<br>• რას გულისხმობს კარგი სწავლება/კარგი გაკვეთილი? რის სწავლა შეუძლიათ სხვებს ჩემგან?<br>• როგორ აღწევენ ადამიანები  ზრდასრულობას/პიროვნულ სიმწიფეს  – საფეხურეობრივად, თანდათანობით, თუ ერთბაშად, უცებ?  (მთავრდება ეს პროცესი თუ მუდმივად გრძელდება?)<br>• რა ფაქტორები ზემოქმედებს ადამიანის ზრდასრულად ქცევის პროცესზე?  რამდენად და როგორ ზემოქმედებს ოჯახი, სოციალური ნორმები? |

## 2. თემა: სწავლა-აღზრდა

| | |
|---|---|
| ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • რა გავლენას ახდენს ბავშვობის გაკვეთილები ჩვენს აწმყოსა და მომავალზე?<br>• რა და რატომ შეიცვალა/არ შეიცვალა სწავლა-სწავლებაში დროთა განმავლობაში?<br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სწავლასთან დაკავშირებით?<br>• რას მასწავლის სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა? (/რამდენად მეხმარება სწავლაში?)<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს? |

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:

- რეზიუმირება: ილია ჭავჭავაძის ტექსტის რეზიუმეს შედგენა.
- წერითი ნამუშევარი: „წერილი წინა კლასის მოსწავლეებს“ (რჩევები იმის თაობაზე, თუ, კონკრეტულად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მომდევნო წელს სწავლისას);
- ინტერვიუ „დაუვიწყარი მასწავლებელი“: ინტერვიუ უფროსი თაობის წარმომადგენელთან მასწავლებელზე, რომელმაც მასზე ზეგავლენა მოახდინა (კითხვები: რით იყო ეს მასწავლებელი თქვენთვის განსაკუთრებული? რა შეცვალა თქვენში? რამდენად გამოგადგათ ცხოვრებაში ის, რაც მისგან ისწავლეთ? სხვ.).
- ინტერვიუ „სკოლის წლები“: ინტერვიუ უფროსი თაობის წარმომადგენელთან სკოლაში სწავლის გამოცდილებაზე (კითხვები: როგორ გასწავლიდნენ სკოლაში? როგორ შეაფასებდით სკოლაში სწავლას? (დადებითი ან/და უარყოფითი მხარეები), რამდენად
- გამოგადგათ ცხოვრებაში ის, რაც სკოლაში ისწავლეთ? სხვ. სათანადო დასკვნის თანხლებით).
- წერითი ნამუშევარი: „სკოლაში აგრესიული ქცევის მიზეზები და შედეგები“ (2-3 მიზეზისა და შედეგის დასახელებით).
- წერითი ნამუშევარი: „დავალება, რომელსაც ინტერესით შევასრულებდი“ (მითითებები: დაასახელეთ თქვენთვის საინტერესო/სასურველი კონკრეტული დავალება ან საქმიანობა; აღნიშნეთ, რა კავშირია თქვენს ძლიერ მხარეებს, ინტერესებსა და შერჩეულ დავალებას შორის; მიუთითეთ, რა დადებითი შედეგი მოჰყვებოდა თქვენთვის ამ დავალების/დავალებების შესრულებას (მაგ., სწავლის შედეგების გაუმჯობესება, სწავლის მოტივაციის ამაღლება).
- პროექტი: „რის სწავლა აინტერესებთ მოსწავლეებს“ (მოსწავლეთა ინტერესების გამოსაკვეთად ინტერვიუს/გამოკითხვის ჩატარება დაწყებით კლასის მოსწავლეებში, თანატოლებსა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებში წინასწარ მომზადებული კითხვარის საფუძველზე; მონაცემების დამუშავება; მსგავსება-განსხვავებების გამოკვეთა, შეჯამება, დასკვნის გამოტანა; მიღებული შედეგების საფუძველზე მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების შემუშავება; პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა).
- წერითი ნამუშევარი: „მე რომ მასწავლებელი ვიყო“ (პირობა: ისაუბრეთ, როგორ გაკვეთილებს ჩაატარებდით, როგორი დამოკიდებულება გექნებოდათ მოსწავლეების მიმართ; როგორი იქნებოდა თქვენი მიდგომა ე.წ. ჩამორჩენილი მოსწავლეების მიმართ, როგორ და რით ეცდებოდით მათ დაინტერესებას, გააქტიურებას, სასწავლო პროცესში ჩართვას).
- აღწერითი ტექსტი: „იდეალური საკლასო ოთახი“, ან: „იდეალური სკოლა“ (პირობა: აღწერეთ, როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, იდეალური საკლასო ოთახი. აღწერისას შეეცადეთ გამოიყენოთ მრავალფეროვანი დეტალები, რომლებიც აღიქმება სხვადასხვა შეგრძნებით: მხედველობით, სმენით, ყნოსვით, გემოთი, შეხებით).
- პრეზენტაცია: „მე რომ განათლების მინისტრი ვიყო“ (მოსწავლის თვალსაზრისით აუცილებელი 3-4 რეფორმის შეთავაზება, მათი საჭიროებისა და ეფექტურობის დასაბუთება).
- წერითი ნამუშევარი: „ნამდვილი მასწავლებელი“ (თვალსაზრისის გამოხატვა).
- დებატები: დებულება „საშინაო დავალებები უნდა გაუქმდეს“ (დებულების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთება).
- არგუმენტირებული წერა: ა) „საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ სკოლებში მოსწავლეებმა სასკოლო ფორმები უნდა ატარონ. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი“; ბ) „საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ სკოლებში მობილური ტელეფონების ტარება უნდა აიკრძალოს. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი“,
- დისკუსია: „ჩაანაცვლებს თუ არა მომავლის სკოლაში კომპიუტერი წიგნს“ (მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთება).
- იმიტაციური თამაში: ზეპირი გამოსვლა (სიტუაცია: 25 წლის შემდეგ მოსწავლე აარსებს საავტორო სკოლას. სკოლის გახსნის ზეიმზე ის წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც საუბრობს- რატომ უნდა ისწავლონ ბავშვებმა ამ სკოლაში, რით იქნება სკოლა განსაკუთრებული, გამორჩეული, მნიშვნელოვანი).
- სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტი: მაგ., საკუთარი სკოლის, ამ თუ იმ წრის, კლუბის – სკოლის/კლასის ვებგვერდისთვის (შესაძლებელია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის).
- რეპორტაჟი: სკოლაში გამართული აქციის, ღონისძიების, შემოქმედებითი საღამოს, ზეიმის შესახებ – სკოლის/კლასის ვებგვერდისთვის (შესაძლებელია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის).
- ფოტომოთხრობა: „ექსკურსიაზე“ (ექსკურსიაზე გადაღებული ფოტოების შერჩევა და წარმოდგენა გარკვეული თანამიმდევრობით, განმარტებითი წარწერების თანხლებით. ფოტოები უნდა ასახავდეს ემოციებს, განწყობას. შერჩეული ფოტოების თანამიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს სიუჟეტის განვითარების ძირითად საფეხურებს: დასაწყისი/ექსპოზიცია, კულმინაცია, დასასრული). წარდგენისას მოსწავლეები სიტყვიერად ხსნიან ფოტოების შერჩევა-განაწილების პრინციპს (ფოტომოთხრობისთვის ასევე შეიძლება შეირჩეს სხვა ეპიზოდი სასკოლო ცხოვრებიდან).
- პოსტერი: „მე შემიძლია“ (შესაძლებელია შესაბამისი ვიზუალური გაფორმებით).
- სხვ.

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- სწავლა-აღზრდაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- სწავლა-აღზრდაზე შექმნილია სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს  სწავლების განსხვავებული ტრადიციები და რეალიები, განსხვავებული წარმოდგენები სწავლა-აღზრდაზე, ადამიანის ზრდის პროცესზე.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები სწავლა-აღზრდაზე, გაგვიცოცხლონ სწავლასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება, კონკრეტული რეალიები; მოახდინონ გავლენა მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად  შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სწავლა-აღზრდაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის,  ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

# III თემატური ბლოკი – მარადიული ძიებები

## სიკეთე და ბოროტება
## 1. თემა: ზნეობრივი არჩევანი

| ზნეობრივი არჩევანი | |
|---|---|
| საკითხავი ლიტერატურა<br>სავალდებულო ნაწარმოებები<br>შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“ (მითითებული სახით);<br>ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ვედრება“<br><br>არასავალდებულო ტექსტები<br>შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით. | |
| **ცნებები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • საიდან ვიცით, რა არის სიკეთე, რა – ბოროტება (/რას ეფუძნება ჩვენი წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე?)?<br>• რამდენად და რატომ მიიჩნევა სიკეთე ყოვლისშემძლედ?<br>• რა როლს ასრულებს ადამიანის არჩევანი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში?<br>• როგორ/რისი მეშვეობითაა შესაძლებელი ბოროტების დამარცხება?<br>• რამდენად და რატომ შეიცვალა/არ შეიცვალა ადამიანის წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე დროთა განმავლობაში?<br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სიკეთესა და ბოროტებასთან დაკავშირებით?<br>• რამდენად და როგორ დამეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკეთისა და ბოროტების თემაზე შექმნილი ლიტერატურის ცოდნა?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რა მსგავსება-განსხვავებაა ამ თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის? |
| იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:<br><br>• ტექსტის ინსცენირება/მინისპექტაკლი: „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.<br>• ახალი ტექსტის შექმნა: სიკეთესა და ბოროტებაზე შექმნილი ნაცნობი იგავის შეგონების (მორალის) საფუძველზე თხრობითი ტექსტის შედგენა.<br>• თვითგამოხატვა: პოსტერის, კოლაჟის ან მისთ. შექმნა ცნებების: „სიკეთე“, ბოროტება“ ინდივიდუალური გააზრების საპრეზენტაციოდ (6-8 ვიზუალური გამოსახულება შესაბამისი ახსნა-განმარტებითი წარწერებით).<br>• პროექტი „ერთი სიტყვის ენციკლოპედია“ (სლაიდშოუ პრეზენტაციის ან ხელნაწერი/ნაბეჭდი სახით, ე.წ. დიდი წიგნის ფორმატში) – სიტყვა „სიკეთე“. შესაძლო რუბრიკები: სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (აფიქსების აღნიშვნით); სიტყვის ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები, დახარისხებული მეტყველების ნაწილების მიხედვით (მაგ., კეთილი, აკეთებს, უკეთესი, უკეთ); სიტყვის ფუძის გამოყენებით შედგენილი კომპოზიტები (მაგ., კეთილდღეობა, კეთილგონიერი, გულკეთილი); ეტიმოლოგია; შესატყვისები ქართველურ ენებში; თარგმანი მოსწავლისთვის ნაცნობ უცხოურ ენაზე; სინონიმები და ანტონიმები; ანდაზები; მოსწავლის აზრით, საუკეთესო ციტატები ან/და გამონათქვამები სიკეთეზე; სიკეთის თემაზე შექმნილი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები, მაგ., მოთხრობა, ლექსი, იგავი (მოსწავლის შერჩევით); სიტყვის საუკეთესო ვიზუალური რეპრეზენტაცია (მოსწავლის მიერ შერჩეული ან შექმნილი), დასკვნა (მასალის შერჩევისას შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატის (ბეჭდური ან ელექტრონული), პერიოდისა და ტიპის ლექსიკონების (მაგ., სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“, თანამედროვე განმარტებითი ლექსიკონების, სინონიმთა ლექსიკონისა და ა.შ.) გამოყენება). | |

- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზი, პერსონაჟების დახასიათება, მისთ.).
- ნაწარმოების/ნაწარმოების ეპიზოდის თხრობა (ზეპირად ან/და წერილობით) – დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი შინაარსის თხრობა, თხრობა მთხრობლის შეცვლით (მაგ., „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გადმოსაცემად).
- არგუმენტირებული წერითი ნამუშევარი (ორი შეთავაზებული პოზიციიდან ერთ-ერთის შერჩევა-დასაბუთებით).
- პირადი თვალსაზრისის გამოხატვა: „არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის წარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე მუდმივად იცვლება. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი“.
- პროექტი: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია (ნაწარმოების ხელნაწერული მემკვიდრეობის შესახებ).
- პროექტი: ვიზუალური „ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების მიხედვით; შესაძლებელია მხოლოდ სტანდარტში მითითებული თავების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციების გამოყენებით) – მასალის მოძიება-შერჩევა, ანალიზი: ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების დადგენა/ილუსტრაციების გააზრება ტექსტის კონტექსტში (ყურადღების გამახვილებით იმაზე, თუ რა სცენები/ეპიზოდები აქვს შერჩეული მხატვარს და რატომ; ტექსტში მოცემული რა კონკრეტული დეტალებია ასახული ილუსტრაციაზე და რატომ; რა საშუალებებით და რამდენად ეფექტურად ეხმარება მკითხველს ილუსტრაცია  ტექსტის შინაარსის, იდეის, განწყობის, პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს/ემოციური მდგომარეობის, ურთიერთდამოკიდებულებების გაგებაში); სხვადასხვა მხატვრის ნამუშევართა შედარება ტექსტთან მათი მიმართების თვალსაზრისით, დასკვნების გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია (სასურველია შეირჩეს, სულ მცირე, 3 მხატვრის ილუსტრაციები: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მინიატურები (მაგ., მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერიდან), მე-19-მე-20 საუკუნეების ორი მხატვრის ილუსტრაციები).
- პროექტი: „მიხაი ზიჩის დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ – ინტერკულტურული პროექტი“
- მასალის მოძიება და ანალიზი: ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების დადგენა/ილუსტრაციების გააზრება ტექსტის კონტექსტში (რა სცენები/ეპიზოდებია შერჩეული და რატომ;  ტექსტში მოცემული რა კონკრეტული დეტალებია ასახული ილუსტრაციაზე და რატომ; რა საშუალებებით და რამდენად ეფექტურად ეხმარება ილუსტრაცია მკითხველს ტექსტის შინაარსის, იდეის, განწყობის, პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს, მათი ურთიერთდამოკიდებულებების, სხვ. გაგებაში), დასკვნების გამოტანა, შედეგების პრეზენტაცია (ყურადღების გამახვილებით პროექტის განხორციელების ეტაპებზე: ე.წ. ცოცხალი სურათების დადგმა, პერსონაჟების პროტოტიპების ძიება-შერჩევა და სხვ.).
- პროექტი: უცხოურ ენაზე ამეტყველებული „ვეფხისტყაოსანი“ (ტექსტის უცხოური თარგმანების შესახებ  ინფორმაციის მოძიება, დახარისხება, შეჯამება, დასკვნის გამოტანა, შედეგების წარდგენა-პრეზენტაცია).
- ნაწარმოების „თანადროული გაზეთის“ გამოშვება ტრადიციული საგაზეთო რუბრიკების მიხედვით (მაგ., „ახალი ამბები“, „გართობა და სპორტი“, ინტერვიუ ამა თუ იმ პერსონაჟთან კონკრეტულ საკითხებზე (მაგ., როსტევან მეფესთან მისი გადაწყვეტილების შესახებ), შესაძლებელია სათანადო გაფორმებით (კოლაჟებით, ნახატებით, სხვ.).
- სხვ.

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სიახლეზე, ახლის აღმოჩენაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით  (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- სიკეთესა და ბოროტებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- სიკეთესა და ბოროტებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- სიკეთესა და ბოროტებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

მკვიდრი წარმოდგენები

- ადამიანების წარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე ასახულია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებში.
- ავტორები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა  წარმოგვიდგინონ თავიანთი დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების  მიმართ,  მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაზე/ზნეობრივ არჩევანზე  შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად  შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ზნეობრივ არჩევანზე, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაზე შექმნილ ლიტერატურაზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულებები სიკეთისა და ბოროტების მიმართ, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის,  ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

# ცხოვრების საზრისი

## 1. თემა: ადამიანის დანიშნულება

**ადამიანის დანიშნულება**

საკითხავი ლიტერატურა

სავალდებულო ნაწარმოებები

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“.

არასავალდებულო ტექსტები

შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

| ცნებები | საკვანძო შეკითხვები |
| --- | --- |
| ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად) | • რა ანიჭებს აზრს ადამიანის ცხოვრებას? (/რას ნიშნავს უაზრო ცხოვრება?)<br>• რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს ადამიანის დანიშნულების, ცხოვრების საზრისის შესახებ?<br>• რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?<br>• რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთმანეთისგან ავტორების დამოკიდებულება ადამიანის დანიშნულების მიმართ?<br>• რატომაა მნიშვნელოვანი ადამიანის დანიშნულების/სიცოცხლის საზრისის გააზრება? რამდენად დაგვეხმარება ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი ტექსტების გაცნობა რეალურ ცხოვრებაში? |

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის:

- წერილი ავტორს: წერილი ნ. ბარათაშვილს (ლექსზე რეფლექსიის შედეგების წარმოჩენა).
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (ცალკეული ტექსტების ანალიზი).
- არგუმენტირებული წერითი ნამუშევარი: „არსებობს მოსაზრება, რომ ცხოვრებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი დიად საქმეებს აღასრულებს. მეორე მოსაზრების თანახმად, ადამიანი ცხოვრების აზრს უნდა ეძებდეს მასზე დაკისრებული
- ნებისმიერი საქმისა თუ მოვალეობის პატიოსნად შესრულებაში. გამოხატეთ და დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით“.
- ალტერნატიული ფორმის ტექსტები წაკითხულის ან თემის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოსახატავად (მაგ., ნახატი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი).
- სხვ.

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11);
- ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 9, 10, 11);
- ადამიანის დანიშნულებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- ტექსტებში შეიძლება ასახული იყოს განსხვავებული წარმოდგენები/დამოკიდებულებები ადამიანის დანიშნულების, ადამიანის სიცოცხლის საზრისის მიმართ.
- ავტორები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა წარმოგვიდგინონ თავიანთი დამოკიდებულება ადამიანის დანიშნულების მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილ ლიტერატურის შესახებ, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება/მოსაზრებები, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

ციტატა, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა.

რომელი უკვე ნასწავლი/წაკითხული ნაწარმოები ან ფილმი გაგახსენა?

ბავშვებს უნდა ურჩიოთ, გააფორმონ თავიანთი ლიტერატურული დღიურები სურვილისამებრ, შექმნან ილუსტრაციები ან დახატო წიგნების ახალი ყდები თუ ფილმების აფიშები.

წახალისების მიზნით, შეგიძლიათ, წლის ბოლოს გამოავლინოთ ყველაზე საინტერესო დღიურის პატრონიც. რა თქმა უნდა, წინასწარ შემუშავებული და ბავშვებისთვის ცნობილი კრიტერიუმებით.

- შედარებით დიდი მოცულობის წიგნების გაცნობისას საინტერესოა პირობითი ნიშნებით კითხვა. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შეიმუშავებს პირობით ნიშნებს, რომლებიც დაეხმარებათ მოსწავლეებს თავიანთი ემოციებისა თუ დამოკიდებულების დაფიქსირება-დამახსოვრებაში. მაგალითად: თუ მნიშვნელოვანი სათქმელი აღმოაჩინეს, ძახილის ნიშანს დასვამენ, თუ რაიმე ვერ გაიგეს – კითხვით ნიშანს, თუ რომელიმე ეპიზოდზე ბევრი იცინეს – ღიმილაკს დახატავენ, თუ დასევდიანდნენ – ცრემლს და ა.შ.
- შეიძლება, შესთავაზოთ ბავშვებსა და მათ მშობლებს, რომ ერთად წაიკითხონ წიგნი ან უყურონ ფილმს, ხოლო შემდეგ მოაწყოთ ერთგვარი „ღია გაკვეთილი“, რათა განხილვაშიც ჩაერთონ დაინტერესებული მშობლებიც. ეს ფორმატი გაზრდის მშობელთა ჩართულობასა და მოსწავლეთა მოტივაციას.
- ასევე საინტერესო მეთოდია წიგნებისა თუ ფილმების რეკლამების გაკეთება საკუთარი ან სხვა კლასისთვის. კარგი იქნება, თავიდან თუ თვითონ მასწავლებელი აჩვენებს მაგალითს. აირჩევს ერთ რომელიმე წიგნს ან ფილმს და რეკლამის პრინციპების დაცვით წარუდგენს მოსწავლეებს, რათა დააინტერესოს ისინი. შემდეგ უკვე მოსწავლეები თავად ეცდებიან, გაიმეორონ მასწავლებლის შეთავაზებული ხერხი და სხვა მოსწავლეები დააინტერესონ იმ წიგნითა თუ ფილმით, რომლითაც თავად მოიხიბლნენ.

# თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის

ამ თავში შედის თემატური მატრიცები, სახელმძღვანელოს თითოეულ თავზე თითო მატრიცაა, რომელიც მოიცავს თავში შემავალ ყველა ტექსტს.
მატრიცაში შეტანილია აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია სამიზნე ცნებების დასაფარავად.

**მატრიცის სტრუქტურა**

მატრიცის პირველ სვეტში მოცემულია ქართულის საგნობრივი სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. სახელმძღვანელოში შეტანილი კომპლექსური დავალებები უმეტესობა პოლიცნებურია. უკეთ ორიენტირებისთვის დავალებები ჩავსვით სახელმძღვანელოს მიმდევრობის მიხედვით, თუმცა თითოეულს მითითებული აქვს, რომელ ცნებებზე გადის.

შუა ნაწილი ეთმობა სახელმძღვანელოდან გადმოტანილ აქტივობებს, რომლებიც ნაბიჯ- ნაბიჯ მიჰყვება და ამზადებს მოსწავლეს, ტექსტის ბოლოს მოცემული კომპლექსური დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს. თითოეულ ტექსტს ახლავს ერთი ან ორი კომპლექსური დავალება და რამდენიმე აქტივობა. რუბრიკა „ტექსტის გააზრებისთვის“ არა მხოლოდ კითხვებს მოიცავს, არამედ მცირე აქტივობებსაც და ის ეხმარება მოსწავლეს ტექსტის სიღრმისეულად დამუშავებაში.მატრიცაში მითითებულია ამ რუბრიკის გვერდები.

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

თემა: ადამიანის ცხოვრების გზა

თემატური ბლოკი: ადამიანი და მისი ცხოვრება

**საათების საორიენტაციო რაოდენობა**

(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)

**კლასი: IX**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ განსაცდელს/პრობლემებს?
- საიდან ვიგებ, როგორია სხვა ადამიანი, როგორი ვარ მე? როგორ/რაში ვლინდება ადამიანის შინაგანი სამყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი, გაუგო სხვა ადამიანს?
- რა ვიცი საკუთარ თავზე? როგორ/რა გზით შემიძლია საკუთარი თავის უკეთ შეცნობა? როგორ/საიდან უყალიბდებათ სხვებს აზრი ჩემ შესახებ? რამდენად და რატომ არის/არ არის მნიშვნელოვანი, ერთმანეთს ემთხვეოდეს ჩემი და სხვისი აზრი ჩემ შესახებ?
- რატომ და როგორ მოგვითხრობს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა მწერლობაში ასახულ ცხოვრებას, ადამიანებს/პერსონაჟებსა და რეალურ ცხოვრებას/ადამიანებს შორის?
- რაში და რამდენად მეხმარება ავტორის ემოციებში გარკვევა?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რა მსგავსება-განსხვავებაა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?
- რითია საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურა? როგორ შემიძლია გამოვიყენო მისი ცოდნა რეალურ ცხოვრებაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილება შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- ავტორის, პერსონაჟის/ლირიკული გმირის ცხოვრებისეული გამოცდილება მეხმარება რეალური ცხოვრების სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრებაში, ადამიანების/საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად, მასზე აზრის გამოსახატავად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გადმოვცე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, შემიძლია გამოვიყენო ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

ძირითადი რესურსები/ტექსტები:

1. „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“ – გურამ რჩეულიშვილი
2. „გიმნაზისტკა“ – ანა კორძაია-სამადაშვილი
3. „ჩვენება“ – ნაირა გელაშვილი
4. „დავითიანი“: 3 თავი (ლეკთაგან დატყოება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) – დავით გურამიშვილი
5. „მეგობრობა“ – შოთა იათაშვილი
6. „შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“ – ასტრიდ ლინდგრენი, სარა შვარტი

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:**

ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, გრამატიკა, საკომუნიკაციო სიტუაცია, სტრატეგიები.

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

მოთხრობა, პოემა, დღიური, თავისუფალი ლექსი/ვერლიბრი და კლასიკური/კონვენციური ლექსი, რეალური და მხატვრული წერილი, გამოხმაურება, მხატვრული და არამხატვრული ტექსტები;

სიუჟეტი, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, პერსონაჟები და მათი თვისებები/დამოკიდებულებები, ფაბულა, ნაწარმოების თემა და იდეა, ინტერპრეტირება, ნაწარმოებში ასახული პრობლემები, ეპიგრაფი, სათაური,

წერისა და მეტაკოგნიტური სტრატეგიები;

ჰიპერბოლა, ლიტოტესი, ალუზია, შედარება, მეტაფორა, ეპითეტი, ავტორის ნიღაბი;

წინადადებები მოდალობის მიხედვით, რიტორიკული შეკითხვები და შეძახილები,

აუდიტორია და მიზანი, შესაბამისი ენობრივი სტილი

| ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | **ძირითადი რესურსი/ტექსტი: „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“ – გურამ რჩეულიშვილი**<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი: კოგნიტური სქემები (გვ.15-20)**<br><br>**ცნება/ცნებები: ჟანრი, კომპოზიცია**<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: მოთხრობა, სიუჟეტი, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები** | კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|
| **1. ჟანრი**<br>(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br><br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br><br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>**2. კომპოზიცია/ შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br><br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/ შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br><br>▸ ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის; | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**წინარე ცოდნის გახსენება:**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ იქმნება ამბავი?<br>• რა განსხვავებაა ამბავსა და მოთხრობას შორის?<br>• როგორ შეიძლება ამბავი ვაქციოთ მოთხრობად? გაიხსენეთ მოთხრობის მახასიათებლები (ერთობლივად მუშაობა მოთხრობის მახასიათებლებზე)<br><br>**აქტივობა N1**<br>ამბის შექმნა; მსჯელობა, როგორ შეიძლება, ამბავი ვაქციოთ მოთხრობად.<br><br>**აქტივობა N2**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ.15-19<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: მთხრობლის ემოციებსა და დამოკიდებულებებზე დაკვირვება<br><br>**აქტივობა N3**<br>კოგნიტური სქემის შევსება – მთხრობლის ემოციებსა და დამოკიდებულებებზე დაკვირვება<br><br>მოძებნე ტექსტში მთხრობლის ემოციებისა და დამოკიდებულებების (სხვა პერსონაჟებისადმი, მთავარი პრობლემისადმი) გამომხატველი ფრაზები, წინადადებები და დაალაგე რვეულში ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების (სიუჟეტი, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები) ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N1**<br>**ფოტომოთხრობა**<br>შენ წაიკითხე მოთხრობა „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“, რომელშიც ასახულია ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება და გამოკვეთილია ოჯახის მნიშვნელობა პიროვნებისთვის. |

- პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხ-ის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანი-ზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის;
- მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსო-ნაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზო-დების, მხატვრული საშუალე-ბების, სტრუქტურულ-ორგა-ნიზაციული ელემენტების;
- არამხატვრულ ტექსტებ-ში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანი-ზაციული ელემენტების;

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსო-ბრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენ-ტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველ-ზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავ-ლი ტექსტის მნიშვნელო-ბის, იდეების, თემების, პერ-სპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრე-ბისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

4. მთლიანობის განმსაზ-ღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანი-ზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრე-ბლად, ეფექტიანი ტე-ქსტების შესადგენად.

| მთხრობლის ემოციების გამომ-ხატველი ფრაზები, წინადადებები | პერსონაჟებისადმი, მთავარი პრობლემისად-მი დამოკიდებულების გამომხატველი ფრაზები, წინადადებები |
|---|---|
| | |

იმსჯელე კლასელებთან ერთად, რამდენად დაგეხ-მარა სქემის შევსება პერსონაჟზე უკეთ დაკვირვე-ბაში.

**აქტივობა N4**

სიუჟეტი და მისი განვითარების საფეხურები

მოსწავლეები გაიხსენებენ სიუჟეტის განვითარების ეტაპებს და იმსჯელებენ თითოეულის მნიშვნელო-ბაზე.

ამის შემდეგ შეავსებენ ქვემოთ მოცემულ სქემას გ. რჩეულიშვილის მოთხრობის მიხედვით.




*ამოარჩიე საოჯახო ფოტოე-ბიდან რამდენიმე და მათ მიხედვით დაწერე ფოტო-მოთხრობა შენი ოჯახის შესახებ. მოთხრობა შეგიძლია ააგო ამბავზე:*

- *რომელიც შენც გახსოვს;*
- *რომელიც მოისმინე ოჯახის წევრებისგან;*
- *რომელიც მოიფიქრე საო-ჯახო ფოტოების მიხედვით.*

*ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:*

- *წარმოაჩინე მოთხრობის, როგორც ჟანრის, მახა-სიათებლები (სიუჟეტის განვითარება დროსა და სივრცეში);*
- *გამოკვეთე მთავარი და არამთავარი პერსონაჟები, მათი ხასიათი, დამოკ-იდებულებები;*
- *შეინარჩუნე მჭიდრო კავში-რი ტექსტსა და ფოტოებს შორის;*

*კლასელებთან ერთად მოაწყვე საოჯახო ფოტო-მოთხრობების გამოფენა:*

- *მოიფიქრეთ გამოფენის სლოგანი და ლოგო, მოიწვი-ეთ ოჯახის წევრებიც და გააცანით თქვენი ამბები ფართო აუდიტორიას;*
- *ისაუბრეთ, როგორ შე-ქმენით თქვენი ფოტომოთხ-რობები; რაზე დაგაფიქრათ ფოტომოთხრობებზე მუშაობამ;*
- *როგორ ფიქრობთ, რამდე-ნად საინტერესო იქნებოდა სხვებისთვის თქვენი ამბები.*

<table>
<tr>
<td rowspan="3">3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)<br><br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით.<br><br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br><br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ამოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.<br><br><br>4) კონტექსტი<br>(შედეგები: საბაზო – 4, 6, 11, 12)<br><br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br><br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br><br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.</td>
<td>ძირითადი რესურსი/ტექსტი: „გიმნაზისტკა“ – ანა კორძაია-სამადაშვილი<br><br>დამატებითი რესურს(ებ)ი:<br>თემატური ფოტოები (გვ. 23)</td>
<td rowspan="2"></td>
</tr>
<tr>
<td>სამიზნე ცნებები: ჟანრი, კომპოზიცია, საკომუნიკაციო სიტუაცია<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: გამოხმაურება, ნაწარმოების თემა, მასში ასახული პრობლემები, პერსონაჟები – მათი დამოკიდებულებები, აუდიტორია და მიზანი.</td>
</tr>
<tr>
<td>კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები<br>ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>საკვანძო შეკითხვა:<br>• როგორ გამოვიყენო ფოტოები და სათაური ნაწარმოების თემის გასააქტიურებლად?<br><br>აქტივობა N 1<br>დაკვირვება თემატურად დაკავშირებულ ფოტოებსა და ნაწარმოების სათაურზე კონკრეტული კითხვების დახმარებით<br><br>აქტივობა 2<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 28-33<br><br>ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა<br><br>საკითხი: ეპიგრაფი<br>აქტივობა N3<br><br>ეპიგრაფზე მუშაობა: თეორია და კონკრეტულ კითხვებზე პასუხი;<br><br>საკითხი: ნაწარმოებში ასახული პრობლემა<br><br>აქტივობა N4<br>მუშაობა ნაწარმოებში ასახულ ერთ-ერთ პრობლემაზე – აღზრდის სტილზე;<br><br>საკითხი: საკუთარი პოზიციის გაცნობა, არგუმენტირება<br>აქტივობა N5<br>როლური თამაში<br>მოსწავლეები გადანაწილდებიან სამეულებად. მოირგებენ შვილის, დედისა და მამის როლებს.<br>უნდა წარმოიდგინონ, რომ გოგონამ მოისურვა, ბავშვთა უფლებები გააცნოს დედასა და მამას. ამას კი შედეგად უნდა მოჰყვეს ის, რომ მშობლებმა შეცვალონ შვილისადმი დამოკიდებულება, ხმა ამოაღებინონ, მოუსმინონ, მხარი დაუჭირონ და გაითვალისწინონ ბავშვის აზრი.</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ გამოვიყენო კომუნიკაციის ელემენტების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?<br>• როგორ მოვახდინო ზეგავლენა მსმენელზე/დავარწმუნო მსმენელი?<br>• როგორ დავეხმარო მსმენელებს ჩემი ნათქვამის უკეთ გაგებაში?<br>• როგორ გამოვიყენო ზეპირმეტყველების სტრატეგიების ცოდნა მიზნის მისაღწევად?<br><br>კომპლექსური დავალება N2<br>დებატები აქტუალურ თემაზე<br><br>ბავშვთა უფლებების დაცვა თითოეული მოქალაქის ვალია. საზოგადოების ნაწილს, სამწუხაროდ, წარმოდგენა არ აქვს ბავშვთა უფლებების შესახებ. დაფიქრდით ამ თემაზე და მოაწყვეთ საკლასო დებატები თეზისზე:<br><br>ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ ბავშვთა უფლებების კონვენციის გაცნობა სულაც არ არის საჭირო ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის.<br><br>დებატების რომ სრულყოფილად წარიმართოს:<br>• წინასწარ მოიფიქრეთ არგუმენტები, მაგალითები, რომლებითაც მაქსიმალურად მოიცავთ დებატების თემას;<br>• გაითვალისწინეთ მოწინაამღდეგე გუნდის მზაობა და ინტერესები;</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **5) გრამატიკა**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)<br><br>1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვე-ბის ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგები-სთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთ-ვის.<br>2. გრამატიკის ცოდნის გამოყ-ენება მნიშვნელოვანია ტე-ქსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის.<br><br>**6) საკომუნიკაციო სიტუაცია**<br>(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)<br>1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწ-ილეებს (ადრესანტს, ადრესატს).<br>2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.<br>3. სიტუაციური ფაქტორე-ბის, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალის-წინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექ-ტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.<br><br>**7) სტრატეგიები**<br>(შედეგები:საბაზო – 11, 12)<br><br>1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.<br>2. სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში. | როლური თამაშისას მოსწავლეებს ეძლევათ ორი მითითება:<br><br>• წარმოაჩინეთ, ბავშვთა კონვენციის რომელი მუხლების გაცნობა მოახდენდა განსაკუთრებულ გავლენას მშობლებზე;<br>• რას ეტყოდნენ ისინი შვილს და რას უპასუხებდა მშობლებს გოგონა.<br><br>**აქტივობა 6**<br>კომპლექსური დავალების წარდგენა<br><br>დებატების დასრულების შემდეგ მოსწავლეები აუცილებლად იმსჯელებენ, როგორ წარიმართა პროცესი, რა გამოუვიდათ კარგად, რა შეცდომები დაუშვეს და ზოგადად, რა უნდა გაითვალისწინონ მომავალში, რომ უკეთ შეძლონ სხვადასხვა საკითხზე ამ ფორმატში მსჯელობა. | • ეფექტურად, დამა-ჯერებლად გამოიყენეთ როგორც ვერბალური (სიტყვიერი), ისე არავერ-ბალური (ჟესტი, მიმიკა, პოზა...) კომუნიკაციის საშუალებები;<br>• მკაცრად დაიცავით დე-ბატების წესები. |

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** ერეკლე მეფის წერილები ქალიშვილისადმი

**დამატებითი რესურს(ებ)ი:** „ჩვენება“ – ნაირა გელაშვილი

**სამიზნე ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, სტრატეგიები;

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** მოთხრობა, მხატ-ვრული და არამხატვრული ტექსტები, არამხატვრულ ტექსტებზე მხატვრული ტექსტის აგება, მეტაკოგნიტური სტრატეგიები, პერსონაჟები და მათი თვისებები, დამოკ-იდებულებები.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

საკვანძო შეკითხვები:

- *რითი განსხვავდება ერთმანეთისგან მხატვრული და არამხატვრული ტექსტები?*
- *შესაძლებელია თუ არა, მხატვრულ ნაწარმოებში არამხ-ატვრული ტექსტიც იყოს ჩართული?*

**აქტივობა 1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში – ტექსტის გააზრებისთვის – გვ. 45, 51-52

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყ-ალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: პერსონაჟი, მისი თვისებები, დამოკიდებულებები

**აქტივობა N2**

მამის პორტრეტის შექმნა ფრაზების დასრულების სა-შუალებით;

ქვემოთ მოცემული ფრაზები ტექსტზე დაყრდნობით უნდა აქციონ წინადადებებად, რომლებიც მამის ერთგვარი დახა-სიათება იქნება და უკეთ წარმოაჩენს მის დამოკიდებულე-ბას შვილის მიმართ:

- მამა შვილთან ერთად არ ცხოვრობს, რადგან...
- ის შვილს ელაპარაკება ისე, როგორც ...
- მამა ოცნებობს, რომ ...
- მამა ძალიან განიცდის ..., რადგან...
- მამა თავის მონოლოგში კითხვით წინადადებებს იყენებს, რადგან...
- ის შვილს ჰპირდება, რომ ...
- მამა შვილს ურჩევს ...

წინადადებების დაწერისა და ერთმანეთისთვის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ, რამდენად დაეხმარათ ეს აქტივობა მამის მხატვრული სახის აღქმაში.

საკითხი: კომპოზიციის ელემენტები

**აქტივობა N 3**

ნაწარმოების კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვება კოგნიტური სქემის მეშვეობით;

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო ტე-ქსტებს შორის არსებული მიმართებების ცოდნა?
- როგორ განვასხვავო ერთ-მანეთისგან მხატვრული და არამხატვრული ტექსტი?
- როგორ მივანიჭო არამხატ-ვრულ ტექსტს მხატვრული ფუნქცია?

**კომპლექსური დავალება N3**

არამხატვრული ტექსტის მიხედვით მხატვრული თხზუ-ლების შექმნა (ინდივიდუალუ-რად ან ჯგუფურად)

წერილების გამოყენებით დაწერე მოთხრობა ერეკლე მეფისა და მისი ქალიშ-ვილის ურთიერთობაზე, სტრუქტურულად ააგე ნ. გელაშვილის „ჩვენების“ მსგავსად – წერილები აქციე მხატვრული ტექსტის ორგან-ულ ნაწილად.

ნაშრომში:

- წერილებიდან ამოკითხუ-ლი ინფორმაციისა და შენი ფანტაზიის დახმარებით აღწერე მამა-შვილის ურთ-იერთდამოკიდებულება;
- თხზულება ააგე ისე, რომ წერილი მისი ორგანული ნაწილი გახდეს. ამით მხატ-ვრულსა და არამხატვრულ ტექსტებს გააერთიანებ;
- გაითვალისწინე მოთხრობის სტრუქტურული მახასიათ-ებლები.

| | | |
|---|---|---|
| | საკითხი: მხატვრული საშუალება – ავტორის ნიღაბი<br><br>**აქტივობა N4**<br>თეორია: ავტორის ნიღაბი და ამ საკითხებთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**აქტივობა N5**<br>დავალებების წარდგენა<br><br>მოსწავლეები კლასში წაიკითხავენ თავიანთ თხზულებებს და დააკვირდებიან მითითებული კითხვების მიხედვით. | თქვენი მოთხრობები წაუკითხეთ ერთმანეთს კლასში და დააკვირდით:<br><br>• წერილის რომელი დეტალები დაგეხმარათ მხატვრული ტექსტის აგებაში, რა ბიძგი მისცა თქვენს ფანტაზიას წერილში ჩატეულმა მცირე ინფორმაციამ;<br>• რამდენად ეხმიანება თქვენ მიერ შექმნილი მოთხრობები ამ თავის თემატიკას;<br>• რამდენად დაგეხმარათ ნ. გელაშვილის მოთხრობის მხატვრულ მხარესა და სტრუქტურაზე დაკვირვება თქვენი მოთხრობის დაწერაში? |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „დავითიანი“: (ლეკთაგან დატყოება – დავით გურამიშვილი.<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** ინტერნეტში მოძიებული მასალები, კოგნიტური სქემა | |
| | **სამიზნე ცნებები:** კომპოზიცია, კონტექსტი, საკომუნიკაციო სიტუაცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ნაწარმოების თემა, ავტორი და ეპოქა, სამიზნე აუდიტორია და მეტყველების სტილი. | |
| | კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვა:**<br>• რამდენად მნიშვნელოვანია ნაწარმოების სრულყოფილად გაგებისთვის იმ ეპოქის გათვალისწინება, რომელშიც ის შეიქმნა?<br><br>**აქტივობა 1**<br>ავტორის ბიოგრაფიისა და იმ ეპოქის გაცნობა, რომელშიც მოღვაწეობდა.<br><br>**აქტივობა N2**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 61<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br>საკითხი: ნაწარმოებში ასახული ეპოქა | საკვანძო შეკითხვები:<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი კონტექსტის ცოდნა?/რა გავლენას ახდენს კონტექსტი ნაწარმოებზე?<br><br>**კომპლექსური დავალება N4**<br>პრეზენტაციის მომზადება<br><br>შენ მიერ წინასწარ დამუშავებული ისტორიული მასალა შეადარე ნაწარმოებში მოცემულ ინფორმაციას და წარმოადგინე 5-წუთიანი პრეზენტაცია თემაზე: ეპოქა, ნაწარმოები, ავტორი.<br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br>• წარმოაჩინე მე-18 საუკუნის საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები; |

**აქტივობა N3**

ნაწარმოებში ასახული ეპოქა (კოგნიტური სქემით მუშაობა)

| პრობლემა | ციტატები | შენი კომენ-ტარი/ახსნა |
|---|---|---|
| საქართველოს მაშინდელი მტრები | | |
| ქართველების ურთიერთდამო-კიდებულება | | |
| ქართველების ზნეობრივი მხარე | | |

**აქტივობა N4**

დამატებითი მასალის დამუშავება ნაწარმოებში ასახ-ული ეპოქის შესახებ.

კარგი იქნება, ამ აქტივობის შესასრულებლად ისტო-რიის მასწავლებელს თუ დაიხმარებთ.

მის მიერ მითითებული ან აქვე მოცემული ბმულის მა-სალა (მე-18 საუკუნის საქართველოს შესახებ - http://www.allgeo.org/index.php/ka/35-xviii) დაამუშავეთ შემდეგი პუნქტების მიხედვით:

ა) მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები;

ბ) ადამიანები, რომლებიც ამ მოვლენების სათავეში იდგნენ;

გ) სხვა ქვეყნების გავლენა იმდროინდელ საქართ-ველოზე.

**აქტივობა N5**

რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ პრეზენტაციის მომზა-დებასთან დაკავშირებული რჩევებისა და სტრატე-გიების განხილვა-მსჯელობა და მათზე დაყრდნობით პრეზენტაციების პირველადი მონახაზის მომზადება.

- იმსჯელე, როგორ აისახა ისტორიული კონტექსტი ნაწარმოების მოცემულ თავებში (მოიშველიე ციტატები) და რა მიზანი ამოძრავებს ავტორს ეპო-ქის მიმოხილვისას;
- გაითვალისწინე აუ-დიტორია და შეარჩიე მეტყველების შესაბამისი სტილი და ლექსიკა.

ნაშრომების წარდგენამდე შეადგინეთ კლასელებისა-გან ისტორიკოსებისა და ლიტერატორების დროები-თი საბჭო, რომელიც დააკ-ვირდება პრეზენტაციებს ორი ძირითადი მიმარ-თულებით (კრიტერიუმების მიხედვით):

- ✔ რომელი საკითხებითა და ხერხებით წარმოა-ჩინა პრეზენტატორმა მიმართება: ეპოქა - ავტო-რი - ნაწარმოები?
- ✔ ზეპირმეტყველების რომელი სტრატეგიები გა-მოიყენა პრეზენტატორმა საკომუნიკაციო სიტუ-აციის სწორად წარმართ-ვისთვის?

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „დავითიანი“: სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა - დავით გურ-ამიშვილი

**სამიზნე ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, საკომუ-ნიკაციო სიტუაცია, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები.

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ნაწარმოების თემა, იდეა,მხატვრული თავისებურებები, ტროპის სახეები..

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

საკვანძო შეკითხვები:

- შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი მწერლის ენაზე დაკვირვება?
- რამდენად ეხმარება მკითხველს ნაწარმოების სიღრმისეულად გააზრებაში მხატვრულ თავისებურებებსა და სახეებზე დაკვირვება?
- როგორ ფიქრობ, რამდენად მოახდენს გავლენას სხვა მკითხველზე ლიტერატურული ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილების გაზიარება?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.66, 70

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**

საკითხი: მხატვრული საშუალებები

**აქტივობა N2**

თეორიიის გაცნობა და სავარჯიშოები ჰიპერბოლაზე, ლიტოტესსა და ბიბლიურ ალუზიაზე.

**აქტივობა N3**

კრიტიკოსის მოსაზრება და მკითხველი

„გურამიშვილი, როგორც მხატვარი“ - ლიტერატორ ნ. ნათაძის შეფასების მიხედვით მსჯელობა მწერლის ენაზე.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ წარმოვაჩინო ტექსტის გაგების შედეგად მიღებული შთაბეჭდილება და ემოციები?
- როგორ დავარწმუნო მკითხველი ნაწარმოების მხატვრული მხარის განსაკუთრებულობაში?

**კომპლექსური დავალება 5**

მკითხველის გამოხმაურება, ნაწარმოების მხატვრული მხარის შეფასება

დაწერე გამოხმაურება, რომელშიც ისაუბრებ „დავითიანის“ წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებზე და შეაფასებ ნაწარმოებს მხატვრული თვალსაზრისით (აქამდე შესრულებული აქტივობების დახმარებით). გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

გამოხმაურებაში ისაუბრე:

- რომელი მონაკვეთი/სტროფები მოგეწონა ყველაზე მეტად და რატომ;
- როგორი ემოციები გაგიჩნდა წაკითხულთან დაკავშირებით;
- პოემის მხატვრული მხარის თავისებურებებზე, ტროპის სახეებზე;
- რას ურჩევდი შენს თანატოლებს ამ ტექსტის წაკითხვისას, რათა გაუადვილო ამ საკმაოდ რთული პოემის აღქმა- გათავისება.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რამდენად გვეხმარება მწერლის ენაზე, ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებებზე დაკვირვება ნაწარმოების სწორად გააზრებაში;
- რატომ შეიძლება აღმოჩნდეს საინტერესო მე-18 საუკუნის ტექსტი თანამედროვე მკითხველისთვის;
- რა სტრატეგიები გამოიყენე წერის დაწყებამდე, წერის დროს და წერის შემდეგ და რატომ.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „მეგობრობა“ – შოთა იათაშვილი

**დამატებითი რესურს(ებ)ი:** ვენის დიაგრამა,

შოთა ნიშნიანიძის ლექსი „მე დავემალე გუშინ მეგობარს“

**სამიზნე ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ გამომსახველობითი საშუალებები

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ვერლიბრი და მისი მახასიათებლები, ფაბულა, ლირიკული გმირი

| | | |
|---|---|---|
| | კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>საკვანძო შეკითხვა:<br>• მეგობრობის თემაზე შექმნილი რომელი ჟანრის ნაწარმოები გახსენდება?<br><br>**აქტივობა N 1**<br>როგორც საბა ამბობს, ამხანაგი ...<br>• „სიხარულთა გამამდიდრებელია“;<br>• „ზურგთა მომბმელია“;<br>• „მარტოსათვის ხმის გამცემია“.<br><br>აირჩიე ამ სამი ფრაზიდან ერთ-ერთი, რომელზეც შეგიძლია, გაიხსენო ამბავი შენი და შენი მეგობრის ურთიერთობიდან ან ფრაგმენტი მეგობრობის თემაზე შექმნილი სხვა ნაწარმოებიდან, რომლიც გისწავლია, წაგიკითხავს.<br><br>**აქტივობა N 2**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.75<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>**აქტივობა N 3**<br>შოთა იათაშვილისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსების (ანუ ვერლიბრისა და კლასიკური, რითმიანი ლექსის) შედარება ფორმის თვალსაზრისით ვენის დიაგრამის საშუალებით.<br><br>**აქტივობა N 4**<br>ნამუშევრების წარდგენა. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურის ცოდნა?<br>• როგორ წარმოვაჩინო ლირიკული გმირის განცდები?<br><br>**კომპლექსური დავალება N 6**<br>ვერლიბრის დაწერა<br><br>ახლა სცადე, თავად დაწერო თავისუფალი ლექსი მეგობრობის თემაზე. ფაბულად გამოიყენე რეალური ან გამოგონილი ამბავი. მოცულობას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, დაიცვა ვერლიბრის მახასიათებლები:<br><br>• წარმოაჩინე ლირიკული გმირის ემოციები, სათქმელი;<br>• სათქმელი გაანაწილე სხვადასხვა ზომის სტრიქონებად - შეგიძლია, გაყო წინადადებაც;<br>• ეცადე, შეინარჩუნო შინაგანი რიტმი (მაგალითად, ზოგიერთ სტრიქონში მეორდებოდეს თანაბარი რაოდენობის მარცვლები);<br>• გამოიყენე ნაცნობი მხატვრული სახეები (მაგალითად: შედარება, მეტაფორა...).<br><br>მოაწყვეთ საკლასო ოთახი სალონურ სტილში და გამართეთ ვერლიბრის საღამო, რომელზეც არა მხოლოდ წაიკითხავთ თქვენ მიერ შექმნილ ვერლიბრებს, არამედ იმსჯელებთ, რამდენად საინტერესო აღმოჩნდა ამ ჟანრის ტექსტზე მუშაობა. რა გამოგივიდათ ადვილად და რა აღმოჩნდა განსაკუთრებით რთული. |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“ – ასტრიდ ლინდგრენი, სარა შვარტი<br><br>**სამიზნე ცნებები:** ჟანრი, საკომუნიკაციო სიტუაცია, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** წერილი და მისი სტრუქტურა, თემატიკა, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), მიზანი; ადგილი, დრო; კომუნიკაციის არხი, წინადადებები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვა-ძახილის. | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I.**

**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

საკვანძო შეკითხვები:

- რატომ შეიძლება, აირჩიო მწერალი ადრესატად?
- როგორი შინაარსისა და სტილის წერილი შეიძლება მისწერო?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.83, 86

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: პრობლემა და მისი გადაჭრის გზები

**აქტივობა N2**

პრობლემა და მისი გადაჭრის გზა - ჯგუფურად დაყოფილი მოსწავლეები შეეცდებიან, სხვადასხვა მხრიდან შეხედონ სარას პრობლემას და ისე იპოვონ მისი გადაჭრის გზა. თვალსაჩინოებისთვის ჯგუფი გაითამაშებს სიტუაციასაც.

საკითხი: წერილის ელემენტები

**აქტივობა N3**

გამოკითხვა - მნიშვნელოვანი წერილი

მოსწავლეები არჩევენ ზრდასრულ რესპონდენტს, რომელსაც ოდესღაც მნიშვნელოვანი წერილი მიუღია და გამოკითხავენ. შეავსებენ კითხვარს:

1. წერილის დაწერის დრო
2. წერილის ადრესატი
3. წერილის ადრესანტი
4. წერილის თემატიკა
5. ემოცია, რომელსაც წერილის გახსენება აჩენს
6. რამ გახადა წერილი დაუვიწყარი

გამოკითხვის შედეგებს უზიარებენ კლასელებს.

საკითხი: რეალური და მხატვრული წერილები

**აქტივობა N4**

პერსონაჟის - ჯუდი ებოტისა და სარა შვარტის რეალური და მხატვრული წერილების შედარება.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?
- რა ფაქტორები განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსს?
- როგორ გამოვიყენო საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?

**კომპლექსური დავალება N7**

ელექტრონული წერილი

შეარჩიე ადრესატი იმ თანამედროვე ქართველ მწერალთაგან, რომელთა შემოქმედება გისწავლია ან წაგიკითხავს და, სარას მსგავსად, მისწერე პირადი წერილი ელექტრონული ფოსტით. დაიცავი წერილის სტრუქტურა, გამოამჟღავნე ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა.

წერილში:

- წარუდგინე საკუთარი თავი მწერალს, მოუყევი, რა შთაბეჭდილებები დაგიტოვა ასტრიდისა და პატარა სარას მიმოწერამ; გააცანი პრობლემა, რომელსაც სახელმძღვანელოში შეტანილი ფრაგმენტი ასახავდა;
- ესაუბრე პირად გამოცდილებასა და დამოკიდებულებაზე მოცემული პრობლემის მიმართ და სთხოვე, გაგიზიაროს საკუთარი შეხედულება; რჩევა, რომელიც დაგეხმარება ამ პრობლემის აღმოფხვრაში;
- გაითვალისწინე, რომ წერილს სწერ უფროსს, რომელთანაც სიამოვნებით იმეგობრებდი, შეარჩიე უშუალო სტილი (ამ თვალსაზრისითაც იხელმძღვანელე სარას წერილებით );
- გამოიყენე სხვადასხვა მოდალობის წინადადებები: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვა-ძახილისა.

გაგზავნამდე წაუკითხეთ წერილები ერთმანეთს და დააკვირდით, ითვალისწინებს თუ არა ადრესანტი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს და რამდენად იცავს წერილის სტრუქტურას.

| | | |
|---|---|---|
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** ტექსტების სათაურები<br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** | |
| | **ცნება/ცნებები:** საკომუნიკაციო სიტუაცია, გრამატიკა, მხატვრულ- გამომსახველობითი საშუალებები<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** წინადადებები მოდალობის მიხედვით,რიტორიკული შეკითხვები და შეძახილები, აუდიტორია, მიზანი | |
| | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა მოდალობის წინადადებები საკომუნიკაციო სიტუაციებში?<br>• როგორ გამოვხატოთ უშუალო ემოციები რიტორიკული კითხვითა და შეძახილით?<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>**საკითხი: წინადადებები მოდალობის მიხედვით**<br><br>**აქტივობა N1**<br>თეორიის დამუშავება და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულება წინადადების მოდალობაზე და ასევე სტილზე: რიტორიკული შეკითხვა და შეძახილი.<br><br>**აქტივობა N2**<br>ნამუშევრების წარდგენა კლასში. | **საკვანძო შეკითხვა:**<br>• როგორ გამოვიყენო ნაწარმოების შექმნისას კონკრეტული გრამატიკული საკითხების ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N8**<br>წარმოიდგინე, რომ სოციალურ ქსელში გაერთიანებული ხარ შემეცნებით ჯგუფში, სადაც უმეტესობა შენი თანატოლია.<br>დაწერე ტექსტი თემაზე - ჩვენი სკოლა (თანამედროვე სკოლა შეადარე ადრე არსებულ გიმნაზიებს.).<br><br>• გაითვალისწინე ფართო აუდიტორია, შენი მიზანი და ისე შეარჩიე წერითი მეტყველების სტილი;<br>• ისაუბრე, რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო პერიოდს ადამიანის ცხოვრებაში;<br>• გამოხატე შენი ემოციები სკოლაში არსებული ვითარების შესახებ და ემოციის გასამძაფრებლად გამოიყენე სხვადასხვა მოდალობის წინადადებები;<br>• პირადი პოზიციის გამოსახატავად გამოიყენე რიტორიკული შეკითხვები და შეძახილები;<br>• ყურადღება მიაქციე მართლწერასა და პუნქტუაციას.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რომელ პუნქტზე მსჯელობა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე ადვილი/რთული?<br><br>• რომელი გრამატიკული საკითხების ცოდნა დაგჭირდა ტექსტის სრულყოფილად შესადგენად;<br><br>• რამდენად მნიშვნელოვანია სოციალურ ქსელში წერისას მართლწერისა და პუნქტუაციის წესების ცოდნა. |

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

**თემა: საზოგადოება და პიროვნება**

თემატური ბლოკი: ადამიანი და მისი ცხოვრება

**საათების საორიენტაციო რაოდენობა:**

(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)

**კლასი IX**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რას ნიშნავს, იყო საზოგადოების წევრი?
- რა მიმართებაა ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას შორის?
- რა მიმართებაა ცალკეული ადამიანის პირად ცხოვრებას/კეთილდღეობასა და საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრებას/კეთილდღეობას შორის?
- როგორ შეუძლია ცალკეულ ადამიანს წვლილის შეტანა საზოგადოების/ქვეყნის ცხოვრებაში?
- როგორ/რა გზითაა შესაძლებელი ძალაუფლების გამოყენება ადამიანის/საზოგადოების საკეთილდღეოდ?
- რატომაა მნიშვნელოვანი ტოტალიტარულ ძალაუფლებაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რამდენად შეუძლია ლიტერატურას საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- მკვიდრი წარმოდგენები:
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე შექმნილი ტექსტების გაცნობა მეხმარება, რომ გავაცნობიერო საზღვარი პირადულ და საზოგადოებრივ სფეროებს შორის, დავიმკვიდრო ჩემი ადგილი საზოგადოებაში.
- ტოტალიტარულ ძალაუფლებაზე შექმნილი ლიტერატურა მაცნობს უარყოფით/არასასურველ გამოცდილებას, რაც დამეხმარება თავისუფლების/დემოკრატიის ფასეულობის გააზრებაში.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- **იმისთვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები პირადულისა და საზოგადოებრივის/სახელმწიფოებრივის ურთიერთმიმართებაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.**

**ძირითადი რესურსები/ტექსტები:**

1. „თევზის წერილები“ – გოდერძი ჩოხელი
2. „სარჩობელაზედ“ – ილია ჭავჭავაძე
3. „დათა თუთაშხია“ – მოსე ზამთარაძის ნაამბობი.
4. „ნუ მოკლავ ჯაფარას“ – ჰარპერ ლი (ნაწყვეტი)

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:

ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა, საკომუნიკაციო სიტუაცია, სტრატეგიები.

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

მოთხრობა, სტატია, არგუმენტირებული ესე - მისი სტრუქტურა, რეალური და მხატვრული წერილი, ვიდეომონოლოგი,

სიუჟეტი განვითარების საფეხურები, თემა, იდეა, პერსონაჟები - მათი თვისებები და დამოკიდებულება, ინტერპრეტირება;

მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, არამხატვრულ ტექსტებზე მხატვრული ტექსტის აგება, პერსონაჟები და მათი თვისებები, დამოკიდებულებები, ვერლიბრი და მისი მახასიათებლები, ნაწარმოების თემა და იდეა,

ჰიპერბოლა, ალუზია, შედარება, მეტაფორა, ეპითეტი, ალეგორია, თეზისი, არგუმენტები, მაგალითები

მსაზღვრელად გამოყენებული მეტყველების ნაწილები, წინადადებები მოდალობისა და აგებულების მიხედვით. მიზეზშედეგობრივი მიმართების გამომხატველი წინადადებები, დიალექტიზმები, შორისდებულები, მიმართვა, სასვენი ნიშნები. რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, განმეორება, რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია).

სამიზნე აუდიტორია და მიზანი

მეტაკოგნიტური, წერისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები.

| ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | **ძირითადი რესურსი/ტექსტი: „თევზის წერილები“** – გოდერძი ჩოხელი<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი: კოგნიტური სქემები**<br><br>**სამიზნე ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** არგუმენტირებული ესე - მისი სტრუქტურა, თეზისი, არგუმენტები, მაგალითები, მიზეზშედეგობრივი მიმართების გამომხატველი წინადადებები | კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|
| **1. ჟანრი**<br>(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>**2. კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>‣ ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის;<br>‣ პოემაში- თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის; | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.96,102<br><br>საკითხები: პერსონაჟი, მისი მიმართება ნაწარმოებში ასახულ პრობლემასთან, მისი ქმედებები.<br>**აქტივობა N2**<br>კოგნიტური სქემის (გვ.96) შევსება: პერსონაჟი - პრობლემა - ქმედება<br>მოსწავლეებმა უნდა გადახაზონ სახელმძღვანელოში მოცემული კოგნიტური სქემა და შეავსონ კონკრეტული მითითებებით.<br><br>საკითხი: ლექსიკა, არგუმენტები<br>**აქტივობა N3**<br>მიზეზშედეგობრიობის გამომხატველი სიტყვები<br>მოსწავლეები დააკვირდებიან გამიხარდაისა და ლუკას არგუმენტებს, მოინიშნავენ მიზეზშედეგობრიობის გამომხატველ სიტყვებს და იმსჯელებენ, როგორ იყენებენ მათ პერსონაჟები.<br>საკითხი: არგუმენტირებული ესე და მისი სტრუქტურა | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, თეზისისა და არგუმენტის, ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო გრამატიკის ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N1**<br>არგუმენტირებული ესე<br><br>დაწერე არგუმენტირებული ესე, დაეთანხმე შემდეგ დებულებას ან უარყავი იგი:<br><br>*ადამიანს უფლება აქვს, ნებისმიერი ფორმით გამოხატოს პროტესტი უსამართლობის მიმართ.*<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოვიდეს:<br>• თავდაპირველად განმარტე, როგორ გესმის შენ „უსამართლობა“ და „პროტესტი“;<br>• შენი პოზიცია დაასაბუთე არგუმენტირებულად, მაგალითები მოიყვანე არა მხოლოდ ცხოვრებიდან, არამედ ლიტერატურიდანაც;<br>• გაითვალისწინე არგუმენტირებული ესეს სტრუქტურა;<br>• გამოიყენე მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი რთული წინადადებები. |

| | | |
|---|---|---|
| ▸ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br>▸ არამხატვრულ ტექსტებში - იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.<br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.<br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | **აქტივობა N4**<br>არგუმენტირებული ესეს მახასიათებლებსა და წერით სტრატეგიებზე მუშაობა:<br>ა) ესეს დაწერამდე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გაიხსენებენ არგუმენტირებული ესეს სტრუქტურას და აუცილებელ კომპონენტებს;<br>ბ) ერთობლივად გაიხსენებენ და მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს მოსწავლეების მიერ ნაკარნახევ წერის სტრატეგიებს, რომლებიც გაუადვილებს მათ ესეს დაწერას.<br><br>**აქტივობა 5**<br>ესეების წარდგენა<br><br>წარდგენისას მსმენელები დააკვირდებიან ნაშრომებს კრიტერიუმების მიხედვით და ჩაინიშნავენ, რომელი კრიტერიუმი იყო სრულყოფილად შესრულებული და რომელი - ნაწილობრივ. ბოლოს იმსჯელებენ, რომელი კრიტერიუმის დაძლევა აღმოჩნდა რთული უმეტესობისთვის და რატომ. ნაშრომის წარდგენის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, წერის რომელი სტრატეგიები გამოიყენეს. | ნამუშევარი წარადგინე კლასში. წაკითხვამდე შეუთანხმდი კლასელებს, რომ მოსმენისას დააკვირდნენ და ჩაინიშნონ, რამდენად გაქვს გათვალისწინებული სახელმძღვანელოში მოცემული მითითებები. ესეების წარდგენის შემდეგ იმსჯელეთ, წერის რა სტრატეგიები გამოიყენეთ დავალებების შესრულებისას. |
| **3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)<br><br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ამოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „სარჩობელაზედ" - ილია ჭავჭავაძე<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** ნაწყვეტი ფილოლოგ მაია ნინიძის სტატიიდან მოთხრობის სათაურის შესახებ (გვ.127)<br><br>**სამიზნე ცნებები:** ჟანრი, საკომუნიკაციო სიტუაცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** არამხატვრული ტექსტი - სტატია და მისი მახასიათებლები, აუდიტორია და მიზანი. | |
| **4. კონტექსტი**<br>(შედეგები: საბაზო – 4, 6, 11, 12)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>საკითხი: სათაური და მისი ფუნქცია.<br><br>**აქტივობა 1**<br>ნაწარმოების სათაურზე მუშაობა კითხვებით | **საკვანძო შეკითხვები:**<br>•როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>•რა ფაქტორები განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსს?<br>•როგორ გამოვიყენო საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად? |

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.

**5. გრამატიკა**

(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)

1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთვის.
2. გრამატიკის ცოდნის გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის.

**6. საკომუნიკაციო სიტუაცია**

(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)

1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს).
2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.
3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.

**7. სტრატეგიები**

(შედეგები: საბაზო – 11, 12)

1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.

- რა დატვირთვა აქვს ნაწარმოების სათაურს? რა როლს აკისრებს მას მწერალი? ისაუბრე ზოგადად.
- როგორი განწყობა შეიძლება შეუქმნას სათაურმა მკითხველს?

**აქტივობა 2**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.117-118, 126

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: ვარაუდების გამოთქმა

**აქტივობა 3**

ჯგუფური მუშაობა: რატომ დაიწერა მოთხრობა (ვარაუდების გამოთქმა)

ჯგუფებად დანაწილებული მოსწავლეები გამოთქვამენ და ერთად თავს უყრიან თავიანთ მოსაზრებებს, ბოლოს პრეზენტატორი წარუდგენს კლასს.

საკითხი: სათაური, მოსაზრება, არგუმენტაცია

**აქტივობა N4**

ლიტერატორის შეხედულება სათაურზე (ინდივიდუალური)

მოსწავლე წაიკითხავს ამონარიდს მაია ნინიძის სტატიიდან (სახელმძღვანელოშია მოცემული) და კონკრეტული მითითებების მიხედვით იმსჯელებს.

**აქტივობა 5**

სახელმძღვანელოში მოცემული დამატებითი მასალის დამუშავება,

დისკუსია თემაზე: როგორ შეუძლია საზოგადოებას, დაეხმაროს დამნაშავეს.

საკითხი: წერის სტრატეგიები

**აქტივობა 6**

რჩევები კომპლექსური დავალების სრულყოფილად შესრულებისთვის:

სტატიის წერა რომ გაგიადვილდეს:

- განსაზღვრე სტატიის თემა და მიზანი;
- შეისწავლე საკითხი, რომლის შესახებაც აპირებ სტატიის დაწერას,
- გაეცანი სხვადასხვა მასალას;
- შეადგინე გეგმა;

**კომპლექსური დავალება N2**

**სტატია**

წარმოიდგინე, რომ ხარ ჟურნალისტი. დაწერე სტატია, რომელშიც მიმოიხილავ შემდეგ თემებს:

- როგორ შეიძლება იქცეს ადამიანი დამნაშავედ;
- რამდენად დიდია საზოგადოების პასუხისმგებლობა დამნაშავის წინაშე, როგორ უნდა დაეხმაროს ის დამნაშავეს სრულფასოვანი ცხოვრების დაბრუნებაში;
- როგორ აისახა ეს საკითხები ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ".

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- გაითვალისწინე, რომ სტატიას სჭირდება შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- შეურჩიე შესაფერისი და ეფექტური სათაური;
- შენი მოსაზრებების დასასაბუთებლად გამოიყენე ილიას მოთხრობა „სარჩობელაზედ" და დამუშავებული მასალები;
- დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.
- ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:
- როგორ დაგეხმარა დამუშავებული ლიტერატურა სტატიის დაწერაში;
- წერის რა სტრატეგიები გამოიყენე სტატიის დასაწერად.

2 სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში.

- გახსოვდეს, რომ სათაური უმნიშვნელოვანესი ელემენტია. იგი
- წარმოდგენას უნდა უქმნიდეს მკითხველს სტატიის შინაარსისა და დასმული პრობლემის შესახებ და აღუძრავდეს წაკითხვის ინტერესს;
- წერას რომ დაასრულებ, კიდევ ერთხელ გადაიკითხე, ჩაასწორე და
- გადაათეთრე.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „დათა თუთაშხია“ (მოსე ზამთარაძის ნაამბობი) - ჭაბუა ამირეჯიბი

**სამიზნე ცნებები:** კომპოზიცია, გრამატიკა;

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** მთავარი და არამთავარი პერსონაჟები და მათი მეტყველება; დიალექტიზმები, შორისდებულები, მიმართვა, სასვენი ნიშნები.

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- რომელ პირშია თხრობა? რას ემსახურება პირველ პირში თხრობა?
- რითი განსხვავდება ერთმანეთისგან პერსონაჟების მეტყველება?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.142

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: მეორეხარისხოვანი პერსონაჟები

**აქტივობა N2**

კოგნიტური სქემის საშუალებით დაკვირვება ნაწარმოების მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე.

მოსწავლეები დააკვირდებიან მეორეხარისხოვან პერსონაჟებს და იმსჯელებენ მათ ფუნქციებზე.

საკითხი: პერსონაჟის მეტყველება

**აქტივობა N3**

პერსონაჟის მეტყველება - თეორიის გაცნობა და მასთან დაკავშირებული სავარჯიშოს შესრულება: მოსწავლეები გაიხსენებენ და დაფაზე ჩამოწერენ პერსონაჟებს, რომლებსაც თავისებური მეტყველება აქვთ და იმსჯელებენ, რა განაპირობებს ამ თავისებურებას.

**აქტივობა N4**

ნაშრომების წარდგენა კლასში.

**საკვანძო კითხვები**

- რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს?
- რამდენად ამდიდრებს მწერლის ენასა და სტილზე დაკვირვება ჩემს ენობრივ გამოცდილებას?
- როგორ დავაკვირდე პერსონაჟის მეტყველებას?
- როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა?
- როგორ გამოვიყენო გრამატიკის ცოდნა?

**კომპლექსური დავალება 3**

**დაკვირვება პერსონაჟის მეტყველებაზე (წყვილებში)**

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ეს მონაკვეთი. როგორც ხედავთ, აქ სამი პერსონაჟი საუბრობს: მთხრობელი ანუ მოსე ზამთარაძე, დათა და ასინეთა.

დააკვირდით თითოეულის მეტყველებაში:

- ლექსიკას - არის თუ არა დიალექტიზმები, არქაიზმები...
- ინტონაციას - რომელი შორისდებულებითა და სასვენი ნიშნებითაა გადმოცემული;
- მათი ნათქვამის მიზეზსა და მიზანს.
- მონიშნეთ მიმართვის ფორმები და იმსჯელეთ, რას გვეუბნება თითოეული მათგანი მთქმელზე.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების გათვალისწინებით ერთად დაწერეთ მონაკვეთის ენობრივი ანალიზი.

ნაშრომის წარდგენის შემდეგ იმსჯელეთ, პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვებით რა გაიგეთ მათზე დამატებით.

| | | |
|---|---|---|
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „დათა თუთაშხია“ (მოსე ზამთარაძის ნაამბობი) - ჭაბუა ამირეჯიბი | |
| | **სამიზნე ცნებები:** კომპოზიცია;<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: პერსონაჟები, მთხრობელი, ინტერპრეტირება | |
| | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვა:**<br>• როგორ გამოვიყენო პერსონაჟზე დაკვირვება მთხრობლის შესაცვლელად?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.156<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა** | **საკვანძო შეკითხვა:**<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?<br><br>**კომპლექსური დავალება N4**<br>მთხრობლის შეცვლა (ინდივიდუალურად)<br><br>წარმოიდგინე, რომ ბავშვებისა და აბრაგების დაპირისპირების ეპიზოდს შორიდან უყურებდა არქიფო სეთური. გადმოეცი ეს მონაკვეთი მისი პირით.<br><br>სანამ დავალებაზე მუშაობას შეუდგებოდე, იმსჯელეთ კლასში, რა უნდა გაითვალისწინოთ, რათა არქიფო, როგორც მთხრობელი, სრულყოფილად წარმოაჩინოთ, ნათელი იყოს მისი მიმართება მომხდართან. |
| | **საკითხი: მთხრობლის შეცვლის კრიტერიუმები**<br><br>**აქტივობა N2**<br>დავალების კრიტერიუმების შემუშავება მოსწავლეების მიერ. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ჩამოწერენ დაფაზე, რომელი კრიტერიუმები დასჭირდებათ ამ დავალების სრულყოფილად შესასრულებლად.<br>იმსჯელებენ, გაცხრილავენ და ამის შემდეგ იხელმძღვანელებენ ამ კრიტერიუმებით.<br><br>**საკითხი:** მონოლოგი<br>**აქტივობა N3**<br>სეთურის მონოლოგი და მისი მმართველობის წესები (ჯგუფური)<br><br>ჯგუფურად დანაწილებული მოსწავლეები დააკვირდებიან არქიფოს<br>შეხედულებებს სხვადასხვა საკითხზე. ამ საკითხების მიხედვით ჩამოაყალიბებენ არქიფოს მმართველობის წესებს.<br><br>**აქტივობა N4** - ნაშრომების წაკითხვა და მსჯელობა: რა იცვლება მთხრობლის შეცვლით ნაწარმოებში? რატომაა საინტერესო პერსონაჟის მთხრობლად ქცევა? | თქვენი იდეები ჩამოწერეთ, გაცხრილეთ, მასწავლებლის დახმარებით მიეცით საბოლოო კრიტერიუმების სახე და ამის შემდეგ შეასრულეთ დავალება ინდივიდუალურად.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რაში დაგეხმარა დავალების კრიტერიუმებზე მუშაობა<br>• რა იცვლება მთხრობლის შეცვლით ნაწარმოებში?<br>• რატომაა საინტერესო პერსონაჟის მთხრობლად ქცევა? |

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ნუ მოკლავჯაფარას“ (ნაწყვეტი) - ჰარპერ ლის

**დამატებითი რესურს(ებ)ი: ფრაგმენტი ფილმიდან „დიდი დიქტატორი“ ვიდეო და ტექსტი (გვ.169-171)**

**სამიზნე ცნებები:** კომპოზიცია, საკომუნიკაციო სიტუაცია, ენობრივ- გამომსახველობითი

საშუალებები

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: კომპოზიცია:** თემა, პერსონაჟი, მონოლოგი, სამიზნე აუდიტორია, ვიდეომიმართვა.

რიტორიკის ელემენტები - თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული შეკითხვა,

რიტორიკული მიმართვა, განმეორება; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა,

ემოცია).

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვა:**

- როგორ გამოვიყენო ვიდეომიმართვაში კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული უკვე შესწავლილი ტექსტები?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.167-168

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: პერსონაჟი და მისი თვალსაზრისი

**აქტივობა N 2**

პერსონაჟი და მისი თვალსაზრისი

ჰარპერ ლის რომანის ამ მონაკვეთში რამდენიმე პერსონაჟი გვხვდება, რომლებიც თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ სხვადასხვა საკითხსა თუ პიროვნებასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემული ცხრილი დაგეხმარება, თავი მოუყარო პერსონაჟთა თვალსაზრისებს და შემდეგ იმსჯელო მათ მართებულობაზე (ცხრილი გადახაზე რვეულში ან შექმენი ელექტრონულად).

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო კომუნიკაციის ელემენტების ცოდნა?
- როგორ მოვახდინო ზეგავლენა მსმენელზე/ დავარწმუნო მსმენელი?
- როგორ დავეხმარო მსმენელებს ჩემი ნათქვამის უკეთ გაგებაში?

**კომპლექსური დავალება N5**

ვიდეომონოლოგი

ახლა კი თავად მოემზადე მონოლოგისთვის. წარმოიდგინე, რომ ხარ საზოგადო მოღვაწე და სიტყვით გამოდიხარ ფართო აუდიტორიის წინაშე. შენი მონოლოგის თემა უნდა იყოს „პიროვნების ადგილი საზოგადოებაში“. მოამზადე 3-წუთიანი ვიდეომონოლოგი.

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- გამოსვლაში გამოკვეთე თემასთან დაკავშირებული კონკრეტული ორი პრობლემა, რომელთა მიმართ წარმოაჩენ შენს პოზიციას;
- ისაუბრე ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე არგუმენტირებულად, მოიყვანე მაგალითები შესწავლილი ტექსტებიდან;
- გაითვალისწინე ვიდეომიმართვის სტრუქტურა: მიმართვა, შესავალი, ძირითადი ნაწილი და ეფექტური დასასრული;
- აუდიტორიისა და მიზნის გათვალისწინებით, შეარჩიე რიტორიკის შესაბამისი ელემენტები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია), ლექსიკა, მიმართვის ფორმები;

| პერსონაჟი | რომელი საკითხის/ პიროვნების შესახებ გამოთქვამს თვალსაზრისს | პერსონაჟის თვალსაზრისი ციტატებით | შენი შეხედულება და დასაბუთება |
|---|---|---|---|
| ჭყიტა (მთხრობელი) | | | |
| მის გეიტსი | | | |
| ატიკუს ფინჩი (ჭყიტას მამა) | | | |

საკითხი: მონოლოგი და მისი მახასიათებები

**აქტივობა N3**

მონაკვეთის განხილვა ფილმიდან „დიდი დიქტატორი" - როგორც მონოლოგის ნიმუშისა. დაკვირვება პერსონაჟის, მსახიობის მეტყველებაზე, როტორიკის ელემენტებზე, პრობლემის გამოკვეთა, რომელზეც მსახიობი საუბრობს.

- როგორია მონოლოგის ავტორის განწყობა? ჩანს თუ არა მისი ემოციები?
- რა პრობლემაზე/პრობლემებზე საუბრობს მთავარი გმირი და იკვეთება თუ არა მისი/მათი გადაჭრის გზები?
- რამდენად ითვალისწინებს მონოლოგის ავტორი აუდიტორიას, რომელსაც მიმართავს?
- რამდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა შენთვის დაწერილი ტექსტის წაკითხვა და გამოიწვია თუ არა განსხვავებული ემოციები შენში ფილმის ფრაგმენტის ნახვამ? რატომ?
- როგორია მონოლოგის ავტორის მეტყველების სტილი: მეტისმეტად ოფიციალური, უშუალო, პათეტიკური...?
- დააკვირდი, რიტორიკის რომელ ელემენტებს მიმართავს მსახიობი: რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა თუ განმეორება?

საკითხი: ზეპირმეტყველების სტრატეგიები

**აქტივობა N4**

რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ" მიხედვით ვიდეომონოლოგის შექმნის სტრატეგიებზე მუშაობა და მონოლოგის პირველადი ვარიანტის მომზადება.

**აქტივობა N5**

კომპლექსური დავალების წარდგენა:

ვიდეომონოლოგების ჩვენება და განხილვა კლასში. წინასწარ მომზადებული მსმენელის ბარათებით მუშაობა: მსმენელები ინიშნავენ მონოლოგის დადებით მხარეებს და შენიშვნებსაც.

მოაწყვეთ კლასში ვიდეომონოლოგების ჩვენება.

თქვენ მიერვე წინასწარ მომზადებულ მსმენელის ბარათებზე ჩაინიშნე ის დადებითი მხარე, რომელსაც თითოეული მონოლოგში დაინახავ.

თუ რაიმე ხარვეზს შეამჩნევ, ურჩიე კლასელს, რა გაითვალისწინოს მის აღმოსაფხვრელად.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:**

**დამატებითი რესურს(ებ)ი:**

**საამიზნე ცნებები: გრამატიკა**

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: შემასმენელი, მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები;**

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ ჩავსვა სწორად წინადადებაში კონკრეტული შემასმენლები?
- რა უნდა გავითვალისწინო სხვადასხვა ტიპის მსაზღვრელის გამოყენებისას?

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**

**აქტივობა N1**

თეორიის დამუშავება და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულება შემასმენლისა და ქვემდებარის შეთანხმებასა და მსაზღვრელზე;

**აქტივობა N2**

დავალების წარდგენა

მოსწავლეები კლასის წინაშე წაიკითხავენ თავინთ დავალებებს და უპასუხებენ შემდეგ კითხვებზე:

- რომელი გრამატიკული საკითხებიც ცოდნა დაგჭირდა მის დასაწერად?
- რომელი გრამატიკული შეცდომები აღმოაჩინე წაკითხვისა და განხილვის შემდეგ?
- რომელ თემებს დაუკავშირე შენი დავალება და რატომ?

**საკვანძო შეკითხვა:**

- როგორ გამოვიყენო ნაწარმოების შექმნისას კონკრეტული გრამატიკული საკითხების ცოდნა?

**კომპლექსური დავალება N6**

ლიტერატურული ჩანახატი

ნახატის მიხედვით დაწერე ლიტერატურული ჩანახატი, რომელსაც ააგებ შემდეგი შემასმენლების გამოყენებით: ჰქონდათ, დაუკრიფეს, მოესწროთ, სჭირდებოდა, დაუსველდა, იფარებდა, შეხედეს, წაუყვანეს.

ნაშრომში:

- მსაზღვრელად გამოიყენე შემდეგი მეტყველების ნაწილები: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელი;
- ჩანახატს შეურჩიე სათაური;
- კარგი იქნება, თუ შენი ჩანახატით გამოეხმაურები ლიტერატურაში დამუშავებულ რომელიმე თემას.

ჩანახატები წაიკითხეთ გაკვეთილზე და იმსჯელეთ თითოეულმა:

- რომელი გრამატიკული საკითხებიც ცოდნა დაგჭირდა მის დასაწერად;
- რომელი გრამატიკული შეცდომები აღმოაჩინე წაკითხვისა და განხილვის შემდეგ;
- რომელ თემებს დაუკავშირე შენი დავალება და რატომ?

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

**თემა: განათლება და წიგნები**

თემატური ბლოკი: სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

**საათების საორიენტაციო რაოდენობა:**

*(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)*

**კლასი: IX**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება/ფორმირება? რა ფაქტორები ახდენს გავლენას პიროვნების ჩამოყალიბება-ზე/ფორმირებაზე?
- რატომ და როგორ/რითი სწავლობს ადამიანი?
- როგორ და რამდენად უწყობს ხელს სწავლა-განათლება ადამიანის პიროვნულ ზრდა-განვითარებას?
- რას გულისხმობს კარგი სწავლება/კარგი გაკვეთილი? რის სწავლა შეუძლიათ სხვებს ჩემგან?
- რა როლს ასრულებს წიგნები, ლიტერატურა, კითხვის სიყვარული ადამიანის ცხოვრებაში, პიროვნებად ჩამოყალიბე-ბაში?
- რაგორ შევიცნობთ სამყაროს კითხვის, ანბანის მეშვეობით?
- რა ფაქტორები ზემოქმედებს ადამიანის ზრდასრულად ქცევის პროცესზე? რამდენად და როგორ ზემოქმედებს ოჯახი, სოციალური ნორმები?
- რა გავლენას ახდენს ბავშვობის გაკვეთილები ჩვენს აწმყოსა და მომავალზე?
- რა და რატომ შეიცვალა/არ შეიცვალა სწავლა-სწავლებაში დროთა განმავლობაში?
- რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სწავლასთან დაკავშირებით?
- რას მასწავლის სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა/რამდენად მეხმარება სწავლაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- სწავლა-აღზრდაზე შექმნილია სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს სწავლების განსხვავებული ტრადიციები და რეალიები, განსხვავებული წარმოდგენები სწავლა-აღზრდაზე, ადამიანის ზრდის პროცესზე.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები სწავ-ლა-აღზრდაზე, კითხვის, ლიტერატურის მნიშვნელობაზე ამ პროცესში, გაგვიცოცხლონ სწავლასთან დაკავშირებუ-ლი საკუთარი გამოცდილება, კონკრეტული რეალიები; მოახდინონ გავლენა მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენო-ბრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სწავლა-აღზრდაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

**ძირითადი რესურსები/ტექსტები:**

- „ჩემი ცხოვრების გზაზე“ - დავით კლდიაშვილი (ნაწყვეტი)
- „სამშობლო და ლიტერატურა“ - აკა მორჩილაძის სიტყვა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე
- ლირიული ინტერმეცო“ - კონსტანტინე გამსახურდია (ნაწყვეტი)
- „სეკვენცია“ - რატი ამაღლობელი
- „რომანივით საკითხავი“ - დანიელ პენაკი

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:**

ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, საკომუნიკაციო სიტუაცია, სტრატეგიები

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

მემუარული ტექსტი და მისი მახასიათებლები, რიტმული პროზა, აღწერითი ტექსტი, ლიტერატურული ჩანახატი, თემა, იდეა, ლირიკული გმირი, მხატვრული სახეები, რიტმი, რითმა, პოდკასტი, აუდიტორია (მიმართვა, დამშვიდობება, შესა-ბამისი მეტყველების სტილი) და მიზანი.

ტროპის სახეები; არგუმენტი, დასკვნა, თეზისი

მეტაკოგნიტური, ზეპირმეტყველების სტრატეგიები, კითხვის სტრატეგიები, მოსმენის სტრატეგიები

| ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ჩემი ცხოვრების გზაზე“ - დავით კლდიაშვილი<br><br>**ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** მემუარული ტექსტი და მისი მახასიათებლები, | კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|
| **1. ჟანრი**<br>(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br>1.ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>**2. კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>• ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის;<br>• პოემაში- თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის;<br>• მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ უნდა განასხვავო ერთმანეთისაგან ავტობიოგრაფიული და ბიოგრაფიული ტექსტი?<br>• რით შეიძლება იყოს საინტერესო მემუარული ლიტერატურა?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.185<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემა<br>**აქტივობა N2**<br>დავით კლდიაშვილის განათლება - მოკლე ანალიზი (წყვილებში)<br><br>მოსწავლეები დაწერენ მოკლე ანალიზს, როგორი იყო დავით კლდიაშვილის სწავლის გზა:<br>ა) აღწერილი მეთოდების, მიდგომების დადებითი და უარყოფითი მხარეები;<br>ბ) იყო თუ არა აღწერილი ნაწყვეტში რომელიმე თქვენთვის მისაღები მეთოდი, რომელსაც თანამედროვე განათლების სისტემაშიც ხვდებით ან ისურვებდით;<br><br>საკითხი: მემუარული ლიტერატურა<br>**აქტივობა N3**<br>თეორია „მემუარული ლიტერატურა“ და მასთან დაკავშირებული სავარჯიშოები. მოსწავლეები იმუშავებენ ორი მითითების მიხედვით:<br>ა) დააკვირდი თეორიაში მოცემულ მემუარული ლიტერატურის მახასიათებლებს და მოძებნე მისი ნიმუშები დავით კლდიაშვილის ტექსტში.<br>ბ) წაიკითხე წინათქმა, რომელიც დავით კლდიაშვილმა თავის მემუარებს წაუმძღვარა და იმსჯელე კლასელებთან ერთად, ემთხვევა თუ არა მწერლის მიზანი მემუარული ჟანრის ლიტერატურის მახასიათებლებს?<br><br>**აქტივობა N4**<br>ნაშრომების წარდგენა.<br>ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები შეაჯერებენ თავიან ნაშრომებს, ავტობიოგრაფიულ ტექსტში გამოკვეთილ თანამედროვე განათლების დადებით და უარყოფით მხარეებს, გადაიტანენ დიდი ფორმატის ქაღალდზე და წარადგენენ კლასის წინაშე. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო კომპოზიციური ელემენტების ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N1**<br>მემუარული ტექსტის შექმნა<br><br>წარმოიდგინე, რომ გასულია რამდენიმე წელი, უკვე ზრდასრული ადამიანი ხარ და, დავით კლდიაშვილის მსგავსად, შენც წერ მემუარულ ნაწარმოებს.<br><br>მემუარებში:<br>• ისაუბრე, ფორმალური განათლების რა გზა გაიარე (შეავსე შენი ფანტაზიით, როგორც წარმოგიდგენია მომავალში);<br>• შეაფასე შენი დროის განათლების სისტემა: დადებითი და უარყოფით მხარეები; გამოხატე პირადი დამოკიდებულებები და განცდები ამ თემისადმი;<br>• გამოამჟღავნე მემუარული ჟანრის მახასიათებლების ცოდნა (კიდევ ერთხელ გადაავლე თვალი თეორიასა და მასთან დაკავშირებულ სავარჯიშოებს).<br><br>წაიკითხეთ თქვენი მემუარები კლასში, განაწილდით ჯგუფებად, შეაჯერეთ ერთმანეთის ნაწერებში გამოკვეთილი თანამედროვე განათლების დადებითი და უარყოფითი მხარეები, გადაიტანეთ დიდი ფორმატის ქაღალდზე და წარადგინეთ კლასის წინაშე.<br>ასევე იმსჯელეთ, რამდენად საინტერესო და ადვილი ან რთული აღმოჩნდა თქვენთვის მემუარების წერა. |

| | | |
|---|---|---|
| • არამხატვრულ ტექსტებში - იდეე-ბის/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანი-ზაციული ელემენტების;<br><br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზ-ღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაცი-ული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველ-ზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმო-ვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით.<br><br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშ-ვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/ მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირე-ბისთვის.<br><br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი ში-ნაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელო-ვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)<br><br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკ-იდებულებებს, განწყობასა და მო-საზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვე-ბის, ფრაზების - გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხვე-ლი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელო-ვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | | |

**4. კონტექსტი**

(შედეგები: საბაზო – 4, 6, 11, 12)

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.
2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.

**5. გრამატიკა**

(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)

1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთვის.

2. გრამატიკის ცოდნის გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის.

**6. საკომუნიკაციო სიტუაცია**

(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)

1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს).
2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.
3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.

ძირითადი რესურსი/ტექსტი:

აკა მორჩილაძის სიტყვა წარმოთქმული ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე – „სამშობლო და ლიტერატურა“

ცნება/ცნებები: საკომუნიკაციო სიტუაცია:

ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: სტრუქტურა, აუდიტორია და

მიზანი, არგუმენტები და მაგალითები

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- რა არის საჯარო გამოსვლის მიზანი? რა უნარები სჭირდება საჯარო გამოსვლისთვის მომზადებას?
- რაში დაგეხმარება სხვების გამოცდილების გაზიარება ამ კუთხით?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია - გვ.194

რუბრიკაში – ტექსტის გააზრებისთვის

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: წერითი სტრატეგიები

**აქტივობა N2**

საჯარო გამოსვლის ტექსტის გეგმა - სავარჯიშო წერით სტრატეგიებზე (წყვილებში)

საკითხი: საჯარო გამოსვლის მახასიათებლები

**აქტივობა N3**

აკა მორჩილაძის სიტყვის ვიდეოვერსიის მიმოხილვა (საკლასო) https://www.youtube.com/watch?v=kWxYecg6Ab0 მოსწავლეები ყურებისას აკვირდებიან

დეტალებს და ინიშნავენ, რათა გამოკვეთონ საჯარო გამოსვლის მახასიათებლები.

**აქტივობა N4**

ნამუშევრებს წარადგენენ კლასის წინაშე და მსჯელობენ, რა აღმოჩნდა მათთვის მარტივი/რთული დავალების შესრულებისას.

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო კომუნიკაციის ელემენტების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?
- როგორ მოვახდინო ზეგავლენა მსმენელზე/დავარწმუნო მსმენელი?
- როგორ დავეხმარო მსმენელებს ჩემი ნათქვამის უკეთ გაგებაში?
- როგორ გამოვიყენო ვიზუალური მასალა ამ მიზნით?

**კომპლექსური დავალება N2**

**საჯარო გამოსვლა და პრეზენტაცია**

წარმოიდგინე, რომ მიწვეული ხარ წიგნის საბავშვო ფესტივალზე და შენც უნდა ისაუბრო წიგნის კითხვის მნიშვნელობის შესახებ, შენი მოხსენების სათაურია - წიგნის კითხვის როლი მოზარდების ცხოვრებაში.

უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინე აუდიტორია, მსმენელები, ძირითადად, იქნებიან შენი თანატოლები. მოამზადე პრეზენტაცია ცოწერ-ცოინტ პროგრამის საშუალებით, რათა შენი გამოსვლა თვალსაჩინო და დასამახსოვრებელი გახდეს (საილუსტრაციოდ გამოიყენე ფოტო- და ვიდეომასალა).

**ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**

- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე მისალმებასა და მიმართვას, რათა ეფექტური იყოს გამოსვლა;
- გაითვალისწინე აუდიტორია და შეარჩიე შესაბამისი მეტყველების სტილი;
- დაიცავი საჯარო სიტყვის სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასასრული

| | | |
|---|---|---|
| **7. სტრატეგიები**<br>(შედეგები: საბაზო – 11, 12)<br><br>1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შეარჩიო და გამოიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.<br><br>2. სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში. | | • შენი შეხედულებები გაამყარე არგუმენტებითა და მაგალითებით;<br>• შენი საუბარი წარმოდგენილ ფოტო- და ვიდეომასალას შეუსაბამე;<br><br>პრეზენტაციის წარდგენისა და აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლის შემდეგ შეაფასე შენი დავალება. გაუზიარე კლასელებს, რისი მომზადება გაგიადვილდა ან გაგირთულდა, როგორ გამოიყენე წინარე ცოდნა, რა ახალი გამოცდილება შეიძინე აუდიტორიასთან ურთიერთობაში და როგორ გამოიყენებ მას სამომავლოდ. |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ლირიული ინტერმეცო“ – კონსტანტინე გამსახურდია<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** | |
| | **ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებები<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** რიტმული პროზა, აღწერითი ტექსტი, ლიტერატურული ჩანახატი, თემა, იდეა, მხატვრული ხერხები | |
| | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რა ქმნის რიტმს პროზაულ ნაწარმოებში?<br>• რას მატებს რიტმულობა მხატვრულ ტექსტს?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 202<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: მკითხველის თეატრი, მხატვრული კითხვა<br>**აქტივობა N2**<br>მკითხველის თეატრი (საერთო საკლასო)<br><br>მოსწავლეები დაყოფილ ტექსტს წაიკითხავენ ხმამაღლა. კითხვისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი მითითებები:<br>✔ ერთი მონაკვეთიდან მეორეზე უნდა გადადიოდნენ სინქრონულად, შეფერხებების გარეშე;<br>✔ შეუსაბამონ ერთმანეთს ინტონაციებიც;<br>✔ მეტი მრავალფეროვნებისა და ემოციის გასაძლიერებლად შეუძლიათ, წინასწარ შეურჩიონ ტექსტს შესაფერისი მუსიკა | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო ტროპების ცოდნა? რამდენად ამდიდრებს ტროპების გამოყენება ჩემს ენობრივ გამოცდილებას?<br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით?<br><br>**კომპლექსური დავალება N3**<br>რიტმული პროზის შექმნა<br><br>აირჩიე შენთვის სასურველი თემა და კ. გამსახურდიას „ლირიული ინტერმეცოს“ მსგავსად, დაწერე მცირე ზომის აღწერითი ტიპის ლიტერატურული ჩანახატი, რომელშიც გამოიყენებ რიტმული პროზის ელემენტებს.<br><br>ჩანახატი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br>• ტექსტი ააგე ისე, რომ ფუკუსირებული იყოს ერთ თემაზე და გამოიკვეთოს იდეაც; |

| | | |
|---|---|---|
| | საკითხი: რიტმული პროზა<br>**აქტივობა N3**<br>თეორია რიტმული პროზა და მისი სავარჯიშოები. გვ.203<br><br>საკითხი: მხატვრული სახეები<br>**აქტივობა N4**<br>მხატვრულ სახეებზე მუშაობა (წყვილებში)<br>მოსწავლეები წყვილებში იმუშავებენ, ჯერ მხატვრულ სახეებს ამოიწერენ, ხოლო შემდეგ გაცვლიან ერთმანეთში და განმარტავენ.<br><br>**აქტივობა N5**<br>წერის სტრატეგიებზე მუშაობა კონკრეტული მითითებების მიხედვით.<br><br>**აქტივობა N6**<br>ნაშრომების წარდგენა. | • აღწერისას გამოიყენე შენთვის ნაცნობი მხატვრული ხერხები;<br>• რიტმის შესაქმნელად გამოიყენე სხვადასხვა ხერხი: ერთგვარ წევრთა გამეორება, მარტივ და შერწყმულ წინადადებათა მონაცვლეობა, მსგავსი ჟღერადობის სიტყვები, ნაწილაკები...<br><br>ჩანახატები წაუკითხეთ ერთმანეთს კლასში და იმსჯელეთ, ვინ რა ხერხი გამოიყენა რიტმული პროზის შესაქმნელად. |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „სეკვენცია“ - რატი ამაღლობელი<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:**<br>http://feminism-boell.org/ka/2019/12/12/lidia-megrelidze-pod-kasti პოდკასტი საბავშვო მწერალ ლიდია მეგრელიძის შესახებ<br><br>**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, საკომუნიკაციო სიტუაცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ლექსი თემა, იდეა, ლირიკული გმირი, მხატვრული სახეები, რიტმი, რითმა, პოდკასტი, აუდიტორია (მიმართვა, დამშვიდობება, შესაბამისი მეტყველების სტილი); და მიზანი. | |
| | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის პირველი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რას უნდა მიაქციო ყურადღება ლექსის ანალიზისას?<br>• რა ფორმით შეიძლება ლირიკული გმირის განცდების წარმოჩენა?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 211<br><br>**ეტაპი II. პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: ბიბლიური ალუზია<br>**აქტივობა N2**<br>ბიბლიურ ალუზიებზე მუშაობა. მოსწავლეები გაიხსენებენ თეორიას და ეცდებიან, განმარტონ ბიბლიური ალუზიები. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ წარმოვაჩინო ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გაგება?<br>• რა მიმართებაა კომპოზიციის ელემენტებს შორის?<br>• როგორ გამოვიყენო კომუნიკაციის ელემენტების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?<br>• როგორ მოვახდინო ზეგავლენა მსმენელზე?<br><br>**კომპლექსური დავალება N4**<br>პოდკასტი - ერთი ლექსის ანალიზი (რ. ამაღლობელის „სეკვენცია“)<br><br>პოდკასტის (ანუ აუდიოგადაცემის) ჩასაწერად გამოიყენე სახელმძღვანელოში მოცემული მასალები: |

საკითხი: ლექსის შინაარსობრივი მხარე

**აქტივობა N3**

ლექსის ბუნდოვანი სტრიქონების განმარტება.

მოსწავლეები პატარა ფურცლებზე ამოიწერენ მათთვის გაუგებარ სტრიქონებს, მასწავლებელი შეაგროვებს და მერე ცალ-ცალკე, შემთხვევითობის პრინციპით ამოიღებს და იმსჯელებენ ჯერ მოსწავლეები, შემდეგ მასწავლებელიც განმარტავს ან შეავსებს მათ ნათქვამს.

საკითხი: პოდკასტი, სტრუქტურა

**აქტივობა N4**

პოდკასტის მომზადების სტრატეგიების გაცნობა (იხ. რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“).

მოსწავლეები მოისმენენ ერთ-ერთ პოდკასტს სანიმუშოდ http://feminism-boell.org/ka/2019/12/12/lidia-megrelidze-podkasti

**აქტივობა N5**

მეწყვილეები ერთმანეთის ნაშრომებს აკვირდებიან კრიტერიუმების მიხედვით და აძლევენ ერთმანეთს წერილობით რეკომენდაციას.

- ინფორმაცია ავტორზე (შესავლისთვის);
- ლექსთან დაკავშირებული კითხვები და დავალებები, რომლებიც უკვე შეასრულე (ლექსის ანალიზისთვის);
- შეგიძლია, ასაუბრო სხვა ადამიანიც ამ ლექსზე (შენივე კლასელი, მშობელი ან ქართულის რომელიმე მასწავლებელი);
- წაიკითხე მონაკვეთები ლექსიდან.

**აუდიოგადაცემა რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**

- წარმოაჩინე ლირიკული გმირის სურვილები, განცდები, ემოციები;
- ისაუბრე ლექსის თემაზე;
- განიხილე მხატვრული სახეები და მათი ფუნქცია ლექსში, რიტმი, რითმა;
- გაითვალისწინე აუდიტორია, რომლისთვისაც ქმნი პოდკასტს (მიმართვა, დამშვიდობება, შესაბამისი მეტყველების სტილი).

დავალების შესრულების შემდეგ კენჭისყრის პრინციპით შეარჩიეთ მეწყვილეები, გაუგზავნეთ ერთმანეთს დავალებები და წერილობით შეაფასეთ ნაშრომები. აუცილებლად აღნიშნეთ, რითი გამოირჩეოდა შენი მეწყვილის დავალება, რა იყო საინტერესო და რის გაუმჯობესება შეიძლებოდა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „რომანივით საკითხავი“ - დანიელ პენაკი

**ცნება/ცნებები:** სტრატეგიები, საკომუნიკაციო სიტუაცია

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** კითხვის სტრატეგიები, მოსმენის სტრატეგიები

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ ირჩევენ ადამიანები ამა თუ იმ წიგნს წასაკითხად?
- ვინ ან რა უჩენს სურვილსა და ინტერესს მკითხველს?
- კითხვის რა სტრატეგიები იცით?
- რა ხდის საინტერესოს ტექსტთან მუშაობას?

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო კომუნიკაციის ელემენტების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?
- როგორ გამოვიყენო სტრატეგიების ცოდნა მიზნის მისაღწევად?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული

ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 220

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხ-ების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენ-ების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: მეტაკოგნიტური სტრატეგიები, კითხვის სტრატეგიები;

**აქტივობა N2**

მოგონებების კონვერტი (საკლასო)

მოსწავლეები თავდაპირველად იხსენებენ, რომელი ნაწარმოებების შესწავლის პროექტი ახსენდებათ ყველაზე სასიამოვნოდ და საინტერესოდ. ჩაინიშნავენ, რამ გახადა ეს პროცესი საინტერესო. შეაგროვებენ თავიანთ მონაცემებს და გამოავლენენ იმ ნაწარმოებებ-საც, რომელთა შესწავლა უმეტესობას დაამახსოვრდა და იმსჯელებენ იმაზე, რომელმა სტრატეგიებმა, აქტივობებმა, დავალებებმა განაპირობა ეს.

**აქტივობა N3**

ოქროს წესები წიგნის კითხვის შესაყვარებლად

წყვილებში მსჯელობენ, როგორ შეიძლება კითხვა სასიამოვნო პროცესად იქცეს. თავიანთ მოსაზრებებს უზიარებენ კლასს.

საბოლოოდ შეადგენენ ოქროს წესებს წიგნის კითხვის შესაყვარებლად და გააკრავენ საკლასო ოთახში.

**აქტივობა N4**

სახელმძღვანელოში მოცემული რჩევების გათვალის-წინებით გაკვეთილისთვის მომზადება.

**აქტივობა N5**

წიგნების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები იმსჯე-ლებენ: რომელი წიგნით დაინტერესდნენ და რატომ? წარდგენის რომელმა დეტალებმა გამოიწვია მათი ინტერესი? რას შეცვლიდნენ, ხელმეორედ რომ ას-რულებდნენ ამ ტიპის დავალებას?

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო კომუნიკ-აციის ელემენტების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?
- როგორ გამოვიყენო სტრატე-გიების ცოდნა მიზნის მისაღწ-ევად?

**კომპლექსური დავალება N5**

სასურველი წიგნის წარდგენა - ზეპირი პრეზენტაცია

აირჩიე ერთ-ერთი წიგნი, რომე-ლიც წაგიკითხავს და მოგწონს. გააცანი ის კლასელებს ზეპი-რი პრეზენტაციის სახით. შენი მიზანია, ამ წიგნით დააინტერესო თანატოლები.

წიგნის წარდგენა რომ სრულყო-ფილი გამოგივიდეს:

თავდაპირველად მიმოიხილე ის თემატიკა და პრობლემატიკა, რომლებიც შენ მიერ შერჩეულ წიგნშია ასახული;

- წარმოაჩინე ამ თემატიკის/პრობ-ლემატიკის აქტუალობა, დაანახე აუდიტორიას მათი კავშირი ცხოვრებასთან;
- ისაუბრე შენს ემოციებზე, რომ-ლებიც წიგნმა აღგიძრა და მათ გამომწვევ მიზეზებზე;
- შეარჩიე შენთვის განსაკუთრე-ბით საინტერესო პერსონაჟი და წარმოჩინე მისი თვისებები, დამოკიდებულებები;
- აუდიტორიის გათვალისწინებით, შეარჩიე შესაბამისი ენა და სტილი.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:**

**დამატებითი რესურს(ებ)ი:**

**ცნება/ცნებები:** გრამატიკა

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** მსაზღვრელ-საზ-ღვრული

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო სწორად მსაზღვრელ-საზღვრუ-ლი?
- რა წესები ახლავს შებრუნებული მსაზღვრელ-საზ-ღვრულის გამოყენებას?

**საკვანძო შეკითხვა:**

- როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდ-ნა კონკრეტული მიზნით?

| | | |
|---|---|---|
| | **ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**<br><br>**აქტივობა N1**<br>თეორიის დამუშავება და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულება მსაზღვრელ-საზღვრულზე;<br><br>**აქტივობა N2**<br>დავალების წარდგენა - მოსწავლეები კლასის წინაშე წაიკითხავენ თავინთ დავალებებს და უპასუხებენ შემდეგ კითხვებზე:<br><br>• რომელ პუნქტზე მსჯელობა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე ადვილი/რთული?<br>• რომელი გრამატიკული საკითხების ცოდნა დაგჭირდა? | **კომპლექსური დავალება N6**<br>წარმოიდგინე, რომ შეგიძლია დაბრუნდე წარსულში და მთლიანად შეცვალო შენს ცხოვრებაში მომხდარი ერთი ფაქტი.<br><br>იმსჯელე წერილობით:<br><br>• რომელ კონკრეტულ ფაქტს შეცვლიდი, რატომ და როგორ? რა მოჰყვებოდა ამ ცვლილებას შედეგად? განაზოგადე, წარსული რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის მომავალი ცხოვრებისთვის.<br><br>• გამოყენე მსაზღვრელად შემდეგი საყრდენები: უზრუნველი, თავისუფალი, უნებლიე, დაუფიქრებელი, გახარებული, სასიამოვნო...<br>• გამოიყენე შებრუნებული მსაზღვრელ-საზღვრული.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რომელ პუნქტზე მსჯელობა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე ადვილი/რთული?<br>• რომელი გრამატიკული საკითხების ცოდნა დაგჭირდა. |

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

**თემა: სამშობლოს მოამაგენი**

**თემატური ბლოკი:** სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება:

**საათების საორიენტაციო რაოდენობა:**

*(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)*

**კლასი: IX**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რა არის სამშობლო? რატომ და რითია სამშობლო მნიშვნელოვანი/განსაკუთრებული ადამიანისთვის?
- რას ნიშნავს, იყო სამშობლო ქვეყნის შვილი?
- როგორ/რაში ვლინდება სამშობლოს სიყვარული?
- რას გვასწავლის წარსული თანამედროვეობის შესახებ?/რატომაა მნიშვნელოვანი წარსულის ცოდნა?
- რამდენად და როგორ შეიძლება ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებით ვისწავლოთ მშობლიური ქვეყნის წარსული?
- რამდენად და როგორაა დღეს შესაძლებელი, ვიზრუნოთ ქვეყნის ხვალინდელ დღეზე?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რა მსგავსება-განსხვავებაა სამშობლოს თემაზე დაწერილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?
- რას მასწავლის სამშობლოს თემაზე შექმნილი ლიტერატურა?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ჩემს მშობლიურ ქვეყანასა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ადამიანებზე დაწერილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ავტორები სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენენ ჩემს მშობლიურ ქვეყანას და ადამიანებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავიანთი მოღვაწეობით ქვეყნის განვითარებაში.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული წარმოდგენები სამშობლოზე, განსხვავებული დამოკიდებულებები სამშობლოს მიმართ.
- წარსულზე დაწერილი ლიტერატურა მეხმარება ჩემი ქვეყნის თანამედროვეობის უკეთ გაგებაში.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გვიჩვენონ, რა არის მათთვის სამშობლო, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ჩემს ქვეყანაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სამშობლოზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

ძირითადი რესურსები/ტექსტები:

1. „კაცი, რომელსაც სამშობლო ძლიერ უყვარდა“ - ერლომ ახვლედიანი
2. „ბედი ქართლისა“ - ნიკოლოზ ბარათაშვილი
3. „განთიადი“ - აკაკი წერეთელი
4. „**GEDEVANI**“ - რეზო გაბრიაძე (ნაწყვეტი)
5. „25 თებერვალი“ - კოლაუ ნადირაძე
6. ნუცა ღოღობერიძის ისტორია
7. „უსამშობლო კაცი“ - ედვარდ ჰეილი (ადაპტირებული)

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:

ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, გრამატიკა, სტრატეგიები

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:

მინიატურა, მხატვრულ-დოკუმენტური პროზა; ნარკვევი, პრობლემაზე ორიენტირებული ესე, ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა, ავტობიოგრაფიული ტექსტი, თხრობითი და აღწერითი ტექსტი, ისტორიული პოემა და კონტექსტი, ნარკვევი, ინტერვიუ და მისი სტრუქტურა, პოსტერი და მისი მახასიათებლები, ავტორი და ეპოქა;

სათაური და მისი სახეები; სტრუქტურა, პერსონაჟი - მისი განცდები, თვისებები, დამოკიდებულებები,

ლექსის თემა, იდეა, ლირიკული გმირის განცდები, მხატვრული საშუალებები, რითმა, სიმბოლო, არგუმენტები და მაგალითები ემოციის გამომხატველი შემასმენლები, მეტყველების ნაწილები, წინადადებები მოდალობისა და აგებულების მიხედვით, სინტაქსური წყვილები

მეტაკოგნიტური, კითხვისა და წერის სტრატეგიები

| ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „კაცი, რომელსაც სამშობლო ძლიერ უყვარდა“ - ერლომ ახვლედიანი<br><br>**ცნება/ცნებები:** გრამატიკა, კომპოზიცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** სათაური, მეტყველების ნაწილები, წინადადებები მოდალობისა და აგებულების მიხედვით, სინტაქსური წყვილები | კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|
| **1. ჟანრი**<br>(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br><br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>**2. კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br>1. 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>▸ ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის;<br>▸ პოემაში- თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის;<br>▸ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br>▸ არამხატვრულ ტექსტებში - იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რა ფუნქცია აკისრია სათაურს?<br>• როგორი ტიპის სათაურები არსებობს შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით?<br><br>საკითხი: სათაური, როგორც სტრუქტურული ერთეული<br><br>**აქტივობა N1**<br>თეორიის გაცნობა და სათაურებზე დაკვირვება<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: კვლევა და მისი ეტაპები<br><br>**აქტივობა N2**<br>კვლევის დაგეგმვა, სამუშაოს განაწილება.<br><br>**აქტივობა N3**<br>კვლევის შედეგების გაცნობა კლასისთვის. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით?<br>• რა ფუნქცია აქვს სათაურს, როგორც სტრუქტურულ ერთეულს?<br><br>**კომპლექსური დავალება N1**<br>სათაურების გრამატიკული კვლევა<br><br>სათაურები არა მხოლოდ ფუნქცია-შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ - ფორმითაც.<br>ჩაატარეთ მცირე გრამატიკული კვლევა.<br><br>• უპირველეს ყოვლისა, ჯგუფში გადაინაწილეთ ფუნქციები, შემდეგ აიღეთ ლიტერატურის ნებისმიერი ორი სახელმძღვანელო (უმჯობესია ახლანდელი ან უკვე გავლილი კლასის), დაამუშავეთ სარჩევი - დაახარისხეთ მასში მოცემული სათაურები გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.<br><br>• გამოიყენეთ გრამატიკის ცოდნა და თავად შექმენით ეს კატეგორიები (შეგიძლიათ, დაახარისხოთ როგორც მორფოლოგიის (მეტყველების ნაწილების) მიხედვით ან სინტაქსის (სიტყვების დაკავშირების, წინადადებების, მათი მოდალობა - აგებულების) მიხედვით;<br><br>• დახარისხების შემდეგ დაწერეთ მოკლე აღწერა, იმსჯელეთ წერილობით: სათაურების შერჩევის რა გრამატიკული კანონზომიერებები აღმოაჩინეთ და ახსენით თითოეულის ფუნქცია და მნიშვნელობა.<br><br>კვლევის შედეგები გააცანით ერთმანეთს. იმსჯელეთ, რა ნაბიჯები გადადგით კვლევაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე. |

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

**3. ენობრივ-გამომსახველობითი**

საშუალებები (შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით.
2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**4. კონტექსტი**

(შედეგები: საბაზო – 4, 6, 11, 12)

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.

3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ბედი ქართლისა“- ნიკოლოზ ბარათაშვილი

**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, ჟანრი, საკომუნიკაციო სიტუაცია

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** პერსონაჟი- მისი დამოკიდებულებები, შეხედულებები, ინტერვიუ და მისი სტრუქტურა

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის პირველი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

რითი უნდა იხელმძღვანელო პერსონაჟთან წარმოსახვითი ინტერვიუს დაწერისას? როგორ უნდა წარმოაჩინო პერსონაჟის თვისებები და დამოკიდებულებები ინტერვიუში? ჩაგიწერია/დაგიწერია ადრე ინტერვიუ?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.238, 248

**ეტაპი II. პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**

საკითხი: პერსონაჟები და მათი არგუმენტები

**აქტივობა N2**

პერსონაჟების არგუმენტები (ჯგუფური)

ჯგუფურად გადანაწილებული მოსწავლეები დაამუშავებენ სხვადასხვა პერსონაჟის არგუმენტებს იმ პრობლემაზე, რომელიც წამოჭრილია ტექსტში: საქართველოს პოლიტიკური კრიზისი და დამოუკიდებლად არსებობის საკითხი.

შეაჯამებენ, რომელი პერსონაჟის არგუმენტებია უფრო მრავალფეროვანი, რომელია უფრო ლოგიკური, უფრო დამაჯერებელი და რატომ.

**აქტივობა N3**

ნამუშევრების წარდგენა. მოსწავლეები დაჯგუფდებიან არჩეული პერსონაჟების მიხედვით და ჯერ ერთი პერსონაჟის ინტერვიუებს გააცნობენ კლასელებს, მერე - მეორეს.

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?
- როგორ/რის საფუძველზე შემიძლია ამოვიცნო პერსონაჟის პიროვნული მახასიათებლები, მისი შინაგანი სამყარო, შეხედულებები, ფასეულობები?
- როგორ წარმოვაჩინო პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ცოდნა?

**კომპლექსური დავალება N2**

**წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან**

გადანაწილდით წყვილებად. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ჟურნალისტები და ინტერვიუ უნდა ჩამოართვათ თქვენთვის სასურველ პერსონაჟს; აირჩიეთ ერთ-ერთი: ერეკლე მეორე ან სოლომონ ლიონიძე.

ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოწერეთ 8-8 შეკითხვა, რომლებსაც შერჩეულ რესპონდენტს დაუსვამთ.

როცა ორივე დაასრულებთ, გაცვალეთ ნაშრომები და ახლა მიუწერეთ სავარაუდო პასუხები თქვენი მეწყვილის კითხვებს.

გაითვალისწინეთ: როგორც კითხვების, ისე პასუხების წერისას მაქსიმალურად გამოიყენეთ ნ. ბარათაშვილის უკვე შესწავლილი ტექსტი და ის დამატებითი ისტორიული ცნობები, რომლებიც დაამუშავეთ აქტივობებში.

პერსონაჟი ასაუბრეთ შემდეგ თემებზე:

- ✔ მისი დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ;
- ✔ მისი თვალით დანახული საქართველოს წარსული, აწმყო (იგულისხმება ნაწარმოებში ასახული ეპოქა) და მომავალი.

ინტერვიუში წარმოაჩინეთ:

- არჩეული პერსონაჟის მიმართება ზემოთ ჩამოთვლილ თემებთან;
- მისი თვისებები, შეხედულებები, ზნეობრივი პრინციპები;
- მისი დამოკიდებულება სხვა პერსონაჟების მიმართ;
- ინტერვიუს ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა.
- წერისას გაითვალისწინეთ მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

| | | |
|---|---|---|
| **5. გრამატიკა**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)<br><br>1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთვის.<br>2. გრამატიკის ცოდნის გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის. | | სანამ დავალებების წაკითხვას დაიწყებდეთ, გადანაწილდით 2 ჯგუფად არჩეული პერსონაჟის მიხედვით. ჯერ ერთ პერსონაჟზე დაწერილი ნამუშევრები განიხილეთ, მერე - მეორე. იმსჯელეთ:<br><br>✔ რა მინიშნებებს, მასალას დაეყრდენით ტექსტიდან?<br>✔ რამდენად დაგეხმარათ დამატებითი ინფორმაცია?<br>✔ რა აღმოაჩინეთ ახალი ინტერვიუზე მუშაობისას? |
| **6. საკომუნიკაციო სიტუაცია**<br>(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)<br><br>1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს). | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ბედი ქართლისა"- ნიკოლოზ ბარათაშვილი<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** მოძიებული და წინასწარ დამოშავებული ისტორიული ცნობები ერეკლესდროინდელ საქართველოზე<br><br>ცნება/ცნებები: კონტექსტი, კომპოზიცია, ჟანრი<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: პოსტერი და მისი მახასიათებლები, ავტორი და ეპოქა; | |
| 2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.<br><br>3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.<br><br>**7. სტრატეგიები**<br>(შედეგები: საბაზო – 11, 12)<br><br>1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.<br><br>2. სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში. | ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რამდენად გეხმარება ნაწარმოების კონტექსტის ცოდნა მისი იდეის გაგებაში?<br>• რა იცი მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ?<br>• რა პარალელი შეიძლება გავავლოთ ერეკლესდროინდელ საქართველოსა და მე-19 საუკუნის საქართველოს შორის?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.238, 248<br><br>ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა<br><br>საკითხი: ისტორიული პოემა და ისტორიული წყაროები<br><br>**აქტივობა N2**<br>ნაწარმოებში ასახული ისტორია და ისტორიული წყაროები (ჯგუფური)<br><br>მოსწავლეები ჯგუფურად იმუშავებენ სხვადასხვა მიმართულებით ცნობების მოსაძიებლად:<br><br>✔ კრწანისის ბრძოლასთან დაკავშირებული მოვლენები;<br>✔ ცნობები ნაწარმოებში მოხსენიებულ ისტორიულ პირებზე;<br>✔ გეოგრაფიული გარემო, სადაც აღწერილი ამბები მიმდინარეობდა. | **საკვანძო შეკითხვები:**<br><br>• რატომ არის მნიშვნელოვანი კონტექსტის ცოდნა? რა გავლენას ახდენს კონტექსტი ნაწარმოებზე?<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო სტრუქტურისა და ორგანიზაციული ყალიბის ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N3**<br>პოსტერის შექმნა (ჯგუფური) შექმენით პოსტერი, რომელზეც შთამბეჭდავად და მოწესრიგებულად ასახავთ შემდეგ ინფორმაციას:<br><br>✔ ნაწარმოებში ასახული ეპოქა;<br>✔ ისტორიული რეალობა;<br>✔ ნაწარმოების შექმნის კონტექსტი;<br>✔ პრობლემის აქტუალურობა<br><br>*პოსტერი რომ სრულყოფილი გამოგივიდეთ:*<br><br>• წარმოაჩინეთ პირობაში მითითებული თემები ლაკონიური და შთამბეჭდავი ტექსტებით.. |

| | | |
|---|---|---|
| | საკითხი: ნაწარმოების შექმნის ეპოქა<br><br>**აქტივობა N3**<br>ბარათაშვილის ეპოქის გახსენება.<br>მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით იხსენებენ ეპოქას, რომელშიც ბარათაშვილი ცხოვრობდა.<br><br>**აქტივობა N4**<br>პოსტერების გამოფენა, რეფლექსია ნაშრომებზე.<br><br>მოსწავლეები გამოფენენ თავიანთ პოსტერებს საკლასო ოთახში და ახსნიან, რატომ გადაიტანეს ესა თუ ის ინფორმაცია მასზე. იმსჯელებენ, როგორ დაეხმარათ პოსტერზე მუშაობა ნაწარმოების კონტექსტის გააზრებაში. | • იხელმძღვანელეთ პოემით „ბედი ქართლისა“, დამატებით მოძიებული მასალით, დაიხმარეთ კითხვები და აქტივობები, რომელთა დახმარებითაც დაამუშავე ტექსტი.<br>• გამოიყენეთ ვიზუალური ეფექტები: ფოტოები, ილუსტრაციები, სიმბოლოები...<br>• გამოკვეთეთ აზრობრივი კავშირი პოსტერის სათაურს, წარწერებსა და ილუსტრაციებს შორის.<br>•<br>თქვენი პოსტერები გამოფინეთ საკლასო ოთახში. გამოფენისას, ახსენით, რა ინფორმაცია გადაიტანეთ პოსტერზე და რატომ? დაფიქრდით, როგორ დაგეხმარათ პოსტერზე მუშაობა ნაწარმოების კონტექსტის გააზრებაში |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „განთიადი“ - აკაკი წერეთელი | |
| | **ცნება/ცნებები:** ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები, ჟანრი, კომპოზიცია,<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა, ლექსის თემა, იდეა, ლირიკული გმირის განცდები, მხატვრული საშუალებები | |
| | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რა საკითხებზე უნდა გაამახვილო ყურადღება ლექსის ანალიზისას?<br>• რატომაა მნიშვნელოვანი მხატვრულ სახეებზე მსჯელობა? რაში გვეხმარება მათი განმარტება?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.257<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: ტროპის სახეები<br><br>**აქტივობა N2**<br>მხატვრული სახეების შექმნა<br>მოსწავლეებმა ცხრილში უნდა შეიტანონ ტროპის სახეები, რომლებიც სამშობლოს მიემართება ან პოეტის ემოციებს ასახავს.<br>შემდეგ განმარტავენ თითოეულს, უნდა შექმნან მხატვრული სახეები, რომლებიც იმავე დამოკიდებულებასა და ემოციას გამოხატავს. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა?<br><br>**დავალება N3**<br>ანალიტიკური ესე (ლექსის ანალიზი)<br>ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით დაწერე ა. წერეთლის ლექს „განთიადის" მხატვრულ-იდეური ანალიზი. გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br><br>• იმსჯელე ლექსის თემასა და იდეაზე და წარმოადგინე მათ მიმართ შენი დამოკიდებულება; |

| | მხატვრული სახეები, რომლებიც სამშობლოს მიემართება ლექს „განთიადში“ | შენი კომენტარი - რას გამოხატავს მხატვრული სახე | შენ მიერ მოფიქრებული |
|---|---|---|---|
| შედარება | | | |
| მეტაფორა | | | |
| გაპიროვნება | | | |

| | მხატვრული სახეები, რომლებიც ლირიკული გმირის განცდებს ასახავს ლექს „განთიადში“ | შენი კომენტარი - რას გამოხატავს მხატვრული სახე | შენ მიერ მოფიქრებული |
|---|---|---|---|
| შედარება | | | |
| მეტაფორა | | | |
| გაპიროვნება | | | |

საკითხი: რითმა და მისი სახეობები

**აქტივობა N3**

თეორია რითმაზე და მასთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულება. გვ. 259

საკითხი: წერის სტრატეგიები

**აქტივობა N4**

წერის სტრატეგიებზე მუშაობა.მოსწავლეები მარტივი ჩარჩოს დახმარებით ადგენენ ესეს გეგმას, ხოლო ნაშრომის შესრულების შემდეგ ასწორებენ სახელმძღვანელოში მოცემული კონკრეტული მითითებების მიხედვით.

- იმსჯელე ლირიკული გმირის განწყობასა და ემოციებზე; ახსენი, რა განაპირობებს მის ამგვარ განცდებსა და დამოკიდებულებებს;
- ისაუბრე მხატვრულ ხერხებზე, როგორ გადმოიცემა მათი საშუალებით ლირიკული გმირის განცდები და ლექსის იდეა;
- დაიცავი ანალიტიკური ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

დავალების წარდგენისას ისაუბრე, რა სტრატეგიები გამოიყენე, რათა სრულყოფილად შეგესრულებინა დავალება.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი: „GEDEVENI“ - რეზო გაბრიაძე**

**ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ნოველა და მისი მახასიათებლები, პერსონაჟი და მისი თვისებები, დამოკიდებულებები, აღწერითი და თხრობითი ტექსტები, ტროპის სახეები

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?
- რა შეიცვლება ან არ შეიცვლება ნაწარმოების ჟანრის შეცვლის შედეგად?

**საკვანძო შეკითხვები:**

- რა განსხვავებაა მხატვრულ-დოკუმენტურ პროზასა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის?
- რა განაპირობებს ნაწარმოების დოკუმენტურობას?
- დოკუმენტური ჟანრის კიდევ რომელი ნაწარმოები ისწავლე?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.268

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: მხატვრულ- დოკუმენტური პროზის მახასიათებლები

**აქტივობა N2**

მხატვრული პასაჟები დოკუმენტურ პროზაში (წყვილებში)

მოსწავლეები მოძებნიან ტექსტში ჩართულ მხატვრულ პასაჟებს (ფრაზები, ტროპის სახეები,) და იმსჯელებენ მათ ფუნქციებზე.

**აქტივობა N3**

მხატვრულ- დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებების შეპირისპირება(ჯგუფური)

მოსწავლეებმა უნდა შექმნან კოგნიტური სქემა (ცხრილი, ვენის დიაგრამა, თ ცხრილი...), რომელშიც შეიტანენ უკვე შესწავლილ მხატვრულ- დოკუმენტური ციკლის ნაწარმოებებს (მემუარები, ბიოგრაფია), სქემატურად ასახავენ მათ მსგავსება - განსხვავებებს, განიხილავენ სხვადასხვა კუთხით:

- ✔ ენა;
- ✔ სტრუქტურა;
- ✔ დოკუმენტური და მხატვრული ელემენტების თანაფარდობა;
- ✔ პერსონაჟების ხატვის საშუალებები;
- ✔ მწერლის ინდივიდუალური სტილი...

**N4** - ნაშრომების წარდგენა - მოთხრობებს წაიკითხავენ კლასში და იმსჯელებენ:

- ✔ რომელი მინიშნებები, დეტალები გამოიყენეს ნაწარმოებიდან;
- ✔ რატომ არის მათ მიერ შექმნილი ტექსტი ნოველა?
- ✔ რა სირთულეებს გადააწყდნენ დავალების შესრულებისას.

როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?

**კომპლექსური დავალება N5**

მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაზე დაყრდნობით მხატვრულ ნაწარმოების შექმნა.

რეზო გაბრიაძის ნაწარმოებში ხაზგასმულია ილიას ხელშეწყობა გედევანიშვილების ოჯახისადმი, მაგრამ არაფერს ამბობს ავტორი მათ უშუალო ურთიერთობაზე.

შენი ფანტაზიით დაწერე ნოველა სათაურით „შეხვედრა ვორონცოვის ხიდთან“, რომელშიც წარმოაჩენ: როგორ შესთავაზა ილიამ „ივერიის“ რედაქციაში ოთახები, როგორ გამოხატეს მადლიერება გედევანიშვილებმა, როგორ გაგრძელდა მათი განსხვავებული საქმიანობები ერთ სივრცეში.

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- დაეყრდენი ტექსტში არსებულ მინიშნებებს, შინაარსს;
- გაითვალისწინე პერსონაჟების ხასიათი და დამოკიდებულება სხვა პერსონაჟებთან.
- დაიცავი ნოველის ჟანრობრივი მახასიათებლები;
- თხრობა ააგე აღწერისა და თხრობის მონაცვლეობით;
- გამოიყენე ტროპის სხვადასხვა სახე (*შედარება, ეპითეტი, მეტაფორა...*)

შეგახსენებ: ნებისმიერი წერითი დავალების შესრულებისას მართლწერისა და პუნქტუაციის წესების გათვალისწინება აუცილებელია.

ნაშრომის წარდგენის შემდეგ იმსჯელე:

- ✔ რომელი მინიშნებები, დეტალები გამოიყენე ნაწარმოებიდან;
- ✔ რატომ არის შენ მიერ შექმნილი ტექსტი ნოველა?
- ✔ რა სირთულეებს გადააწყდი დავალების შესრულებისას.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „25 თებერვალი“-კოლაუ ნადირაძე.

დამატებითი რესურსები: ლექსის დაბეჭდვის ისტორია, მოსწავლეების მიერ წინასწარ მოძიებული და დამუშავებული მასალა პოეტსა და მის ლექსზე.

**ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი

ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: ნარკვევი და მისი სტრუქტურა,მახასიათებლები.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვა:**

- როგორ, რა ფორმით გააერთიანებ შენს ცოდნას ავტორზე, ნაწარმოებსა და ეპოქაზე?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 275

ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა

საკითხი: ლექსის კომპოზიციური ელემენტები

**აქტივობა N2**

შთაბეჭდილების დაწერა (წყვილებში)

მეწყვილეები მოცემული სქემის მიხედვი ჩაინიშნავენ ერთმანეთის პასუხებს.

| | | |
|---|---|---|
| 1 | რა ემოცია გაგიჩინა ლექსის წაკითხვამ? | |
| 2 | დაასახელე ოთხი მხატვრული საშუალება, რომელთა საშუალებითაც დაინახე გარემო ან შეიგრძენი მძიმე განწყობა; | |
| 3 | რა ფერია შენთვის ეს ლექსი? რომელმა სტრიქონებმა გიკარნახა ეს ფერი? | |
| 4 | სიტყვა, სტრიქონი, რომელმაც რაღაც გაგახსენა. | |
| 5 | ლექსის რომელ ფრაგმენტს დახატავდი? რითი მოახდინა ამ ფრაგმენტმა შენზე შთაბეჭდილება? | |
| 6 | რას ეტყოდი ლირიკულ გმირს? | |
| 7 | რომელი სიმღერა/კომპოზიცია გაგახსენა ლექსმა? | |
| 8 | ეს ლექსი უსათაურო რომ ყოფილიყო, რას დაარქმევდი? | |

საკითხი: კონტექსტი, რომელშიც ლექსი შეიქმნა

**აქტივობა N3**

ლექსი და ეპოქა (ინდივიდუალური, საკლასო)

მოსწავლეები წაიკითხავენ ქართველი კრიტიკოსის, ლევან ბრეგაძის, წერილს ლექსის გამოქვეყნების შესახებ. წაკითხულის მიხედვით მიხედვით იმსჯელებენ, თუ როგორი იყო კომუნისტური რეჟიმი, რა პირობებში უწევდათ მწერლებს ცხოვრება, წერა.

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?
- როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა?
- რა გავლენას ახდენს კონტექსტი ნაწარმოებზე?

**კომპლექსური დავალება N6**

ნარკვევის დაწერა

შენ უკვე იცი, რა მოხდა 1921 წლის თებერვალში, რატომ დაწერა კოლაუ ნადირაძემ „25 თებერვალი, 1921 წელი“, როგორ გამოქვეყნდა იგი, გაეცანი სხვა საინტერესო მასალებსაც.

დაწერე ნარკვევი - **„კოლაუ ნადირაძის ერთი ლექსი და მისი ისტორია“**, რომელშიც წარმოაჩენ ნაწარმოების შექმნის მიზეზებსა და მიზანს ეპოქის გათვალისწინებით.

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- გადმოეცი ინფორმაცია ავტორზე, ისაუბრე, რის შესახებ დაიწერა ეს ლექსი;
- მიმოიხილე ლექსის დაწერის ისტორია და ეპოქა;
- დაიცავი ნარკვევის მახასიათებლები;
- გაითვალისწინე ნარკვევის სტრუქტურა - გამოყავი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასასრული;
- მაქსიმალურად დაეყრდენი უკვე დამუშავებულ მასალას.

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა N4**<br>ინფორმაციის მოძიება ნაწარმოების შესახებ (ინდივიდ-უალური)<br><br>**აქტივობა N5**<br>ნამუშევრების წარდგენა კლასში. მოსწავლეები წაიკითხავენ თავიანთ ნარკვევებს და იმსჯელებენ:<br>• რატომ ფიქრობენ, რომ მათი ნაშრომი ნარკვევია;<br>• რამდენად დაეხმარათ ამ დავალებაზე მუშაობა ლექ-სის უკეთ გაგებაში;<br>• რა სტრატეგიები გამოიყენეს დავალებაზე მუშაობი-სას; | ნაშრომის წარდგენის შემ-დეგ ისაუბრე:<br><br>• რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნარკვევია?<br><br>• რამდენად დაგეხმარა ამ დავალებაზე მუშაობა ლექ-სის უკეთ გაგებაში?<br><br>• რა სტრატეგიები გამოი-ყენე დავალებაზე მუშაო-ბისას? |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:**<br>ნუცა ღოღობერიძის ისტორია | |
| | **ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ავტობიოგრაფიული ტექსტი, თხრობითი და აღწერითი ტექსტი, ემოციის გამომხატველი შემასმენლები. | |
| | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რა იცვლება, როცა ბიოგრაფიულ ტექსტს მხატვრულ ტექსტად აქცევ?<br>• რა მნიშვნელობა აქვს ხედვის კუთხეს?<br>• რას იწვევს მისი ცვლილება?<br>• გაიხსენე რომელი ავტობიოგრაფიული ტექსტი ისწავ-ლე, რა არის ამ ტექსტის მახასიათებელი?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 284<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხ-ების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენ-ების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: საინფორმაციო ტექსტი<br>**აქტივობა N2**<br>3 2 1 (ინდივიდუალური)<br>მოსწავლეებმა რვეულში უნდა დაასრულონ დაწყებული ფრაზები:<br><br>3 რამ, რაც არ ვიცოდი და გავიგე საინფორმაციო ტექს-ტის წაკითხვის შემდეგ...<br>2 რამ, რის შესახებაც მეტის გაგება მომინდა...<br>1 შეკითხვა, რომელსაც დავუსვამდი პირველ ქართველ ქალ რეჟისორს...<br>წაიკითხავენ და შეაჯამებენ.<br><br>საკითხი: ეპოქა<br>**აქტივობა N3**<br>ეპოქის მსხვერპლი - მოგონება და ვარაუდები (ინდივიდ-უალური, საკლასო)<br>მოსწავლეები წაიკითხავენ ნუცა ღოღობერიძის ქალ-იშვილის, ქართველი რეჟისორის, ლანა ღოღობერიძის მოგონებას და იმსჯელებენ სახელმძღვანელოში მოცე-მული მითითებების მიხედვით. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათე-ბლების ცოდნა?<br>• რა შეიცვლება ან არ შეიცვ-ლება ნაწარმოების ჟანრის შეცვლის შედეგად?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?<br><br>**კომპლექსური დავალება N7**<br>ბიოგრაფიაზე დაყრდნო-ბით მხატვრული ტექსტის შექმნა ნუცა ღოღობერიძის ბიოგრაფიიდან შეარჩიე შენთვის საინტერესო რამ-დენიმე ფაქტი, წარმოიდგინე მის ადგილას თავი და მისი ხედვის პერსპექტივიდან დაწერე ავტობიოგრაფიული რომანის ერთი თავი - მშრა-ლი ბიოგრაფიული ცნობები აქციე მხატვრულ ტექსტად.<br><br>ნაშრომში:<br>• დაეყრდენი ბიოგრაფიაში არსებულ მინიშნებებს და თანმიმდევრულად გად-მოეცი ამბავი თხრობისა და აღწერის ელემენტების მონაცვლეობით;<br>• წარმოაჩინე მთხრობლის განცდები და ემოციები;<br>• გამოიყენე შენთვის ნაცნო-ბი ტროპის სახეები (ეპითე-ტი, შედარება, მეტაფორა, ჰიპერბოლა..); |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა N4**<br>მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და იმსჯელებენ:<br><br>• რატომ ფიქრობენ, რომ მათი ნაწერი ავტობიოგრაფიული რომანის თავია და არა - სხვა ჟანრის ტექსტი?<br>• რას მატებს ტექსტს აღწერისა და თხრობის მონაცვლეობა?<br>• რამდენად დაეხმარა ლანა ღოღობერიძის რომანის ნაწყვეტის წაკითხვა დავალების შესრულებაში? | დავალების წარდგენის შემდეგ თანაკლასელებთან ერთად ისაუბრე:<br><br>• რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაწერი ავტობიოგრაფიული რომანის თავია და არა - სხვა ჟანრის ტექსტი?<br>• რას მატებს ტექსტს აღწერისა და თხრობის მონაცვლეობა?<br>• რამდენად დაგეხმარა ლანა ღოღობერიძის რომანის ნაწყვეტის წაკითხვა დავალების შესრულებაში? |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** ეს დავალება სრულდება მთელი თემის დამუშავების შემდეგ და არა რომელიმე ტექსტზე დაყრდნობით.<br>თუმცა მოსდევს ედვარდ ჰეილის „უსამშობლო კაცს“. | |
| | **ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** პრობლემაზე ორიენტირებული ესე,<br>სტრუქტურა, არგუმენტები და მაგალითები | |
| | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**<br><br>**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ წარმოაჩინო უკეთესად პრობლემა?<br>• როგორი უნდა იყოს დამაჯერებელი არგუმენტები?<br>• როგორ უნდა დავსახო პრობლემის მოგვარების გზები?<br>•<br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის („უსამშობლო კაცი“) გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.298<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხები: მთხრობელი, პერსონაჟები, მათი მიმართება ნაწარმოებში ასახულ მთავარ პრობლემასთან<br>**აქტივობა N2**<br>მთხრობელი და მთავარი პერსონაჟი (ინდივიდუალური)<br>მოსწავლეები ამ აქტივობით დააკვირდებიან მთხრობლის დამოკიდებულებას მთავარი პერსონაჟის მიმართ.<br><br>**აქტივობა N3**<br>მთავარი პრობლემა და პერსონაჟები (საკლასო)<br>მოსწავლეები მოაწყობენ მინიდისკუსიას, გამოკვეთენ ნაწარმოების მთავარ პრობლემას, პერსონაჟთა დამოკიდებულებას მთავარი პრობლემის მიმართ.<br>იმსჯელებენ, რატომაა აუცილებელი ტექსტის სიღრმისეულად გააზრებისთვის ამ ტიპის დავალების შესრულება. | **კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო სტრუქტურისა და ორგანიზაციული ყალიბის ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N8**<br>პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირებული ესე<br>ამ თავში განვიხილეთ ნაწარმოებები, რომლებიც სამშობლოსა და მის სიყვარულს უკავშირდება სხვადასხვა კუთხით.<br>ეს თემა მრავალ პრობლემას მოიცავს. ერთ- ერთია: *ბევრი ახალგაზრდა მიდის სასწავლებლად თუ სამუშაოდ საზღვარგარეთ და რაც ძალიან გულსატკენია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვართ თავიანთი სამშობლო, უკან აღარ ბრუნდებიან, რომ საკუთარ ხალხს მოახმარონ შეძენილი ცოდნა- გამოცდილება.*<br>დაწერე ამ საკითხზე ესე, რომელშიც წარმოაჩენ მისი გადაჭრის გზებს.<br>წერისას დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები. |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა N4**<br>ნაშრომების წარდგენა კლასში.<br><br>მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნაშრომებს და ისაუბრებენ შემდეგ საკითხებზე:<br><br>• როგორ დაეხმარა ესეს დაწერაში ტექსტზე მუშაობისას შესრულებული აქტივობები;<br>• დაუწერიათ თუ არა აქამდე ამ ტიპის ესე?<br>• წერის რომელი სტრატეგიები გამოიყენეს ესეს წერისთვის? | *ნამუშევარში:*<br><br>• წარმოაჩინე პრობლემა, მისი მიზეზები და შედეგები;<br>• გამოკვეთე პრობლემის გადაჭრის გზები და ახსენი, რა დადებით შედეგებს მოიტანს შენ მიერ შერჩეული გზა;<br>• შენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანე სათანადო არგუმენტები, გამყარებული კონკრეტული მაგალითებით (ცხოვრებიდან, ნაწარმოებებიდან, ფილმებიდან...);<br>• გამოკვეთე სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა, გამოყავი აბზაცები.<br><br>ნაშრომის განხილვის შემდეგ ისაუბრე;<br><br>• როგორ დაგეხმარა ესეს დაწერაში ტექსტზე მუშაობისას შესრულებული აქტივობები?<br>• დაგიწერია თუ არა აქამდე ამ ტიპის ესე?<br>• წერის რომელი სტრატეგიები გამოიყენე ესეს წერისას? |

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

**თემა: ადამიანი და ბუნება**

თემატური ბლოკი: სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

**საათების საორიენტაციო რაოდენობა:**

*(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)*

**კლასი: IX**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისგან?
- რატომ და როგორ უნდა მივაღწიოთ თანხმობას ბუნებასთან?
- რატომაა ბუნება შთაგონების წყარო მწერლებისთვის, სხვა ხელოვანებისთვის?
- რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარება ბუნებაზე, ჩვენს ცხოვრებაზე?
- რას გვასწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტები?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რამდენად დამეხმარება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტები ყოველდღიურ ცხოვრებაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ასახულია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებში.
- ავტორები/ხელოვანები წარმოგვიდგენენ ბუნებას სხვადასხვა კუთხიდან, განსხვავებული საშუალებების (სიტყვების; ბგერების; ფერების, ხაზების, ფორმების) გამოყენებით.
- სხვადასხვა ავტორის, პერსონაჟის/ლირიკული გმირის დამოკიდებულებები ბუნების მიმართ შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- ბუნების თემაზე შექმნილი ტექსტები გვეხმარება გავიაზროთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.
- ავტორები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ბუნების მიმართ, მოახდინონ ზემოქმედება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ბუნებაზე შექმნილ ლიტერატურაზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება/მოსაზრებები ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

**ძირითადი რესურსები/ტექსტები:**

1. „გველისმჭამელი“ - ვაჟა-ფშაველა (ნაწყვეტი)
2. „ხმელო ფოთოლო“ - ტარიელ ხარხელაური
3. „თეთრი ყანჩა“ - რევაზ ინანიშვილი
4. „ალბატროსი“ - შარლ ბოდლერი

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:**

ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა, საკომუნიკაციო სიტუაცია, სტრატეგიები.

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა, არგუმენტები და მაგალითები, საინფორმაციო ტექსტი, თემა, იდეა, სიუჟეტი, თხრობითი და აღწერითი ტექსტი, მინიატურა

პერსონაჟი - მისი თვისებები და დამოკიდებულებები;

მონოლოგი, დიალექტიზმები, მხატვრული ხერხები, ლექსიკა, რითმა და რიტმი;

წინადადებათა ტიპები აგებულებისა და მოდალობის მიხედვით, მარტივი და შერწყმული წინადადებები;

აუდიტორია და მიზანი;

<table>
<tr>
<th rowspan="2">ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</th>
<th>ძირითადი რესურსი/ტექსტი: „გველისმჭამელი“- ვაჟა-ფშაველა</th>
<th rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</th>
</tr>
<tr>
<th>ცნება/ცნებები: საკომუნიკაციო სიტუაცია, კომპოზიცია<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: პერსონაჟი - მისი თვისებები და<br>დამოკიდებულებები, მონოლოგი, აუდიტორია, და მიზანი.</th>
</tr>
<tr>
<td>
1. ჟანრი<br>
(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br><br>
1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>
2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>
2) კომპოზიცია/შინაარსობრივი<br>
მხარე (შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br><br>
1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br><br>
▸ ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის;<br><br>
▸ პოემაში- თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის;<br><br>
▸ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>
▸ არამხატვრულ ტექსტებში - იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;
</td>
<td>
კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>
ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>
საკვანძო შეკითხვები:<br>
• როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ პერსონაჟს განსხვავებულ, მისთვის უჩვეულო სიტუაციაში წარმოვიდგენთ?<br>
• შეიცვლება თუ არა რაიმე<br>
• მასში?<br>
• რა უნდა გავითვალისწინოთ, თუ მის ასეთ სიტუაციაში<br>
• აღმოჩენას გადავწყვეტთ?<br><br>
აქტივობა N1<br>
ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია<br>
რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.317, 324<br><br>
ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების<br>
დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა,<br>
დავალების წარდგენა<br><br>
საკითხი: პერსონაჟის დამოკიდებულება<br>
აქტივობა N2<br>
ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება<br><br>
სქემის დახმარებით მოსწავლე დააკვირდება, სად ჩანს ბუნების დამოკიდებულება ადამიანების მიმართ და პირიქით. ამოიწერს ციტატებს და მერე შეაჯამებს თავისი სიტყვებით.<br>
<table>
<tr><th>ბუნების დამოკიდებულება ადამიანების მიმართ</th><th>ადამიანების დამოკიდებულება ბუნების მიმართ</th></tr>
<tr><td>1. ...<br>2. ...<br>3. ...</td><td>1. ...<br>2. ...<br>3. ...</td></tr>
<tr><td>დასკვნა-შეჯამება</td><td>დასკვნა-შეჯამება</td></tr>
</table>
</td>
<td>
საკვანძო შეკითხვები:<br>
• როგორ/რის საფუძველზე შემიძლია ამოვიცნო პერსონაჟის პიროვნული მახასიათებლები, მისი შინაგანი სამყარო, შეხედულებები, ფასეულობები?<br>
• როგორ წარმოვაჩინო პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ცოდნა?<br>
• როგორ გამოვიყენო სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და კომუნიკაციის არხის ცოდნა?<br><br>
კომპლექსური დავალება N1<br>
პერსონაჟი განსხვავებულ სიტუაციაში.<br><br>
თანამედროვე მედიის განუყოფელი ნაწილია თოქშოუები. წარმოიდგინე, რომ გადაცემა ეთმობა თემას: თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულება ბუნების მიმართ. მასში მოიწვიეს მინდია, როგორც ყველაზე გამორჩეული, უცნაური რესპონდენტი, რომელმაც უნდა ისაუბროს საკუთარი თვალით დანახულ პრობლემებზე ამ კუთხით. დაწერე მინდიას მონოლოგი.<br><br>
ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br><br>
• წარმოაჩინე პერსონაჟის თვისებები, დამოკიდებულებები და ღირებულებები;<br>
• გამოკვეთე მისი თვალით დანახული თანამედროვე პრობლემები, მათი გადაჭრის გზები;<br>
• გაითვალისწინე აუდიტორია და შეარჩიე შესაბამისი სტილი.<br><br>
ნაშრომის დასრულების შემდეგ წაიკითხეთ კლასში თქვენ მიერ შესრულებული მონოლოგები, იმსჯელეთ, რამდენად დაგეხმარა ეს დავალება პერსონაჟისა და ნაწარმოების იდეის უკეთ გააზრებაში.
</td>
</tr>
</table>

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.
3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.
4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

**3. ენობრივ-გამომსახველობითი**

საშუალებები (შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით.
2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

**4. კონტექსტი**

(შედეგები: საბაზო – 4, 6, 11, 12)

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.
2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.

საკითხი: პერსონაჟი და მისი დამოკიდებულება ნაწარმოების მთავარი იდეის მიმართ.

**აქტივობა N3**

პერსონაჟის პოზიცია (ინდივიდუალურად)

„გველისმჭამელის“ სხვადასხვა თავში ორი პერსონაჟის, მინდიასა და ჩალხიას,

განსხვავებული პოზიციაა წარმოჩენილი. მოსწავლემ უნდა შეასრულოს

დავალება შემდეგი მითითებებით:

- ჩამოწერე მათი შეხედულებები პუნქტობრივად;
- მიუწერე თითოეულს პუნქტს შესაბამისი ციტატა და შენი კომენტარი.
- დავალების დასრულების შემდეგ იმსჯელე კლასელებთან ერთად, რომელ პოზიციას იზიარებ, რომელია შენთვის უფრო დამაჯერებელი და რატომ.

საკითხი: პოზიციის შეფასება

**აქტივობა N4**

როგორ ვიგებთ ლიტერატორის შეხედულებას (საკლასო)

სახელმძღვანელოში მოცემულია ბესიკ ხარანაულის ციტატა, რომელშიც საუბრობს ვაჟა-ფშაველას ბუნებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე.

მოსწავლეები კონკრეტული მითითებებით დაამუშავებენ ამ ამონარიდს.

**აქტივობა N5**

მონოლოგების წარდგენა კლასში და რეფლექსია ნამუშევრებზე.

**5. გრამატიკა**

(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)

1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთვის.

2. გრამატიკის ცოდნის გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის.

**6. საკომუნიკაციო სიტუაცია**

(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)

1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს).

2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.

3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.

**7. სტრატეგიები**

(შედეგები: საბაზო – 11, 12)

1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.

2. სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** ეს დავალება სრულდება ვაჟა-ფშაველას გველისმჭამელის“ შესწავლის და დამუშავების შემდეგ.

**ცნება/ცნებები:** ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** დიალექტიზმები, სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიაზე დაკვირვება

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- რამდენად რთული აღმოჩნდა შენთვის ვაჟა-ფშაველას ენა?
- რამ წარმოქმნა ეს სირთულე?
- ხომ არ იცი სხვა რომელიმე ქართველი ავტორი, რომელიც დიალექტიზმებს იყენებს?
- შენი აზრით, რატომ იყენებენ მწერლები დიალექტიზმებს?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.317, 324

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: დიალექტიზმები

**აქტივობა N2**

თეორიის გაცნობა დიალექტსა და დიალექტიზმებზე.

მოსწავლე შეასრულებს თეორიასთან დაკავშირებული სავარჯიშოებს:

- ✔ იმსჯელე, რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე დიალექტით დაწერილმა პოემამ?
- ✔ ხომ არ გაგიჭირდა შინაარსის გაგება? პასუხი დაასაბუთე.
- ✔ კიდევ ერთხელ გადახედე მონაკვეთს „გველიმჭამელიდან“, ამოკრიფე და განიხილე:

ა) დიალექტური სიტყვები და ფრაზები

ბ) დიალექტით გადმოცემული წინადადებები

**აქტივობა N3**

კვლევის შედეგების პრეზენტაცია კლასში.

**კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები**

**კომპლექსური დავალება N2**

მცირე კვლევა - დიალექტიზმებზე დაკვირვება

აირჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილი დავალებებიდან ერთ-ერთი.

ა) დააკვირდით თქვენსა და გარშემყოფთა მეტყველებას. ჩაიწერეთ, თქვენი მხარისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. შეადგინეთ მცირე ლექსიკონი და დაახარისხეთ გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

დაწერეთ მცირე შეჯამება- სალიტერატურო ენის რომელი ნორმები ირღვევა ყველაზე ხშირად.

ბ) გაიხსენეთ, მოიძიეთ თქვენი კუთხის მწერალი (პროზაიკოსი ან პოეტი), გაინაწილეთ და გადაიკითხეთ მისი შემოქმედების გარკვეული ნაწილი. დააკვირდით, იყენებს თუ არა დიალექტიზმებს. თუ კი, დაახარისხეთ, რომელ დიალექტიზმებს იყენებს და იმსჯელეთ წერილობით, რა ფუნქცია აკისრია მათ.

კვლევის შედეგები წარადგინეთ კლასში, შეადარეთ ჯგუფებში შეგროვებული მასალა და თქვენი დასკვნები ერთმანეთს: არის თუ არა მსგავსება ჯგუფების ნამუშევრებს შორის.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ხმელო ფოთოლო“ - ტარიელ ხარხელაური

**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, ჟანრი, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები

**ქვეცნება/ქვეცნებები,**
**საკითხ(ებ)ი:** ლექსის თემა, იდეა, მინიატურა და მისი მახასიათებლები, ტროპის სახეები

**კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები**

**ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

საკითხი: ლექსიკის გააქტიურება

**აქტივობა N1**

ბინდი, გზა, ქარი, ფოთოლი, გრიგალი - ახლა უნდა წაიკითხო ლექსი, რომელშიც ამ სიტყვებს შეხვდები.

- შენი აზრით, რა აქცევს სიტყვებს ლექსად?
- სცადე, ზემოთ ჩამოთვლილთაგან გამოიყენო ერთი ან რამდენიმე სიტყვა და შეთხზა ლექსის ერთი სტროფი ზეპირად.
- ფოტოზე ნაჩვენები განწყობა გარკვეულწილად ასახულია ლექსში. როგორ გგონია, რა თემაზე შეიძლება იყოს იგი?

**აქტივობა N2**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 331

**ეტაპი II. პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**

საკითხი: ლექსის თემა და სტრუქტურა

**აქტივობა N3**

დაასრულე ფრაზა (საკლასო)

მოსწავლეები დასხდებიან წრეზე, მასწავლებელი ფურცლებზე დაწერს ლექსის სტრიქონებს და მოათავსებს სკივრში, რომელიც ხელიდან ხელში გადავა.

მოსწავლეები ამოიღებენ თანმიმდევრულად ფურცლებს, წაიკითხავენ სტრიქონს ხმამაღლა და მოუფიქრებენ დასასრულს. ისაუბრებენ იმაზე, რა ასოციაციასა და ემოციას იწვევს მათში წაკითხული სტრიქონი.

საკითხი: ლექსის იდეა

**აქტივობა N4**

ლექსის იდეის წარმოჩენა ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ჯგუფური)

**საკვანძო შეკითხვები:**

- როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურის ცოდნა?
- როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა?

**კომპლექსური დავალება N3**

ლექსის იდეაზე მინიატურის შექმნა

ტ.ხარხელაურის ლექსის „ხმელო ფოთოლო“ იდეის მიხედვით დაწერე მინიატურა (წინა თავში შენ უკვე გაეცანი როგორც მინიატურის ნიმუშს

(ა. ახვლედიანის „ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძლიერ უყვარს“) და ასევე თეორიულ მასალასაც მის შესახებ)

დაიცავი სალიტერატურო ენის ნორმები.

მინიატურაში:

- შეინარჩუნე ლექსის იდეა;
- წარმოაჩინე ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება;
- გაითვალისწინე მინიატურის მახასიათებლები;
- გამოიყენე შენთვის ნაცნობი ტროპის სახეები;

მინიატურების წაკითხვის მერე ისაუბრე:

- რატომ არის შენ მიერ შექმნილი ტექსტი მინიატურა?
- რამდენად რთული აღმოჩნდა ლექსის იდეის პროზაში გადატანა?
- რა კუთხით დაგაფიქრა ამ დავალებამ ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე?
- რა ფუნქცია აქვს შენ მიერ გამოყენებულ მხატვრულ სახეებს.

მოსწავლეები გადანაწილდებიან ჯგუფებად:

I - მხატვრობა
II - ცეკვა
III - მუსიკა

მოიძიებენ ნახატს, ცეკვას ან სიმღერას, რომელიც, მათი აზრით, გამოხატავს ტარიელ ხარხელაურის ლექსის იდეას, გაუზიარებენ ჯერ ჯგუფის წევრებს, მერე კი წარადგენენ შეკრულ კომპოზიციას კლასის წინაშე.

**აქტივობა N5**

ლექსის იდეა ფოტოდ

მოსწავლეები ტარიელ ხარხელაურის ლექსის მიხედვით გადაიღებენ ფოტოებს, რომელიც გამოხატავს ლირიკული ტექსტის იდეას.

შემდეგ მოაწყობენ ფოტოგამოფენას და დამთვალიერებლებს აუხსნიან, როგორ გადაიღეს ფოტო და რა იგულისხმეს მასში. რამდენად დაეხმარა ეს დავალება ლექსის იდეის გაგებაში.

**აქტივობა N6**

მინიატურების წაკითხვა და მსჯელობა მითითებების მიხედვით.

**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „თეთრი ყანჩა“ - რევაზ ინანიშვილი

**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** თემა, იდეა, სიუჟეტი, პერსონაჟები, მხატვრული ხერხები, თხრობითი და აღწერითი ტექსტი

**კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვისკომპლექსურიდავალებისპირობისგაცნობა**

შენ უკვე სცადე, ცალკეულ სიტყვებზე აგეგო ლექსი. ამჯერად ფრაზებსა და წინადადებებზე უნდა ააგო ახალი ამბავი, სიუჟეტი. როგორ ფიქრობ, რა სირთულეს წააწყდები? როგორ შეიძლება ამ სირთულის დაძლევა?

**აქტივობა N1**

ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.339

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

**საკვანძო შეკითხვა:**

- როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა?

**კომპლექსური დავალება 4**

ნაწარმოების ფრაზების მიხედვით ახალი თხზულების შექმნა

ქვემოთ მოცემულია რ. ინანიშვილის მოთხრობიდან ამოღებული ფრაზები და წინადადებები. მათი გამოყენებით ააგე ახალი, სრულიად განსხვავებული სიუჟეტის თხზულება.

აუცილებლად გამოიყენე ყველა ფრაგმენტი, მაგრამ შენთვის სასურველი მიმდევრობით.

| | | |
|---|---|---|
| | საკითხი: აღწერითი ტექსტი<br><br>**აქტივობა N2**<br>აღწერითი ტექსტის დამუშავება<br><br>მოსწავლეები კონკრეტულ მონაკვეთს (გვ.339) აკვირდებიან შემდეგი მითითებების მიხედვით:<br><br>✔ ვინ/რა არის აღწერილი და რა ფუნქცია აქვს აქ აღწერას?<br>✔ რომელი მეტყველების ნაწილების სიმრავლე შეიმჩნევა?<br>✔ რა სახის წინადადებებს იყენებს (მოდალობისა და აგებულების მიხედვით)?<br>✔ გვხვდება თუ არა ამ მონაკვეთში მხატვრული სახეები?<br>✔ სცადე, აღწერო იგივე სურათი, მაგრამ სულ სხვა სიტყვებითა და სტილით.<br><br>**აქტივობა N3**<br>თხზულების დაწერის შემდეგ მოსწავლეები მოაწყობენ მხატვრული კითხვის დღეს (სტრატეგიები მითითებული აქვთ სახელმძღვანელოში) და იმსჯელებენ, დავალების რომელ ნაწილზე მუშაობა აღმოჩნდა მათთვის უფრო საინტერესო და რატომ. | *„რამდენიმე ნაბიჯი კიდევ უფრო ფრთხილად გადადგა, ისევ გაჩერდა, ისევ რაღაცას დააკვირდა და სახე თანდათან გაუნათდა.“*<br>*„იდგა სულ დაღონებული, არც კი ინძრეოდა. თვალებში ძალიან დიდი გულგრილობა ეხატებოდა“.*<br>*„მთელმა ოჯახმა უნდა ვიშიმშილოთ, ეგ რომ გამოვკვებოთო“.*<br>*„გულმა აღარ მომითმინა და ჩავედი...“*<br>*„ისევ ჭალებს, ჭაობებს, ზედაპირგაპრიალებულ გუბეებს და თეთრად გაელვებულ ყანჩის ზურგს ხედავდა“.*<br>*გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.*<br><br>• ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br>• თემა დატოვე უცვლელად, მაგრამ იდეა, შეგიძლია, შეცვალო;<br>• სიუჟეტი და პერსონაჟები იყოს სრულიად განსხვავებული;<br>• გამოიყენე როგორც თხრობითი, ისე აღწერითი ტექსტი;<br>• ამბავი გადმოეცი მხატვრული სახეების დახმარებით;<br><br>დავალებების შესრულების შემდეგ მოაწყვეთ თქვენი ნაწარმოებების მხატვრული კითხვის დღე.<br><br>ნაშრომების წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ, რამდენად საინტერესო აღმოჩნდა ასეთი ორეტაპიანი (დაწერა და კითხვა) დავალების შესრულება;<br>რომელზე მუშაობა აღმოჩნდა თქვენთვის უფრო საინტერესო და რატომ. |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ალბატროსი“ - შარლ ბოდლერი<br><br>**ცნება/ცნებები:** ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები,<br>გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ლექსიკა, რითმა და რიტმი,<br>წინადადებათა ტიპები აგებულებისა და მოდალობის მიხედვით | **კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები** |
| | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გგონია, რამდენად რთული საქმეა მხატვრული ნაწარმოებების<br>• თარგმნა? რა შეიძლება დაიკარგოს მხატვრულმა ტექსტმა თარგმნისას?<br>• როდესმე ხომ არ გიცდია ორიგინალისა და თარგმანის შედარება?<br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია<br>რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.347 | საკვანძო შეკითხვები:<br><br>• როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა?<br><br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით? |

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: ლირიკული გმირის ემოციები

**აქტივობა N2**

ემოციებზე დაკვირვება (ინდივიდუალური)

მოსწავლეები ამოიწერენ ლექსიდან ემოციების, განწყობის გამომხატველ სიტყვებსა ან ფრაზებს და მიუწერენ თითოეული ვის/რას მიემართება და რამ გამოიწვია ეს ემოცია, მიზეზს.

საკითხი: ლექსის თემა და იდეა

**აქტივობა N3**

რეიტინგული ფრაზები

აქტივობა – რეიტინგული ფრაზები ლექსში (ჯგუფური)

შეარჩიეთ და ამოწერეთ ლექსიდან წებოვან ბარათებზე 5 ფრაზა, რომლებიც, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია ლექსის თემისა და იდეის გასააზრებლად.

ამის შემდეგ განათავსეთ ეს ფრაზები დაფაზე დახაზულ რეიტინგულ კიბეზე (იხ.ნიმუში) მნიშვნელოვნების მიხედვით. დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება.



როცა ყველა ჯგუფი განათავსებს თავიანთ ფრაზებს, დააკვირდით, რომელი ფრაზა აღმოჩნდა ყველაზე რეიტინგული და იმსჯელეთ, რამდენად გამოხატავს თუ უკავშირდება ის ფრაზა ლექსის იდეას.

**აქტივობა N4**

მოსწავლეები დაკვირვების შედეგებს გადაიტანენ Power Point - ის ფორმატის პრეზენტაციაში

და ისე წარუდგენენ კლასს. იმსჯელებენ მხატვრული თარგმანის იმ სირთულეებზე, რომლებიც დაკვირვების შედეგად დაინახეს.

**საკვანძო შეკითხვები:**

როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა?

როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით?

**კომპლექსური დავალება N5**

თარგმანების მხატვრული ანალიზი (ჯგუფური სამუშაო)

იმაზე, რომ შარლ ბოდლერის „ალბატროსი" ძალიან პოპულარული ლექსია, ისიც მიუთითებს, რომ ქართულად მისი რამდენიმე თარგმანი მოგვეპოვება. ერთი, გივი გეგეჭკორის თარგმანი, უკვე დაამუშავე კითხვებისა და აქტივობების დახმარებით, კიდევ ორ მათგანს გაგაცნობთ აქვე: პირველი თარგმნა დავით აკრიანმა, ხოლო მეორე - ანდრო ბუაჩიძემ.

შეადარეთ სამივე თარგმანი რამდენიმე ასპექტით:

- რამდენად გასაგებია თარგმნილი ლექსების შინაარსი, გამოკვეთე განსხვავებები სტრიქონებში, ფრაზებში;
- როგორია ლექსიკა, რომელსაც მთარგმნელები იყენებენ: რთული, ხელოვნური, გასაგები, კონტექსტს მორგებული...
- როგორ რითმებსა და რიტმს იყენებენ მთარგმნელები, ემთხვევა თუ არა მათი სტილი ერთმანეთს?
- ერთი ტიპის წინადადებებს იყენებენ თუ განსხვავებულს (აგებულების მიხედვით)?
- შენი აზრით, რომელში წარმოჩნდება უკეთესად ლექსის იდეა?

თქვენი დაკვირვების შედეგები გადაიტანეთ Power Point - ის ფორმატის პრეზენტაციაში და ისე წარუდგინეთ კლასს.

აუცილებლად იმსჯელეთ, რა ცოდნა შეიძინეთ ამ დაკვირვების შედეგად: რა სირთულეებს შეიძლება, წააწყდეს მთარგმნელი შინაარსობრივად და ფორმის თვალსაზრისით.

<table>
<tr>
<td rowspan="4"></td>
<td>ძირითადი რესურსი/ტექსტი: ეს დავალება სრულდება თავის ბოლოს და მოსწავლეებს უკვე შესწავლი-ლი ექნებათ ამ თემაზე რამდენიმე ნაწარმოები.</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები</td>
</tr>
<tr>
<td>ცნება/ცნებები: ჟანრი, კომპოზი-ცია, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა,თეზისი, არგუმენ-ტები და მაგალითები</td>
</tr>
<tr>
<td>ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლე-ქსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>საკვანძო შეკითხვები:<br>• რომელი ნაწარმოებები შეისწავლე ადამიანისა და ბუნების ურთიერ-თობის შესახებ?<br>• რა კუთხით დაინახე ეს ურთიერ-თობა სახელმძღვანელოში მოცემუ-ლი ტექსტების დახმარებით?<br>• რამდენად დაგეხმარა ამ საკითხის სიღრმისეულად გააზრებაში ამ თავში შემავალი აქტივობები?<br><br>ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენ-ების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა<br><br>საკითხი: ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა<br><br>აქტივობა N1<br>ანალიტიკური ესეს მახასიათე-ბლების გახსენება.<br><br>აქტივობა N2<br>მოსწავლეები წარადგენენ ესეებს და ისაუბრებენ, წერის რომელი სტრატ-ეგიები გამოიყენეს დავალების შესასრულებლად.<br><br>ტაპი I.მოსწავლეებისთვისკომპლექ-სურიდავალებისპირობისგაცნობა<br><br>ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენ-ების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასი-ათებლებისა და სტრუქტურის ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელე-მენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა?<br>• როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახვ-ელობითი საშუალებების ცოდნა?<br><br>კომპლექსური დავალება N6<br>ანალიტიკური ესე<br><br>„ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამ-ოვლინებაა, ადამიანი კი – ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორიც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სუ-ლიერებას არ ირწმენს და მის ტკივილს არ გაიზიარებს. ბუნება ოდესმე სამაგიეროს გადაუხდის თავის ყოვლისშემძლეობით გაამპარტავნებულ ადამიანს და მარტოდმ-არტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე“ – ყურადღებით წაიკითხე ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები, თავდაპირველად იმსჯელე კლასში მასწავლებელთან ერთად, როგორ გაიგე მწერლის ეს შეხედულება და დაწერე ანალიტიკური ესე.<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br><br>• იმსჯელე, ეთანხმები თუ არა მოცემულ მოსაზრებას;<br>• ჩვენს თავში შესწავლილი ნაწარმოე-ბებიდან რომლებს დაუკავშირებდი ვაჟას ამ სიტყვებს და რატომ?<br>• გაიხსენე სხვა რომელიმე ნაწარმოები, რომელიმე ფილმი ან ანიმაცია, რომელიც იმავე პრობლემას ეხება და გაავლე პარა-ლელი მასთან, გამოიყენე არგუმენტებად და მაგალითებად.<br>• დაიცავი ესეს ტრადიციული სამნაწილ-იანი სტრუქტურა;<br><br>ესეები წაიკითხეთ კლასში, მათი დახმარე-ბით შეაჯამეთ ამ თავის თემა „ბუნება და ადამიანი“. ასევე ისაუბრეთ წერის იმ სტრატეგიებზე, რომლებმაც გაგიადვილათ ესეს დაწერა.</td>
</tr>
</table>

**დამატებითი რესურსი:** სურათი

**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, გრამატიკა

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** საინფორმაციო ტექსტი, მარტივი და შერწყმული წინადადებები

**კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები**

**ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**საკვანძო შეკითხვები:**

- რა არის საინფორმაციო ტექსტის მახასიათებლები?
- შენი აზრით, როგორი წინადადებებით უნდა დაწერო საინფორმაციო ტექსტი, რომ მარტივად აღსაქმელი იყოს?
- შეგიძლია, გაიხსენო საინფორმაციო ტექსტის ნიმუში?

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: მარტივი და შერწყმული წინადადება

**აქტივობა N1**

გრამატიკის სახელმძღვანელოს მიხედვით თეორიის დამუშავება და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულება მარტივსა და შერწყმულ წინადადებაზე.

**აქტივობა N2**

ნაშრომების წარდგენა და ანალიზი.

**საკვანძო შეკითხვა:**

- როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით?

**კომპლექსური დავალება N7**

ნახატის მიხედვით (გვ.113) დაწერე საინფორმაციო ტექსტი.

გაითვალისწინე შემდეგი მითითებები:

- აღწერე, სად ხდება მოქმედება და როგორ შედგა ხალხთა კომუნიკაცია.
- როგორია ადგილობრივების დამოკიდებულება ბუნების მიმართ.
- გამოიყენე მარტივი და შერწყმული წინადადებები.
- ყურადღება მიაქციე მართლწერასა და პუნქტუაციას.

ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:

- ახსენი, რომელი გრამატიკული საკითხების ცოდნა დაგჭირდა დავალების სწორად შესასრულებლად?

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

თემა: სიკეთე თუ ბოროტება - გზა, რომელსაც ვირჩევთ

(თემატური ბლოკი: მარადიული ძიებები

**საათების საორიენტაციო რაოდენობა:**

*(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)*

**კლასი:** IX

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რა როლს ასრულებს ადამიანის არჩევანი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში?
- როგორ/რისი მეშვეობითაა შესაძლებელი ბოროტების დამარცხება?
- რამდენად არის სიკეთის არქმნა გულგრილობა, ბოროტება?
- რამდენად და რატომ შეიცვალა/არ შეიცვალა ადამიანის წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე დროთა განმავლობაში?
- რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სიკეთესა და ბოროტებასთან დაკავშირებით?
- რამდენად და როგორ დამეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკეთისა და ბოროტების თემაზე შექმნილი ლიტერატურის ცოდნა?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რა მსგავსება-განსხვავებაა ამ თემაზე შექმნილ ტექსტებს შორის?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანების წარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე ასახულია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებში.
- ავტორები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა წარმოგვიდგინონ თავიანთი დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ზნეობრივ არჩევანზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ზნეობრივ არჩევანზე შექმნილ ლიტერატურაზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულებები სიკეთისა ან ბოროტების მიმართ, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

**ძირითადი რესურსები/ტექსტები:**

1. „ათი ქალწულის იგავი“ - იგავი სახარებიდან
2. „კაცი და გველი“- სულხან-საბა ორბელიანი
3. „ჩემი ვედრება“ - ვაჟა-ფშაველა
4. „სამხრეთული სპილო“ - არჩილ ქიქოძე (ნაწყვეტი)
5. „ზებულონი“ - ჯ.ქარჩხაძე (ნაწყვეტი)
6. „უკანასკნელი ფოთოლი“ - ო’ჰენრი

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:**

**ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, გრამატიკა, სტრატეგიები.**

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

**იგავ-არაკი, პიესა და სტრუქტურა, მისი მახასიათებლები: რემარკები, რეპლიკები, მოქმედებები**

**პოსტერი, რადიოპიესა.**

| ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ათი ქაწულის იგავი“ (ძველსა და ახალ ქართულზე დაწერილი)<br><br>**ცნება/ცნებები:** ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ლექსიკა, ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები, წინადადების აგებულება | კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|
| **1. ჟანრი**<br>(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br><br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br><br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>**2. კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br><br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>▸ ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის;<br><br>▸ პოემაში- თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის;<br><br>▸ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>▸ არამხატვრულ ტექსტებში - იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რამდენად რთული აღმოჩნდა თქვენთვის ძველი ქართულით დაწერილი ტექსტის გაგება?<br>• როგორ ფიქრობთ, რამ გააჩინა ეს სირთულე (ლექსიკამ, განსხვავებულმა გრამატიკულმა ფორმებმა, განსხვავებულმა სინტაქსმა)?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.358<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>**აქტივობა N2**<br>კონკრეტული საკითხების გამეორება გრამატიკაში.<br><br>**აქტივობა N3**<br>მოსწავლეები წარადგენენ ნაშრომებს და ისაუბრებენ:<br>რა გამოიკვეთა მათი დაკვირვებით, რომელი გრამატიკული წესები შეცვლილა?<br>რომელი სიტყვები აღარ გამოიყენება თანამედროვე ქართულში? | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს?<br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით?<br><br>**კომპლექსური დავალება N1**<br>ძველი და ახალი ქართულით დაწერილი ტექსტების შედარება<br><br>სახელმძღვანელოში გვერდიგვერდ მოცემულია თანამედროვე და ძველი ქართულით დაწერილი ტექსტები. ძველ ქართულს არ ახლავს ლექსიკონი.<br><br>შეადარე ეს ორი ტექსტი რამდენიმე კუთხით:<br>• ლექსიკა - მოინიშნე, რომელი სიტყვები აღარ გამოიყენება ახალ ქართულში. შეადგინე ამ სიტყვების მცირე ლექსიკონი და მიუწერე ახალი შესატყვისი;<br>• სიტყვათა ფორმები - წარმოაჩინე სიტყვათა ფორმაცვალების თავისებურებანი, რომლებიც ძველ ქართულში იყო, მაგრამ ახალში აღარ არის ან სახეცვლილია: მაგალითად, მრავლობითის წარმოება, არსებით სახელთა ბრუნება, ზმნისწინთა გამოყენება, ზმნების უღლება... ასევე ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: თანდებულები, კავშირები და ა.შ.<br>• დაუკვირდი წინადადების წყობას, აგებულებას, იმსჯელე, არის თუ არა განსხვავებული ამ კუთხით ეს ორი ტექსტი.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br>რა გამოიკვეთა შენი დაკვირვებით, რომელი გრამატიკული წესები შეცვლილა?<br>რომელი სიტყვები აღარ გამოიყენება თანამედროვე ქართულში? |

| | | |
|---|---|---|
| 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „კაცი და გველი“ - სულხან-საბა ორბელიანი<br><br>**ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის. | **ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** იგავ-არაკი, პიესა და სტრუქტურა, მისი მახასიათებლები: რემარკები, რეპლიკები, მოქმედებები | |
| 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)<br><br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით.<br><br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br><br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რა არის პიესა? სცენარი?<br>• გაიხსენეთ, რომელი პიესა ისწავლეთ წინა კლასებში.<br>• რითი გამოირჩევა პიესა სხვა ჟანრის ნაწარმოებებისაგან?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 365<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: პერსონაჟები, მათი შეხედულებები და მეტყველება<br>**აქტივობა N2**<br>პერსონაჟები, მათი შეხედულებები და მეტყველება (წყვილებში)<br><br>მოსწავლეები ამოიწერენ რვეულში თითოეული პერსონაჟს და წარმოაჩინენ სქემატურად: | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• რა შეიცვლება ან არ შეიცვლება ნაწარმოების ჟანრის შეცვლის შედეგად?<br><br>**კომპლექსური დავალება N2**<br>**იგავ-არაკის გადაკეთება პიესად**<br><br>დავალება შეასრულეთ ჯგუფურად. გადააკეთეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ- არაკი „კაცი და გველი“ პიესად.<br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეთ, გაითვალისწინეთ პიესის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები:<br><br>• პიესას წაუმძღვარეთ <u>პერსონაჟთა ჩამონათვალი;</u><br><br>• გადააკეთეთ იგავ-არაკის შესაბამისი ნაწილები რემარკებად;<br><br>• პერსონაჟთა დიალოგს მიეცით პიესის შესაბამისი ფორმა, გამოიყენეთ <u>რეპლიკები</u>.<br>• დაყავით თქვენ მიერ შედგენილი ტექსტი <u>მოქმედებებად.</u> |
| 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად. | პერსონაჟი<br>↓<br>შეხედულება<br>↓<br>არგუმენტი<br>↓<br>რას დაამატებდით, რომ ემოციური, შთამბეჭდავი გახდეს მისი ნათქვამი? | • შეინარჩუნეთ იგავ-არაკის ძირითადი თემა, იდეა, მაგრამ შეგიძლიათ, დაამატოთ პერსონაჟები, დეტალები, რომლებიც, თქვენი აზრით, უფრო გამოკვეთს პრობლემას და გააცოცხლებს ტექსტს. |

| | | |
|---|---|---|
| **5. გრამატიკა**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)<br><br>1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთვის.<br><br>2. გრამატიკის ცოდნის გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის.<br><br>**6. საკომუნიკაციო სიტუაცია**<br>(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)<br><br>1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს).<br>2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.<br>3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.<br><br>**7. სტრატეგიები**<br>(შედეგები: საბაზო – 11, 12)<br><br>1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.<br>2. სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში. | აქტივობის შესრულების შემდეგ იმსჯელებენ, რომელი მეტყველების ნაწილები, ტროპის სახეები თუ რა ტიპის წინადადებები დაამატეს პერსონაჟების მეტყველებას. შეცვალა თუ არა ამ ნიუანსებმა პერსონაჟის თვისებები, დამოკიდებულებები?<br><br>საკითხი: პიესა და მისი მახასიათებლები<br>**აქტივობა N3**<br>გავიხსენოთ პიესა (საკლასო)<br>მოსწავლეები ერთობლივად გაიხსენებენ, რითი გამოირჩევა პიესა სხვა პროზაული ნაწარმოებებისაგან.<br><br>თითოეულ მახასიათებელს ჩამოწერენ დაფაზე. ვერსიების ამოწურვის შემდეგ უნდა შეაჯამონ, განმარტონ თითოეული ელემენტის ფუნქცია.<br><br>**აქტივობა N4** პიესების დაწერის შემდეგ მოსწავლეები მოაწყობენ როლური კითხვის დღეს, მოიწვევენ მასწავლებლებს და სთხოვენ, თითოეული ნაშრომის საინტერესო მხარე წარმოაჩინონ. | • პიესის დაწერის შემდეგ, გაინაწილეთ როლები და მოაწყვეთ პიესების როლური კითხვის დღე,მოიწვიეთ სხვა მასწავლებლები, გააცანით კრიტერიუმები. სთხოვეთ მათ, მოსმენის შემდეგ თითოეული ნაშრომის საინტერესო მხარე წარმოაჩინონ, მოგცეთ რჩევები;<br><br>გაუზიარეთ მათ თქვენი აზრები:<br><br>• პიესის რომელ ელემენტზე/ნაწილზე მუშაობა აღმოჩნდა განსაკუთრებით საინტერესო/მარტივი/რთული?<br><br>• წერის რა სტრატეგიები გამოიყენე, რათა ადვილად და სრულყოფილად შეგესრულებინა დავალება?<br><br>• დაამატე თუ არა რაიმე ტექსტს? ახსენი შენი გადაწყვეტილება. |

<table>
<tr>
<td rowspan="2"></td>
<td>ძირითადი რესურსი/ტექსტი: „გველისმჭამელი“, „ჩემი ვედრება“ - ვაჟა-ფშაველა.<br><br>სახელმძღვანელოში მოცემული ცნობები ვაჟა-ფშაველას შესახებ<br><br>დამხმარე რესურსი: ელექტრონული პოსტერის შესაქმნელი საიტი<br><br>https://www.makesigns.com/SciPosters_Templates.aspx</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td>
</tr>
<tr>
<td>ცნება/ცნებები: კომპოზიცია<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: პოსტერი, ნაწარმოების თემა და იდეა, ციტატა, სიმბოლო</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td>ეტაპი I. მოსწავლეებისთვის პირველი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>აქტივობა N1<br><br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.373<br><br>ეტაპი II. პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა.<br><br>საკითხი: ჯგუფური მუშაობის სტრატეგიები, პოსტერის სტრუქტურა<br><br>აქტივობა N2<br><br>მზადება პოსტერისთვის<br><br>✔ მოსწავლეები კიდევ ერთხელ გადაიკითხავენ მითითებულ ნაწარმოებებსა და ცნობებს;<br>✔ მოიფიქრებენ და შეაჯერებენ ჯგუფში პოსტერის კონცეფციას;<br>✔ გადაინაწილებენ ჯგუფში მოვალეობებს;<br>✔ ელექტრონული პოსტერის შესაქმნელად არსებობს სპეციალური გვერდი, რომლიდანაც მზა შაბლონების ჩამოტვირთვა შეუძლიათ: https://www.makesigns.com/SciPosters_Templates.aspx<br><br>აქტივობა N3<br><br>ნამუშევრების წარდგენა: მოსწავლეები გამოფენენ თავიანთ პოსტერებს (ელექტრონულის შემთხვევაში, პროექტორით წარმოადგენენ), მოიწვევენ პარალელური კლასის მოსწავლეებს და დაწვრილებით ისაუბრებენ თავიანთი პოსტერის კონცეფციაზე, სტილზე, რა ინფორმაცია ასახეს და როგორ.</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:<br><br>• როგორ/რის საფუძველზე შემიძლია ამოვიცნო ნაწარმოების იდეა, მთავარი სათქმელი?<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით წარმოსადგენად?<br><br>კომპლექსური დავალება N3<br><br>„მომავლის მწერლის“ მსოფლმხედველობა<br><br>შექმენით იდეურ-თემატური პოსტერი, რომელზეც ასახავთ ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობას, შეხედულებებს, დამოკიდებულებებს.<br><br>პოსტერის შესაქმნელად გამოიყენეთ „გველისმჭამელი“ (მოცემული მონაკვეთი) და „ჩემი ვედრება“; შეგიძლიათ, ასევე, გამოიყენოთ ის დამატებითი ცნობები, რომლებიც გაგაცანით სხვადასხვა რუბრიკაში.<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეთ:<br><br>• გაითვალისწინეთ პოსტერის მახასიათებლები:<br>ა) ეფექტური ვიზუალური მხარე (ფოტოები, ნახატები, ესკიზები, სიმბოლოები...);<br>ბ) მოკლე ტექსტები (ციტატები, სლოგანები, სქემები...);<br>• სრულყოფილად ასახეთ ის იდეები, რომლებიც მწერლის შემოქმედებისა და ცხოვრებისეული პრინციპების განმსაზღვრელია; გამოავლინეთ ტექსტების ცოდნა;<br>• ეცადეთ, პოსტერზე გადატანილი მასალა იყოს მრავალფეროვანი და ბევრისმთქმელი ლაკონიური ფორმით, გაითვალისწინეთ აუდიტორია.<br><br>გამოფინეთ პოსტერები დერეფანში, მოიწვიეთ პარალელური კლასების მოსწავლეები და წარდგენისას დაწვრილებით ისაუბრეთ თქვენ მიერ შერჩეულ კონცეფციაზე, სტილზე, თითოეულ დეტალზე - ახსენით, თუ რატომ გამოიყენეთ ისინი.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td>დამხმარე რესურსი/ტექსტი: „სამხრეთული სპილო“ - არჩილ ქიქოძე</td><td rowspan="2">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td></tr>
<tr><td>ცნება/ცნებები: საკომუნიკაციო სიტუაცია<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: დისკუსია, აუდიტორია,<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები, თეზისი - არგუმენტები- მაგალითები</td></tr>
<tr><td></td><td>ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>საკვანძო შეკითხვები:<br>• რა შედეგები შეიძლება, მოიტანოს უმოქმედობამ, როცა ბოროტებას ხელს არ უშლი?<br>• გაიხსენე ასეთი შემთხვევები ცხოვრებიდან, ნაწარმოებებიდან, ფილმებიდან...<br><br>აქტივობა N1<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.380<br><br>ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა<br><br>საკითხი: ტექსტი და ტექსტი, პარალელი<br>აქტივობა N2<br>იდეა და პარალელი (წყვილებში)<br>ა) თავდაპირველად მოსწავლეები წაიკითხავენ სახელმძღვანელოში მოცემულ ფრაგმეტს და უნდა უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:<br>• როგორ ფიქრობთ, ვის მიმართავს მწერალი და რატომ მიმართავს?<br>✔ რა დატვირთვა აქვს ასე ხშირად გამოყენებულ კითხვით წინადადებებს?<br>✔ რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?<br><br>ბ) შემდეგ უნდა გაავლონ პარალელი იდეის თვალსაზრისით ორ ტექსტს შორის: ეხმიანება თუ არა ერთმანეთს? უპირისპირდება თუ აგრძელებს იდეას, რომელიც არჩილ ქიქოძის ნაწარმოებშია? ნებისმიერი პასუხი უნდა დაასაბუთონ.<br>ჩაიწერონ შეხედულებები მოკლედ და ისე გააცნონ კლასს.<br><br>საკითხი: ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>აქტივობა N3<br>დისკუსიის წესებისა და პრინციპების გაცნობა (რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“)<br><br>აქტივობა N4<br>დისკუსიის მეორე დღეს მოსწავლეები აჯამებენ, როგორ წარიმართა დისკუსია, რამდენად დაიცვეს წესები და რამდენად დაეხმარა ეს კამათი ნაწარმოების მთავარი პრობლემის გააზრებაში.</td><td>საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ გამოვიყენო კომუნიკაციის ელემენტების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად?<br>• როგორ მოვახდინო ზეგავლენა მსმენელზე/დავარწმუნო მსმენელი?<br>• როგორ დავეხმარო მსმენელებს ჩემი ნათქვამის უკეთ გაგებაში?<br>• როგორ გამოვიყენო ზეპირმეტყველების სტრატეგიების ცოდნა მიზნის მისაღწევად?<br><br>კომპლექსური დავალება N4<br>დისკუსია თემაზე: „არის თუ არა გულგრილობა ბოროტება?“<br><br>დისკუსიის დროს:<br>• გამოთქვით პირადი მოსაზრება მოცემულ საკითხზე;<br>• მოიყვანეთ არგუმენტები - ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე;<br>• მოიფიქრეთ არგუმენტების გამამყარებელი მაგალითები.<br>• ყურადღებით მოუსმინეთ დისკუსიაში მონაწილეთა მოსაზრებებს და შეეცადეთ, არგუმენტირებულად უპასუხოთ მათ: დაეთანხმოთ ან უარყოთ.<br><br>მეორე გაკვეთილზე ან მეორე დღეს შეაჯამეთ:<br>• დაგეხმარათ თუ არა დისკუსია საკითხის უკეთ გაგებაში?<br>• ზეპირმეტყველების რა სტრატეგიები გამოიყენეთ დისკუსიის სწორად წარმართვისთვის?<br>• რას გამოასწორებდით, თავიდან რომ მართავდეთ დისკუსიას?</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3"></td><td>ძირითადი რესურსი/ტექსტი: „ზებულონი“- ჯემალ ქარჩხაძე</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)</td></tr>
<tr><td>ცნება/ცნებები: კომპოზიცია, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები</td></tr>
<tr><td>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: პერსონაჟი, ხედვის კუთხე, ეპითეტი.</td></tr>
<tr><td></td><td>
ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>
საკვანძო შეკითხვები:<br>
• როგორ შეიძლება გავააქტიუროთ ნაწარმოების რომელიმე მეორეხარისხოვანი პერსონაჟი?<br>
• რა შეიცვლება ნაწარმოებში, თუ სხვა პერსონაჟის თვალით შევხედავთ გადმოცემულ ამბავს?<br><br>
აქტივობა N1<br>
ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 388<br><br>
ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა<br><br>
საკითხი: პერსონაჟი და მისი ქცევა<br>
აქტივობა N2<br>
პერსონაჟის ქცევის მოტივაცია (ინდივიდუალური)<br><br>
მოსწავლეები დააკვირდებიან პერსონაჟთა ქცევას, ქმედებებს, შემდეგ კი უნდა ახსნან, რა არის მათი ქცევის მოტივაცია.<br>
ამის შემდეგ შეავსებენ მოცემულ ცხრილს.<br>
<table>
<tr><td></td><td>ქმედება (რა გააკეთა)</td><td>ქმედების მოტივი (რატომ მოიქცა ასე?)</td></tr>
<tr><td>ზებულონი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>თანაგუნდელები, გლეხები</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>გადარჩენილი ლეკი</td><td></td><td></td></tr>
</table><br>
აქტივობა N3<br>
მინიდისკუსია - ვინ აჩუქა სიცოცხლე ლეკს?<br>
მოსწავლეები გამართავენ საკლასო მინიდისკუსიას იმის შესახებ, თუ ვინ აჩუქა სიცოცხლე ლეკს. თავიანთ შეხედულებებს დაასაბუთებენ ტექსტისეული ციტატებით.<br><br>
საკითხი: ტროპის სახეები<br>
აქტივობა N4<br>
ეპითეტი (საკლასო) მოსწავლეებმა ეს აქტივობა უნდა შეასრულონ შემდეგი მითითებებით:
</td><td>
საკვანძო შეკითხვები:<br>
• რა და როგორ შეიცვლება ტექსტში ხედვის კუთხის შეცვლით, რა არ შეიცვლება?<br>
• როგორ ქმნის ტექსტის მთლიანობას ხედვის კუთხე და კომპოზიციის ელემენტები?<br>
• როგორ გამოვიყენო ტროპების ცოდნა?<br>
• რამდენად ამდიდრებს ტროპების გამოყენება ჩემს ენობრივ გამოცდილებას?<br><br>
კომპლექსური დავალება N5<br>
მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხედვის კუთხე<br><br>
წარმოიდგინე თავი ახალგაზრდა ლეკის ადგილას, რომელმაც „სიკვდილს თვალებში ჩახედა“, მაგრამ ქართველებმა მას სიცოცხლე აჩუქეს; და დაწერე მისი ნაამბობი.<br><br>
• ტექსტში გადმოცემული ამბავი და მოვლენები წარმოაჩინე ლეკის ხედვის პერსპექტივიდან;<br><br>
• გადმოეცი ამ პერსონაჟის ფიქრები, ემოციები, აჩვენე, თუ რა გავლენა მოახდინა მასზე იმ ფაქტმა, რომ მტერმა სიცოცხლე აჩუქა, მოუნდა თუ არა შეცდომების გამოსწორება, შეეცვალა თუ არა ხედვა სიკეთისა და ბოროტების შესახებ;<br><br>
• თხრობისას გამოიყენე ეპითეტები, რათა ნაამბობი უფრო შთამბეჭდავი გახადო.<br><br>
დავალების შესრულების შემდეგ:<br>
• კლასელებთან ერთად იმსჯელე, ერთი ამბის სხვა პერსონაჟის პერსპექტივიდან დანახვა რამდენად დაგეხმარა ტექსტის გააზრებაში.
</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | • იპოვეთ ტექსტში გამოყენებული ეპი-თეტები და დააკვირდით, რა მიზნით იყენებს მათ მწერალი.<br><br>• გამოტოვეთ ეპითეტები და ტექსტი კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ამგვარად.<br><br>• რა სხვაობა შენიშნეთ? იმსჯელეთ, რა არის ეპითეტის ფუნქცია.<br><br>**აქტივობა N5** ნაშრომების წარდგენა კლა-სის წინაშე და რეფლექსია მათზე. | |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „უკანასკნელი ფოთოლი“ - ო'ჰენრი<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** ნოველის სახელმძღვანელოში მითითებული აუდიო-ვერსია<br><br>**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, ენობრივ- გა-მომსახველობითი საშუალებები.<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ინტერ-პრეტაცია, სიუჟეტი, პერსონაჟები და მათი ემოციები. | **კომპლექსური დავალება (შუალედუ-რი სასწავლო მიზანი)** |
| | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რამდენად ადვილია შენთვის ლიტერა-ტურული აუდიოჩანაწერების მოსმენა?<br>• რამდენად აღძრავს შენში ემოციებს შემს-რულებელთა ხმა, მუსიკა?<br>• თუ ტექსტის კითხვა გირჩევნია?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.399<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაო-ბა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: პერსონაჟის მეტყველება<br>**აქტივობა N2**<br>პერსონაჟთა მეტყველება (ინდივიდუალ-ური)<br>მოსწავლეები აკვირდებიან პერსონაჟთა მეტყველებას შემდეგი მითითებებით:<br><br>✔ დააკვირდი პერსონაჟთა მეტყველებას, მათ დიალოგებს. მონიშნე და შემდეგ რვეულში გადმოწერე ის ფრაზები, რო-მელთა გარეშეც ამ ნოველას ემოციური შეფერილობა დაეკარგებოდა.<br>✔ წაუკითხე შენი შერჩეული ამონარი-დი თანაკლასელებს და ახსენი, რატომ მიიჩნევ ამოწერილ ფრაზას/ფრაზებს მნიშვნელოვნად. | **საკვანძო შეკითხვა:**<br>• როგორ გამოვიყენო მოსმენის სტრატეგიების ცოდნა მიზნის მისაღწევად?<br><br>**კომპლექსური დავალება N6**<br>პრეზენტაცია: ტექსტისა და<br>მისი აუდიოვერსიის შედარება (ჯგუფური)<br><br>შეადარეთ ო'ჰენრის ტექსტი მის რადიოსპექტაკლს და წარმოადგინეთ შედარების შედეგები power point პრეზენტაციის სახით. გაითვალის-წინეთ, რომ პრეზენტაცია სრულყო-ფილად უნდა მოიცავდეს განსახილ-ველ მასალას, მაგრამ ლაკონიურად იყოს ჩამოყალიბებული, უნდა შეი-ცავდეს ვიზუალურ მასალასაც (მაგ., ცალკეულ კადრებს ფილმიდან).<br><br>ნამუშევარში წარმოაჩინეთ:<br>• რამდენად ეხმარება მწერლის სათქმელის უკეთ გადმოცემას რადიოსპექტაკლში გამოყენებული ხმა/მუსიკა; რა შთაბეჭდილებას ახდენს ის მსმენელზე (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები).<br>• რამდენად შეიცვალა/არ შეიცვალა ო'ჰენრის ტექსტის კომპოზიცია რადიოსპექტაკლად გადაკეთების შედეგად;<br>• რამდენად და როგორ გაამდიდრა რადიოსპექტაკლის მოსმენამ თქვენი წარმოდგენა პერსონაჟების შესახებ, რამდენად დაგეხმარათ მათი ემოციების გამოცნობაში; |

მოუსმინე მეგობრებს და დაფიქრდი, ვისთვის რომელი მონაკვეთი აღმოჩნდა ემოციური და შეეცადე გაარკვიო, რატომ.

საკითხი: პერსონაჟის თვისებები, დამოკიდებულებები, ღირებულებები

**აქტივობა N3**

პერსონაჟის რუკა (ჯგუფური)

მოსწავლეები გადანაწილდებიან ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეადგინოს ერთი პერსონაჟის რუკა, გამოკვეთოს მისი როლი ნაწარმოებში.

დავალების შესრულების შემდეგ წარუდგენენ ერთმანეთს ნამუშევრებს.

რუკის შედგენა დაეხმარებათ, უკეთ გაიაზრონ ტექსტი და მიხვდნენ, რა როლი დააკისრა ავტორმა ამა თუ იმ გმირს ნოველის თემისა და იდეის გადმოსაცემად.



| | |
|---|---|
| პერსონაჟი | |
| რას აკეთებს | |
| რას ამბობს | |
| რას ფიქრობს | |
| რას გრძნობს | |
| რა არის მისი მიზანი | |
| რა როლს ასრულებს | |

**აქტივობა N4**

მოსმენის სტრატეგიების გაცნობა (რუბრიკა „ჩვენ გირჩევთ“)

**აქტივობა N5**

მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს პრეზენტაციის სახით, ხოლო მსმენელები კონკრეტული მითითებების მიხედვით აძლევენ უკუკავშირს.

- როგორ აფასებთ რეჟისორის ინტერპრეტაციას; რა გავლენა მოახდინა რეჟისორის ინტერპრეტაციამ ნაწარმოების თქვენეულ აღქმაზე.

პრეზენტაციის მოსმენისას:

- ჩაინიშნე, რა მოგეწონა განსაკუთრებით და შენიშვნები, რომელთა გაზიარებაც შენს კლასელს დაეხმარება, დახვეწოს თავისი პრეზენტაცია;
- თუ რაიმე მოგეჩვენა ბუნდოვანი, აუცილებლად დასვი კითხვა პრეზენტაციის დასრულების შემდეგ - ამით აგრძნობინებ პრეზენტაციის ავტორს, რომ შენ აქტიური მსმენელი იყავი.

| | | |
|---|---|---|
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ზებულონი“ - ჯ.ქარჩხაძე<br><br>**ცნება/ცნებები:** ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ტროპის სახეები, წინადადების აგებულება | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 399<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>**აქტივობა N2**<br>სხვადასხვა ტიპის გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება და ტროპის სახეების გახსენება;<br><br>**აქტივობა N3**<br>ნაშრომების წარდგენა და განხილვა. | **საკვანძო შეკითხვები:**<br><br>• რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს?<br>• როგორ გამოვიყენო ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნა კონკრეტული მიზნით?<br><br>**კომპლექსური დავალება N7**<br>მწერლის ენა<br><br>სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილში ყურადღებით წაიკითხე ნაწყვეტი ჯემალ ქარჩხაძის „ზებულონიდან“, გააანალიზე და დაწერე, როგორია მწერლის წერის სტილი და მანერა.<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br><br>• რა ფუნქცია აქვს ტექსტში გამოყენებულ ტროპის სახეებს.<br>• აგებულების მიხედვით, როგორი წინადადებებია გამოყენებული<br>• ყველაზე ხშირად და რა გავლენას ახდენს ეს ყოველივე ტექსტის გააზრებაზე.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რომელი საკითხების ცოდნა დაგჭირდა, რათა კარგად გაგეანალიზებინა მოცემული მონაკვეთი?<br>• კითხვის რომელი სტრატეგიები გამოიყენე მონაკვეთზე დასაკვირვებლად. |

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხური

**თემა: „მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა...“**

თემატური ბლოკი: მარადიული ძიებები

**საათების საორიენტაციო რაოდენობა:**

*(შენიშვნა: დრო მიეთითება მხოლოდ მას მერე, რაც მასწავლებელი დაასრულებს კლასში მოცემულ თემაზე მუშაობას)*

**კლასი: IX**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რა ანიჭებს აზრს ადამიანის ცხოვრებას?
- რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს ადამიანის დანიშნულების, ცხოვრების საზრისის შესახებ?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?
- რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთმანეთისგან ავტორების დამოკიდებულება ადამიანის დანიშნულების მიმართ?
- რატომაა მნიშვნელოვანი ადამიანის დანიშნულების/სიცოცხლის საზრისის გააზრება? რამდენად დაგვეხმარება ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი ტექსტების გაცნობა რეალურ ცხოვრებაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ტექსტებში შეიძლება ასახული იყოს განსხვავებული წარმოდგენები/დამოკიდებულებები ადამიანის დანიშნულების, ადამიანის სიცოცხლის საზრისის მიმართ.
- ავტორები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა წარმოგვიდგინონ თავიანთი დამოკიდებულება ადამიანის დანიშნულების მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ადამიანის დანიშნულებაზე შექმნილი ლიტერატურის შესახებ, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება/მოსაზრებები, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

**ძირითადი რესურსები/ტექსტები:**

1. „ანდერძი ავთანდილისა“- შოთა რუსთაველი
2. „ფიქრნი მტკვრის პირას“ - ნიკოლოზ ბარათაშვილი
3. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ? “ - ილია ჭავჭავაძე
4. „მუსიკოსი“ - გურამ დოჩანაშვილი
5. „ბაბუაწვერას ღვინო“ - რეი ბრედბერი (ნაწყვეტი)

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ცნებები:**

ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, გრამატიკა, სტრატეგიები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:

იგავი და მისი მახასიათებლები, თავისუფალი ესე - მისი სტრუქტურა და მეტყველების სტილი, პუბლიცისტური წერილი, ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა. მოთხრობა, რადიოსპექტაკლი,

თემა, იდეა, სათაური, პერსონაჟთა ხასიათი, მეტყველება და მათი შეხედულებები, ინტერპრეტირება, ნაწარმოების შექმნის ეპოქა,

კოდექსის სტრუქტურა

მწერლის ენა, ციტატები

რთული წინადადება, განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებები და განკერძოებული სიტყვები (განკერძოებული განსაზღვრება და დანართი)

| ცნებები და მასთან დაკავშირებული მყარი წარმოდგენები | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ავთანდილის ანდერძი“ - შოთა რუსთაველი<br><br>**დამატებითი რესურს(ებ)ი:** კოდექსი<br><br>**ცნება/ცნებები:** კომპოზიცია, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** პერსონაჟი და მისი შეხედულებები, ინტერპრეტირება. კოდექსის სტრუქტურა, ციტატები, რთული წინადადება | კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|
| **1. ჟანრი**<br>(შედეგები: საბაზო – 3, 6, 8, 9, 11, 12)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.<br><br>**2. კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(შედეგები საბაზო – 1, 2, 6, 8, 10, 11, 12)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br><br>‣ ლექსში - თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრის, რითმის;<br>‣ პოემაში- თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების - მეტრისა და რითმის;<br>‣ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში - თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br>‣ არამხატვრულ ტექსტებში - იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების; | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის პირველი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია, ადამიანს საკუთარი ზნეობრივი კანონები გააჩნდეს, რომლებითაც იხელმძღვანელებს ცხოვრებაში?<br>• რა ასაკში ყალიბდება ასეთი პრინციპები?<br>• შენ ხომ არ გაქვს რომელიმე პრინციპი, რომელსაც აუცილებლად იცავ?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ. 408, 413<br><br>**ეტაპი II. პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: აფორიზმები<br>**აქტივობა N2 (წყვილებში)**<br>თავსატეხების შედგენა აფორიზმებზე<br>თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ:<br><br>✔ რა არის აფორიზმი? როგორ უნდა ამოიცნო აფორიზმი ტექსტში?<br><br>✔ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ანდაზა და აფორიზმი?<br><br>✔ შოთა რუსთაველის რომელი აფორიზმები გახსოვთ?<br><br>✔ რომელ აფორიზმს უკავშირდება ეს თავსატეხი?<br>ა) უნდა მოინიშნონ აფორიზმები „ავთანდილის ანდერძში“;<br>ბ) ამის შემდეგ ამოირჩევენ რამდენიმე მათგანს, რომლებზეც შექმნიან თავსატეხს. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?<br>• როგორ/რის საფუძველზე შევძლებ ნაწარმოებთან დაკავშირებული ახალი იდეების გენერირებას?<br><br>**კომპლექსური დავალება N1**<br>პერსონაჟის მორალური კოდექსის შედგენა<br><br>წარმოიდგინე თავი ავთანდილის ადგილას და ანდერძში განხილული საკითხების მიხედვით შეადგინე ადამიანის მორალურ კანონთა კოდექსი, რომელსაც თავად პერსონაჟიც ითვალისწინებს, ემორჩილება.<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br><br>• მაქსიმალურად წარმოაჩინე პერსონაჟის ზნეობრივი მხარე, მისი დამოკიდებულებები და შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე (მეგობრობა, რწმენა, ტყუილი, სიკვდილი...);<br><br>• გაითვალისწინე კოდექსის ფორმა და ენობრივი სტილი (მუხლობრივი დაყოფა, შემდეგი ფრაზების გამოყენება: უფლება აქვს, არა აქვს უფლება, შეუძლია, არ შეიძლება...)<br><br>• სათქმელი ჩამოაყალიბე შენი სიტყვებით, მაგრამ შეგიძლია, დაიმოწმო ციტატებიც.<br><br>• თითოეული კანონის ჩამოყალიბებისთვის გამოიყენე მხოლოდ რთული წინადადებები; |

| | | |
|---|---|---|
| 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ ფორმით.<br><br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.<br><br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.<br><br>**3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 10,11, 12)<br><br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | გ) თავსატეხების შექმნის შემდეგ წარუდგენენ კლასს. დანარჩენები ეცდებიან, გამოიცნონ ერთმანეთის შექმნილი თავსატეხები. ამოცნობის შემდეგ ისაუბრებენ, როგორ დაეხმარათ თავსატეხებზე მუშაობა ტექსტის უკეთ გააზრებაში.<br><br>დ) განწყობისთვის მოუსმენენ ქართული მუსიკალური ჯგუფის „33 ა" სიმღერას „შოთა", რომელიც ფაქტობრივად აფორიზმებზეა აგებული.<br>https://www.youtube.com/watch? v=Cx-5vU0eVbYM<br>საკითხი: ფრაზები და კონტექსტი<br>**აქტივობა N3**<br>„ვეფხისტყაოსნის" ფრაზების გამოყენება ახალ კონტექსტში<br><br>მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ წერენ წერილს მათთვის მნიშვნელოვან ადამიანს ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში. წერილისთვის უნდა აირჩიონ „ავთანდილის ანდერძის" ამ ნაწილიდან ხუთი ფრაზა მაინც, გადმოწერონ თანამედროვე ქართულზე და ჩაურთონ წერილში.<br><br>**აქტივობა N4**<br>მცირე ინფორმაციის გაცნობა კოდექსზე, მის სტრუქტურასა და დანიშნულებაზე.<br><br>**აქტივობა N5**<br>ნაშრომების წარდგენა კლასში. მოსწავლეები იმსჯელებენ შემდეგი მითითებების მიხედვით:<br>• როგორ დაგეხმარა ეს დავალება პერსონაჟის მხატვრული სახის უკეთ გაგებაში?<br><br>კითხვის რომელი სტატეგია გამოიყენე დავალების უკეთ შესასრულებლად? | ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>• როგორ დაგეხმარა ეს დავალება პერსონაჟის მხატვრული სახის უკეთ გაგებაში?<br>• კითხვის რომელი სტატეგია გამოიყენე დავალების უკეთ შესრულებისთვის? |
| **4. კონტექსტი**<br>(შედეგები: საბაზო – 4, 6, 11, 12)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად. | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ფიქრნის მტკვრის პირას" - ნიკოლოზ ბარათაშვილი<br><br>**ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** იგავი და მისი მახასიათებლები, თემა, იდეა | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>საკვანძო შეკითხვები:<br>• გაიხსენეთ შესწავლილი იგავები და იგავ-არაკები - რა მახასიათებლები აქვს ამ ჟანრის ტექსტს?<br>• რა ხდის იგავს/იგავ- არაკს განსაკუთრებით საინტერესოს? | **საკვანძო შეკითხვა:**<br>როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა? |

| | | |
|---|---|---|
| **5. გრამატიკა**<br>(შედეგები: საბაზო – 9, 11, 12)<br><br>1. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებისთვის.<br><br>2. გრამატიკის ცოდნის გამოყენება მნიშვნელოვანია ტექსტის უკეთ გაგებისთვის, წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისთვის.<br><br>**6. საკომუნიკაციო სიტუაცია**<br>(შედეგები: საბაზო – 8, 11, 12)<br><br>1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს).<br><br>2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან/და შინაარსზე.<br><br>3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად.<br><br>**7. სტრატეგიები**<br>(შედეგები: საბაზო – 11, 12)<br><br>1. მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შეევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.<br><br>2. სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში. | • თუკი იდეა ანუ მთავარი სათქმელი მზად გექნება, ეს რამდენად გაგიადვილებს იგავის/იგავ-არაკის შექმნას?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.420<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხები: რიტორიკული შეკითხვა და მიმართვა<br>**აქტივობა N2**<br>თეორია (რიტორიკული შეკითხვა და მიმართვა) და მასთან დაკავშირებული სავარჯიშო: მოსწავლეები მოძებნიან ლექსში რიტორიკული შეკითხვებისა და მიმართვის მაგალითებს და იმსჯელებენ, როგორ გამოიხატება ამ მხატვრული ხერხებით ლექსის იდეა.<br><br>საკითხი: პოეტის მთავარი სათქმელი, ლექსის იდეა<br>**აქტივობა N3**<br>პოეტის მთავარი სათქმელი ლექსში (ინდივიდუალური)<br><br>ა) ქვემოთ ჩამოთვლილი შეხედულებებიდან მოსწავლემ უნდა აირჩიოს ის, რომელიც, მისი აზრით, შეესაბამება ნიკოლოზ ბარათაშვილის მთავარ სათქმელს ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ და ციტატების მოშველიებით უნდა დაასაბუთოს მისი შესაბამისობა;<br>1.ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია, ადამიანი ვერაფერს შეცვლის.<br>2.რადგან ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია, კარგისა და ცუდის გარჩევასაც კი აზრი ეკარგება.<br>3. ადამიანი თავად აძლევს სიცოცხლეს აზრს, მან ისე უნდა იცხოვროს, რომ ღირდეს მისი სიცოცხლე.<br>4.მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ყველა და ყველაფერი წარმავალია, ჩვენს ადამიანურ საკეთებელზე, ჩვენს გასავლელ გზაზე უარის თქმის უფლება არ გვაქვს.<br>5.ადამიანი დაუკმაყოფილებელი, სურვილებით გაუმაძღარი არსებაა, ამიტომაც კარგავს ცხოვრება აზრს.<br>ბ) ამის შემდეგ ამოირჩევს ერთ-ერთი დებულებას, რომელიც მისთვის ყველაზე მიუღებელ აზრს გამოხატავს და ახსნის წერილობით თავის დამოკიდებულებას.<br><br>**აქტივობა N4**<br>ნაშრომებს მოსწავლეები წაუკითხავენ ერთმანეთს და იმსჯელებენ, რამდენად რთული აღმოჩნდა ლექსის იდეის შენარჩუნება სრულიად სხვა ჟანრის ტექსტში; რა წინამოსამზადებელი ეტაპები გაიარეს. | **კომპლექსური დავალება N2**<br><br>ლექსის იდეის მიხედვით იგავის/იგავ- არაკის დაწერა (ინდივიდუალური) დაწერე იგავი ან იგავ-არაკი, რომლის თემა იქნება ადამიანის ცხოვრების საზრისი, ხოლო იდეა აიღე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“. დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.<br><br>ნაშრომში წარმოაჩინე:<br>• იგავის/იგავ- არაკის სიუჟეტის შესაბამისობა პირობაში მითითებულ თემასთან;<br>• შესწავლილი ლექსის იდეა განსხვავებული ფორმით;<br>• იგავის/იგავ-არაკის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა;<br><br>როცა შენ და შენი კლასელები ერთმანეთს გააცნობთ შესრულებულ დავალებებს, იმსჯელეთ, რამდენად რთული აღმოჩნდა ლექსის იდეის შენარჩუნება სრულიად სხვა ჟანრის ტექსტში; რა წინამოსამზადებელი ეტაპები გაიარეთ. |

| | | |
|---|---|---|
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ - ილია ჭავჭავაძე<br><br>**ცნება/ცნებები:** კონტექსტი, ჟანრი, კომპოზიცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** ეპოქა, პუბლიცისტური წერილი, ანალიტიკური ესე და მისი სტრუქტურა. თემა, იდეა | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ ფიქრობ, შენ რომ აღმოჩენილიყავი წარსულში, სრულიად სხვა ეპოქაში, შეიცვლებოდა თუ არა შენი შეხედულებები რიგ საკითხებზე?<br>• რომელ კლასიკოს მწერალს ისურვებდი 21-ე საუკუნეში?<br>• რამდენად მოახდენდა გავლენას მის შემოქმედებაზე ეპოქის ცვლილება?<br><br>**აქტივობა N1**<br>ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.429<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: ფრაზეოლოგიზმები<br>**აქტივობა N2**<br>ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება (წყვილებში)<br>ილიას პუბლიცისტურ წერილში ძალიან ბევრი ფრაზეოლოგიზმი გვხვდება. მათი კარგად გააზრება დაეხმარებათ წერილის საერთო შინაარსის უკეთესად გაგებაში. მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემული ცხრილის მიხედვით შექმნიან ცხრილს რვეულში ან ვორდში და შეავსებენ.<br>შემდეგ იმსჯელეთ, რამდენად რთული აღმოჩნდა მათთვის წინადადებაში ფრაზეოლოგიზმების გამოყენება;<br>ხშირად იყენებენ თუ არა რომელიმე ფრაზეოლოგიზმს.<br>მათი აზრით, საერთოდ რატომ იყენებენ ადამიანები ფრაზეოლოგიზმებს?<br><br>საკითხი: პუბლიცისტური წერილი და მისი მახასიათებლები<br>**აქტივობა N3**<br>თეორია: პუბლიცისტიკა და პუბლიცისტური წერილი, მოსწავლეები წაიკითხავენ თეორიას და მისი მიხედვით შეასრულებენ სავარჯიშოებს | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ წარმოვაჩინო ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გაგება?<br><br>**კომპლექსური დავალება 1**<br>ანალიტიკური ესე წარმოიდგინე, რომ ილია ჭავჭავაძე 21-ე საუკუნის საქართველოში აღმოჩნდა. ჩამოაყალიბე ანალიტიკური ესეს (იმავე ანალიზის) ფორმით: ჩვენი საუკუნის ფასეულობების, ინტერესებისა და პრობლემების გათვალისწინებით, რას შეცვლიდა ის თავის წერილში, რას დატოვებდა უცვლელად, დაამატებდა თუ არა რომელიმე საკითხს.<br><br>დაიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.<br><br>ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:<br>• თითოეულ ცვლილებაზე/უცვლელობაზე ისაუბრე 21-ე საუკუნის ფასეულობების, პრობლემების გათვალისწინებით და დაასაბუთე მისი აუცილებლობა;<br>• გაითვალისწინე ილიას ინტერესები, დამოკიდებულებები და პიროვნული მახასიათებლებიც (ბიოგრაფიიდან გამომდინარე);<br>• ნაშრომს უნდა ჰქონდეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>21-ე საუკუნის რომელ აქტუალურ პრობლემებზე დაგაფიქრა ამ ესეზე მუშაობამ? |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა N4**<br>ნაწარმოების კონტექსტის დამუშავება (ჯგუფური)<br>ა) მოსწავლეები ტექსტში მოინიშნავენ მარკერებს, რომლებიც მიგვანიშნებს იმ სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ფონზე, რომელშიც შეიქმნა ეს ნაწარმოები;<br>ბ) მონიშნულის მიხედვით მოამზადებენ მცირე მონოლოგს, რომელსაც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი წარადგენს.<br><br>**აქტივობა N5**<br>ესეს დაწერამდე მოსწავლეები ისაუბრებენ, როგორია მათი თვალით დანახული 21-ე საუკუნის ფასეულობები, პრობლემები.<br><br>**აქტივობა N6** ნამუშევრების წარდგენა კლასში. მოსწავლეები იმსჯელებენ, 21-ე საუკუნის რომელ აქტუალურ პრობლემებზე დააფიქრა ამ ესეზე მუშაობამ. | |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „მუსიკოსი“ - გურამ დოჩანაშვილი | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| | **ცნება/ცნებები:** ჟანრი, კომპოზიცია<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** მოთხრობა, რადიოსპექტაკლი, პერსონაჟთა ხასიათი, მეტყველება. | |
| | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რომელ აუდიოტექსტებს მოვუსმინეთ ჩვენი სახელმძღვანელოს რჩევით?<br>• რა სახის იყოს ეს ტექსტები (პოდკასტი, ლექსის მხატვრულად კითხვა, რადიოსპექტაკლი...)<br><br>**აქტივობა N1** - ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.439-440<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>საკითხი: ნაწარმოების თემა და სიუჟეტი<br>**აქტივობა N2** - სიუჟეტი და ნაწარმოების თემა (ინდივიდუალური)<br><br>მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ტექსტის სიუჟეტის განვითარების ეტაპებს და დაანაწილონ მოთხრობა ეპიზოდებად ამის მიხედვით : მოქმედების განვითარება, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა, შემდეგ კი ყურადღება მიაქციეს, ამ ეპიზოდებში როგორ აისახება ნოველის მთავარი თემა.<br><br>საკითხი: ტექსტის შინაარსი<br>**აქტივობა N3** - მკითხველთა თეატრი - ტექსტი და მუსიკა (საკლასო)<br>მოსწავლეები შეარჩევენ ეპიზოდს, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ. წინასწარ მოიძიებენ მუსიკალურ კომპოზიციას, მელოდიას, რომელსაც ამ ნაწყვეტს დაუკავშირებენ. | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?<br>• როგორ გამოვიყენო კომპოზიციის ელემენტების/შინაარსობრივი მხარის ცოდნა?<br><br>**კომპლექსური დავალება N4**<br>**რადიოსპექტაკლი (ჯგუფური)**<br>გადანაწილდით ჯგუფებად და გურამ დოჩანაშვილის „მუსიკოსის“ მიხედვით დადგით რადიოსპექტაკლი.<br>რადიოსპექტაკლს მსმენელი ყურს უგდებს და წარმოიდგენს, ესმის და ისე ხედავს, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია მისი ტექსტი, მუსიკა და ხმები ემოციური ფონის შესაქმნელად.<br>რადიოსპექტაკლი რომ სრულყოფილი გამოგვიდეთ:<br>• გადაინაწილეთ რეჟისორის/ხმის რეჟისორის, სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელის, სცენარისტისა და მსახიობების როლები. |

| | | |
|---|---|---|
| | კლასში დასხდებიან წრეზე, მოაწყობენ მკითხველთა თეატრს. კლასელები ერთმანეთს წაუკითხავენ შერჩეულ ეპიზოდებს და მოასმენინებენ მუსიკას (მაგალითად, როიალის ხმას, ვიოლინოსი, ტუჩის გარმონის და ა.შ.). იმსჯელებენ, რატომ დაუკავშირეს ესა თუ ის მელოდია კონკრეტულ ფრაგმენტს.<br><br>**აქტივობა N4**<br>რჩევების განხილვა, როგორ გააკეთონ რადიოსპექტაკლი, რა უნდა გაითვალისწინონ.<br><br>**აქტივობა N5**<br>ნამუშევრების წარდგენა კლასში. წარდგენისას მოსწავლეები იმსჯელებენ შემდეგი მითითებების მიხედვით:<br>დავალების მომზადებისას რა გამოცდილება მიიღეთ, რა უნარები დახვეწეთ;<br>რადიოსპექტაკლის დადგმა როგორ დაგეხმარათ ავტორის მთავარი სათქმელის გააზრებაში;<br>თავიდან რომ იწყებდეთ დავალების შესრულებას, რას შეცვლიდით? | • გადაამუშავეთ მოთხრობა, გადააკეთეთ პიესად (თქვენ უკვე ისწავლეთ, როგორ გააკეთოთ ეს);<br>• გაითვალისწინეთ პერსონაჟების ხასიათი და მეტყველება, წარმოაჩინეთ მათი ემოციები;<br>• გააფორმეთ სპექტაკლი მუსიკალურად, შეარჩიეთ კომპოზიციები ეპიზოდებისთვის;<br><br>ჩაწერეთ მობილური ტელეფონის ან ჩამწერი მოწყობილობის საშუალებით;<br>ჩაწერამდე გაიარეთ რეპეტიცია რამდენჯერმე.<br><br>კლასში მოაწყვეთ რადიოთეატრი და კლასელებსა და მასწავლებელს წარუდგინეთ ნამუშევარი;<br><br>რადიოსპექტაკლის წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:<br><br>• დავალების მომზადებისას რა გამოცდილება მიიღეთ, რა უნარები დახვეწეთ;<br><br>• რადიოსპექტაკლის დადგმა რამდენად დაგეხმარათ პერსონაჟებისა და ავტორის მთავარი სათქმელის უკეთ გააზრებაში;<br><br>• რა ნაბიჯები გადადგით მის მოსამზადებლად; |
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „ბაბუაწვერას ღვინო“ - რეი ბრედბერი | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| | **ცნება/ცნებები**: ჟანრი, კომპოზიცია<br><br>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი: თავისუფალი ესე - მისი სტრუქტურა და მეტყველების სტილი, სათაური | |
| | **ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>• რა მიზნები გაქვს ამჟამად ან გქონია ადრე?<br>• რას აკეთებ მიზნის შესასრულებლად?<br>• მარტო ცდილობ ხოლმე მიზნის მიღწევას თუ სხვებს სთხოვ დახმარებას?<br><br>**აქტივობა N1** - ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.451 | **საკვანძო შეკითხვები::**<br>• როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა?<br>• როგორ ჩამოვაყალიბო ჩემი შეხედულებები არგუმენტირებულად?<br><br>**კომპლექსური დავალება N5**<br>**თავისუფალი ესე** |

**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

საკითხი: პერსონაჟის ემოცია და მათი გადმოცემის ხერხი

**აქტივობა N2**

ემოციების, შეგრძნებების აღწერა ტექსტში (ინდივიდუალური)

ა) მოსწავლეები დააკვირდებიან მოცემულ აღწერით მონაკვეთებს. იმსჯელებენ, რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით ახერხებს მწერალი, გადმოსცეს პერსონაჟის შეგრძნებები და ემოციები.

ბ) უნდა გაიხსენონ ერთი მათთვის საყვარელი შეგრძნება ვინმეს/რაიმეს მიმართ, ან მომენტი თავიანთი ცხოვრებიდან, როცა განსაკუთრებით კარგად გრძნობდნენ თავს და ეცადონ, აღწერონ შთამბეჭდავად.

საკითხი: პერსონაჟი და მისი ქმედება, მკითხველის შეფასება

**აქტივობა N3**

პერსონაჟი - მიზანი - ქმედება - მკითხველის შეფასება (ინდივიდუალური)

მოცემული ცხრილის მსგავსი სქემა რვეულში ან ვორდის ფაილში უნდა შექმნას მოსწავლემ და შეავსოს.

| პერსონაჟი და მისი თვისებები |
| --- |
| |
| პერსონაჟის მიზანი |
| |
| პერსონაჟის ქმედება მიზნის შესასრულებლად |
| |
| რამდენად სწორად მიმაჩნია მისი ქმედება? არის თუ არა ცხოვრებისეული? |
| |

**აქტივობა N4** მოსწავლეები გაიხსენებენ ზოგადად ესეს სტრუქტურას და იმსჯელებენ თავისუფალი ესეს მახასიათებლებზე.

**აქტივობა N5** მოსწავლეები წარადგენენ დავალებებს და მოწვეულ იმსჯელებენ, რაზე დააფიქრათ ამ დავალების შესრულებამ, რა აღმოაჩინეს ახალი ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარ თავში.

დაგლასის მსგავსად, შენც გექნება რაღაც მიზნები, ოცნებები ცხოვრებაში. დაფიქრდი, რა უნდა გააკეთო, რა თვისებები უნდა გამოავლინო მათ ასასრულებლად, გადმოეცი შენი ფიქრები თავისუფალი ესეს ფორმატში.

ესეს სათაურია: გზა, რომელიც მიზნამდე მიმიყვანს.

ესეს წერისას ყურადღება მიაქციე მართლწერასა და პუნქტუაციას.

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- გაითვალისწინე თავისუფალი ესეს დამახასიათებელი მეტყველების სტილი და სტრუქტურა;
- მკაფიოდ წარმოაჩინე შენი შეხედულებები;
- შეეცადე, შენი მსჯელობა იყოს დამაჯერებელი და ემოციური (გაითვალისწინე ნაწარმოებში განხილული მაგალითები);
- დაიცავი ნაშრომის შესაბამისობა სათაურთან;

ნაშრომის წარდგენის შემდეგ:

მოიწვიეთ ფსიქოლოგი საკლასო ან ონლაინსივრცეში შემდეგ თემაზე სასაუბროდ: „როგორ ავიმაღლოთ მოტივაცია, როგორ მივაღწიოთ მიზანს“.

გააცანით მას თქვენი ესეები ან შერჩეული ამონარიდები თქვენი ნაშრომებიდან, იმსჯელეთ, რაზე დაგაფიქრათ ამ დავალების შესრულებამ, რა აღმოაჩინეთ ახალი ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარ თავში.

| | | |
|---|---|---|
| | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:** „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ - ილია ჭავჭავაძე<br><br>**ცნება/ცნებები:**<br>ენობრივ- გამომსახველობითი სა-შუალებები, გრამატიკა<br><br>**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი:** მწერლის ენა, გან-საზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები და განკერძოებული სიტყვები (განკერძოებული განსაზ-ღვრება და დანართი) | **კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი)** |
| | **ეტაპი I.მოსწავლეებისთვის კომპლე-ქსური დავალების პირობის გაცნობა**<br><br>შენიშვნა:<br>ლიტერატურის სახელმძღვანელო-ში ტექსტის გაგებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში - ტექსტის გააზრებისთვის - გვ.429 და ამ ტე-ქსტთან დაკავშირებული აქტივობე-ბი დაეხმარება, უკეთ დააკვირდეს მწერლის სტილს.<br><br>**ეტაპი II. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენ-ების ჩამოყალიბებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა**<br><br>**აქტივობა N2**<br>გრამატიკის სახელმძღვანელოს მიხედვით თეორიის დამუშავება და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულება რთულ წინადადებასა და განკერძოებულ სიტყვებთან დაკავ-შირებით.<br><br>**აქტივობა N3**<br>ნაშრომების წარდგენა და რეფლექ-სია შემდეგი მითითებების მიხედვით:<br><br>• ახსენი, დავალების რომელი პუნ-ქტის შესრულება გაგიჭირდა/არ მოგეწონა და რატომ?<br><br>• წერის რა სტრატეგიები გამოიყენე, რათა ადვილად და სრულყოფილად შეგესრულებინა დავალება? | **საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები:**<br>• რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმასა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს?<br>• რამდენად ამდიდრებს მწერლის ენობრივ არჩევანზე/ენასა და სტილზე დაკვირვება ჩემს ენობრივ გამოცდილებას?<br><br>**კომპლექსური დავალება N6**<br>**მწერლის ენაზე დაკვირვება:**<br><br>სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილ-ში ყურადღებით წაიკითხე ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?!“ დაწერე მწერლის პუბლიცისტური სტილის შესახებ და გამოკვეთე, რა ართულებს ტექსტის ენას.<br><br>გაითვალისწინე შემდეგი მითითებები:<br><br>• დაასაბუთე, რატომ არის ტექსტი პუბლი-ცისტური და რა ხერხებს იყენებს ავტორი.<br><br>• იმსჯელე, რა დანიშნულება აქვს ტექსტში გამოყენებულ ანდაზებსა და ალუზიებს.<br><br>• რა გავლენას ახდენს ტექსტზე რთული წინადადებები. მაგალითისთვის ამოწერე განსაზღვრებითი დამოკიდებული წინა-დადებები და განკერძოებული სიტყვები (განკერძოებული განსაზღვრება და დანართი).<br><br>• ახსენი დავალების რომელი პუნქტის ყურადღება მიაქციე მართლწერასა და პუნქტუაციას.<br><br>ნაშრომის წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br>• რამდენად საინტერესო აღმოჩნდა შენთ-ვის მწერლის ენაზე დაკვირვება?<br>• წერის რა სტრატეგიები გამოიყენე, რათა ადვილად და სრულყოფილად შეგესრულე-ბინა დავალება? |

# კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

ჩვენი სახელმძღვანელოს ორივე ნაწილი, ლიტერატურა და გრამატიკა, აგებულია კომპლექ-სურ დავალებებზე. მათი უმეტესობა შეტანილია მასწავლებლის წიგნში მოცემულ თემატურ მატრიცებში, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება აქტივობები და კომპლექსური დავალებები ერთმანეთს და როგორ მოიცავს თითოეული თემა ყველა ცნებას. თუმცა თქვენ, მასწავლებლები, აბსოლუტურად თავისუფალი ხართ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას და შეგიძლიათ, თვითონაც შექმნათ კომპლექსური დავალებები და შეიტანოთ მასში.
ამიტომაც მატრიცებს თან დავურთავთ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა შედგენისას დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად სწორი გზით მიდიხართ.

| კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები | არ აკმაყოფილებს | ნაწილობრივ აკმაყოფილებს | სრულად აკმაყოფილებს | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| კონტექსტი | | | | |
| 1) მკაფიოა რა ფორმით/რა პროდუქტის სახით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ დავალება (რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა); | | | | |
| 2) კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოს დგას მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან:<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია დავალების ფორმა (არ სჭირდება იმაზე დაფიქრება, თუ რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა);<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სფერო/კონტექსტი, რომელშიც მას ახალი ცოდნის ტრანსფერი ევალება (ბუნებრივი და იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელსაც მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა სთავაზობს). | | | | |
| 3) კომპლექსური დავალებისთვის კონტექსტი იმგვარადაა შერჩეული, რომ ის ბუნებრივად უკავშირდება საგნობრივ საკითხს, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება ახალი ცოდნა | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4) მკაფიოდ ჩანს ერთი კონკრეტული (და არა ზოგადი) საგნობრივი საკითხი, რომელსაც კომპლექსური დავალება შეეხება. | | | | |
| 5) საკითხი იმგვარადაა შერჩეული, რომ ლოგიკურია მისთვის სასწავლო პროცესის ვრცელი მონაკვეთის დათმობა. | | | | |
| 6) დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეს მის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი ცოდნის შეძენა და პროცედურებზე მუშაობა. | | | | |
| 7) მკაფიოა, თუ რა რესურსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით საგნობრივი საკითხის შესწავლა. | | | | |
| განზოგადება | | | | |
| 8) შეფასების კრიტერიუმები მკაცრ კორელაციაშია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. | | | | |
| 9) შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ერწყმის კომპლექსური დავალების პირობას. | | | | |
| 10) შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი დაკმაყოფილებისთვის მოსწავლეს ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა სჭირდება. | | | | |

# განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, სოლოტაქსონომია

**რა არის სოლოტაქსონომია (ანუ დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია)?**

სოლოტაქსონომია არის შეფასების მოდელი, რომელიც უფრო კოგნიტურ პროცესებზეა ორიენტირებული, ვიდრე – მიღწეულ შედეგებზე. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რომელ დონეს მიაღწია და როგორი პროგრესი აქვს სააზროვნო პროცესებში კონკრეტულ მოსწავლეს.

სწავლების კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაფუძნებით. სოლოტაქსონომია მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდეს მოსწავლის კოგნიტური განვითარების პროცესს და მისცეს კონსტრუქციული უკუკავშირი, რომელიც სწავლაში დაეხმარება.

**სოლოტაქსონომიაში გამოიყოფა 5 ძირითადი დონე:**

- პრესტრუქტურული დონე – მოსწავლეს არ ესმის დავალების პირობა, საკითხები, რომლებსაც დავალება უკავშირდება, მისთვის სრულიად უცნობია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას და შესაბამისად, შესრულებას.
- უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს აქვს მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ; მას შეუძლია მარტივი, აშკარა, ზედაპირული კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობას ვერ იგებს.
- მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლე აცნობიერებს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტს, მაგრამ ვერ იაზრებს მას ცნებების დონეზე. ის ამყარებს მთელ რიგ კავშირებს, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ ესმის. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს, დააკავშიროს, შეუსაბამოს ან გააკეთოს ალგორითმები. ამ დონის შეფასება, პირველ რიგში, რაოდენობრივია.
- მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია სწორად გაიგოს საკითხი, ინფორმაცია. მისი ცოდნა არ არის დანაწევრებული, ის ასრულებს დავალებას არა რაოდენობრივად, არამედ მთლიანობაში; არსობრივად, საგნობრივი ცნებების დონეზე აქვს გააზრებული, რასაც აკეთებს.
- მოსწავლეთა სწავლის შედეგები აჩვენებს შედარების, მიზეზ-შედეგობრივი აზროვნების, თანმიმდევრობის, ანალიზის, მთლიანი აზროვნების, ანალოგის გამოყენებისა და კითხვების ფორმულირების მტკიცებულებებს. ეს ის დონეა, რომელიც საგნის ადეკვატურ გაგებას გულისხმობს.
- გაფართოებული აბსტრაქტული – ამ დონეზე მოსწავლე იაზრებს საკითხს, ინფორმაციას, დავალებას არა მარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში. მას შეუძლია განაზოგადოს, შეიტანოს თავისი პირადი გამოცდილებაც, გამოამჟღავნოს ზოგადი განათლება, შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები; შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორიზაცია, ჰიპოთეზირება, შექმნა და ასახვა.

სოლოტაქსონომია იძლევა შესაძლებლობას, რომ დავაკვირდეთ არა მხოლოდ მოსწავლის კოგნიტურ შესაძლებლობებს და კონსტრუქციული კომენტარებით დავეხმაროთ მას, უკეთ გაიაზროს ესა თუ ის საკითხი, არამედ ძალიან კარგი ინდიკატორია მასწავლებლისთვის, შეაფასოს, სწორად წარმართა თუ არა სწავლების ეტაპები კომპლექსურ დავალებამდე. მაგალითად, თუკი სოლოტაქსონომიით შეფასებული ნაშრომების უმეტესობა ვერ სცდება მულტისტრუქტურულ დონეს, ეს უნდა იყოს მინიშნება მასწავლებლისთვის, რომ მეტი იმუშაოს ცნებების თვალსაზრისით თავის მოსწავლეებთან, უფრო მეტი აქტივობა გააკეთებინოს მათ, სანამ კომპლექსურ დავალებას შეასრულებდნენ.

საგულისხმო და გასათვალისწინებელია, რომ სოლოტაქსონომია ძალიან საჭირო და კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ განმავითარებელი შეფასებისთვის და მისი განმსაზღვრელ შეფასებად გამოყენება (დონეების მიხედვით ქულების განაწილება) დაუშვებელია.

# სოლო ტაქსონომია

რუბრიკა ივსება თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად

მოსწავლის სახელი, გვარი ________________________

საგანი _______________ ქართული ენა და ლიტერატურა _______________

საკითხი ________________________________________

კომპლექსური დავალების პირობა: ____________________

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | ჟანრი | კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე | ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები | კონტექსტი | |
|---|---|---|---|---|---|
| აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | ***მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე*** | | | | |
| მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | |
| უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | |
| პრე-სტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. |

**SOLO** ტაქსონომიის გამოყენებისას ყურადღება მიაქციეთ რამდენიმე გარემოებას:

4. რუბრიკაში მოცემულია საგნის ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებელს ყველა მათგანის შევსება არ ევალება, რუბრიკაში ის სამიზნე ცნების სვეტი უნდა შეავსოს, რომელსაც კომპლექსური დავალება ეხება;

5. კომენტარის გაკეთებისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს რომელ ცნებასთან და რომელ დონესთან მიმართებით აღიწერება მოსწავლის მიღწევები და შემდეგ შესაბამის გრაფაში ჩაწეროს კომენტარი. ამდენად, მასწავლებელი ავსებს მხოლოდ და მხოლოდ ერთ გრაფას;

6. მასწავლებელი განმავითარებელ შეფასების კომენტარს წერს არა ყოველი გაკვეთილის ბოლოს, არამედ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

# განმსაზღვრელი შეფასება

კომპლექსური დავალებებით მუშაობისას უპირატესობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლის კომენტარს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, გააუმჯობესოს თავისი ცოდნა და მიღწევები, უჩვენებს გზას, როგორ მოახერხოს ეს.

განმსაზღვრელი შეფასება კი ზომავს შედეგებს.

დღესდღეობით სასწავლო პროცესში ორივე გამოიყენება. კომპლექსური დავალება, პირობის გარდა, მოიცავს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასების გაკეთებაც - კრიტერიუმებზე კონკრეტული ქულების განაწილება.

გთავაზობთ ერთ ნიმუშს:

**დავალება - ანალიტიკური ესე (ლექსის ანალიზი) (ინდივიდუალური)**

ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით დაწერე აკაკი წერეთლის ლექს „განთიადის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი. გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.
ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- იმსჯელე ლექსის თემასა და იდეაზე, წარმოაჩინე მათ მიმართ შენი დამოკიდებულება;
- იმსჯელე ლირიკული გმირის განწყობასა და ემოციებზე; ახსენი, რა განაპირობებს მის ამგვარ განცდებსა და დამოკიდებულებებს;
- ისაუბრე მხატვრულ ხერხებზე, როგორ გადმოიცემა მათი საშუალებით ლირიკული გმირი განცდები და ლექსის იდეა;
- დაიცავი ანალიტიკური ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

**I კრიტერიუმი**

| ლექსის თემისა და იდეის ანალიზი, მკითხველის დამოკიდებულება | ქულა |
|---|---|
| მოსწავლე აანალიზებს როგორც ლექსის თემას, ასევე წარმოაჩენს ლექსის იდეასაც სრულყოფილად, ხსნის თავის დამოკიდებულებას არგუმენტირებულად. | 3 |
| მოსწავლე აანალიზებს ლექსის თემასა და იდეას, თუმცა მსჯელობა არასრულყოფილია, არაა დასაბუთებული და მისი დამოკიდებულებაც ზედაპირულადაა წარმოჩენილი. | 2 |
| მოსწავლე აანალიზებს ლექსის თემას ან იდეას, მისი მსჯელობა არასრულყოფილია, არ ჩანს მისი დამოკიდებულებაც ნაწარმოების მიმართ.<br>ან ჩანს მხოლოდ მისი ზედაპირული დამოკიდებულება ლექსის მიმართ, მაგრამ არ განიხილავს თემასა და იდეას. | 1 |
| მოსწავლე არასწორად იაზრებს ლექსის თემასა და იდეას, არ ჩანს მისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ ან საერთოდ არ აქვს ეს კრიტერიუმი გათვალისწინებული. | 0 |

II კრიტერიუმი

| ლირიკული გმირის განწყობა, ემოციები, დამოკიდებულებები | ქულა |
|---|---|
| მოსწავლე სრულყოფილად აანალიზებს ლირიკული გმირის სახეს, სიღრმისეულად გადმოსცემს მის განწყობას, ემოციებისა და დამოკიდებულებების გამომწვევ მიზეზებზეც მსჯელობს. | 3 |
| მოსწავლე ნაწილობრივ აანალიზებს ლირიკული გმირის სახეს, თუმცა განწყობა, ემოციები, დამოკიდებულებები - ამ სამი კომპონენტიდან ერთ-ერთი მაინც გამოტოვებულია ან არ არის ახსნილი, რა განაპირობებს მათ. | 2 |
| მოსწავლე მხოლოდ ზედაპირულად აანალიზებს ლირიკული გმირის სახეს, ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან ემოციებსა და დამოკიდებულებებს. | 1 |
| მოსწავლე არ ამახვილებს ყურადღებას ლირიკული გმირის განწყობაზე, ემოციებსა და დამოკიდებულებებზე | 0 |

III კრიტერიუმი

| ნაშრომის მხატვრული თავისებურებების შეფასება | ქულა |
|---|---|
| მოსწავლე ხედავს და სიღრმისეულად აანალიზებს ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებებს, გამოყოფს და განმარტავს ტროპის არაერთ სახეს. | 2 |
| მოსწავლე მხოლოდ ზედაპირულად აანალიზებს ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებებს, გამოყოფს და განმარტავს ტროპის თითო-ოროლა სახეს ან აანალიზებს რამდენიმეს, მაგრამ არასწორად. | 1 |
| მოსწავლეს არ საუბრობს ნაშრომში ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე | 0 |
| მოსწავლე არ ამახვილებს ყურადღებას ლირიკული გმირის განწყობაზე, ემოციებსა და დამოკიდებულებებზე | 0 |

III კრიტერიუმი

| ესეს სტრუქტურა | ქულა |
|---|---|
| ნაშრომში დაცულია ანალიტიკური ესეს სტრუქტურა, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | 2 |
| ნაშრომში ნაწილობრივ დარღვეულია ანალიტიკური ესეს სტრუქტურა/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი. | 1 |
| ნაშრომში არ არის დაცული ანალიტიკური ესეს სტრუქტურა, აბზაცები არასწორად ან საერთოდ არ არის გამოყოფილი. | 0 |

# მეთოდური სტატიები

წყარო: ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“

## სასვენი ნიშნების დღე

მაია მენაბდე

სასვენი ნიშნების მნიშვნელობაზე რომ ვესაუბრები ბავშვებს, ფილოლოგებში გავრცელებული ლეგენდით ვიწყებ ხოლმე, თუ როგორ გადაარჩინა ერთმა მძიმემ ადამიანის სიცოცხლე. ერთ ჩინოვნიკს ბრძანების დაწერისას მძიმის ადგილი შეშლია და დასახვრეტად გამზადებული ადამიანი გაუთავისუფლებიათ. ფრაზის *„დაიხვრიტოს, დაუშვებელია ეპატიოს!“* მაგიერ დაუწერია: „დაიხვრიტოს დაუშვებელია, ეპატიოს!“

ეს ლეგენდაც ძალიან მოსწონთ და სხვა პატარ- პატარა სასვენ ნიშნებთან დაკავშირებული სახალისო ხრიკებიც, მაგრამ სასვენი ნიშნების დასმისა რა მოგახსენოთ. იმასაც დავაკვირდი, მხოლოდ არცოდნის ბრალი არაა, ვინც იცის, იმასაც ეზარება ხოლმე სასვენი ნიშნების დასმა.

ერთხელაც გადავწყვიტე, ჩემი მოსწავლეებისთვის დამეწესებინა სასვენი ნიშნების დღე. მე თვითონ ისე აღფრთოვანდი ამ იდეით და ისეთი რიხითა და ზარზეიმით გამოვუცხადე კლასში შესულმა, რომ ისღა დარჩენოდათ, ტაშის კვრით მიეღოთ ეს ახალი წინადადება და საკუთარი დაბადების დღეების აღნიშვნაზე ნაკლებად არ გახარებოდათ. მით უმეტეს, რომ ეს დღე სხვა მნიშვნელოვანი თარიღებივით წელიწადში ერთხელ კი არ იქნებოდა, არამედ თვეში ერთხელ!

პირველი დღე ვახტანგ ჯავახაძეზე საუბრით და მისი საოცარი ლექსით დავიწყე:

*ქება სასვენი ნიშნებისა*

*„მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს, ვიცი მათი ფასი...*
*წერტილიდან წერტილამდე ძლივს მიმქონდა აზრი.*
*არასოდეს არ ვკარგავდი კითხვის ნიშნის იმედს*
*და ბოროტად არასოდეს ვიყენებდი მძიმეს.*
*ზოგჯერ,*
*როცა სიტყვის შემდეგ ვერ დავწერდი წერტილს*
*და მძიმესაც ვერ დავწერდი, წერტილ-მძიმეს ვწერდი.*
*როცა რითმებს ვდარაჯობდი, როგორც მონადირე,*
*მწევრებივით მაქეზებდნენ დეფისი და ტირე.*
*ხშირად, როცა არ მწყალობდა შთაგონების ღმერთი,*
*ბეწვზე გადავურჩენივარ ერთგულ მრავალწერტილს,*
*ხოლო როცა დადგებოდა ჟამი ყიჟინისა,*
*ხან ორ წერტილს მოვუხმობდი,*
*ხან - ძახილის ნიშანს...*
*ისევ ვწყალობ ნაცნობ ნიშნებს, როგორც მეცენატი,*
*თუმცა ზოგან სასვენ ნიშნებს აღარ სცემენ პატივს.*
*გრძნობის დილეგს უწოდებენ და ვნებათა კარცერს,*
*ზოგი ზოგჯერ გაიხსენებს, ზოგი სულაც არ წერს.*
*მე კი ისევ ერთგული ვარ ძველი მონაპოვრის:*
*სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო სასვენ ნიშნებს შორის.“*

*ვახტანგ ჯავახაძე*

რადგანაც ჯავახაძე არაჩვეულებრივი პოეტია, დასაწყისი იყო უეფექტურესი და მონუსხულები ელოდნენ, როგორი იქნებოდა გაგრძელება.

გაგრძელება კი ყველა კლასისთვის სხვადასხვანაირი იყო: მერვეებს - გალაკტიონის „რომელი საათია" წავუკითხე და მისი უსასვენნიშნებო ვარიანტი დავუდე წინ, მეშვიდეებს- მურმან ლებანიძის „შეჩერდი, მოასწარ!". მეორეჯერ წაკითხვის პარალელურად სასვენი ნიშნები უნდა დაესვათ ორივე ლექსში. მერე ერთად შევასწორეთ ნამუშევრები და სათითაოდ ახსნეს. რომელი სასვენი ნიშანი რატომ დასვეს. მე კი ავუხსენი, რომელიც არ დასვეს, რატომ უნდა დაესვათ.

პატარებთან (მე-5 კლასთან) სხვაგვარად იყო. მანანა ტონიას ინტერნეტში მოძიებული ლექსი „სასვენი ნიშნები" (https://www.facebook.com/SabavshvoLeksebi/photos/a.573482559369651.1073741828.554856601232247/983522685032301/?type=1&theater) დავუდე წინ. წყვილებში სამუშაოდ დავალებებიც მივაყოლე ორ ეტაპად: 1) განვიხილოთ ლექსი და მასში ასახული სასვენ ნიშანთა გამოყენების წესები მივუწეროთ გვერდით. დავნომროთ თითოეული წესი.

2) ლექსში მოცემული თითოეული წესის გამოყენებით შევადგინოთ წინადადება.

ლექსად დაწერილი წესები მოეწონათ. დავალებები საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა, მაგრამ თავი მაინც გაართვეს.

ის დღე იყო და ის დღე, ყოველი თვის ბოლოს ყველა კლასში დიდი ამბით ელოდებიან ხოლმე „სასვენი ნიშნების დღეს", წინასწარ მაფრთხილებენ, რომ თვის ბოლო ახლოვდება. ზარმაცები თავიანთ სასარგებლოდაც კი იყენებენ ამ დღეს, სასვენი ნიშნების დღე მეგონა და დავალება აღარ დავწერეო. ასეა თუ ისე, გვიხარია ამ დღის აღნიშვნა. ჩემი მთავარი პრინციპია, რომ თითოეული ეს დღე ლიტერატურასაც მჭიდროდ უკავშირდებოდეს.

ამიტომაც შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძისა და მისი არაჩვეულებრივი„ბებრების" ჯერი დადგა. ჯერ წავიკითხეთ ეს მინიატურა, ვიმსჯელეთ ემოციებზე და მწერლის განსხვავებულ, ლაკონიურ სტილზე. მერე დავურიგე ტექსტი, რომელშიც მხოლოდ 6 სასვენი ნიშანი იყო გამოტოვებული, ხოლო 4 არასწორად იყო დასმული. ნამუშევრების ანალიზის შემდეგ ორი გენიალური მსახიობის, სანდრო ჟორჟოლიანისა და სესილია თაყაიშვილის, მონაწილეობით „ბებრების" (https://www.youtube.com/watch?v=iH8MDMaibfU) სატელევიზიო დადგმასაც ვუყურეთ და კმაყოფილები „დავიშალეთ".

შემდეგი თვე იგავებისა აღმოჩნდა. დავყავი ჯგუფებად, დავურიგე მცირე მოცულობის იგავი-მინიატურები (გია მურღულიას წიგნიდან „სიბრძნე მინიატურებში". ბევრი მათგანი ინტერნეტშიცაა განთავსებული), რომლებშიც ბოლო ფრაზა (იგავის მორალის განმსაზღვრელი) არ ჩანდა და თვითონ უნდა ამოეცნოთ და ტექსტი დაესრულებინათ. ძალიან საინტერესო ვერსიები გამოუვიდათ.

მაგალითისთვის აი, ეს იგავი: *ყველაზე შეუცნობელი*

*ერთი კაცი ცოლ-შვილთან ერთად უდაბნოში მიდიოდა. წყურვილით გატანჯულებმა ჭა დაინახეს და მისკენ გაემართნენ, მაგრამ კაცს შინაგანმა ხმამ უთხრა, რომ წყალი ამ ჭაში მოწამლული*

*იყო. მან ამას ყურადღება არ მიაქცია და ცოლ-შვილს წყალი მიაწოდა. როდესაც ის უკვე თავადაც აპირებდა დალევას, დაინახა, რომ მისი უახლოესი ადამიანები სასიკვდილოდ იკრუნჩხებოდნენ. კაცმა ღმერთს შესთხოვა:*
*- ღმერთო, გადამირჩინე ჩემი ოჯახი! წყურვილი იმდენად ძლიერი*
*აღმოჩნდა, რომ ყურად არ ვიღე შენი გაფრთხილება.*
*- დაგიბრუნებ შენს ახლობლებს, - უთხრა ღმერთმა, - თუ ერთ კითხვაზე მიპასუხებ. რა არის ადამიანში ყველაზე შეუცნობელი?*

*კაცმა დიდხანს იფიქრა - ეშინოდა, ვაითუ არასწორად ვუპასუხოო და ბოლოს გაბედა:*
*- ყველაზე შეუცნობელი ადამიანში ის არის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვების სიკვდილს ხედავს, მაგრამ ისე ცხოვრობს, თითქოს თვითონ არასდროს მოკვდება.*
*და ღმერთმა მას ცოლ-შვილი დაუბრუნა. (გია მურღულია)*

ხაზგასმული ფრაზა გაშავებული იყო და თვითონ უნდა შეევსოთ ტექსტი.

თავიდანვე არ მითქვამს, რომ ტექსტში რამდენიმე მძიმე იყო გამორჩენილი, მაინტერესებდა, თვითონ თუ შეამჩნევდნენ. ზოგიერთმა შეამჩნია კიდეც, დანარჩენებს იგავის ანალიზის მერე დავავალე, რომ ეპოვათ კონკრეტული რაოდენობის გამორჩენილი მძიმე. ზოგი იპოვეს, ზოგი ჭია - მაიამ აპოვნინა, გაკვეთილის დასრულებამდე დამატებით 1-2 იგავის წაკითხვაც მოვასწარით. შემდეგი დღეები უფრო თამაშებსა და ხატვას დავუთმეთ.

**თამაში 1** - ჯგუფებში ვანაწილებ სასვენ ნიშნებს და მათი გამოყენების წესებს. კითხულობენ, განიხილავენ და უნდა ეცადონ, ყველა წესი გამოხატონ გრაფიკულად, ნახატით. სხვა ჯგუფის წევრებმა უნდა გამოიცნონ, რომელი წესია გადმოცემული ნახატით.

**თამაში 2** - იყოფიან ჯგუფებად, ჯგუფიდან გამოდის ერთი, იღებს რომელიმე სასვენი ნიშნის წესს და ცდილობს, მუნჯურად აუხსნას თავისი გუნდის წევრებს, თუ მუნჯურად ვერ გამოიცნობენ, მერე დახატოს რაიმე მიმანიშნებელი, ხოლო თუ ასეც ვერ გამოიცნეს, ეძლევა 2 სიტყვის თქმის უფლება. თითოეულ გუნდს ქულა ეწერება.
ორივე შემთხვევაში, შემაჯამებლად წერენ წინადადებებს, რომლებშიც მათ მიერ შერჩეულ რამდენიმე წესს გამოიყენებენ.

შემდეგი აქტივობა ტიპური „წრეზე წერა“ იყო. ბავშვები ჯგუფში სხდებიან წრეზე, წერენ ერთ თხზულებას მასწავლებლის შერჩეულ თემაზე, 2-2 წუთიანი შუალედებით. იწყებს ჯერ ერთი, 2 წუთის მერე განაგრძობს მეორე, ჯერ სხვის ნაწერს გადაიკითხავს და მერე ლოგიკურად განაგრძობს დაწყებული თხზულების წერას. ასე იქცევა წრის თითოეული წევრი, სანამ ნაწერი დამწყებ მოთამაშეს არ დაუბრუნდება. აქ განსხვავებული მხოლოდ ის იყო, რომ შეფასების კრიტერიუმებში ყველაზე დიდი ქულა პუნქტუაციას მივანიჭეთ (განსაკუთრებული ყურადღება სასვენი ნიშნებისთვის უნდა მიექციათ), თუმცა ქულა ეწერებოდათ იმაშიც, თუ რამდენად გამართული და საინტერესო იყო თხზულება.

სანამ წერას დავიწყებდით, განწყობის შესაქმნელად გოდერძი ჩოხელის პატარა, მაგრამ ძალიან საყვარელი მოთხრობა „წერტილი და მძიმე“ წავიკითხეთ.

ერთ დღეს პატარებმა ნახატებით იქვე, ექსპრომტად, სასვენი ნიშნების გაცოცხლებაც გადაწყვიტეს, ეს აქტივობა სასვენი ნიშნების უფრო ემოციურ გააზრებას და ბავშვების გახალისებას ემსახურებოდა და არა წესების დამახსოვრებას.
ასეთი პატარ-პატარა გახალისებები ძალიან უხდება ხოლმე ჩვენი სასვენი ნიშნების დღეებს.

# ვრცელი ტექსტები სკოლაში

მაია მენაბდე

21-ე საუკუნე მოკლე შეტყობინებებისა, მორბენალი სტრიქონების, მოკლე ტექსტების მოყვარული საუკუნეა. მსოფლიოში მასწავლებლები თუ ლიტერატორები, განათლების ექსპერტები შიშით უყურებენ და აღიარებენ ფაქტს, რომ თანამედროვე მოსწავლეებს ძალიან უჭირთ გრძელი ტექსტების კითხვა და გაგება. კომპიუტერიზაცია, ცხოვრების დაჩქარებული ტემპი და ყოველ დღიურად კი არა, ყოველ წამიერად ზღვა ინფორმაციის მიღება უმთავრეს მიზეზებად განიხილება.

მაგრამ ამ არასახარბიელო რეალობის გამოსასწორებლად ექსპერტები სულაც არ გვთავაზობენ, რომ გრძელ ტექსტებს უნდა ავარიდოთ ახალგაზრდები. არამედ, პირიქით, გავაათკეცოთ ძალისხმევა, მრავალგვარი მეთოდი უნდა ვცადოთ და შეუძლებელი შევძლოთ, რადგან არაფერი ისე არ ავითარებს სააზროვნო უნარებს, როგორც ტექსტზე მუშაობა.

სხვა საკითხია, ალბათ, რამდენად გრძელი ტექსტები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში. მე, პირადად, სკოლაში რომანების სწავლებას, რაც უნდა გენიალური იყოს, ეჭვის თვალით ვუყურებ. ამას თავისი მიზეზები აქვს. მოზარდების ინტერესის შენარჩუნება ძალიან რთული საქმეა და ეს ბევრად უფრო რთულდება, როცა მასწავლებელი იძულებულია, მისი ყურადღება დიდი ხნის განმავლობაში შეაჩეროს ერთ ნაწარმოებზე, რაც უნდა საინტერესო და ღირებული იყოს ის. ბავშვებს უყვართ დინამიკა, მუდმივი ცვლილება და სიახლეები, ახალი თემები, ახალი პერსონაჟები და სახეები.

დავუბრუნდეთ ისევ მასწავლებლის მცდელობას, წააკითხოს და გააგებინოს ვრცელი ტექსტი და თავიდანვე შევთანხმდეთ იმაზე, რომ დღევანდელი განათლების სისტემა ერთნაირად სთხოვს მოსწავლეს ფაქტობრივ ცოდნასა და გააზრებას. ამიტომ ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ტექსტის სწავლების სხვადასხვა ეტაპს გულისხმობს და შესაბამისად, ბლუმის ტაქსონომიის სხვადასხვა დონეს შეესაბამება.

- მარკერული კითხვა (წინასწარ მიცემული მითითებების მიხედვით მოსწავლეები ხაზავენ ტექსტში გარკვეულ მონაკვეთებს და აუცილებლად მიაწერენ კომენტარებს);
  იმისთვის, რომ მოსწავლემ კრიტიკულად გაიაზროს ნაწარმოები, გაანალიზოს და იფიქროს, აუცილებელია, კარგი ფაქტობრივი ცოდნაც ჰქონდეს. ამიტომ, რასაც ვავალებთ, პირველ რიგში, არის მარკერული კითხვა. ეს ძალიან სასარგებლო ჩვევაა, როცა ბავშვი კითხვის დროს ხაზავს და აწერს კომენტარებს, ვიზუალური მეხსიერებაც ერთვება ამ პროცესში და ბევრად უფრო კარგად იმახსოვრებს. ახარისხებს, ანალიზისთვის საჭირო მონაკვეთებს ადვილად პოულობს თავისი კომენტარების წყალობით. მასწავლებელი ნაწარმოების დაწყებისთანავე მიუთითებს, რას უნდა მიაქციონ ყურადღება, რაზე აიღონ ორიენტირი. მაგალითად: პერსონაჟთა დახასიათებები, ეპოქის მარკერები, მინიშნებები ნაწარმოების იდეაზე, ავტორისეული ჩართვები და ა.შ.

- მოსწავლეები გამოყოფენ ქვესათაურებს, ასათაურებენ თავებს; ეს გამოცდილი მეთოდია, მაგრამ ხშირად მასწავლებლები მხოლოდ დაწყებით საფეხურზე მიმართავენ ხოლმე ამ ხერხს. არადა, მხოლოდ დარქმეულ სათაურებსა და ქვესათაურებზე რომ ილაპარაკონ ბავშვებმა, ახსნან,რატომ აირჩიეს ეს სათაური და ერთმანეთის განსხვავებული ვარიანტებიც შეაჯერონ, ძალიან ბევრ რამეს უნდა შეეხონ ტექსტიდან, ბევრ რაიმეზე დაფიქრდნენ და თვითონ ეპიზოდებსაც უკეთესად იმახსოვრებენ. გავიხსენოთ ილიას „ოთარაანთ ქვრივი“

და მისი ცალკეული თავი. რა მრავლისმთქმელია მისი სათაურები და ამ სათაურებზე ფიქრი რამდენ საკითხზე ამახვილებინებს ყურადღებას მკითხველს. მაგალითად, ბევრს ფიქრობენ და მსჯელობენ ბავშვები სათაურებზე: „პილპილმოყრილი მადლი“, „მხილებაა თუ კადნიერება?!“ ამიტომაც, როცა დასათაურებას ვთხოვ, სწორედ „ოთარაანთ ქვრივის“ ბევრისმთქმელ სათაურებს ვახსენებ მათ.

- საკვანძო მონაკვეთებს მოსწავლეები გამოხატავენ სქემატურად, ქმნიან ასოციაციურ რუკებს; სქემების შექმნა, რა თქმა უნდა, სცდება ბლუმის ტაქსონომიის ცოდნა-გაგების დონეებს და გამოყენების დონეა უკვე, რადგან მოსწავლემ უნდა გაიაზროს ესა თუ ის საკვანძო საკითხი და სქემატურად გამოსახოს ისე, რომ ნათელი გახდეს სხვისთვის პრობლემის არსი, პერსონაჟის სახეცვლილება, პერსონაჟის ფიქრთა მიმდინარეობა. მაგალითად: შეუძლია, შეკრიბოს და სქემაში გადმოიტანოს, რას ფიქრობენ არსაკიძე და ფარსმანი ხელოვნებაზე. ან თუნდაც ვენის დიაგრამით ასახოს ნახუცარი ივანესა და თეიმურაზის საუბრები, რაში ეთანხმებიან ერთმანეთს და რომელ საკითხზე განსხვავდება მათი შეხედულებები რადიკალურად.

- ამუშავებენ ცალკეულ მნიშვნელოვან ეპიზოდს მხატვრული თვალსაზრისით; ყველაზე მეტად მხატვრულ მხარეზე მუშაობა უჭირთ და არ უყვართ მოსწავლეებს, მაგრამ მათ უნდა გაიზრონ, რომ მხატვრული სახეებზე ფიქრი ნაწარმოების იდეაში გარკვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. თითოეული მეტაფორის, ეპითეტის, შედარების საშუალებით იხსნება პერსონაჟის ხასიათი, პრობლემა და საფიქრალი. როცა ვრცელია ნაწარმოები, რთულია მისი მხატვრული მხარის სრულყოფილად დამუშავება, მაგრამ თუ რამდენიმე ეპიზოდს ავირჩევთ და ამ ეპიზოდებზე იქვე, გაკვეთილზე, ვამუშავებთ ბავშვებს, წარმოდგენა შეექმნებათ მწერლის სტილსა და ნაწარმოების მახასიათებლებზე.

- აპირისპირებენ პერსონაჟებს, რომელთა მსგავსება – განსხვავებებს გზადაგზა ავსებენ (ვენის დიაგრამა, შედარების მატრიცა, თ სქემა). პერსონაჟებს ნაწარმოების დასრულების მერე კი არ ადარებენ ერთმანეთს, არამედ ნაწარმოების სწავლის პერიოდში. დასაწყისიდანვე ირჩევენ  პერსონაჟთა წყვილებს ან სამეულებს და მათთვის სასურველი კოგნიტური სქემებით ადარებენ ერთმანეთს. გზადაგზა არჩეული კოგნიტური სქემა ივსება და მრავალფეროვანი ხდება. ნაწარმოების დასრულების შემდეგ კი ნებისმიერი ტიპის თხზულების დაწერა გაუადვილდებათ უკვე გამზადებული სქემების მიხედვით. და სულაც არ არის სავალდებულო, მაინცდამაინც ე. წ. „შედარებითი დახასიათება“ იყოს. შესაბამისად, ეს აქტივობა ძალიან კარგი გზაა მაღალ სააზროვნო დონეებზე გადასასვლელად.

- ცალკეული მონაკვეთის მიხედვით ამზადებენ პრობლემურ, სააზროვნო კითხვებს, რომელთაც ერთმანეთს უსვამენ; კითხვის სწორად დასმის ტაქტიკა ძალიან მნიშვნელოვანი და რთულად გამოსამუშავებელი უნარია ბავშვისთვის. თუმცა საკმაოდ სახალისოა. შეგვიძლია, სხვადასხვა მონაკვეთზე ჯგუფურად ვამუშაოთ, კითხვების განსაზღვრული რაოდენობით მომზადება დავავალოთ. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სააზროვნო კითხვების მომზადებას, რომ მათ მიერ შედგენილი სრული კითხვარი მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს დანარჩენი ჯგუფებისთვის.

- გზადაგზა შეხვედრილ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ციტატებზე წერენ მოკლე ესეებს (მაგ: „ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო ადამიანებს თავი“) ციტატებზე ესეს შექმნა მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს ბავშვებს და ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით სინთეზის დონეა. ამ მეთოდით მთლიანი ნაწარმოების იდეას ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებიან და ითავისებენ. აუცილებელია, ესეები ერთმანეთს წაუკითხონ და იმსჯელონ. ეს პროცესი

მოსაწყენი რომ არ გახდეს, შეგვიძლია, სხვადასხვა ციტატაზე ვამუშაოთ ერთდროულად. ციტატებს ან თვითონ ირჩევენ, ან ვისაც რომელი შეხვდება, შემთხვევითობის პრინციპით.

- ირჩევენ მათთვის საინტერესო პერსონაჟს- ცდილობენ, დანარჩენ პერსონაჟებსა და მოვლენებს შეხედონ მისი თვალით. რამდენიმე თავის მერე მოსწავლე ირჩევს თავისთვის ყველაზე საინტერესო პერსონაჟს და ნაწარმოების შესწავლის პარალელურად ცდილობს, მისი თვალით შეხედოს პრობლემებს, მისი პოზიცია დაიცვას, მისი შეხედულებები განმარტოს და განავრცოს. ძალიან ხშირად მოსწავლეები ირჩევენ მეორეხარისხოვან ან უარყოფით პერსონაჟებს. პირველის შემთხვევაში, ცდილობენ, ნაწარმოებში ის სიცარიელეები „ამოავსონ", რომლებიც ამ პერსონაჟებს უკავშირდება, ტექსტიდან გამომდინარე წარმოიდგინონ მათი ფიქრები და განცდები, შექმნან მათი შეხედულებები. რაც შეეხება უარყოფით პერსონაჟებს, მოსწავლეები ძირითადად ცდილობენ, მათ მიუღებელ საქციელებს ახსნა მოუძებნონ, ქცევის მიზეზებს ჩასწვდნენ და დაადგინონ, რა როლი ითამაშა საზოგადოებამ მათი ასეთად ჩამოყალიბებაში.

## როგორ ვეთამაშოთ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე

**ნათია ფურცელაძე**

ბავშვებს ძალიან უყვართ თამაში. ზოგიერთი ფიქრობს, რომ თამაშით სწავლების მეთოდი მხოლოდ დაწყებით საფეხურზეა ეფექტიანი, ჩემი გამოცდილება კი მარწმუნებს, რომ ნებისმიერი საფეხურის მოსწავლეები ინტერესდებიან სასწავლო-შემეცნებითი თამაშებით, მეტიც, 10 წლის განმავლობაში არ მქონია შემთხვევა, რომ კლასისთვის შემეთავაზებინა ლიტერატურული, გრამატიკული, როლური, ინტელექტუალური ან სხვა ტიპის თამაში და მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა დიდი სიხარულით არ შეხვედროდა ჩემს ინიციატივას.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინ მეთორმეტეკლასელებს ვასწავლიდი. ჰაგიოგრაფიული ტექსტები უნდა გაემეორებინათ. მოსწავლეები დავაჯგუფე და ვთხოვე მათ, მოეფიქრებინათ თამაში, რომელსაც ერთმანეთს ჩაუტარებდნენ და თანაკლასელებს ნასწავლის გახსენებაში დაეხმარებოდნენ. ცნობილი მეთოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" დაუკავშირეს, ფურცლებზე დაწერეს პერსონაჟების სახელები. ერთი შუბლზე მიიკრავდა და ვერ ხედავდა, რომელ გმირად „იქცა", მეორეს კი მინიშნებებით უნდა მიეხვედრებინა, საბა იშხნელი იყო, დედა ფებრონია თუ აშოტ კურაპალატი. ასე გაიხსენეს არა მხოლოდ მთავარი, არამედ მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც. კითხვები და მინიშნებები იყო ძალიან საინტერესო და მხიარული, არც ერთი დეტალი არ ეპარებოდათ, იმპროვიზაციასაც მიმართეს. გაკვეთილი ისე გავიდა, ვერც ვიგრძენით.

თამაშით სწავლების მთავარი უპირატესობა სწორედ ესაა – გაკვეთილზე დრო სწრაფად გადის, მოსწავლეები სიამოვნებით არიან ჩართულნი და არ უნდათ, რომ ზარი დაირეკოს, ან ყოველთვის ელოდებიან მსგავსი აქტივობის გამეორებას, რაც მოტივაციასაც უმაღლებს მათ და შემდგომში ჩართულობის ხარისხსაც ზრდის. ზემომოყვანილი მაგალითი იმის დასტურია, რომ მაღალკლასელებსაც ისევე მოსწონთ თამაშით სწავლება, როგორც პატარებს. თამაშზე არც ზრდასრულები ვამბობთ უარს, შესაბამისად, ასაკი ბარიერს არ ქმნის, მთავარია, სასწავლო თამაშის მოფიქრებისას გავითვალისწინოთ ბავშვების ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები.

თუ თამაშის ავტორი მოსწავლეა, ეს კიდევ მეტად ეხმარება მას: თანამშრომლობს თანაკლასელებთან, გეგმავს, იმეორებს მასალას, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, უფრო შემოქმედებითი ხდება.

თამაშით სწავლება რისკებთანაც არის დაკავშირებული და ამის გათვალისწინება აუცილებელია. მე დიდად არ მიყვარს შეჯიბრება და ვცდილობ, მოსწავლეები ავარიდო ზედმეტ ღელვას, მაგრამ ზოგიერთი თამაში შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება. ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ზოგი ძალიან განიცდის დამარცხებას, ჩნდება კონფლიქტის მიზეზიც. ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს და უარი არ გვათქმევინოს თამაშით სწავლებაზე. ჯობია, მასწავლებელი ხედავდეს, როგორ გაჩნდა პრობლემა, რამ გამოიწვია კონფლიქტი, რომ მსგავსი შემთხვევები გამოიყენოს და ამგვარად ასწავლოს ბავშვებს პრობლემების გადაჭრა, კონფლიქტების მოგვარება, გამარჯვებასა და დამარცხებასთან ღირსეულად შეხვედრა და მეგობრის წარმატებისა და სიხარულის გაზიარებაც.

– როდის უნდა ვეთამაშოთ ბავშვებს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე?

– ნებისმიერ დროს. თამაში შემაჯამებელი დავალების ფორმადაც კი შეგვიძლია ვაქციოთ.

– როგორ ვეთამაშოთ?

იმისთვის, რომ ამ შეკითხვას ვუპასუხო, გაგიზიარებთ რამდენიმე აქტივობას, რომლებმაც ჩემი მოსწავლეების სასწავლო რუტინა გაამრავალფეროვნა.

## პერსონაჟთა გალერეა

თამაში არის ჩემთვის დამხმარე საშუალება, რათა მოსწავლეებს მოვანდომო წიგნის წაკითხვა. ბავშვებს ვაცნობ ახალ პერსონაჟებს, ილუსტრაციებს, ვთავაზობ წიგნს და წინასწარ ვატყობინებ, რომ მას შემდეგ, რაც წაიკითხავენ, ჩავატარებ თამაშს სწორედ იმ ტექსტის მიხედვით. სურთ თუ არა წიგნის წაკითხვა და შემდეგ თამაში, თავად უნდა გადაწყვიტონ.

თამაშის მოლოდინი:

- მოსწავლეებს წიგნის წაკითხვის სურვილს უჩენს;
- უფრო ყურადღებით კითხულობენ, იმახსოვრებენ, ინფორმაციას ახარისხებენ;

მაგალითად, დეკემბერში მეექვსეკლასელებმა ასე წაიკითხეს „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა", საშობაო არდადეგებზე – „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი", იანვარში კი სათავგადასავლო თამაში ჩავუტარე, რომელიც რამდენიმე ტურისგან შედგებოდა. ერთ-ერთი იყო **პერსონაჟთა გალერეა.** სკოლის კიბეებზე გადავმალე ჩემი მცირეწლოვანი ქალიშვილების მოხატული იმდენი კონვერტი, რამდენი ბავშვიც სწავლობდა კლასში. თითოეულ კონვერტში იდო „ჰარი პოტერის" ერთ-ერთი პერსონაჟის ფოტო. ბავშვებს მითითებულ დროში უნდა მოეძებნათ კონვერტი, ფოტო მიეწებებინათ კედლის გაზეთზე და მიეწერათ გმირის სახელი. თითქოს ძალიან მარტივია, მაგრამ როცა წამზომი ჩართულია, ამ დავალების შესრულება მოთამაშეთა დიდ ძალისხმევას საჭიროებს.
ეს აქტივობა შეგვიძლია პროგრამული ტექსტების სწავლების დროსაც გამოვიყენოთ. შესაძლებელია ისიც, რომ გმირების პორტრეტები მოსწავლეებმა დახატონ და ისე შექმნან პერსონაჟთა გალერეა.

## მეხსიერების სავარჯიშო

მეხსიერების ვარჯიში ნებისმიერ ადამიანს სჭირდება, განსაკუთრებით – ბავშვებს. ამ აქტივობას ვგეგმავ სემესტრის დაწყებისას ან დასრულებისას, რადგან მოსწავლეებს ეხმარება გაიხსენონ, რა ისწავლეს.

თავდაპირველად ეკრანზე თანმიმდევრულად ვაჩვენებ იმ მწერალთა ფოტოებს, რომელთა ტექსტებიც წაიკითხეს, შემდეგ კი ვთხოვ, იმავე თანმიმდევრობით ჩამოთვალონ.

შეიძლება ეს გუნდური თამაშიც იყოს, ჯგუფის წევრებს დასჭირდეთ დამახსოვრება და მწერალთა სახელების ფურცელზე ჩამოწერა. საინტერესოა, გუნდური თამაშის დროს რა სწრაფად ინაწილებენ როლებს, მაგ., ერთი ბავშვი პირველ სამ ფოტოს იმახსოვრებს, მეორე – მომდევნო სამს, მესამე იწერს, მეოთხე ამოწმებს და ა.შ. ამ აქტივობის გამოყენება ნებისმიერი საგნის მასწავლებელს შეუძლია.

მე კონკრეტული მიზნები მქონდა:

1. მინდოდა, რომ ბავშვებს მეხსიერება გაევარჯიშებინათ;
2. თამაშის პროცესში დაემახსოვრებინათ, როგორ გამოიყურებოდნენ მწერლები/პოეტები, რადგან ერთ-ერთმა მოსწავლემ ცოტა ხნით ადრე გამანდო, რომ ასტრიდ ლინდგრენი და ტუვე იანსონი კაცები ეგონა, მეორეს კი იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე ერთმანეთში ერეოდა ამ რესურსის შექმნისას მწერლების ფოტოებს თავისუფლად შეგვიძლია ჩავანაცვლოთ ლიტერატურული პერსონაჟები, ანიმაციური გმირები, კულტურული ძეგლები, მსოფლიოს ქალაქები, ფორმულები და სხვ.

## შეცდომაა/სწორია – კორექტორობანა

მოსწავლეებს გრამატიკული წესებისა და თეორიების სწავლა დიდად არ უყვართ, შეცდომების გასწორება და პრაქტიკული დავალებები უფრო ხიბლავთ. მთავარია, მათ შეძლონ ნასწავლის გამოყენება, მართლწერა და მართლმეტყველება, კორექტორობანა კი სწორედ ამაში გვეხმარება.

თამაშის პრინციპი შემდეგნაირია: თუ კლასში 18 ბავშვია, ვარჩევთ 9 ფორმას – ერთ ფურცელზე ვწერთ სწორ ვარიანტს, მეორეზე – მცდარს, მაგალითად: ჩვენთაგანი – ჩვენგანი. ფურცლებს ვმალავთ სკოლის ეზოში, ისე, რომ ბავშვებმა მარტივად ვერ მიაგნონ და სირბილიც დასჭირდეთ, რადგან ძებნისთვის გარკვეულ დროს ვაწესებთ.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე იპოვის ფურცელს, ხმამაღლა უნდა დაიძახოს, რაც წერია მის ფურცელზე და ამ ხმაურში დაიწყოს მეწყვილის ძებნა, რომელსაც იგივე ფორმა შეხვდა. მერე წყვილი იწყებს მსჯელობას, 2-დან რომელი ფორმაა მართებული, ბოლოს ბავშვები მიდიან დაფასთან, რომელზეც ხვდებათ თ-დიაგრამა და თავიანთ ფურცლებს აკრავენ შესაბამის ადგილას.

ეს თამაში, გარდა იმისა, რომ მოსწავლეთა მართლწერისა და მართლმეტყველების უნარებს აუმჯობესებს, ხელს უწყობს სხარტ აზროვნებას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, საბოლოოდ კი დაფაზე გამოკრული მცდარი და სწორი ფორმებით, ანუ მათ მიერ შედგენილი მცირე ორთოგრაფიული ლექსიკონით უკეთ იმახსოვრებენ, როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა.
სამაგიდო თამაში

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად ვმართავთ სამაგიდო თამაშებს. ვიყენებ ბევრნაირ რესურსს, მაგრამ ყველაზე საინტერესო, ვფიქრობ, ხელნაკეთი სამაგიდო თამაშებია, რომლებსაც მეც ვამზადებ და ბავშვებიც. მაგალითად, მერვეკლასელებმა ჩემი თხოვნით მეექვსეკლასელებისთვის შექმნეს სამაგიდო თამაშები, რათა მათ შემაჯამებელი დავალების შესრულებამდე მარტივად და ხალისით გაემეორებინათ განვლილი მასალა. ფოტოზე ჩანს ერთ-ერთი ჯგუფის დამზადებული გრამატიკული ცისარტყელა, ბარათებზე წერია კუმშვა-

დი, უკუმშველი, კვეცადი, უკვეცელი და კუმშვად-კვეცადი სახელები, რომლებიც მოთამაშეებმა შესაბამის კონვერტებში უნდა მოათავსონ.

სამაგიდო თამაშების შექმნა ნებისმიერ დროს შეიძლება, გააჩნია, რა გვაქვს მიზნად დასახული.

ვოცნებობ, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, ისწავლოს და ასწავლონ თამაშით, რადგან ეს არის მეთოდი, რომელიც სასწავლო პროცესს ბავშვებისათვის სასიამოვნოსა და სახალისოს ხდის და არწმუნებს მათ, რომ „სწავლის ძირი" სულაც არ არის მწარე, პირიქით, მეცადინეობაც შეიძლება იყოს „ტკბილი". ეს სურვილი რომ შემისრულდეს, მომავალშიც სიამოვნებით გიამბობთ სხვადასხვა აქტივობის შესახებ და გაგიზიარებთ, როგორ ვთამაშობთ მე და ჩემი მოსწავლეები ქართულის გაკვეთილზე. გადაწყვეტილება თქვენ უნდა მიიღოთ, ვფიქრობ, მოსწავლე რომ გაკვეთილზე თავს ბედნიერად გრძნობდეს, ყველა მასწავლებელს უნდა.

ეს კი ჩემ მიერ შექმნილი რესურსია ერთ-ერთი თამაშისათვის, თუ გამოიცნობთ, რა შეიძლება იყოს?

# კითხვა ნიშანთა სისტემით

**ნათია ფურცელაძე**

ჩვენი მოსწავლეები ყოველდღე კითხულობენ.

კითხულობენ გაკვეთილებს, ამოცანების პირობებს, ლექსებს, ახალგამოცემულ თუ ძველ წიგნებს, ერთმანეთის წერილებს. ტექსტებს ხვდებიან სახლში, სკოლაში, ქუჩაში, აბრებზე, მაღაზიებში, ყველგან.

და ყველაზე მთავარი ამ დროს არის ის, თუ როგორ იგებენ, იაზრებენ და შემდეგ იყენებენ ისინი წაკითხულს. ჩვენ კი, მასწავლებლებმა, უნდა გავაცნობიეროთ, რამდენად მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ, როგორ იკითხონ და გამოვუმუშაოთ ტექსტის გააზრების, ინფორმაციის დახარისხების უნარები. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოსწავლეები წაკითხულის გააზრებას ახერხებენ სკოლაში, შემდეგ უადვილდებათ სწავლა უნივერსიტეტში, საქმეს იოლად ართმევენ თავს სამსახურში, უმარტივდებათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა.

როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება? ამისთვის ბევრი გზა არსებობს, ერთ-ერთია ყველასთვის ნაცნობი მეთოდი – კითხვა ნიშანთა სისტემით, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის წასაკითხად ნებისმიერ საგანში, სწავლების სამივე საფეხურზე.

სასურველია, მოსწავლეებთან ერთად შევიმუშაოთ რამდენიმე სიმბოლო.
მაგალითად:

გაუგებარი სიტყვა – ?
ნაცნობი ინფორმაცია – +
მნიშვნელოვანი ცნობა – ! და ა.შ.

ეს ნიშნები მკითხველებმა უნდა გამოიყენონ ტექსტზე მუშაობისას. სიმბოლოები შესაძლოა შევცვალოთ გემოვნებისა და საჭიროების მიხედვით. ინფორმაციის ამგვარად დახარისხება უფრო საინტერესოს ხდის კითხვის პროცესს და ბავშვები უკეთ იმახსოვრებენ წაკითხულს.

„მთავარია, შერჩეული სიმბოლოები გვაძლევდეს საშუალებას, გავიგოთ, რა გაიგეს მოსწავლეებმა, რა – ვერ გაიგეს, რა დარჩა ბუნდოვანი, რა მოეწონათ ან არ მოეწონათ. ამგვარი მიდგომა ეხმარება მოსწავლეს ტექსტის არა მარტო უკეთ გაგებასა და სწავლაში, არამედ ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრასა და გამოხატვაში. ეს ყოველივე კი აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მასში აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებისათვის" (კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013, გვ. 80).

რამდენიმე თვის წინ მოსწავლეებთან ერთად ერთგვარი სამკითხველო ექსპერიმენტი წამოვიწყე სწორედ ნიშანთა სისტემით.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღესაც მოსწავლემ მითხრა, ბოლოს წიგნს როცა ვკითხულობდი, არ მომწონდა და ვაღიარებ, ფურცლებს ვტოვებდიო. ჩვეულებრივი ამბავია, არ გამკვირვებია, პირიქით, გამახარა მისმა გულწრფელობამ. წიგნით დაინტერესება არ არის მარტივი და უამრავი რამის გამოგონება გვიწევს, თუ გვინდა, რომ  ბავშვებმა სიამოვნებით იკითხონ. იმ მომენტიდან დავიწყე ფიქრი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა, რომ მომდევნო წიგნი, მიუხედავად იმისა, მოეწონებოდა თუ არა, მისთვის საინტერესო ყოფილიყო, არა მხოლოდ ტექსტი, კითხვის პროცესიც.

ასეთი რამ მოვიფიქრე: ბავშვებს შევთავაზე, წაგვეკითხა ისეთი წიგნი, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის იქნებოდა უცხო, აქამდე არც ერთს არ უნდა გვქონოდა წაკითხული, მოგვეფიქრებინა ნიშნები, სიმბოლოები მხოლოდ ამ ტექსტისთვის, კითხვისას ფურცლებზე გადაგვეტანა და ამგვარად გამოგვეხატა ჩვენი ემოციები, შეხედულებები. წაკითხვის შემდეგ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გაგვეცვალა წიგნები და დავკვირვებოდით ერთმანეთის განცდებს, შთაბეჭდილებებს. ჩემი მიზანი არ იყო ის, რომ ჩემს მოსწავლეებს მხოლოდ მოსწონებოდათ ან არ მოსწონებოდათ წაკითხული ამბავი, მინდოდა, მიმხვდარიყვნენ, რომ წიგნი, ისევე როგორც ცხოვრება, იქმნება დეტალებით, რომლებიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, მსურდა, გაეაზრებინათ ის, რასაც კითხულობდნენ, ეს კი დაკვირვების გარეშე შეუძლებელია.

ჩემი შეთავაზება, როგორც ერთგვარი გამოწვევა, მიიღო მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სამი კლასის 60-მდე მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა არ მოინდომა ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა.

მეხუთეკლასელებს შევთავაზე ანე-კატარინე ვესტლის „ანტონის პატარა საჩუქარი", რადგან პირველი სამი ნაწილი უკვე წაკითხული გვქონდა. ბავშვებმა ნიშანთა სისტემას კითხვის ენა დაარქვეს.

შევთანხმდით, რომ, გარდა საერთო სიმბოლოებისა, თუ რომელიმე ჩვენგანს მოუნდებოდა, ინდივიდუალური ნიშნებიც მოეფიქრებინა. ასე გაჩნდა საოცარი მინიშნებები, ილუსტრაციები. ბავშვების ფანტაზიას ხომ არასდროს არ აქვს საზღვარი.

მეშვიდეკლასელებმა წაიკითხეს სარა პენიპეკერის „პაქსი" (პაქსის სიმბოლოები) და ლინდა მალალი ჰანთის „თევზი ხეზე" (კითხვის ემოციები).

კითხვა ნიშანთა სისტემით ჩემთვის ნაცნობი მეთოდი იყო პროგრამული ნაწარმოებების სწავლებისას, წიგნი კი ამგვარად მოსწავლეებთან ერთად პირველად წავიკითხე. პროცესიც და შედეგებიც იმაზე სასიამოვნო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ვცდილობდი, უყურადღებოდ არ დამეტოვებინა არც ერთი გვერდი, არც ერთი ეპიზოდი, ფრაზა, სიტყვა.

ასევე იყვნენ ბავშვებიც. მათი წაკითხული წიგნების ფურცვლამ გამაბედნიერა. რომ იცოდეთ, რამდენ რამეს ამჩნევენ, რამდენ რამეზე ფიქრობენ ეს პატარა/დიდი ადამიანები.

მათი თქმით, ხშირად წაუკითხავთ ჩქარ-ჩქარა, ზოგჯერ – უყურადღებოდ, ამ მეთოდით კითხვის დროს კი უფრო ჩაუღრმავდნენ წიგნს.

მოსწავლეებს ვთხოვე, შთაბეჭდილებები დაეწერათ. თითოეულის წერილი ერთმანეთზე საინტ-ერესოა, მე ბევრ რამეზე დამაფიქრა (სამომავლოდ რომ გავითვალისწინებ) და კარგად მაჩვენა, თუ რა მოჰყვა შედეგად წიგნების კითხვას ნიშანთა სისტემით:

არანაკლებ ეფექტური აღმოჩნდა მეორე ეტაპი, როცა ერთმანეთს წაკითხული წიგნები გავუცვალეთ. ერთი მხრივ, ეს იყო ტექსტის სიღრმისეულად გააზრების კიდევ ერთი გზა და, მეორე მხრივ, თითოეული ჩვენგანის (მკითხველების) უკეთ გაცნობისა და დაახლოების სა-შუალება.

ვაკვირდებოდი, რას მიაქციეს ყურადღება კითხვისას ჩემმა მოსწავლეებმა, ბავშვები კი მეგო-ბრებისა და მასწავლებლების განცდებს ეცნობოდნენ (ჩემ გარდა წიგნი დასახელებული კლასე-ბის დამრიგებლებმა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა წაიკითხეს). საინტერესო იყო იმის ნახვა, რომელი ქცევა აღმოჩნდა ჩვენთვის მიუღებელი, რომელი სიტყვები მოგვეწონა, რას გავითვალისწინებდით და სხვა ბევრი რამ.

ლიტერატურას აქვს საოცარი ძალა და ამ თავგადასავალმა ემოციურად კიდევ უფრო დაგვაკა-ვშირა, ეს კი დღეს განსაკუთრებით გვჭირდება. როცა მასწავლებელმა იცის, რა ახარებს მოს-წავლეს, ეცნობა მის გემოვნებას ან კიდევ – პირიქით, ბავშვი ხედავს, როგორ კითხულობს მისი პედაგოგი და რა აფიქრებს, მათი ურთიერთობა უფრო ჰარმონიული ხდება.

## „თემა – ადამიანი და ბუნება“

„როგორ უნდა შევაყვაროთ ბავშვებს ცხოველი?“

„როგორ ჩავუნერგოთ შვილებს ბუნებისა და ცოცხალი არსებების პატივისცემა?“

„რა უნდა გავაკეთოთ სკოლებში, რომ ბავშვებს ცოცხალი არსებების მიმართ ფრთხილი და მზრუნველი, უსაფრთხო მიმართებები ჩამოუყალიბდეთ?“

ეს კითხვები მშობლებსა და მასწავლებლებს უჩნდებათ. პასუხისმგებლობაც თანაბრადაა გასანაწილებელი. წერილში საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის მომზადებული გაკვეთილის გეგმა მინდა გაგიზიაროთ. მხატვრული ლიტერატურა ხომ ღირებულებების, განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პროცესში შეუცვლელი რესურსია.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში არაერთი ისეთი ტექსტია შეტანილი, რომლებიც თემას „ადამიანი და ბუნება“ ეხება. ახალი სკოლის მოდელი ითვალისწინებს თემატური საკვანძო შეკითხვების და შესაბამისი ლიტერატურული ტექსტების მეშვეობით ისეთი საკითხების დამუშავებას, როგორიცაა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა.

მასწავლებელს გაკვეთილის გამოწვევის ფაზაზე შეუძლია დასვას ისეთი კითხვები, რომელთა მეშვეობითაც მოცემულ თემაზე მოსწავლეებში ცოდნას, განცდებს, შთაბეჭდილებებს გაააქტიურებს. დაეხმარება მათ გაიხსენონ, რა იციან, რა სმენიათ, რა გამოცდილება აქვთ.

სოფლად ან ქალაქში მცხოვრებთ ცხოველებთან ურთიერთობის ყოველდღიური გამოცდილება აქვთ. შინაური ცხოველი, შეიძლება, ყველას არ ჰყავდეს, მაგრამ, მაგალითად, მიუსაფარ, უპატრონო ძაღლებსა და კატებს ყველანი ვხვდებით.

რას ვგრძნობთ მათი ხილვისას? შიშს? სიბრალულს? ზიზღს? შინ წაყვანის და მოვლის სურვილი გვეძალება თუ ქვის მოხელთებას და ამ მოუვლელი არსების რაც შეიძლება შორს განდევნას ვცდილობთ?

რას გვასწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტები? რამდენად და როგორ დაგვეხმარება მათი გაცნობა ყოველდღიურ ცხოვრებაში?

საკითხის გასაშლელად ორ ტექსტს გთავაზობთ. ერთი – პოეტურია, მეორე -პროზაული.

ერთი – მეცხრამეტე საუკუნის ფრანგ პოეტს, შარლ ბოდლერს ეკუთვნის, მეორე – მეოცე საუკუნის ქართველ მწერალს, რეზო ინანიშვილს.

გამოწვევის ფაზის შემდეგ მოსწავლეები ბოდლერის ლექსს, „ალბატროსს“, გაეცნობიან.

ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, გივი გეგეჭკორის, მიერ ფრანგულიდან ბრწყინვალედ თარგმნილი ეს ლექსი საოცრად შთამბეჭდავია და მოსწავლეებს დაეხმარება, „გადაბარგდნენ“ საკლასო ოთახებიდან ზღვის უკიდეგანო სივრცეში მცურავი გემის გემბანზე.

**შარლ ბოდლერი – ალბატროსი**

აბორგებული სტიქიონის მკერდზე მატროსებს,

როცა შეიპყრობს ნაღველი და გართობა უნდათ,

იჭერენ ხოლმე ზღვის ფრინველებს, დიდ ალბატროსებს,

რომელნიც ხომალდს მოწყენილნი მისდევენ გუნდად.

მსხვერპლი უხეშად დაგდებული აწყდება გემბანს,

ლაჟვარდის მეფე, მოწყვეტილი ცას და სინათლეს,

მოუქნელი და შერცხვენილი უმწეოდ კვდება

და ფრთებს ვეება ნიჩბებივით ძლივსღა მიათრევს.

ახლახან ცაში ადიოდა ჩვეულ სისხარტით,

ახლა უმზერენ უსიცოცხლოს, ტლანქს და საძაგელს,

ხარხარით სჩრიან აბოლებულ ჩიბუხს ნისკარტში

და ხტუნვა-ხტუნვით დაკოჭლებულ ფრთოსანს ბაძავენ.

* მოცემულია ლექსის პირველი სამი სტროფი

დავეხმაროთ მოზარდებს, წარმოსახვაში გააცოცხლონ ეს სურათი.
რას ვხედავთ?
აბორგებულ, აზვირთებულ ზღვას – სტიქიონს რომ უწოდებს პოეტი. გემბანზე მატროსები, მეზღვაურები შეკრებილან. მოცალეობის ჟამი აქვთ, როგორც ჩანს. საქმე არ აქვთ. ეს პირქუში, მუდამ შრომასა და ჯაფაში, ფიზიკურ შრომაში დაქანცული კაცები მოწყენილობის გაქარვებას ცდილობენ დაზღვის ულამაზეს ფრინველს, ალბატროსს იჭერენ.

**„მსხვერპლი უხეშად დაგდებული აწყდება გემბანს“ –**

წარმოიდგინეთ, თავისუფალ ფრენას, ნარნარს, ზღვასა და უკიდეგანო სივრცეს მიჩვეული ცოცხალი არსების განცდები, როდესაც მას იჭერენ და უხეშად ახეთქებენ გემბანს.

პოეტი ამ ფრინველს ლაჟვარდის მეფეს უწოდებს. გასაოცარი ეპითეტია. ლაჟვარდი – აქ ლურჯ ცას ნიშნავს. ალბატროსი – ლურჯი ცის მეფეა.

და ის მოსწყვიტეს ცას და სინათლეს.

როგორ გრძნობს თავს?

„შერცხვენილი უმწეოდ კვდება და ფრთებს ვეება ნიჩბებივით ძლივსღა მიათრევს“ –

როგორი ზუსტი და თვალსაჩინოა ეს შედარება.

მკითხველი ხედავს მშვენიერ არსებას, წუთის წინ ლაღად რომ ფრენდა, ახლა კი ფრთები ნიჩბებივით დამძიმებია, ძლივს მიათრევს სველ გემბანზე.

როგორ იქცევიან ადამიანები ამ დროს? „ხარხარით სჩრიან აბოლებულ ჩიბუხს ნისკარტში და ხორხოცით ბაძავენ დაკოჭლებულ ფრთოსანს, ხტუნვა-ხტუნვით.

საზარელი სანახაობაა – ადამიანები გემზე მოწყენილობისგან თავის დასაღწევად საზარელ რამეს იკადრებენ.

რა ფიქრები აღძრა ლექსმა?
ამ შთამბეჭდავი, საოცრად სურათხატოვანი მხატვრული ტექსტით რა „დახატა“ პოეტმა?

კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ვთხოვთ, განცდილი სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ხერხით გამოხატონ. მაგალითად, დახატონ ილუსტრაცია მოსმენილი ლექსის მიხედვით.

**ინსტრუქცია:**

აარჩიე რომელიმე მონაკვეთი (რამდენი კადრია ლექსში, რომელიც „ცხოვლად სულს დააჩნდება“) – მაგალითად, როგორ მისდევენ ფრენა-ფრენით ალბატროსები გემს, როგორ მოიხელთებენ ერთ-ერთს მატროსები ან ნებისმიერი, შენთვის ყველაზე შთამბეჭდავი და დახატე.

თუ ფიქრობ, რომ ხატვა არ გამოგდის, სიტყვიერი ილუსტრაცია შექმენი. სიტყვიერად აღწერე, რას და როგორ დახატავდი, როგორ გაანაწილებდი ფურცელზე, რა ფერებს გამოიყენებდი, რამდენი მოქმედი პირი იქნებოდა შენს ნახატზე, რა ფერებს გამოიყენებდი, რა განწყობის შექმნას შეეცდებოდი ილუსტრაციით.

მასწავლებლის შეხედულებისამებრ, შესაძლებელია სხვა ტიპის კომპლექსური დავალების პირობის შეთავაზებაც – მაგალითად, ალბატროსის ხედვის კუთხის წარმოდგენა პირველ პირში – რას გრძნობს ის? რას განიცდის? რაზე ფიქრობს? ამგვარი შემოქმედებითი გარდასახვა ემპათიის გრძნობასაც გაააქტიურებს.

ამ სამუშაოს შემდეგ (რომელსაც შეიძლება ორი ან მეტი გაკვეთილიც კი დაეთმოს. ლექსში არაერთი საინტერესო მხატვრული ხერხი და სახეა, რომლებზე მსჯელობაც საკვანძო ცნებების დამუშავების შესაძლებლობასაც აძლევს მასწავლებელს) პროზაული ტექსტი შევთავაზოთ მოსწავლეებს.

რეზო ინანიშვილის მოთხრობა „თეთრი ყანჩა“.

თავიდანვე გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ მოთხრობის მხოლოდ ნაწილს გააცნობთ. კარგი იქნება, თუ მათ სურვილი გაუჩნდებათ და დავალებების შესრულების შემდეგ თავად მოიძიებენ მოთხრობას, ბოლომდე გაეცნობიან.

თეთრი ყანჩა

გოგი, მეექვსეკლასელი ფერმკრთალი, მაღალი ბიჭი, ბაღში შევიდა. ბაღი დათოვლილი იყო, თანაც ისევ თოვდა: მშრალი, მსუბუქი ფიფქები უწესრიგოდ ბორიალობდნენ ბურუსიან ჰაერში. გაზონებს შორის ჯერ არავის გაევლო.

გოგის ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეყო. ნიკაპზე ლურჯი ფუმფულა კაშნე შემოეხვია, მაღალყელიან შავ ფეხსაცმელებს ფრთხილად ადგამდა თოვლზე და კაკლის მურაბასავით პრიალა თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა თოვლი მხოლოდ წიწვოვანი ხეების ქვეშ არ იდო, იქ მიგრეხილ–მოგრეხილი ხმელი ფოთლები და ნემსებივით წამახული წიწვები ეყარა. ყველაფერს მოწყენილობის იერი დაჰკრავდა, ქუჩიდან შემოსული ავტომობილების ხმაურსაც კი.

უცებ გოგი შედგა და თავი წინ წასწია, რაღაცას დააკვირდა. ხელები ჯიბიდან ამოიღო, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ უფრო ფრთხილად გადადგა, ისევ გაჩერდა, ისევ რაღაცას დააკვირდა და სახე თანდათან გაუნათდა. ერთი გაბარდღული შავი ფიჭვის ძირში, მრგვალად მოხაზულ შავ მიწაზე, მაღალფეხება თეთრი ყანჩა იდგა, თავი ბეჭებზე დაედო, ვარდისფერი ნისკარტი წინ წამოეშვირა და სთვლემდა. გოგიმ ქვას დაუწყო ძებნა. იპოვა გაზონების პირას გაყოლებული ტუიების ძირში, ერთი არ იკმარა, მეორე და მესამეც მოძებნა, ფრთხილად, ფეხისწვერებზე სიარულით ყანჩას გვერდიდან წამოუარა და, ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ქვა მთელი ძალით ესროლა. ქვა ჯერ ფუნჯივით დაშვებულ წიწვებს მოხვდა, მერე ფიჭვის ძირს და, უკან გადმოვარდნილი, ხტუნვა-ხტუნვით შეგორდა თოვლში. ყანჩა წინ წავარდა, კისერი დაიგრძელა, ფრთები მიწაზე წაათრია, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და ისევ შეჩერდა, წვრილ, უსაშველოდ აწოწილ ფეხებზე უმწეოდ ქანაობდა. გოგიმაც რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ და ახლა მეორე ქვა ესროლა. მეორეს მესამეც მიაყოლა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოარტყა. ყანჩა აფლატუნდა, თოვლი ააფორიაქა და ტუიების ღობეში შეიყუჟა. გოგი მიხვდა, ყანჩა ვერ ფრინავდა. კვალში გადახტა. ხელები ფეხბურთელთა მეკარესავით ასწია მკერდთან, უკანასკნელი ნაბიჯები სულ ფრთხილად, ფრთხილად წადგა და, როცა დარწმუნდა, უკვე მისწვდებოდა, უცებ წავარდა თოვლში. ყანჩა აფათქუნდა, გოგიმ ხელებში მისი ცივი, სველი ბუმბული იგრძნო, იმასაც მიხვდა, ყანჩამ ნისკარტი რამდენჯერმე დაჰკრა მაჯაზე, მაგრამ ხელები აღარ გაუშვა. ასევე, თოვლში მწოლიარემ მოიქცია ყანჩის ორივე ფეხი და ერთი ფრთა მარცხენა ხელში, წამოდგა და ახლა აფათქუნებულ მეორე ფრთაში წასწვდა. ყანჩა ნისკარტს სცემდა, მაგრამ იმდენად უნიათოდ, რომ სულ არ სტკიოდა. მეორე ფრთაც რომ დაუჭირა, გახარებული გაიქცა შინისაკენ. ყანჩა ძალიან მსუბუქი აღმოჩნდა თავის ტანთან შედარებით. გოგი შეჩერდა და ბეჭები მოუსინჯა: ხელში მხოლოდ ტყავგადაკრული წვრილი ძვლები მოხვდა, გული ეტკინა, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, რომ კარგად აჭმევდა და მალე მოაღონიერებდა.

ტექსტის დამუშავება – სანიმუშო ინსტრუქციები

საკუთარი თავი წარმოიდგინე გოგის ადგილზე.

მიდიხარ შენთვის და უცბად – მაღალფეხება თეთრ ყანჩას დაინახავ.

ვარდისფერი ნისკარტი აქვს.

თვლემს.

ბუნების შვილი, ლამაზი ყანჩა – ქალაქის შუაგულში.

როგორ მოიქცევი?
გადაგხდენია თუ არა თავს მსგავსი რამ?
როგორ მოიქცეოდი, შენ რომ დაგენახა უსუსური არსება?
იფიქრე და ივარაუდე
როგორ ფიქრობ, რას გააკეთებს გოგი შინ მისვლისთანავე?
როგორ გაგრძელდება ამბავი? რას ფიქრობ გოგიზე? რას ურჩევდი გოგის, მასთან გასაუბრება რომ შეგძლებოდა?

**წერითი სამუშაო**
ეს ფიქრები წერილობით მოაწესრიგე და რვეულში ჩაწერე.

**დააკვირდი ტექსტის ენას**
იმისთვის, რომ მწერალმა „იქ ყოფნის განცდა“ შეგიქმნას, ის იყენებს აღწერას, აღწერაში კი ეპითეტებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ძალიან ზუსტი წარმოდგენა გვექმნება – როგორია გარემო?

მიგრეხილ–მოგრეხილი ხმელი ფოთლები და ნემსებივით წამახული წიწვები ეყარა იმ ბაღში.

ყანჩა კი გაბარდღული შავი ფიჭვის ძირში თვლემდა.
როგორი სიტყვაა – გაბარდღულიროგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს? როგორი წარმოიდგინე ეს ფიჭვი?

საინტერესო იქნება ამ ორი ტექსტის შედარებაც. როგორაა წარმოჩენილი თემა – ადამიანი და ბუნების შვილი – ორი განსხვავებული ჟანრის ტექსტში? რა მიმართებები იკვეთება?..

მრავალფეროვანი დავალებები, შთამბეჭდავი და საინტერესო აქტივობები, ტექსტები დაეხმარება მოსწავლეს, გამოავლინოს და განივითაროს შემოქმედებითი უნარები. მოცემულ ნიმუშებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ თავადვე შექმნან კომპლექსური დავალებების ანალოგიები კლასის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

# ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

## ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**შესავალი**
**(სავარჯიშოები)**

**1. გრამატიკის მნიშვნელობისთვის**

მეგობრებს ყოველ პარასკევს საღამოს ტრადიციად გვაქვს ერთად გართობა. სანამ შევხვდებით, ჯერ ვწერთ ერთმანეთს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, მერე კი დათქმულ დროს პარკში ვსხდებით და ვსაუბრობთ, ან რაიმე წვეულებას ვმართავთ და იქ ვხიარულობთ. სადაც არ უნდა ვიყოთ, კარგ დროს ვატარებთ, მაგრამ ყოველთვის ყველა ვერ ვიკრიბებით. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი თვე არ გვინახავს ერთმანეთი. რამდენიმე ჩვენგანი სპორტზე დადის და არ ცალია – რაც არ უნდა შეაწუხო, მაინც არ წამოვა. სიმართლე რომ თქვა, კარგია, ასე რომ იქცევიან – რა ჯობია სპორტს! მაგრამ მეგობრებთან ერთად გართობაც ძალიან სასიამოვნოა!

**თავი 1. წინადადების წევრები**

**1.** 1. დრო მიდიოდა. 2. მე ჩავაბარე. 3. ყველფერი იყო. 4. გიორგი გარდაიცვალა 5. ჩვენ ვიყავით. 6. ბებო დარჩა. 7. ჩვენ წამოვედით. 8. ბებომ გამოგვიგზავნა. 9. ყველანი ველოდით. 10. ნათესაობა ვხვდებოდით.

**2.**

- აკაკი წერეთელი, – არსებითი სახელი

ბუები, ღამურები – არსებითი სახელი
მას – ნაცვალსახელი
ფიფქი – არსებითი სახელი
წერილი – არსებითი სახელი
დასაწყისი – საწყისი
პალტო – არსებითი სახელი

- ჩავიდა ქუთაისში მატარებლით.

საზღვარს აკაკის თეთრ თმა-წვერსა და ფიფქს შორის ძნელად იპოვიდი.
პეტერბურგიდან ვაჟიშვილის წერილი მოუვიდა.
ერთი თვის წინ ვაჟი თბილისში ჰყავდა.
იცოდა, ვისგან ესესხა და იოლად სესხების ხერხებიც ძველთაგანვე შეესწავლა.
მერე თავად ამბობდა უარს ჩაიზე და ხელჯოხის ბიჯგებით ჩადიოდა სველ კიბეზე.

**3.**

| მარტივი | რთული | შედგენილი |
|---|---|---|
| ყიდის | მოსულიყო | ახლობელი იყო |
| თამაშობს | უზრუნველეყო | ნათესავები არიან |
| ხარობს | უგულებელეყოს | აღელვებული იყვნენ |
| იბრძვის | ვავადმყოფობ | მასწავლებლები არიან |
| | ცხადყო | |

4. გაოცებული იყვნენ, გახარებული იყვნენ, დაბრმავებული არიან, მოწყენილი დააბიჯებდნენ, შეთანხმებულნი იყვნენ.

**2. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში**

1. **ა.** ბებერი მუხა აღერღილი იყო. უკანასკნელი ფოთლები რა ხანია რცხილებსაც ჩამოუცვივ-და, წიფლებსაც, თამელებსაც. თვით ისიც, დაკორძილი, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი მუხაც, შავად იყო ალანძული. მისი სქელი, გალაქულივით პრიალა ფოთლები ძირს იყვნენ დაფენილი და ხანდახან თუ შეთრთოლდებოდა ნიავის წამობერვაზე. მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეჯახებოდა ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა ძვალრბილიანად გათანგა ყველაფერი. მხოლოდ ახალგაზრდა მუხებზე შერჩენილან გაფხოკილი, დააფრაკებული ფოთლები და, ნიავი რომ წამოუბერავს, თხილის ნაჭუჭებივით ჩხრიალებენ.
**ბ.** საოფისე ფართი კარგად იყო მოწყობილი: ერთ მხარეს სკამები და მაგიდები იდგა, მეორე მხარეს კი კედელზე დაფები ეკიდა. ქარს ფანჯრები გაეღო და ფურცლები იატაკზე ეყარა. კარე-ბები ძნელად იკეტებოდა, რადგან ახლახან ჩაესვათ. ფანჯრები დასუფთავებული იყო. ოთახ-ების კედლები კარგად გამოიყურებოდა.

**2.**

ა. დიდ-პატარა ჟრიამულით ელოდა ახალი წლის მოახლოებას.
ბ. სახლიდან გამოქცეულს თითქოს კარ-მიდამო ემშვიდობებოდა.
გ. სტუმარ-მასპინძელი ხმაურზე გარეთ გაცვივდა.
დ. ნანახმა თვალ-მარგალიტმა ჩააფიქრა გამოქვაბულიდან გამოსული.
ე. ძვირფასი სავარძლები და სკამები ამშენებდა ახალგარემონტებულ ბინას.(ამშვენებდა / ამშვენებდნენ)
ვ. ვარსკვლავები გამოლაგდნენ ცაზე და დედამიწას ახალი ამბავი ამცნეს.
ზ. ისეთი ლამაზი გარემო იყო, მტერ-მოყვარე ერთმანეთის გვერდით ისხდ.
თ. საღამომდე ჩამოვლენ ისინი, ვინც უცხოურ სუვენირებს ჩამოიტანენ.
ი. მოპირკეთებულ იატაკზე ხალიჩები ეფინა.
კ. დიდხანს გეგმავდა ცოლ-ქმარი სამოგზაუროდ წასვლას.

**3.**

სოფლის სკოლაში რომ ვსწავლობდი, ძალიან ადრე ვიღვიძებდი. ჩემს და-ძმას სხვა ოთახებში ეძინა. მარტო ბებიას ვერ ავასწრებდი ხოლმე ვერასოდეს. ძალიან კარგი იყო გათენების ხანის სიწყნარე, იმ სიწყნარეში მამლები რომ ყიოდნენ, ძაღლები ყეფდნენ, ღუმელი გუგუნებდა... ჩუმად, ნელ-ნელა ჩამოდიოდნენ ფიფქები. შავად მოჩანს საცრისოდენა მიწა, მიწაც არა, სველი შავი ფოთლები, რომლებშიც ორი ლამაზი ჩიტბატონა ოდნავ გაფუყულა. რამდენიმე სიცივისგან გაფერმკრთალებული მელია სოროდან იყურება.

**4.**

| ქვემდებარე | შემასმენელი |
|---|---|
| კრებითი (ხალხი) | მხოლობით რიცხვი |
| ორცნებიანი კომპოზიტი (დედ-მამა) | მხოლობითი რიცხვი |
| უსულო მრავლობით რიცხვში | მხოლობითი რიცხვი |
| ებიანი მრავლობითში | მრავლობითი რიცხვი |
| ნართანიან მრვალობითში | მრავლობითი რიცხვი |

**5.**
**ა.** ვოკალისტთა გუნდმა სასიამოვნო კომპოზიცია შეასრულა. დარბაზში მაყურებელთა ოვაციები არ წყდებოდა, ისმოდა შეძახილები. რამდენიმე ახალგაზრდა სკამებ შორის გასასვლელში ისხდა.
**ბ.** ფილმის გადამღები ჯგუფი სვანეთში ჩავიდა. გაზაფხული იყო და ჯერ კიდევ ძალიან ციოდა. ხეებს ყლორტები გამოსვლოდა და ხასხასა ბალახი ამოწვერილიყო. ხალხი მოახლოებული საგაზაფხულო დღესასწაულისთვის ემზადებოდა. ჩასულთ მართლაც ძალიან აინტერესებდათ უძველესი რიტუალების ყურება.
**გ.** მონღოლთა ლაშქარი პირველად 1220 წელს გამოჩნდა საქართველოს საზღვრებთან. მათი ჯარი სამჯერ შეებრძოლა ქართველებს. რამდენიმე სახელმწიფო ვეზირი ჯერ ციხეებში შეიკეტა, შემდეგ კი მტერს დანებდნენ.

**6.**
1885-1907 წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების მდივნებად ამ პერიოდში მუშაობდნენ იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დავით კარიჭაშვილი. საზოგადოების სასარგებლოდ თბილისში, სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში იმართებოდა სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოები წარმოდგენები, ლატარიები. ბევრი ქართველი მწერალი თხზულებათა გამოცემას სწირავდა საზოგადოებას. ცნობილმა მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა და დავით სარაჯიშვილმა დიდძალი თანხა შეიტანეს საზოგადოების სალაროში. თბილისის საადგილმამულო ბანკმა (რომლის დამფუძნებელი და
თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე) თერთმეტი ათასი მანეთი ჩარიცხა საზოგადოების ფონდში; ქუთაისის ბანკმაც ამდენივე გაიღო, საიდანაც **რვა ათასი** მანეთი გადაინახეს ქუთაისში ქართული სათავადაზნაურო სკოლის გასამართავად. საზოგადოებამ იარსება 1923 წლამდე.

**3. პირდაპირი და ირიბი დამატება**

**1. ქვემდებარე:** ცოლმა და ქმარმა, ორივენი, პლატონიც და მელანოც, ბეკინა.
პირდაპირი დამატება: პატივისცემა, მოვლა, სურვილსა და საწადელს, გული, თავი წადილს, ყურადღებას.
ირიბი დამატება: ბეკინას, წადილს.

**4. უბრალო დამატება**
1. პირდაპირი დამატება: მამული, უსაქმურს, მოყრა, სტუმარი, მასპინძელი, აყოლა, დროს.

**ირიბი დამატება:** ოჯახს.

**უბრალო დამატება:** მანქანებით, შვილებისათვისაც, მოხუცებულთან.

2. სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს ქვემო ქართლში, ბოლნისის მახლობლად, სოფელ ტანძიაში. იქ გაატარა თავისი ბავშვობა და რამდენიმე ბედნიერი წელი. გიორგი XI-ის კარზე აღზრდილმა სულხან-საბამ სასახლის უდიდესი ბიბლიოთეკის წყალობით ენციკლოპედიური განათლება მიიღო. სრულიად ახალგაზრდამ დაწერა იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ და შეადგინა ლექსიკონი „სიტყვის კონა“. ფრიად განსწავლული სულხან-საბა საქართველოს მეფის, ვახტანგ VI-ის, აღმზრდელი იყო. მათ არაერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. 1709 წელს მათი ძალისხმევით გაიხსნა პირველი სტამბა,

სადაც პირველად დაიბეჭდა „სახარება“, შემდეგ კი – „ვეფხისტყაოსანი“. სულხან საბა ორბელიანი 1698 წელს აღიკვეცა ბერად დავით გარეჯის მონასტერში და ბერის სამოსით შემოსილი ეძებდა გზებს ქვეყნის ოსმალეთისგან გასათავისუფლებლად. სწორედ ამ დროიდან იწოდება ის სულხან-საბად.

**6. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება**

1. ლასტის კარს, პატარა რუზე, მომწვანო წყალი, კაკლის წენგოსი, რუს ნაპირებს თხელი ყინულიც, თხელი ყინული, ჩარჩენილი ტალახი, დაზოლილი ტყიდან მომავალი ოთხთვალების, ცხენის ნაფლოქვარებიც, ხავსიანი ხმელი მუხის ქერქებიც, ჩაღრმავებულ ადგილებში, შეშა-დადებული ურმებიდან, ხმელი ქერქები, იდუმალებით მოცული ტყის ზღაპრების ნაწყვეტებს.

2.
ა. ჩრდილოეთი ამერიკა ბუნებირვი პირობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა.
ბ. ქალბატონი თეას სალონი დიდი ხნის წინ დაიკეტა.
გ. სკოლის შესასვლელთან დაბალკლასელი მოსწავლეების ჟრიამული ისმოდა.
დ. ქართველები ამაყობენ მხატვარ დავით კაკაბაძით.
ე. აღმოსავლეთ საქართველომ დიდი ომიანობა გადაიტანა.
ზ. ბავშვობიდან მრავალფეროვანი ყვავილების თაიგულად შეკვრა უყვარდა.

3.
ა. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი... დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ, თავს ჩემს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ.
ბ. აღარცა მრცხვენოდა და ვღრიალებდი მთელი ხმით. არავინ ცდილა ჩემს გაჩუმებას. ყველას მოსდიოდა ცრემლები, ქვითინებდნენ, ხმამაღლა ტიროდნენ.
გ. სახლში დავრჩით – დედა, მამა და მე. ჯერ ბუნდოვნად, მერე აშკარად შემოიჭრა ჩემს გონება-ში, რომ ერთი უფროსი თაობიდან აღარ იყო.
დ. ისევ შემეპარა ეჭვი ჩემი ცხოვრების სიუქმეში. რად მინდა, რად? ვისთვის? „ის უკვე ერთი თაობით ახლოს იყო. უფრო ჩავიკეტე სახლში. ვერავის ვანდობდი ჩემს ფიქრებს. ერთსა და იმავე ადგილას ვტრიალებდი.
ე. ცოტა ხნის წინ ინგლისში ვიყავი ჩემს ოჯახთან ერთად. იქ ყველა ქალი ერთსა და იმავეს უმეორებდა დედაჩემს, ეს რა საყვარელი გოგო გყავთო.
ვ. ხშირად ვიგონებდი ჩემს ნამდვილ ბებოს, მაგრამ ახლა ძველი თაობის წასვლიდან გამოწვეულ დარდზე აღარა ვფიქრობდი. ჩვენს ოჯახში ისევ სამი თაობა იყო.
ზ. ჩემს პატარა ციხე-სიმაგრეში ყველა უაბჯრო მეციხოვნემ ძილს მისცა თავი. სძინავს შენს და-ძმას.
თ. თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ! დიახ, შენ ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ჩემო გოგონა.
ი. ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთიანად დაგვნათის.
კ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, მრავალი წლების შემდეგ, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი.

**4.** აკაკი წერეთელი პეტერბურგში სასწავლებლად გაემგზავრა. იქ უნდა შეხვედროდა თავის უფ-როს ძმას, ილიკოს, რომელმაც დაახლოებით იცოდა, როდის უნდა ჩასულიყო მისი უმცროსი ძმა. აკაკის დააგვიანდა, ილიკო ძალიან შეშფოთდა, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ვაითუ რამე დაემართა გზაში მარტო მომავალ, გამოუცდელ ყმაწვილსო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-

და, როდესაც კარი გაიღო და მასთან ოთახში აკაკი შევიდა. პეტერბურგში სამოციანი წლების დამდეგს ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. აკაკი რომ ჩავიდა პეტერბურგში, იმ დროს უკვე უნივერსიტეტში სწავლობდნენ და უფროსი კურსის სტუდენტებად ითვლებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ღოღობერიძე, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები. აკაკისა და კირილე ლორთქიფანიძის ჩასვლის მერე, ორი წლის შემდეგ, ქართველ სტუდენტთა დასს მიემატნენ კიდევ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი.
პეტერბურგი მჭიდროდ არის დაკავშირებული აკაკი წერეთლის პირად ცხოვრებასა მის შემოქ-მედებასთან.

**7. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი**

1.
ა. ორი უჩვეულო მოგონება ახსენდებოდა ტასოს.
ბ. ოთხი საუკეთესო წელი გაატარაუნივერსიტეტში.
გ. რამდენიმე ახალთახალი პერანგი ვიყიდე მარაზიაში.
დ. ძალიან მოგვენატრა ჩვენი ულამაზესი სოფელი.
ე. არ მაღიზიანებს ბავშვის გაუაზრებელი ქცევა.
ვ. საკმაოდ უხმოსავლიანია თქვენი მაღალმთიანი რაიონი.
ზ. ლიკას სამი პერანგი კარადაში დადე.
თ. ხის კოხტა სახლი ამშვენებდა ეზოს.
ი. ოცი შეიარაღებული ცხენოსანი მიუახლოვდა სოფელს.
კ. თქვენი მრავალხმიანი სიმღერა სასიამოვნო მოსასმენია.

**2.**
ა. **ჩემმა** ძმამ თქვა, რომ პეპი, ტომი და ანიკა ძალიან ცუდად თამაშობენ და მეც დავეთანხმე.
ბ. როცა სკოლაში დავიწყე სიარული, **ჩემს** კლასში ერთი გოგო დადიოდა.
გ. სკოლა დიდად არ მიყვარდა. არც ბევრი ნათელი **მოგონება** მახსენდება მის კედლებში გა-ტარებული წლებიდან.
დ. **დასავლეთი** საჰარა **ჩრდილო-დასავლეთ** აფრიკის ტერიტორიაა, რომელიც 1979 წლიდან მა-როკოს კოლონიად ითვლება.
ე. ორი გამოცდილი **მთამსვლელი** არ **ერიდებოდა** ციცაბო ხავსიან კლდეს და თამამად **აგრძელებდა** აღმასვლას.
ვ. მიხვდა იმას, რომ **იმავე** მაღაზიას უკვე მეორედ ჩაუარა.
ზ. სტუდენტებს აღარ გახსენებიათ **ბატონი** გურამის დაბადების დღე.
თ. როცა **შენს** წერილს ვკითხულობ, წარმოვიდგენ, თითქოს ჩემ წინ დგახარ და მელაპარაკები.
ი. ლონდონში „ლედ ზეპელინის“ გრანდიოზულ კონცერტზე **თვრამეტი** ათასმა გულშემატკივარმა შეძლო დასწრება.
კ. **პროფესორმა** ადამ სმიტმა საინტერესო რამდენიმე მოხსენება წარმოადგინა სიმპოზიუმზე.

**8. სათაურ-სახელწოდებათა მართლწერა**
1.
ა. აკაკი წერეთლის ლექსმა „ღამურამ“ დიდი მოწონება დაიმსახურა.
ბ. ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ ახალი პროგრამით მოხიბლეს მაყურებელი.
გ. ვაჟას მოთხრობის „ამოდის ნათდება“ დასასრული საკმაოდ ტრაგიკულია.
დ. მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ლამაზი ცრემლების“ წაკითხვა.

ე. გალაკტიონის ლექსს „გურიის მთებს“ უდიდესი ემოცია მოაქვს.
ვ. მოთხრობა „ბაში-აჩუკზე“ ჩვენი შთაბეჭდილებები უნდა დაგვეწერა.
ზ. სტუ-ს სტუდენტებმა ვოკალური ანსამბლი ჩამოაყალიბეს.
თ. საფეხბურთო გუნდ „რეალს“ ბევრი ქომაგი ჰყავს.
ი. პოემა „თორნიკე ერისთავზე“ მოსწავლეებმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს.
კ. საქართველო არ არპირებს დსთ-ში შესვლას.

2. ანა კალანდაძე დაიბადა 1924 წლის 15 დეკემბერს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. მამა შვიდი წლისას გარდაეცვალა. ანამ 1941 წელს დაამთავრა ქუთაისის 1 საცდელ-სანიმუშო სკოლა და იმავე წელს სწავლა გაუგრძელებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თერთმეტი წლისამ დაწერა ლექსი „ბადრი მთვარე“, რომელიც სკოლის კედლის გაზეთში გამოუქვეყნეს.
უნივერსიტეტის ბოლო კურსზე სწავლისას ანას, მამიდის დაჟინებით, თავისი ლექსები გაუგზავნია პროფესორ დიმიტრი ბენაშვილისთვის, რომელსაც ისინი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორ გიორგი ნატროშვილისთვის გადაუცია და 1946 წლის 14 ივნისს დაუბეჭდავთ კიდეც ამ გაზეთში ანა კალანდაძის ცამეტი ახალი ლექსი. ცოტა ხანში ამას მოყვა ანას საყოველთაო აღიარება სამწერლობო წრეებში და ფართო საზოგადოებამ გაიცნო იგი, როგორც პოეტი ქალი.

**10. გარემოება**

**დავალება 1.** გასწორებული მცდარი სიტყვები: ავად, ასე, იქით, მოულოდნელად, ხშირად, აქეთ-იქით, ახლა, ხვალ, სხვანაირად.

**11. ადგილის გარემოება**
1. ადგილის გარემოებები: მდინარესთან, იქვე, ხიდზე, ეგვიპტეში, სამრეკლოზეც, საითაც.

**12. დროის გარემოება.**
ა. მესამე დღეს მერცხალი ნავსადგურში მიფრინდა და იქ დიდი გემის ანძაზე ჩამოჯდა.
გ. ეს საფირონები ინდოეთიდან ჩამოიტანეს ათასი წლის წინ.
ე. შემდეგ გაზაფხულზე ორ ძვირფას ქვას მოგიტან, იმის სანაცვლოდ, რაც შენ გაეცი.
ზ. მეორე დილით, ადრე ქალაქის თავი საბჭოს წევრებთან ერთად ბაღში სასეირნოდ გამოვიდა.
თ. მერცხალმა ახლა ბნელი ქუჩებისაკენ გაუხვია და დაინახა შიმშილისაგან ფერმიხდილი ბავშვები.
ი. ეს პატარა ფრთოსანი ჩემს სამოთხის ბაღში იგალობებს მარადჟამს.

**14. მიზეზის გარემოება**
1. გ, დ, ზ, თ.

**15. მიზნის გარემოება**
3. მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს შუაგულში არქეოლოგებმა აცტეკების პერიოდის „თავის ქალების კოშკი“ აღმოაჩინეს. არქეოლოგთა აზრით, თავის ქალების უმეტესი ნაწილი მტრის დატყვევებულ მებრძოლებს ეკუთვნოდათ და მათგან აგებული კოშკი აცტეკების იმპერიის მტრებისათვის ერთგვარ გაფრთხილების სიმბოლო იყო. იმპერია XVI საუკუნეში 1521 წელს ესპანელებმა დაამხეს.
მექსიკის ანთროპოლოგიისა და ისტორიის ეროვნული ინსტიტუტის მკვლევარები ანცხადებენ, რომ ზოგიერთი თავის ქალები შეიძლება ეკუთვნოდეს ადამიანებს, რომლებიც ღმერთებს

რიტუალზე შეწირეს. ტემპლო-მაიორის გათხრებისას უკვე აღმოჩენილია 600-ზე მეტი თავის ქალა. ეს ბოლო წლებში ქვეყანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენებია. მექსიკის კულტურის მინისტრი ამბობს: „ტემპლო-მაიორი ყოველ ჯერზე ჩვენ გაკვირვებას იწვევს. მისი შემადგენელი ერთ-ერთი რელიგიური ნაგებობა, უეი-ცომპანტილი, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი არქეოლოგიური აღმოჩენაა ჩვენ ქვეყანაში“. მიიჩნევენ, რომ უძველეს მესოამერიკაში ადამიანთა მსხვერპლშეწირვა სამყაროს არსებობის გაგრძელებისათვის აუცილებელი რიტუალი იყო. სწორედ ამის გამო თავის ქალებიდან აგებული კოშკი აცტეკებს უფრო სიცოცხლის ნაგებობათ მიაჩნდათ, ვიდრე სიკვდილის.

**თავი 2**
**წინადადება მოდალობის მიხედვით**

**1.**
ა. რატომ ბ. რომელ გ. საიდან დ. ვინ ე. როდის ვ. სად ზ. სადაური თ. რა

**2. კითხვითსიტყვიანი**
ა. ნუგზარი როგორ არის?
დ. როგორ შეიძლება ადამიანის მარტო დაგდება?
ზ. რატომ გააგდე ჩემი შურა?
კ. როდის განახლდება სწავლის პროცესი?

**არაკითხვითსიტყვიანი**
ბ. შეიძლება, ისაა პრობლემა, რომ შურას ქმარ-შვილი აღარ ჰყავს?
გ. მართლა ადამიანი ვიყავი?
ე. შენს საცოლეს ხომ გამაცნობ, შვილო?
ვ. საქართველოში ხალხი ხომ არ აუწიოკებიათ?
თ. ხედავ, ვინ დგას მთის წვერზე?
ი. გახსოვს, დედაშენს დაბადების დღეზე წიგნი რომ ვაჩუქე?

**3.**
იფ! – მოწონებას, ნიშნის მოგებას; ააუ! – დანანებას, დაზარებას;
ახ! – ტკივილს, სინანულს; ოჰო! – გაკვირვება; ერიჰა! – ირონიას;
ჰმ! – უკმაყოფილებას, დაფიქრებას; ვაა! –გაკვირვებას; ფუუ! – ზიზღს;
ბიჭოს! – გაკვირვებას, აღფრთოვანებას.

**5.**
ა. უჰ, არ მინდა შინ დაბრუნება! – ძახილის
ბ. ნეტავ რას ფიქრობენ მთები! – ძახილის
გ. უნდა წახვიდე თამარის დავალების შესასრულებლად! – ბრძანებითი
დ. არ მიატოვო საგუშაგო! – ბრძანებითი
ე. რა კარგი დღე გაგვითენდა! – ძახილის
ვ. ოთახში შებრძანდეს და იქ მოუსმინოს სასურველ მუსიკას!-ბრძანებითი
ზ. ფუ, რა უგემური საჭმელია! –ძახილის
თ. დროს არ იყენებ სათანადოდ, – ძახილის
ი. ხვალამდე შეასრულე ეს დავალება! – ბრძანებითი

**1.**წინადადება აგებულების მიხედვით

1.

მარტივი რთულიშერწყმული

ბ, გ, ე, კ ა, დ, ვ, ზ, თ, ი

**2.** მარტივი წინადადების სახეები;

გავრცობილი და გაუვრცობელი მარიტივი წინადადება

**1.** მარტივი გაუვრცობელი.

გ. ვატო მე მელოდებოდა.

ე. ხეებმა მადლობა გადაუხადეს გაგის.

ვ. წიწილები კრუხს დასდევენ.

**4.** უქვემდებარო მარტივი წინადადება

**1.** უქვემდებარო წინადადებები:

ა. ზამთარში აქ ძალიან ცივა, ზაფხულში კი ძალიან ცხელა.

დ. ქალს ტემპერატურამ აუწია და აჟრჟოლებდა.

ვ. გარეთ ძლიერი წვიმა არ იყო, ჟინჟლავდა.

თ. დედას აციებდა და ამიტომ ცხელ-ცხელ ჩაის მიირთმევდა.

თავი **3**

**1.** შერწყმული წინადადება

1. ბავშვებსა და მოზარდებს

მშვენიერი, ტკბილი, მოსიკეთე

აყვირდებოდა, მოერეოდა უთხლაშუნებდა

მცოდნეს, არმცოდნეს

2.

**ა.** ეს არის მოთხრობა ქალსა და კაცზე, ოჯახზე, ერთგულებაზე, პოლიტიკაზე, ღმერთსა და რწმენაზე, პატიოსნებასა თუ ათას რამეზეა ერთი პატარა ჩანაწერი.

**ბ.** იმან ერთხელაც არ მოიხედა ხალხისა და ოჯახისკენ. პატარა გოგო ტირილით წამოვიდა სახლისა და დედისაკენ.

**გ.** რომანებსაც წერდნენ ლექსად, სახელმწიფო ქაღალდები გვაქვს ჩვენ ლექსად დაწერილი. ხეებზე, ცხვირსახოცებზე, სასმისებსა და მერხებზე.

**დ.** სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისა და დარდისგან ამ სამი წლის განმავლობაში.

**2.** შემასმენლის შეწყობა რამდენიმე ქვემდებარესთან

1. ა. ნაშუადღევის სიოსა და ქარს ქინძისა, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადაჰქონდათ.

ბ. დედოფალი და მეჭურჭლეთუხუცესი მეფის გასაგონადაც კი დედაბრულად ბუზღუნებდნენ.

გ. ყავარაყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატში იცოხნებოდნენ ცალი ხარი და ქალბატონი ეკატერინეს უშობელი.

დ. ზედა სართულის აივანზე გამოჩნდა კედელზე ჩამოკიდებული სასროლი ბადე და მოძველებული კეხი.
ე. გორაკის წვერზე გადმოდგნენ დედაკაცი და მისი შვილი.
ვ. ხის ძირში პასიკიას დედა და მამა ისხდნენ სიცხისა და მუშაობისაგან არაქათგამოლეულნი.
ზ. ქარი და წვიმა თითქოს იპარავდნენ ადამიანის ნაშორმს.
თ. ასე ჯიჯღინით დეიდამ და დისწულმა ჩაუარეს ბულვარს. (ჩავლა)
ი. სალომე და ახლადგაცნობილი შეჭაღარავებული ვანო დარბაზში გამოვიდნენ. (გამოსვლა)
კ. მაყვალი და სურო წნელის ღობესა და ყორეზე გადახლართულა.

**2.**
ა. ხალხი და ლაშქარი ურმების უკან დაწვა.
ბ. მოსაუბრეებს მიუახლოვდნენ თავადის ახლობელი ნათესაობა და თავად-აზნაურები.
გ. ცოლ-შვილი და დედ-მამა სამშობლოში დაბრუნებას სთხოვდნენ იაკობს.
დ. მთელი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები უნივერისტეტის ეზოში შეიკრიბნენ
ე. დიდს თუ პატარას ერთნაირი ფეხსაცმელი ეცვა.
ვ. მრევლსა და სამღვდელოებას ახარებდა ახალი ტაძრის მშნებლობის დასრულება.

**3. სასვენი ნიშნების გამოყენება შერწყმულ წინადადებაში**
1.
**ა.** მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა, და შაჰანშა. მეფეთ-მეფე და წმინდანი, მეომარი და გმირი, ერის სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლო, დიდი რეფორმატორი და დამსჯელი, ქრისტეს მეომარი და სამართლიანობის რკინის ხელი – დავით IV აღმაშენებელი. დავითის საფლავზე აწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ესე მითქვამს: აქა დავემკვიდრო მე“. დავითი გელათში არის დაკრძალული და იქვე ჰკიდია რკინის კარი, რომელიც დავითის ვაჟმა დემეტრემ განჯის გალავანს შეხსნა.

**ბ.** „მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა. მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა – ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. ყველგან და ყოველთვის მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან. არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: – შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა!“
**გ.** სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა.
და მე მაგონდება ბნელი ღამე ატლანტიის ოკეანეზე განცდილი ოდესღაც.
ზღვა ჯერ წყნარი იყო, ნამრუდისფერი არა, ლილისფერი აჰ, ლილისფერი კი არა, ნავთგარეულ წყლისა ფერისა. უცებ იელვა და გაფხრიწა ცა ელვათკრთომამ. ადგნენ ზვირთები, აბიბინდნენ და აიქოჩრნენ. ნელის ლაშლაშით შემოერტყნენ მყის ჭვინტს გემისას. ისევ დადუმდა ოკეანე თვალშეუვები. ისევ გაუსვა ქარმა ქორის ფრთა და დააწვინა ტალღა ლელივით. ისევ აბორგდნენ. ახმაურდნენ მალი ტალღები, შემოესიენ, შეელეწნენ გემის კიდეებს.

**3.**
ა. ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს წათებსა და ხელშუბებს მაგონებს.
ბ. ისინი ხან ლელივით იკეცებიან ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი.
გ. ეს თავმოდრეკილი დონები, ღანები, ლასები ჩვენს გუთნებს, აჩაჩებსა და კავებს მაგონებს.
დ. ლუკამ იცოდა გაკვეთილი მაგრამ მაინც ღელავდა და ნერვიულობდა.
ე. სპეციალურ სკოლებში მინიატურის დეკორის, კალიგრაფიის ხელოვნებას ეუფლებოდნენ,

ვ. სოფლის ბოლოს მდებარეობს საყანე ადგილები, თუმცაღა ცოტა ჭაობიანი ადგილები.
ზ. ბავშვები ძალიან დიდ დროს ხარჯავენ კომპიუტერულ თამაშებზე, სხვა გასართობზე ოღონდ არა კითხვაზე.
თ. ბავშვმა დედის შენიშვნა მიიღო თუმცა არ გაითვალისწინა მომავალში.
ი. ის წარუმატებელი მოსწავლე იყო, მაგრამ წარმატებული მასწავლებელი გახდა.
კ. წამოვიდოდნენ ისევ ტალღები, შეახტებოდნენ გემს გაქანებულს, თავად ნამცვრებად გადაქცეულნი.

4.
ა. მეზობელმა არც მწვადი დაწვა, არც შამფური.
ბ. ზაზას სანტასთვის ან ვერტმფრენი უნდა დაებარებინა, ან მანქანა.
გ. ლიზი ხან ერთ ბებიასთან რჩებოდა, ხან მეორესთან.
დ. გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისთვის გიწამლებია.
ე. დედას შვილებისთვის არა მარტო ტანსაცმელი ეყიდა, არამედ ტკბილეულიც.
ვ. ლევან, ჩემთან ან ნინოსთან მიიტანე გზავნილი.
ზ. მისი დაადებული პირობა არა მხოლოდ ზურას ახარებდა, არამედ ყველა ნათესავს.
თ. ჩვენი თუთიყუში ხან გაფრინდებოდა, ხან მოფრინდებოდა.

5.
ცნობილია, რომ მთავარი საგანმანათლებლო კერა ადრე ეკლესია-მონასტრები იყო და ამიტომაც გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ წიგნების უმეტესობა სწორედ აქ იწერებოდა, იყვნენ გადამწერები, რომლებიც არა მხოლოდ ტექსტების შენარჩუნებაზე, არამედ მათ ესთეტიკურ გაფორმებაზეც დიდი მონდომებით ზრუნავდნენ. ავგაროზ ბანდაისძე, გაბრიელ მცირე, ეფრემი, იოანე მესვეტე, შავზაქარია, ბედისმწერლიშვილები ყველა განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას და დეკორატიულ ელემენტებს.

6.
დავით კაკაბაძეს და მისი შემოქმედებას ათეული წლებია აღტაცებაში მოჰყავს დამთვალიერებელი. მისი ნამუშევრები დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც.
დავით კაკაბაძის და მისი მეუღლის მსგავსად იგივე პროფესია აირჩია მათმა შვილმა ამირ კაკაბაძემ. მან მამას ოცნება აუსრულა და მხატვარი გახდა. თუმცა იგი მაშინვე ანადგურებდა ყველა იმ ნამუშევარს, რომლებზეც იტყოდნენ, რომ დავით კაკაბაძის ხელწერას ჰგავდა. ამირ კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ შეძლო მამის ჩრდილიდან გამოსვლა და ინდივიდუალური სტილის ნამუშევრების შექმნა.
დავით კაკაბაძემ რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა გაიარა. ის შვიდი წელი მოღვაწეობდა პარიზში და აბსტრაქტულ და კუბისტურ ნამუშევრებს ქმნიდა. მხატვრობაში ფორმალიზმის მიმდინარეობის გამო მხატვარი ხალხის მტრად მიიჩნიეს. მისი ოჯახისთვის აუტანელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ მათი საზოგადოებას ეშინოდა. მხატვარს რუსთაველზე რომ დაინახავდნენ, პატივისცემის მიუხედავად, მეორე მხარეს გადადიოდნენ. მასთან მეგობრობდნენ ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი.
1949 წელს მხატვარი სამხატვრო აკადემიიდან დაითხოვეს. მას ბრალად წაუყენეს, თითქოს იდეოლოგიურად აფუჭებდა მოსწავლეებს, სტუდენტებს. როცა დავით კაკაბაძეს აკადემიიდან აგდებნენ და სადამსჯელო კრებას მოსკოვიდან ჩამოსული კომისია ესწრებოდა, აპოლონ ქუთათელაძემ და სერგო ქობულაძემ შესთავაზეს კომისიას, ჩვენი საათების ნახევარი გადაეცით დავითს და აკადემიაში დატოვეთო. ამაზე მთელი ამბავი ატყდა, კინაღამ ისინიც გაყარეს.

**თავი 4**

**2. რთული თანწყობილი წინადადება**

2.

აბიბინებულ მოლზე აღარ ჩანს გალავანი: იშვიათად დარჩენილი საყდრის ნანგრევებზე სურო და ლეღვი ამოსულა, ასწლოვან მუხას შეხმობია ტოტები, დაფოროჯებია ტანი, მაგრამ ჩრდილს კიდევ უხვად ჰფენს, თითქოს განგებ სკამებათ ამოზიდულს, ხავსმოკიდებულ ფესვებს. ტრაპეზის სვეტს მისწოლია ქვევით ჩამოვარდნილი ტაბლა. ტიალ მინდორს ამშვენებს ჯერ კიდევ მაგრად მდგომი ფოთლების რხევით მაგრილებელი ცაცხვი და სურნელოვანი ფისგამოსული ნაძვი. ნასაყდრის ნანგრევთა არეში ნიავის ნავარდიც ნელდება და ყოველივეს სევდის აჩრდილი ეფინება.

მეეტლეებს აქ დაუნიშნავთ სადგური. ცხენოსანი აქ ჩერდება, ცალ აბჟანდს დააწვება, ერთს ფეხს კოტაზე ჩამოდებს, ქუდს მოიხდის, შუბლს მოიწმენდს, ცხენს სულს მოათქმევინებს. ქვეითები აქ ჩასხდებიან გაღეღილ, ოფლით გათქერილ გულისპირს შეიკრავენ, რომ არ დაგრილოს და თუ პატარა ბიჭი ან გოგო ახლავთ, ახლო მომდინარე წყაროზე გზავნიან.

3.

პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე – ეს ნიკო ნიკოლაძის საქმიანობათა არასრული ჩამონათვალია. ის იყო მამულიშვილი, რომელიც თავისი აზროვნებითა და საქმისადმი მიდგომით ნამდვილად უსწრებდა დროს. ნიკო ნიკოლაძე დაიბადა ქუთაისში 1843 წლის 27 სექტემბერს. და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო. იაკობ ნიკოლაძე ქუთაისში ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღებ-მიცემობის საქმეს მიჰყო ხელი: ჯერ ხე-ტყით ვაჭრობდა, შემდეგ კი, ქალაქის ხელმძღვანელობის დაკვეთით, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაიწყო, მოგვიანებით ფოთიდან ხის კუნძებს უცხოელებზე ყიდდა. ის იყო ერთ-ერთი პირველი კომერსანტიც. ერთხელ გერმანიაში წასულა ზღვით და ქუთაისში გასაყიდად ქსოვილები ჩამოუტანია. ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. თუმცა ის ამბობდა: „ყველაზე მეტად, სულით და გულით, ჟურნალისტობა მინდა, მაგრამ ჩემი ეს პროფესია დღეს არავის სჭირდება. როგორც ჩანს, ან ძალიან ადრე დავიბადე, ან ძალიან დავიგვიანეო“.

**3. რთული ქვეწყობილი წინადადება**

**1.**

ა. ერთ წისქვილში რომ ვერას გავხდებოდით, მეორეში მივდიოდით, თუ იქაც არაფერი გამოვიდოდა, მესამისკენ მივძუგძუგებდით.

ბ. კარგად რომ გათენდა და ნისლმაც ზევით-ზევით აიწია, მაშინ ძლივს გავბედე ადგილიდან დაძვრა.

გ. ღამღამობით კი სხვა ფრინველებს რომ სძინავთ, თვალების ბრიალით დაფარფაშობენ ბუები და ზარნაშოები.

ე. მივხვდი, რომ კაცს ცხენის ნათქვამიდან არაფერი ესმოდა.

ვ. ამ თხემიდან რომ ჩრდილოეთისაკენ გაიხედავ, თუ ცა მოწმენდილია, თეთრ ლამაზ მწვერვალს დაინახავ.

ზ. ქათმები რომ ეზოს სიღრმისაკენ მიბრუნდნენ, იქიდან შავი ქოფაკი გამოვარდა.

თ. პირველი ქვა იმან მესროლოს, თუ ვინმე ჩემზე პირნათელია.

ი. მაშინ მივხვდი, რომ ბიჭს მართლა მაშორებდნენ.

**4. დამოკიდებული წინადადების ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში და მასთან დაკავშირებული პუნქტუაცია**

**1**. პირველად ქუსლიანი ფეხსაცმელი 400 წლის წინ გამოჩნდა. ნამდვილად რთული დასაჯერებელია ის, რომ თავდაპირველად დასავლეთ აზიაში სპარსელები და ოსმალები ქუსლს სამხედრო მიზნებისთვის იყენებდნენ. 1600 წლების ადრეულ პერიოდში სპარსელები და ოსმალები ძლიერი მხედრები იყვნენ. ისინი მოწინააღმდეგისთვის ისრის დასამიზნებლად ფეხზე დგებოდნენ. მეომრებს ფეხსაცმლის ძირი სქელი ჰქონდათ, რათა მყარად ეგრძნოთ თავი და არ წაქცეულიყვნენ. თავდაპირველად ქუსლიან ფეხსაცმელს მხოლოდ კაცები ატარებდნენ.1880-იან წლებში კაცებს პანტალონები ეცვათ. ეს არის შარვალი, რომელიც ძალიან ჰგავს ვიწრო ჯინსს. ქუსლიანი ფეხსაცმელით ამაგრებდნენ შარვლის ბოლოებს, რომ მას ფორმა არ დაეკარგა.

**2**.

ა. ძნელია წარმოიდგინო, რა სულიერი ძალა უნდა ჰქონოდათ, რომ მიეტოვებინათ პარიზი!
ბ. თაყვანი უნდა ვცეთ პუბლიკას და პატივი ვცეთ თოჯინებს, რომლებთაც არ სიამოვნებთ, როდესაც უპატივცემულოდ ექცევიან.
გ. ფეხი რომ შევდგით გემბანზე, ვოგენმა გადმოგვხედა ვეება კასრიდან.
დ. რაც არ უნდა დაგემართოს, ვინც არ უნდა გაამოს ან დაგამციროს, არასოდეს შეხედო სხვა დროშას.
ე. მრავალი რამ იყო გემზე, რაც ასევე გაგაკვირვებდა.
ვ. ახლა მოგახსენებთ, თუ რას ნიშნავდა თბილისის გუბერნიის სტიპენდია.
ზ. შემიყვანეს ძველ შენობაში, სადაც აღფრთოვანებული შევცქეროდი, თუ როგორ გადაადგილდებოდნენ გაბრიაძის სათამაშო ტანკები შოსტაკოვიჩის მუსიკის ფონზე.
თ. როდესაც განმარტოება მინდოდა, ამ პატარა, მყუდრო, ჭადრის ხით დაჩრდილულ რკინის აივანს ვაფარებდი ხოლმე თავს.
ი. ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, იმას გულზე წითელ ფირფიტას ჩამოჰკიდებდნენ.
კ. ამიტომ იყო, რომ ილიამ გაზეთ „ივერიის“ შენობაში პირველ სართულზე ორი ოთახი დაუთმო გედევანიშვილის კლინიკას.

**3.**

ა. თავისი ხელით დაეხატა, დიდებული არწივი ნისკარტიდან ელვას რომ აკვესებდა, კლანჭები ჩაეჭიდა მთელი დედამიწისთვის და ზედ გადაეშალა ფრთები.
ბ. მერე, როცა უფრო და უფრო შევეჩვიე, ვსაუბრობდით ყოფით საგნებსა და მოვლენებზე.
გ. ეკვირინემ აღარ იცოდა, რითი ესიამოვნებინა ამ ადამიანისათვის, რომელიც უსათუოდ თვით განგებამ მოუვლინა.
დ. უარს რატომ უნდა ამბობდე, როცა ამისთანა კარგი ბედი და იღბალი მოგანიჭა უფალმა!
ე.სადაც წინათ მინდვრები ახსოვდა, ახლა იქ ყანები მოჩანდა.
ვ. მოხუცებულმა ქალმა ამ შარაგზაზე, სადაც იგი შეხვდა სონიას, აღაპყრო ხელები ზეცისაკენ და მისი თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.
ზ. სტუმარი აივანზე იჯდა და ამ სერიდან, რომელზედაც წამოსკუპებული იყო ოტიას პაწაწინა სახლი, უმზერდა მის თვალწინ გადაშლილ სურათს.
თ. დაღლას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა სახლში ბრუნდებოდა.
ი. რადგანაც აქ მეტი სანახავი აღარაფერი იყო, მოხუცებულმა დაბალი მოღობილისაკენ წაიყვანა სტუმარი.
კ. შენი მავედრებელნი გეხვეწებიან მუხლმოდრეკილნი, რათა შეისმინო მათი ვედრება.

**4.**

ვახტანგ გორგასლის შესახებ მოგვითხრობს ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი. V 30-იანი წლების დასაწყისში ქართლის მეფე იყო მირდატი, რომელიც მალე გარდაიცვალა. 7 წლის ვახტანგი მამძუძის ოჯახიდან წამოიყვანეს და გაამეფეს.

ვახტანგი ცოტა რომ წამოიზარდა, იძულებული გახდა, ქართლის ჯარით ირანში წასულიყო მათ მხარეზე საომრად. თუმცა მას სპარსელები დაეხმარნენ ალანების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც მომთაბარე ტომებისგან თავის დაცვა ირანისათვის და ასევე ბიზანტიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა ალანები, გაათავისუფლეს ტყვეები. მეფემ კავკასიონის გადმოსასვლელები გაამაგრა. დარიალის კარზე ვახტანგმა გოდოლი ააშენა და იქ მცველებად მთიელები დააყენა, რათა უფრო დაცული ყოფილიყო ქართლის საზღვარი.

**5. დამოკიდებული წინადადების სახეები.**
**ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება**

1.
ბ. დამარცხებული ის არის, ვინც თვითონვე აღიარა თვისი დამარცხება.
ე. გამარჯვებული ისაა, ვინც მდინარის მეორე ნაპირას პირველი მიცურდება.
თ. სწორედ ისინი გადარჩნენ, ვინც უსამართლობას შეეგუა.
ი. ვინც ისწავლის, გაიგებს კიდეც ახალი ტექნოლოგიების სარგებლიანობას.

**7. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება**

1.
ა. ჩაფით მოიყუდე ღვინო, თუკი ასე გულით გინდა!..
ბ. თავიდან ისე ყურისწაღებამდე აყმუვლდა ბრბო, თითქოს რაღაცისა ეშინია.
გ. ახლა მამა-შვილი ისეთივე ფიალებს ამზადებენ, როგორსაც მათი წინაპრები.
დ. ის ლამაზი პარკი, სადაც ბავშვებს ასეირნებდნენ კეთილმოწყობილია.
ე. ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ თითს თვალთან ვერ მიიტანდა კაცი.
ვ. დიდი მწერალი დაიბადა იმ ქალაქში, სადაც თითქმის სულ წვიმდა.
ზ. ბაბუა ისეთ ღვინოს აყენებდა, რომლის მსგავსი არ მინახავს სხვაგან.
თ. გაგიმ იმდენი წიგნი გამოიწერა, რამდენის წაკითხვასაც მოასწრებდა ორ თვეში.
ი. ის ბავშვი, რომელმაც ეს ამბავი მითხრა, ჩემი კლასელია.
კ. მოგზაურები მიადგნენ იმ მთას, სადაც დიდი მღვიმე ეგულებოდათ.

2.
ა. ყოველთვის ვერ დამიწერია ის, რისი დაწერაც მინდოდა, მაგრამ არასოდეს დამიწერია ის, რისი დაწერაც არ მინდოდა.
ე. ის, ვინც შეკრებისას სროლას იწყებს, უცილებლად დამარცხდება.
ვ. ღრმადმორწმუნე ოჯახში აღიზარდა მწერალი, ვინც ნაცისტების დიდ მოწინააღმდეგედ იქცა.
ზ. ის აშკარად გულადია, ვინც აქ დაეხეტება.
თ. ჰაერში ეკიდა თხელი სანათი, რომელიც სამდღიან მთვარეს ჰგავდა.
ი. ვერა და ვერ შეიტყო იმ მღვდლის სახელი, რომლის გაყვითლებული ფოტოსურათიც გატეხილი კომოდის თავზე ეკიდა.
კ. ჩემმა ნაღვლიანმა სახემ იმის ყურადღება მიიპყრო, ვინც უბანში შემოვლაზე დადიოდა.

3.
კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია თუშეთის ადგილობრივი არქიტექტურა, რომელსაც ბევრი მნახველი ჰყავს. სოფლებში მჭიდრო დასახლებაა. თითოეულ მათგანში ის ციხე-კოშკები დგას, რომლებშიც შემოსევების დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. დღეისათვის საცხოვრებელმა ციხე-კოშკებმა დაკარგეს თავანთი ფუნქცია. მოსახლეობამ

დაიწყო მათი გადაკეთება ახალი ტიპის საცხოვრებლად. სიპი ქვის მშრალი წყობით სახლები და ციხე-კოშკები აგებულია, რომლებიც დახურილია ასევე სიპი ქვების კრამიტისებური ფორმით. მოჩუქურთმებული ხით ალამაზებენ ფანჯრებსა და აივნებს, რომელთაც განსხვავებული რიკული და ფორმა აქვს. თითოეული დეტალი რაც ცალკე ხელოვნების ნიმუშია სოფელს საუცხოო სანახავსა და განუმეორებელს ხდის.

**8. რომელიც წევრ-კავშირის რიცხვში შეთანხმების წესები**

1.
ა. არსებობენ უსიცოცხლო, უცხვირპირო პერსონაჟები, რომლებიც ზედმეტნი და არაფრისმაქნისნი არიან.
ბ. ეზოში შეიკრიბა ცხრა ბავშვი, რომლებიც ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ.
გ. გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს, რომლებიც უფლისციხეში გადიოდა.
დ. თანდათან ველარ ვხედავ რამდენიმე დემონსტრანტს, რომლებიც ნელ-ნელა უკან იხევენ.
ე. ანდრემ შორიდანვე დაინახა სახლები, რომლებიც  ერთნაირი იყო.
ვ.  ვერ იბედნიერებენ შეყვარებულები, რომლებიც  სიყვარულისთვის ყველაფერს არ გაწირავენ.
ზ. ცეკვა „დაისი“ შეასრულა რამდენიმე მოცეკვავემ, რომლებიც  მოსრიალე ქანდაკებებს ჰგავდნენ.
თ. ახალმოსულმა გადმოდგა ორი ნაბიჯი, რომლებიც  აშორებდა საყავრელ ადამიანს.
ი. ჟრნალისტი რესპოდენტს უსვამდა ისეთ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა რთული არ იყო.
კ. სანაპიროზე ეყარა ქვები, რომლებიც   მზის შუქზე სხვადასხვაფრად ელვარებდა.

**3**.
ა. ბავშვმა, რომელიც გაკვეთილს ვერ დაესწრო, იტირა.
ბ. მეზობლობა, რომელიც ეზოში შეკრებილიყო, მნიშვნელოვან ამბებს განიხილავდა.
გ. ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია.
დ.  არჩილმა, რომელიც თავის ცხენზე გაბრაზებული იყო, გზა დაუთმო ყველას.
ე. თვით აფხაზეთის მთავრის შვილი, რომელიც თხებივით ყიდდა ოსმალეთის ბაზარზე ტყვეებს და საკუთარ ყმებს, შეძრწუნდა.
ვ. ტყვეობისაგან გადარჩენილებმა, შინ რომ დაბრუნდენ, დაწვრილებით მოუყვნენ თავისიანებს, რაც გადახდათ.
ზ. ორივე, რომელსაც ეტყობოდა მოხერხებულობა და გამოცდილება, არენაზე გავიდა.
თ. ვახტანგის მოურავი ვინც განკარგულებებს იძლეოდა უხასიათოდ იყო.
ი. სტუმრად მოსული შარვაშიძეს, რომელიც სიმკაცრით არ გამოირჩეოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა.
კ. ეპისკოპოსს, რომელიც ქალაქიდან დიდის ამალით დაიძრა, გზაზე ბევრი ხვდებოდა.

4.
ძველი თბილისის ისტორიულმა ნაწილმა, რომელიც დიდი ხნის წინ აშენდა, მნიშვნელოვნად შეიცვალა იერსახე. ისტორიული საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივი შენობებს, რომლებიც XIX საუკუნში აიგო,  ჩაენაცვლა სრულიად ახალი ნაგებობები. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ის ქუჩები, ქუჩა-კიბეები და ჩიხები, რომლებიც ინახავენ ქალაქის ისტორიას.
ძველ თბილისში აქტიურად მიმდინარეობდა ვაჭრობა. მოსახლეობა დაკავებული იყო რეწვის სხვადასხვა დარგით, რაც აისახა კიდეც ამ ქუჩათა სახელწოდებებზე. ამდენად, გვაქვს ქუჩები სახელით:  ბამბის რიგი, რკინის რიგი, მექვაბის რიგი, თოფხანა, ხარაზხანა, სირაჯხანა. გარდა

ამისა, გვხვდება ხელოსანთა საქმიანობის აღმნიშვნელი ქუჩები: ოქრომჭედლის ქუჩა, სამღე-ბროს ქუჩა, დაბახანა და ა.შ.
შუა საუკუნეებში თბილისი ძირითადად სამ ნაწილს მოიცავდა, რომელთა შორის სიდიდით კალა გამოირჩეოდა. კალას შემადგენელ ორივე ნაწილს – ზემო და ქვემო კალას – შუასაუკუნეობრივი ქუჩათა ქსელი ედო საფუძვლად, რომელმაც დღემდე მოაღწია.

5.
ნიკოლოზ ბარათაშვილი რთული და დიდბუნოვანი პიროვნება იყო. აღსანიშნავია მისი არა მარ-ტო განუმეორებელი პოეტური ტალანტი, არამედ საოცარი ნებისყოფა და მიზანსწრაფულო-ბა. „მერანის“ ავტორის გენია გვარწმუნებს, რომ დიადი ხასიათის გარეშე არ არსებობს დიდი მხატვარი. პოეტს, რომელიც ბუნებით უზომოდ კაცთმოყვარე იყო, ღრმა სევდა სტანჯავდა. ბარათაშვილს სულს უხუთავდა მაშინდელი უბადრუკი სინამდვილე და თბილისის ოფიციალური საზოგადოება. თავისი მეგობრის – მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში პოეტი მაღალზნეობრივ სტანდარტს მოითხოვს საზოგადოებისგან. პოეტი ადამიანის ბედნიერების კრიტერიუმად მორალურ სრულყოფას აღიარებს. ბარათშვილის პოეტურ სამყაროში გვხვდება აჩრდილი ბოროტი სულისა, რომელიც მსახვრალი ხელით ამსხვრევს ჭაბუკურ ოცნებას, სულის მშვიდობას ართმევს პოეტს.

**9. განკერძოებული განსაზღვრება**

1.
ა. ეზოში ღორი ღრუტუნებდა, გაწუწული და ტალახში ამოსვრილი.
ბ. ეკატერინეს სახლი, მორთული და მოკაზმული, კოხტად გამოიყურებოდა.
გ. მეზობელმა ფანჯრები გამოაღო, გაწმენდილი და ახლად გაღებილი.
დ. ბეგლარი, თეთრ ცხენზე ამხედრებული, არაგვის ერისთავია.
ე. ზვიადს გამოუჩნდა ზურგი, ჭრილობებით აჭრელებული.
ვ. მეფეს ეახლა პირველი მსახური, ბევრი ჭრისა და ლხინის მნახველი.
ზ. მერცხლების ბარტყები, სიცივისაგან აკანკალებული, ბუდეს ვერ პოულობდნენ.
თ. მშვენიერი იყო ხის ფოთლების ჩრდილი, იატაკზე დაფენილი.
ი. ვიღაცას, ულმობელი ხელის პატრონს, გაუნადგურებია ბაღჩა.
კ. ეზოში იდგა ცარიელი ბეღელი, ბიჯგებგამოგდებული.

2.
ა. ბიძინას არცთუ ისე კარგი საჯინიბო ჰქონდა ცხენებისთვის, კარჩამოგდებული და ფიცრებაყ-რილი.
ბ. დაკირული ჭური მიწიდან ამოღებული ორმოსთან გდია, პირმოტეხილი.
გ. ქვეყანას ფაფუკი თოვლი დასდებოდა, ახლად მოსული.
დ. მოურავმა ფეხაკრეფით შეაღო წინა ოთახის კარი, მოწიწებით.
ე. შიკრიკი ისევ ფეხებგადაჯვარედინებული იდგა, /: ქუდმოხდილი, თავშიშველი.
ვ. მესამე დღესვე ეს აუარებელი ხალხი, ლევანის სპა-ჯარით შევსებული, მთისკენ გაემართა.
ზ. ხალხი, მეფის წყალობით გახარებული და აღელვებული, მადლიერებას გამოხატავდა.
თ. შველი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევდა მჭადის ნატეხს მომვლელს.
ი. ნაბდიანი ცხენოსანი, წვერმოპარსული და ჩაბალახთავწაკრული, გამოჩნდა ველზე.
კ. მიწას ორბის კლანჭებივით ჩაფრენილი, განმარტოებით იდგა ვეებერთელა მუხა.

**10. განკერძოებული დანართი**

**1.**

ა. ყველა აღტაცებით გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ხმით შეასხამდა ხოტბას: ლექსით, სიმღერით, ცხენოსნობით, ცეკვით და ვაჟკაცობით.
ბ. ჩემი რძალი, კნეინა სოფიო, ლამაზად ქარგავდა და ქსოვდა.
გ. მბჟუტავი შუქით განათებულ მაგიდასთან იჯდა ის ახალგაზრდა, იაპონელი ტურისტი.
დ. ქერა ქალმა, მეფის უმცროსმა ქალიშვილმა, ხელის ნაზი მოძრაობით ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა.
ე. ირენეს, ავთოს დედას, თავის დღეში არავისთვის უწყენინებია.
ვ. ჰარი, უფროსი შვილი, ყოველი თვის ბოლოს მამას ფულს უგზავნიდა სოფელში.
ზ. ბაზარში დილაუთენია მიდიოდნენ გლეხის ქალები, გამოცდილი ვაჭრები.
თ. გასართობ ცენტრში ზრაპრის გმირები, კომბლე და ნაცარქექია, განსაკუთრებით ამხიარულებდნენ ბავშვებს.
ი. მათ, სამშობლოსთვის თავდადებულმა გმირებმა, ღირებული მემკვიდრეობა დატოვეს.
კ. პარიზში, ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში, შეხვდნენ მეგობრები.

2.

სვანეთში არაერთი უძველესი დღესასწაულია, მაგალითად ლამპრობა. ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია. იგი მირქმის დროს აღინიშნება. ამ დღეს მოსახლეობა, ადგილობრივი მკვიდრნი, ცეცხლს საფლავებზე ანთებს. ისინი ღმერთს მიცვალებულების იმქვეყნიურ კეთილდღეობას სთხოვენ. ლამპრობის შესახებ პირველად ინფორმაცია უძველეს ნაწარმოებში გვხვდება, „ქართლის ცხოვრებაში“. ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ თანახმად, ლამპრობა მთელ საქართველოში (იმერეთში მესხეთში კახეთში და ა.შ.) გავრცელებული ტრადიცია იყო, თუმცა რიტუალმა პირვანდელი სახე მხოლოდ სვანეთში შეინარჩუნა. ლამპრობა ულამაზესი სანახობაა – თოვლი, სიცივე, მაღალი მთები და ქათქათა თოვლში არეკლილი ყვითელი ცეცხლი. სვანური სიმღერების, „ლილესა“ და „შამარერას“, მოსმენა და სვანური ტრადიციების უშუალოდ ნახვა ნამდვილად სასიამოვნოა. ლამპრობა მიცვალებულთა საპატიცემულო დღესასწაული ჯადოსნურ გარემოს ქმნის და უამრავ ლამაზ ემოციას და მოგონებას ტოვებს.

3.

დაძაბული რეჟიმის განსატვირთავად მნიშვნელოვანია შესაფერისი გარემოს მოძებნა. სხვადასხვა სახის მცენარეების, წიწვოვანი ხეების შერწყმით მიღებული სუფთა ჰაერი სწორედ ის არის, რაც მუშაობით დაღლილ ადამიანს სჭირდება.
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ეროვნული პარკია საქართველოში, სადაც 12 კეთილმოწყობილი და მარკირებული ბილიკია. ზოგ მათგანზე წელიწადის ნებისმიერ დროსაა ლაშქრობა შესაძლებელი, ხოლო ზოგი მათგანი ზამთარში დიდთოვლობისა და ზვავის საშიშროების გამო იკეტება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბორჯო-ხარაგაულის ეროვნულ პარკს წლის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ეწვიოთ. თუმცა მოლაშქრეებსა და მოგზაურებს, ბუნების სიყვარულით შეპყრობილებს, შემოდგომის პერიოდი ხიბლავთ, რადგანაც ამ დროს ირმის მყვირალობას უსმენენ ხოლმე. მეტსაც გეტყვით, აქ ირმების ნახვაც კი არის შესაძლებელი. ეროვნული პარკის ყველაზე პოპულარული ბილიკებია: ლომისმთის ბილიკი და თოვლის ფეხსაცმელების ბილიკი.

**12. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**

1.
ა. იქვე, სადაც მოხუცი ქალი ფუსფუსებდა, შვილიშვილები თამაშობდნენ.
ბ. მოგზაურები იქით წავიდნენ, საითკენაც დასავლეთის ქარი ქროდა.
გ. ოჯახი იქვე დასახლდა, სადაც გამგეობამ მიწა აჩუქა.
დ. მოლაშქრეთა ერთმა ჯგუფმა ვერ მიაღწია იქამდე, სადამდეც მეორემ.
ე. შამბნარი მოსდებია იქაურობას, სადაც წესით და რიგით ოაზისი უნდა იყოს.
ვ. ახლა იქითკენ გაემართნენ, საითაც ლურჯი ფრინველი მიდრინავდა.
ზ. კარაველებმა იქიდან ამოიყვანეს კაცი, საიდანაც მანამდე განწირული ყვირილი ისმოდა.
თ. ადიდებულმა მდინარემ სულ დაფარა ყველაფერი, სადაც მანგოს ხეების ტოტებქვეშ კაჩუს ჯეჯილი ბიბინებდა.
ი. მათ მეგობარი წაიყვანეს სადღაც შორს, სადაც უცხო ადამიანები ცხოვრობენ და უცხო სახლებია.
კ. დამნაშავე ყველგან ნიშნას ტოვებდა, სადაც გაჩერდებოდა.

**13. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**
**2.**
ა. ხეებს ყვავილები გამოსდის, როცა გაზაფხული დადგება.
ბ. როცა დღე დასრულდება, მზე დასავლეთით ჩადის.
გ. დასასვენებლად მაშინ მივდივართ, როდესაც არდადეგები გვეწყება.
დ. თოვლი რომ დნება, მდინარეები დიდდება.
ე. როგორც კი დაზამთრდება, მურაბებს გვიხნის ბებო.
ვ. სანამ საუზმეს მივირთმევთ, ხელბი უნდა დავიბანოთ.
ზ. ქოლგა მაშინ დაგვჭირდება, როცა წვიმს.
თ. სკოლაში მაშინ წავლენ ბავშვები, როცა გამოიდარებს.
ი. როგორც კი გამოცდებს ჩავაბარებთ, სამოგზაუროდ წავალთ.
კ. დედა მაშინვე დამშვიდდა, რაკი სარსალამათი შვილი დაუბრუნდა.

3.
ა. ქალები რომ ხელიხელჩაკიდებულნი ეშვებოდნენ წყალში, მაშინ დაიწყო ნამდვილი სანახაობა.
ბ. როცა მზისაგან ალაპლაპებულ მდინარეზე ნავებმა აფრები აუშვეს, ქურუმი ბრაჰმანები თავიანთი წმინდა საწმისებით მოვიდნენ ნაპირთან გასაბანად.
გ. დილას სანიასი კიბის საფეხურთან იდგა და კრიალოსანს მარცვლავდა, როდესაც ერთმა ქალმა იდატყვი გაჰკრა.
დ. საღამოს, როდესაც ცაზე სავსე მთვარე ამოვიდა, ბიჭი მოვიდა და სკამზე ჩამოჯდა.
ე. ლოცვას რომ მოათავებდა, სანიასი ეძახდა კუშუმს და სარწმუნოებაზე ებაასებოდა.
ვ. ავადმყოფი გონს რომ მოეგო, მადლობა გდაუხადა გადამრჩენელს.
ზ. როდესაც საჩუქრად ლამაზი კაბა მიართვეს, გოგონას თვალები აუწყლიანდა.
თ. ბრბომ რომ ტაძართან მოიყარა თავი, მაშინ გამოვიდა ქურუმი.
ი. როდესაც მეზობელი ბავშვები ეზოში სათამაშოდ ჩადიოდნენ, მე ისევ ვმეცადინეობდი.
კ. როცა ადამიანები სამსახურში მიიჩქარიან, თან ათას რამეზე ფიქრობენ.

**14. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**
1.
ა. ქალმა ისე კარგად იცეკვა, რომ გვერდით მჯომმა გერმანელმა ჭამა შეწყვიტა.
ბ. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს მატარებელი გაჩერდა და ვაგონების გასწვრივ გვირაბი გარ-

ბოდა.
გ. სპილო ცახცახებდა და ყრუდ ქშუოდა, როგორც ვეება ტროპიკული წვიმის ღრუბელი.
დ. რამდენჯერაც მივიდა მევალე, იმდენჯერ მოატყუა პლატონმა იგი.
ე. ერეკლემ რვეულს ხელი ისე დაადო, როგორც მოწმეები დებენ ბიბლიაზე სასამართლოში.
ვ. გლეხი ისე ელაპარაკებოდა ბატონს, თითქოს მისი თანასწორი ყოფილიყოს.
ზ. დათომ ინფორმაციის ძებნა დაიწყო ინტერნეტში, ისე რომ ჭამა არ შეუწყვეტია.
თ. ისე უხეშად უპასუხა შვილმა, რომ გულნატკენ დედას ცრემლი მოადგა.
ი. ისე ღელავდა, ვითომ მისი ბედი და უბედობა წყდებოდა.
კ. ის კაცი ისე ზანტად მოიზლაზნება, როგორც ინდური ჭრელი გველი.

2.
ა.მას ისე ემატებოდა მოწიფული ქალის ლაზათი და სიტურფე, როგორც განგას ემატება ხოლმე წყალი წვიმების დაწყებისას.
ბ. ერთ დილას როდესაც სწორედ ასეთი ამინდი იყო, როგორიც გასული სექტემბრის მიწურულს საიდანღაც პირთეთრი და ტანადი რაინდი მოვიდა.
გ.  არავინ ისე კარგად არ იცის სისხლის ფასი, როგორც ჩვენ, მეომრებმა.
დ. ნის თმები ისეთია, როგორიცაა ჩამოცვენილი ფოთოლი.
ე. ისევე შეუძლებელი ჩანს ამ ნაშრომის გადაკეთება, როგორც მარკიდან ამოჭრილი ჩიტის გაცოცხლება.
ვ. დადიანის ასული ისეთი ლამაზი იყო, როგორებიც ფრესკის ანგელოზები არიან.
ზ. მხედარს ისეთი სწრაფი ცხენი ჰყავდა,  როგორიც ქარია.
ი. მოხუცი ისე ამხნევებდა უცხო ადამიანებს, როგრც თავის თემის წევრებს.
9. ალექსანდრე მაკედონელმა ისეთივე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა სამონეტო საქმიანობაში, როგორიც ანტიკური სახლემწიფოების ცხოვრების არაერთ სფეროში.
10. არავინ ისე მამაცურად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი.

**15.** **მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**

1.
ა. ვფიქრობ, ქალები ქსოვას იმიტომ ისაბაბებენ, რომ სხვა აღარაფერი გააკეთონ.
ბ. გამოქვაბულში მუშაობთ და ერთხელაც არავის შეუწუხებიხართ, იმიტომ რომ გენდობით.
გ. რადგან შეგირდი ნიჭიერი იყო, ყველაფერს მარტივად ითვისებდა.
დ. მოხუცის სახე არ ჩანდა, იმიტომ რომ შალი გადაეფარებინა.
ე. რაკი გენერალმა თხოვნა არ გაითვალისწინა, ჩარლიმ ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გავიდა.
ვ. ნივთი ვაჭრის ყურადღებას იპყრობდა, რადგან შორეული ქვეყნიდან ჩამოეტანათ და საუცხოო იყო.
ზ. თინას ბევრი ლაპრაკი სჩვეოდა, ამის გამო აღარავინ მიჰყვებოდა წყლის მოსატანად.
თ. ვინაიდან აეროპორტში მგზავრების რეგისტრაცია დასრულებული იყო, ველარავინ დააბრუნებდა ლილეს.
ი. თითქმის ყოველ დილით ბავშვი ტიროდა, იმიტომ რომ საბავშვო ბაღში ყოფნა არ მოსწონდა.
კ. ჩვენმა წინაპრებმა ევროპული ღირებულებები აირჩიეს, ამიტომ მათ პატივი უნდა მივაგოთ.

**16.** **მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**

2.
ა. ეკა ჩქარობდა სახლში მისვლას, რათა სტუმრებისთვის მიესწრო.
ბ. სახლისთვის ახალი ავეჯი იყიდეს, რადგან ძველი ძალიან შეილახა.
გ. მოძღვარი არ ტოვებს სოფელს, რადგან მისი მოვალეობა მრევლზე ზრუნვაა.

დ. მოგზაურები შეშინდნენ, რადგან გვირაბის ბოლო ვერა და ვერ დაინახეს.
ე. ავთანდილს საგმირო საქმე უნდა ჩაედინა, რათა სატრფოს მოწონება დაემსახურებინა.
ვ. მარიამის დავალება მოიწონა მასწავლებელმა, რადგან ყველაფერი მითითებების მიხედვით ეწერა.
ზ. ჭიანჭველები ღმად ჩასულიყვნენ მიწაში, რადგან უკვე საგრძობლად აცივებულიყო.
თ. გიგამ ვერაფერი ვერ გაიგო, რადგან ძრავის ხმა აყრუებდა ქუჩას.
ი. ვახტანგმა ბათუმში დასვენება გადაწყვიტა, რათა ახალი ენერგიით ავსებულიყო და ისე განეახლებინა მუშაობა.
კ. ანანო ყველა მუსიკის გაკვეთილს ესწრება, რათა კლასიკურ მუსიკაში კარგად გაერკვიოს.

**17. განკერძოებული გარემოება**

1.

ა. მხოლოდ ორი ცაცხვი დაჰყურებდა ქვეყანას, მშვიდად, მოწყენით, აუჩქარებლად.
ბ. მოწამეთის პირდაპირ, მდინარის გაღმა, გამოქვაბულში შეაფარა თავი მოხუცმა.
გ. სურის ყელზე მტევნებით სავსე ვაზი ეხატა, ქვევით, ძირზე, ეწერა ულაზათო ლექსი.
დ. დილით, 6 საათზე, დგებოდა ბებო, ყველა საოჯახო საქმე რომ მოესწრო.
ე. წყალწითელას პირას, მოწამეთის პირდაპირ, ერთი გადახრილი სალი კლდე არის.
ვ. ალიონზე გადავიდოდნენ ეკლესიის ეზოში, საფლავებზე და წითელ კვერცხებს აგორებდნენ იქ.
ზ. იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნისა წინათ ცამოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა.
თ. დიდგორის მონუმენტი მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.
ი. ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წელსს, 29 სექტემბერს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში.
კ.  ორი ყმაწვილი ცაცხვის ძირში, ეზოს განაპირას, რევოლვერს წმენდდა.

2.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ის ადგილია, სადაც ისტორია, კულტურა, ტრადიცია და ქართველი ხალხის ყოფა ერთ მთლიან სივრცეში აისახება. თუ დაინტერესებული ხართ იმ ეროვნული საგანძურით, რომელსაც შეუძლია საქართველოს მდიდარი ისტორია სხვადასხვა კუთხით დაგანახვოთ, ეწვიეთ საქართველოს მუზეუმს.
ეროვნულ მუზეუმში ინახება ძვ.წ III-II ათასწლეულიდან დღემდე არსებული ეროვნული საგანძური აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საქარ. ეროვნული მუზეუმი საქართველოში მოქმედი მუზეუმების გაერთიანებაა, რომელიც მოიცავს ეროვნული საგანძურის კოლექციებს.
დღეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმებს შორის ყველაზე ძველი სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმია, საადაც დაცულია უამრავი სახის ექსპონატი, რომლებიც ქართველი და კავკასიელი ხალხის კულტურასა და ყოფას ასახავს. მუზეუმში თავმოყრილია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები.

**18.  ჩართული**

1.

ა. გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, ფოთოლეთის ეკლესია მიჩნეულია წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფის ქრისტეფორეს მიერ IX საუკუნის 40-იან წლებში დაარსებულ კვირიკეწმიდის მონასტრად. სამწუხაროდ, ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ XIV საუკუნიდან მონასტერი, რაც შემდეგში კვლევების მიხედვით არ დადასტურდა, წყვეტს ფუნქციონირებას, უკაცრიელდება, ცხადია, ამის შემდეგ დავიწყებას მიეცა მისი სახელწოდებაც. ჟამთა სვლამ თუ მტრის ხშირმა

შემოსევებმა, როგორც ხდება ხოლმე, გაანადგურა ტაძარი და მონასტერი. როგორც ვიცით, 2007 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია. რა თქმა უნდა, მკვლევრები შეეცადნენ, ეკლესიისთვის მიეცათ პირვანდელი სახე. ამრიგად, დღესდღეობით ეკლესია განახლებულია და ის ცოცხალ ისტორიას წარმოადგენს. სხვათა შორის, 2007 წელს განახლებულ ტაძარს სახელად ფოთოლეთი უწოდეს, რადგან იგი მდებარეობს ფოთოლეთის ტყეში. რასაკვირველია, აღადგინეს ასევე მამათა მონასტერიც.
ბ. ისტორიული ჩანაწერები საქართველოს შესახებ, არც მეტი არც ნაკლები, 4 ათას წელზე მეტს ითვლის, ხოლო ქართული ანბანი მსოფლიოს უნიკალურ ანბანთა რიცხვში შედის. საბედნიეროდ, საქართველო ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყნებს შორის, სადაც მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საქართველო გამოირჩევა კულტურული მრავალფეროვნებით. საუკუნეების განმავლობაში ქვეყანაში გვერდი-გვერდ ცხოვრობდა, ერთი მხრივ, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და, მეორე მხრივ, სხვა რელიგიური მრწამსის მოსახლეობა. საუბედუროდ, საქართველო ხშირად აღმოჩენილა სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის დაპირისპირების ცენტრში, რაც, ცხადია, ასუსტებდა ჩვენს ქვეყანას.

2.
სტეფანწმინდა გამორჩეული ადგილია საქართველოში, რომელსაც უამრავი ცნობისმოაყვრე მოგზაური სტუმრობს როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის სეზონზე. სტეფანწმინდა მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1880 მეტრზე. სტეფანწმინდა, დიდრონი მთებით გარშემორტყმული, ულამაზესი დაბაა. აქ თოვლი, უჩვეულოდ ადრე, ოქტომბრის დასაწყისშიც შეიძლება მოვიდეს. მართლაც, რომ გასაოცარია თოვლით გადათეთრებული სტეფანწმინდა ამ პერიოდში. თუ გიყვართ მთიან ადგილებში დასვენება, შეგიძლიათ დატკბეთ ულამაზესი ხედებით. რა თქმა უნდა, სტეფანწმინდაში შეგიძლიათ მოინახულოთ გერგეტის სამება, საიდანაც სტეფანწმინდის ხედი იშლება. აქ დასვენების დიდი უპირატესობაა ღირშესანიშნავი ადგილები, რომლებიც თქვენს მოგონებებს შთამბეჭდავს გახდის. ასევე, შეგიძლიათ ეწვიოთ დარიალის ხეობას, სადაც უმშვენიერესი დარიალის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს. ასე რომ, თუ გიყვართ ბუნება, კულტურული და ლამაზი ადგილების მონახულება, სტეფანწმინდა ზამთარში კარგი ადგილი იქნება თქვენთვის.

**19. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი**

1.
ა.1942 წელს ადრე გაზაფხულზე, სისხამ დილით ბებიამ გამაღვიძა. ხელში სამართებელივით პირალესილი და ალაპლაპებული ნაჯახი ეჭირა.
– მღუპავ, ბებია! – შევიცხადე განგებ და საბანი თავზე წავიხურე.
– ნუ ლაზღანდარობ, შე მამაძაღლო, ადექი და საქმეს მიხედე, სანამ ყურით ჩამომითრევიხარ მაგ ტახტიდან! – გამიჯავრდა ბებია.
– რა საქმე აგიტყდა, ქალო, ამ ალიონზე, – ვუსაყვედურე მე.
– კაცის ხელი თუ არ მოხვდა მაგას, ჩემი აღარ ეშინია. ქალი რომ ვარ, მთლად აბუჩად ამიგდო! – თქვა კოპებშეკრულმა.
– ჰიტლერზე ამბობ მაგას, ბებია თუ ჩვენს ბრიგადირზე?
– ა, კიდო, რა გითხარი მე შენ?!
– ვდგები, ბატონო, მაგრამ გამაგიბინე, ვიზეა ლაპარაკი, – ვთქვი მე და ჩაცმა დავიწყე.
– ვიზეა და ხაზარულაზე, მაგ უგვანოზე, უსინდისოზე და უცხვირპიროზე. ამ შიმშილის დროს შეიძლება ასე ღალატი? – მკითხა ბებიამ.
– ხეზე ამბობ მაგას? – ვკითხე განცვიფრებულმა.
– ხეზე.
– ვაშლზე? – არ დავუჯერე საკუთარ ყურებს.

ბ. ორი წლის თავზე ჭურიდან რომ ღვინოს ვიღებდით, ბაბიამ ცაში აიხედა, მერე ხაზარულას ახედა, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და ისე თქვა, თითქოს მე კი არა, ვიღაც უცხოს ელაპარაკე-ბოდა:
– ამაღამ მოთოვს, შეშა არ გვაქვს, დავიხოცებით სიცივით. უნდა მოიჭრას ხაზარულა!
– წელსაც ვაცალოთ, ბებია და გაისად მოვჭრათ, ერთს კიდევ შევაშინებ, – ვთხოვე მე.
– გათავდა, ნენა, რავარც მე ვერ შემაშინებ აწი, ვერც მაგას, – სინანულით გაიქნია თავის ბებიამ.
– აბა, მე ვერ მოვჭრი მაგას... – ვიუარე სასტიკად.
– რას ჰქვია ვერ მოჭრი! ბებია ვარ მე შენი, რომ გელაპარაკები თუ ძაღლი! – ეწყინა ბებიას.
– ბებია ხარ, მაგრამ მაინც ვერ მოვჭრი... – გავჯიუტდი მე.
– რატომ? – გაუკვირდა ბებიას.
– კაცო, შენ თვითონ არ მითხარი, რასაც მე და შენ ვლაპარაკობთ, ეყურება ხესო, – გავახსენე მე.
– არა, ნენა, რაღაცას დედაბერი ჩაიბჟუტურებს, იმას რას უყურებ შენ, ხეს კი არა, ადამიანს არ ეყურება ერთმანეთის. ხომ ხედავ, ფრონტზე ცოცხლად ჭამენ ერთმანეთს. მაშინ გეხუმრე, ბებია, და მართალი გეგონა?! – სცადა ბებიამ ჩემი გადაბირება.
– მაინც ვერ მოვჭრი, ეყურება კი არა, მე თუ მკითხავ, ხედავს კიდევაც მაგი. შეხედე, როგორ აგვარიდა თვალი, – ვუთხარი ბებიას და ხაზარულას ავხედე.

3.
ა. სტუმარს გადაეცი: კაცი რომ ვახშამზე დაგპატიჟებს და დანაყრებული ესტუმრები, ამაზე დიდი სიბრიყვე და სისულელე ქვეყნად წარმოუდგენელია-თქო.
ბ.თათიას ჰკითხე, აბა, ევროპაში ნაყოფი ხარ-თქო?
გ. მე შევეპასუხე: - ის რა გვარია, კარგ მოთხრობებს რომ წერს და რომ არ უბეჭდავენ-მეთქი.
დ.  მამას გადაეცი, სადილი არ გაგვიკეთებია, არ გვეგონა, ასე ადრე თუ დაბრუნდებოდი-თქო.
ე. მეგობრებს შევახსენე: გახსოვთ, გოგოებო, სტოკჰოლმიდან კოპენჰაგენზე გავლით პარიზში რომ ჩავედით-მეთქი?
ვ. ნოდარს ვუთხარით, ბაბუას ასი წელი შეუსრულდაო.
ზ. ლიკამ გამახსენა უტკბესი ვაშლი, ადრე მისი ნაყოფი ბებიას ზამთრობით თბილისში ჩამოჰქონდაო.
თ. მე ვუწინასწარმეტყველე გიას, ამაღამ მოთოვს და თხილამურებით სრიალს შეძლებ-მეთქი.
ი. მათ შემოგვითვალეს, ვერ შეგვაშინიებთო.
კ. ანანია უთხარი მაგ ბავშს, რომ ხე არ ხედავს-თქო.
ლ. წეღან ვთქვი: - ბოშები სოფელს კალიასავით მოედვნენ - მეთქი.
მ. ჩვენ ვუთხარით, ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ეს უბედურები ქურდები არ არიანო.
ნ. ქალი გაუგებარ ენაზე რაღაცას ბუტბუტებდა. მეზობელს ავუხსენი, გლოცავს-მეთქი.
ო. ჩვენ საქმეს ვაკეთებდით და თავდაჯერებულნი ვამბობდით, ყველაფერი გამოგვივაო.
პ. ნიკას გადავძახე, თავისუფალი ხარ-მეთქი.?
ჟ. შევუთვალეთ, ერთად ვიმოგზაუროთ ევროპის გარშემოო.

4.
ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომი არ იყო დამთავრებული, რომ ერეკლემ რუსეთის მთავრობას კვლავ დაუსვა საკითხი რუსეთის ჯარის 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთში გაგზავნის შესახებ. ამის საპასუხოდ გენერალმა გუდოვიჩმა კავკასიის ხაზზე მიიღო ეკატერინე II-ის ხელმოწერილი მითითება, რომ რუსეთის ჯარის გაგზავნას საქართვე-ლოში არ გეგმავდა.
ერეკლე მაინც არ ეშვებოდა რუსეთს. 1793 წელს, 18 აპრილს იგი პეტერბურგში მყოფ თავის შვილს მირიანს სწერდა: ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი ძლიერდება, საქართველოს მეზობელი ხანების დამორჩილებას ცდილობს და თუ მან ამას მიაღწია, მაშინ შეეძლება საქართველოზედაც

წამოსვლა და თავისი თავის შაჰად გამოცხადებაო. ერეკლეს სურდა საქართველოსათვის მიეცათ ის ზარბაზნები ყუმბარებით, რომლებიც მას 1783 წლის ტრაქტატის შემდეგ ჰქონდა ნაბოძები და ჯერ არ მიელო. ზარბაზნების საკითხი რამდენჯერმე შეახსენა მეფემ რუს მოხელეებს. სამწუხაროდ, ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.